თათია ცეცხლაძე

ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ანალიზი გენდერულ ჭრილში

ქართული
პოლიტიკური ზეპირმეტყველების ანალიზი
გენდერულ ჭრილში

გამომცემლობა შპს „საჩინო“
2025

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [YS-22-348]“ / This research was supported by „Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [YS-22-348]“.

ავტორი: თათია ცეცხლაძე - ფილოლოგიის დოქტორი,
სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რედაქტორები: მანანა თანდაშვილი - ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.
მარიამ ყამარაული - ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის დოცენტი, ქართველური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი.

რეცენზენტები: რამაზ ხალვაში - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
მზია ხახუტაიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

გამომცემლობის რედაქტორი: მზია ჩხაიძე
კორექტორი: ნინო ხორავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

გამომცემლობა: შპს საჩინო
თბილისი, შ. დადიანის 8, მობ: 593 99 34 88

doi 10.52340/9789941995514
ISBN 978-9941-9955-1-4

სარჩევი

შესავალი 5

I თავი 13

1.1. კომუნიკაციის სტრატეგიები 13

1.2. პოლიტიკური მეტყველება და პოლიტიკური დისკურსი 15

1.3. პროპაგანდა 18

1.4. პოლიტიკური სტრატეგიების მაგალითები 19

1.5. სოციალური მოძრაობები 21

1.6. საზოგადოებრივი მოძრაობის ტიპები 23

1.7. ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების გენდერული ასპექტები 29

1.8. გენდერული კვლევები 31

1.9. ანალიზის მეთოდები და პარამეტრები 34

II თავი 38

2.1. ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი 38

2.2.1 გიგა ბოკერიას ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი 39

2.2.2. გიგა ბოკერიას ინტერვიუს ტექსტი 49

2.3.1. სალომე სამადაშვილის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი 57

2.3.2. სალომე სამადაშვილის ინტერვიუს ტექსტი 67

2.4.1. გიორგი გახარიას ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი 73

2.4.2. გიორგი გახარიას ინტერვიუს ტექსტი 83

2.5.1. თინა ხიდაშელის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი 112

2.5.2. თინა ხიდაშელის ინტერვიუს ტექსტი 123

2.6.1. მამუკა მდინარაძის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლი-
ტოლოგიური ანალიზი 135
2.6.2. მამუკა მდინარაძის ინტერვიუს ტექსტი 143
2.7.1. ეკა ხერხეულიძის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტო-
ლოგიური ანალიზი 157
2.7.2. ეკა ხერხეულიძის ინტერვიუს ტექსტი 164

III თავი 171
3.1. ტექსტების სტატისტიკური ანალიზი 171
3.1.1. მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური
ანალიზი 171
3.1.2. მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური
ანალიზი (შედარებითი პროცენტულობა) 176
3.2.1. ქალ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური
ანალიზი 180
3.2.2. ქალ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური
ანალიზი (შედარებითი პროცენტულობა) 185
3.3. საერთო შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი 188
3.3.1. პრაგმატიკული ანალიზი 190
3.3.2. შედარებითი სტატისტიკა და პროცენტულობა 195
3.3.3. პროცენტული შედარება-შეპირისპირება 196
დასკვნა 199
გამოყენებული ლიტერატურა 207

შესავალი

პოლიტიკური მეტყველება, უპირველეს ყოვლისა, პოლიტოლოგიისა და მისი მომიჯნავე დარგების: სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის კვლევის საგანია, თუმცა პარალელურად ლინგვისტიკის კვლევის ობიექტსაც წარმოადგენს, რამდენადაც პოლიტიკოსთა ენობრივი ქცევა მათი მეტყველების ლინგვისტური ანალიზით შეისწავლება.

გასული საუკუნის დასაწყისში ვ. ლიპმანის, გ. ლასველის და ჰ. ლაზარსფელდის ნაშრომებმა[1] საფუძველი მოუმზადეს ახალი ინტერდისციპლინური მიმართულების – **პოლიტიკური ლინგვისტიკის** გამოჩენას, რომელმაც მოგვიანებით ჩამოყალიბებული სახე მიიღო არმინ ბურკჰარდტის მიერ 1996 წელს გამოქვეყნებულ საპროგრამო ნაშრომში „Politolinguistik. Versuch einer Ortsbestimmung“. პოლიტიკური ლინგვისტიკა იკვლევს პოლიტიკური კომუნიკაციის მექანიზმებს, სტრატეგიებსა და ტექნიკას ენობრივ დონეზე და მათ გავლენას საზოგადოებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ლინგვისტიკის ცალკეული საკითხი ქართულ სამეცნიერო სივრცეში დამუშავებულია სამეცნიერო სტატიებისა და დისერტაციების დონეზე, დღემდე არ არის კომპლექსურად შესწავლილი **ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების თავისებურებები**. ასევე მწირია ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც სისტემურად იქნება აღწერილი პოლიტიკური ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, არსი, ამოცანები, კვლევის ობიექტი და მეთოდები. ამ ვაკუუმს

[1] იხ. W. Lippmann (Public Opinion, Zinc Read, 1922), G. Lasswell (The Structure and Function of Communication in Society, 1948; The Analysis of Political Behaviour – An Empirical Approach,1948), P. Lazarsfeld (The People's Choice, 1944).

ნაწილობრივ ავსებს „დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია – საქართველოს“ მიერ გამოცემული პერიოდიკის – „ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი“ – IV ტომი, რომელშიც პოლიტიკური ლინგვისტიკის საბაზისო თეორიული საკითხები არის მოცემული. აღნიშნულ გამოცემებში ასევე შეტანილია ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლების გატექსტებული ზეპირმეტყველება. ტექსტებს ახლავს სამეცნიერო კვლევითი ნაშრომები, რომლებშიც გაანალიზებულია პოლიტიკოსთა მეტყველების ენობრივი თავისებურებები, მანიპულაციის საშუალებები, არგუმენტაციული სტრუქტურები. ნაშრომები ემყარება ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტურ ანალიზს და შესაბამისად, ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების კორპუსული დამუშავების პირველ ნიმუშებს წარმოადგენს.

წინამდებარე მონოგრაფია შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში. პროექტის სრული სახელწოდებაა „ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი გენდერულ ჭრილში“ (პროექტის შიფრი: YS-22-348).

პროექტი მიზნად ისახავდა ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების გენდერულ კვლევას ახალი მეთოდის – ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი პოლიტიკურ ლინგვისტიკაში ახლადდანერგილი მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიკვლიოთ პოლიტიკური გამოსვლების ენობრივი რეალიზაციის ფორმები და ხერხები, აღვწეროთ მანიპულაციის ენობრივი საშუალებები, არგუმენტაციული სტრუქტურები, სენტიმენტანალიზი და მეტაფორულობის ხარისხი, ანუ კომპლექსურად ვიკვლიოთ, ერთი მხრივ, ის ენობრივი საშუალებები, რომლებსაც პოლიტიკოსები თავიანთ პოლიტიკურ გამოსვლებში იყენებენ და,

მეორე მხრივ, დავადგინოთ კანონზომიერი ურთიერთმიმართება პოლიტიკურ მეტყველებასა და პოლიტიკურ პროცესებს შორის. აღნიშნული მეთოდის გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, გლობალიზაციის პირობებში, ვინაიდან მედიამონიტორინგი, როგორც წესი, ფოკუსირებულია პოლიტიკური გამოსვლების შინაარსობრივ მხარეზე და არ ითვალისწინებს პოლიტიკოსთა გამოსვლების სტრატეგიულ ანალიზს.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო პოლიტიკოსთა ენობრივი ქცევების ხელმისაწვდომობასა და დაკვირვების შესაძლებლობას, პოლიტიკური კომუნიკაციის სხვადასხვა კუთხით შესწავლას, გამოსვლის ტექსტების ინტერდისციპლინურ ანალიზს. მეცნიერთა ინტერესის ფოკუსში მოექცა პოლიტიკური მეტყველების გენდერული ასპექტი – პოლიტიკურ სპექტრში ქალი პოლიტიკოსების აქტიურობის დინამიკის კვლევა და მათი ენობრივი თავისებურებების გამოვლენა მამაკაცი პოლიტიკოსების მეტყველებასთან მიმართებით.

სამეცნიერო პროექტის მიზანი იყო ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური კვლევა გენდერულ ჭრილში, რაც გულისხმობდა ბოლო 20 წლის განმავლობაში, 2003-2022 წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საპარლამენტო გამოსვლების ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა ზეპირმეტყველების მოძიება-შეგროვებას, გატექსტებასა და ენობრივი თავისებურებების შესწავლას კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ჩვენი მიზანი იყო გამოსვლის ტექსტების ინტერდისციპლინური კვლევა, რაც საშუალებას მოგვცემდა, გაგვეანალიზებინა პოლიტიკური მეტყველების კულტურა საქართველოში ლინგვოპოლიტოლოგიური და ფსიქოსოციალური კუთხით. კვლევა ხელს უწყობს რეკომენდაციების შემუშავებას პოლიტიკური გამოსვლების ენობრივი პროფილის დახვეწის თვალსაზრისით. პოლიტმეტყველების

გენდერული ანალიზი ხელს უწყობს ქალი პოლიტიკოსების მოღვაწეობის აქტიურობის დინამიკისა და ეფექტურობის ხარისხის შეფასებას პოლიტიკურ ასპარეზზე.

პროექტის ფუნდამენტური ამოცანები იყო:

ა) **რესურსების მოძიება, შეგროვება და სელექცია**

პირველ ეტაპზე განხორციელდა ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების ნარატივის მოძიება ბოლო 20 წლის პერიოდში, განსაკუთრებით პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, გატექსტდა შერჩეული ვიდეომასალები.

ბ) **რესურსების ტექნიკური დამუშავება**

მოპოვებული მასალები დამუშავდა ელანის (ELAN) პროგრამაში, რაც გულისხმობს ვიდეო, აუდიო და ტექსტობრივი მასალების ერთ ფორმატში გაერთიანებას, რამაც საშუალება მოგვცა, აღნიშნული რესურსები სამი კომპონენტის გათვალისწინებით დაგვემუშავებინა: ვიდეორესურსები, აუდიორესურსები და ტექსტური რესურსები. ამასთან, ტექსტები დამუშავდა კორპუსლინგვისტური მეთოდების გამოყენებით, თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, შეიქმნა მეტამონაცემების ბაზა, კერძოდ, თითოეული ტექსტისთვის მომზადდა შემდეგი ინფორმაციის მომცველი კომპლექსური მონაცემების ბაზა: ავტორი, თემა, პარტიული კუთვნილობა, სქესი, გამოსვლის ადგილი, დრო და ა.შ.

გ) **პოლიტიკური ზეპირმეტყველების გენდერულად დაბალანსებული ბაზის შექმნა**

გატექსტებული და სტრუქტურულად დამუშავებული ტექსტები გაერთიანდა პოლიტიკურ კორპუსში, რომელსაც დაერთვის მეტამონაცემების კომპლექსი. კორპუსი უზრუნველყოფს ძიებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (პოლიტიკოსი, თემა, თარიღი და ა.შ.).

დ) **სამეცნიერო პრობლემის თეორიული კვლევა**

კვლევისას გამოიკვეთა ის ენობრივი მახასიათებლები, რომლებიც გვხვდება პოლიტიკოსთა მეტყველებაში, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვექმნა პოლიტიკოსთა ენობრივი პროფილი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა თეორიული ნაშრომები (სტატია[2] და წინამდებარე მონოგრაფია).

რესურსების სისტემური დამუშავების მიზნით კვლევაში გამოყენებულია როგორც კვლევის ფუნდამენტური, ისე თანამედროვე თეორიული და ტექნოლოგიური მეთოდები: ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი და კორპუსლინგვისტური (კორპუსზე დამყარებული და კორპუსით განპირობებული) ანალიზი. ტექსტების დამუშავებისას, უპირველეს ყოვლისა, გამოვიყენეთ კრიტიკული ანალიზის მეთოდი, დისკურსის ანალიზი, ასევე შედარება-შეპირისპირებისა და სელექციის მეთოდები. შესაბამისად,

ა) ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა იყო სისტემური;

ბ) მონაცემთა დამუშავება განხორციელდა ავტომატურ რეჟიმში, რაც გამორიცხავს შეცდომებსა და მიკერძოებულობას;

გ) შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა ენობრივი ქცევის საშუალებები და მათი გამოყენების სტრატეგიები. კვლევის ავტომატიზება გამორიცხავს სუბიექტურობას შეფასების პროცესში, ხოლო კვლევის შედეგად დამუშავებული მასალები და ფორმულირებული დასკვნები მნიშვნელოვნად ზრდის ნაშრომის ემპირიულობის ხარისხს.

საგულისხმოა, რომ პროექტის ფარგლებში შექმნილი კვლევის ემპირიულ მონაცემთა ბაზა ღია რესურსს წარმოადგენს და ხელმისაწვდომი იქნება საკითხით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ამგვარი რესურსების შექმნა საშუალებას მისცემს მეცნიერებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით იკ-

[2] Tatia Tsetskhladze, 2024.

ვლიონ უახლესი ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი.

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის ფარგლებში შევისწავლეთ 2003-2022 წლების ადგილობრივი თვითმართველობებისა და საპარლამენტო გამოსვლების ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველება. ემპირიულ მასალად აღებული იყო პოლიტიკოსთა გამოსვლების ტექსტები, რომელთა შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინეთ პოლიტიკური ორიენტაციისა და გენდერული ბალანსირების პრინციპი, რომელიც გულისხმობს:

ა) როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების ტექსტების მოპოვება-დამუშავებას,

ბ) ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების გამოსვლათა თანაბარ რაოდენობას მოცულობის თვალსაზრისით და

გ) შინაარსობრივი დაბალანსების პრინციპის გამოყენებით თემატურად მსგავსი რესურსების შეგროვებას.

პროექტის ფარგლებში შევარჩიეთ 30-მდე პოლიტიკოსი და გავატექსტეთ ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა გამოსვლის ტექსტები. ემპირიული მასალის საერთო მოცულობა აღემატება 147 550 ტოკენს.

ჩვენ მიერ შექმნილ კორპუსს აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. კორპუსი რელევანტურია მომიჯნავე დარგებისათვის, როგორებიცაა: პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, კონფლიქტოლოგია, სოციოლინგვისტიკა; და, რაც მთავარია, პროექტის ფარგლებში მოპოვებული თეორიული ცოდნა და ემპირიული ბაზა ხელს შეუწყობს ქართული ენის ტექნოლოგიების განვითარება-დახვეწას. ამ ტიპის კვლევები და რესურსები მყარ საფუძველს მოუმზადებს ბუნებრივი ენის დამუშავების პროცესს (NLP) ქართული ენის მიმართ, კერძოდ, გააადვილებს პოლიტიკური ტექსტების ავტომატური ანალიზის პროგრამის შექმნას პოლიტიკური ტექსტების შინაარსის

სენტიმენტისა და სტრუქტურის (მანიპულაციის ენობრივი საშუალებებისა და არგუმენტაციული სტრუქტურების პოვნიერება-კვალიფიკაცია) თვალსაზრისით.

თემის აქტუალურობა. The Economist Intelligence Unit-ის მიერ 2021 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად,[3] საქართველოს დემოკრატიის ინდექსი მეოთხე წელია უარესდება და 2021 წელს 10 ქულიდან 5.12-მდე დაეცა. ხუთივე ძირითად კომპონენტში საქართველოს დაბალი მაჩვენებლები აქვს: მთავრობის ფუნქციონირების კომპონენტში – 3.57 ქულა; პოლიტიკურ კულტურაში – 3.75; სამოქალაქო თავისუფლებებში – 5.29; პოლიტიკურ მონაწილეობაში – 5.56 და საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმში – 7.42.

2023 წლის მონაცემების მიხედვით, რომელიც Economist Intelligence Unit-მა გამოაქვეყნა, საქართველო „ჰიბრიდული რეჟიმების“ მქონე ქვეყანას მიეკუთვნება. საქართველოს დემოკრატიის ინდექსი კი 10 ქულიდან 5.20 ქულით შეფასდა (იგივე მაჩვენებელი იყო 2022 წელს).

საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება პირველ კატეგორიაში საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმში მიიღო – 7 ქულა; ხოლო ყველაზე დაბალი ქულით შეფასდა საქართველოს მთავრობის ფუნქციონირება – 3.57 ქულა; ასევე დაბალი მაჩვენებელი აქვს პოლიტიკურ კულტურაში – 3.75 ქულა; გასულ წლებთან შედარებით სამოქალაქო თავისუფლებასა – 5.59 ქულა და პოლიტიკურ მონაწილეობაში – 6.11 ქულა შედარებით მაღალი შეფასება მიიღო.

ექსპერტთა აზრით, საქართველოს დემოკრატიის ინდექსის ვარდნა გამოწვეულია პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მშფოთვარე მოვლენებით, რომლებმაც მკვეთრად შეაფერხა დემოკრატიის განვითარება საქართველოში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით

[3] https://www.eiu.com/n/ campaigns/democracy-index-2021/ ბოლო წვდომა 6.03.2025.

გამოირჩეოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგებიც ოპოზიციის დიდმა ნაწილმა არალეგიტიმურად გამოაცხადა და უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე. მხოლოდ ევროსაბჭოს ჩარევისა და მისი პრეზიდენტის – შარლ მიშელის მიერ შეთავაზებული შეთანხმების დოკუმენტის ხელმოწერის შედეგად გახდა შესაძლებელი პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს განმუხტვა და საქართველოს პარლამენტის მუშაობის აღდგენა.

2024 წლის არჩევნების როგორც წინასაარჩევნო პერიოდის პოლიტიკური გამოსვლების, ისე არჩევნების შემდგომდროინდელი პოლიტიკური ზეპირმეტყველების ნიმუშებიც ცხადად მეტყველებენ თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის კვლევის აუცილებლობას. მიმდინარე პროცესებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლიტიკური კომუნიკაციის სწორი წარმართვის მნიშვნელობა და აუცილებლობა პოლიტიკური პროცესების რეგულირებაში.

ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ თანამედროვე პოლიტიკური ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირებას. პოლიტიკური კომუნიკაციის მთავარი ამოცანაა ძალაუფლებისთვის ბრძოლა ვერბალური საშუალებების გამოყენებით. შესაბამისად, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი გადაჯაჭვულია ქართული პოლიტიკური მეტყველების ანალიზთან და საჭიროებს ინტერდისციპლინურ გამოკვლევას **პოლიტიკური პროცესებისა** და **პოლიტიკური კომუნიკაციის კულტურის** ურთიერთმიმართების დასადგენად. ეს საკითხი მომიჯნავე დარგების – პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიის უშუალო ამოცანას წარმოადგენს და ვიმედოვნებთ, რომ როგორც წინამდებარე თეორიული კვლევა, ისე ჩვენ მიერ შექმნილი მცირე პოლიტიკური კორპუსი ხელს შეუწყობს ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების კომპლექსურ ანალიზს.

I თავი

1.1. კომუნიკაციის სტრატეგიები

პოლიტიკური ზეპირმეტყველება, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს და საჭიროებს კომუნიკაციის სტრატეგიების სწორ გამოყენებას. კომუნიკაციების სტრატეგიების კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, ერთი მხრივ, ენის ფაქტორი (რომელი ენის პოლიტიკურ მეტყველებას ვიკვლევთ), მეორე მხრივ, კი სოციოკულტურული ფაქტორი, კერძოდ ინტერპერსონალური კომუნიკაციის სოციოკულტურული ასპექტი. ეს ორი ფაქტორი ცალ-ცალკე არ განიხილება – ჩვენ შეგვიძლია ერთდროულად დავაკვირდეთ, თუ როგორ არის კოდირებული ინტერპერსონალური ურთიერთობების პოლიტიკა ენობრივ ნიშანში. ვინაიდან სხვადასხვა ენას აქვს განსხვავებული ლექსიკა და გრამატიკული სტრუქტურები, სხვადასხვა ენის პოლიტიკურ მეტყველებაში ჩნდება სხვადასხვა ენობრივი რეალიზაცია, თუ როგორ ცდილობენ პოლიტიკოსები ერთი და იმავეს გამოხატვას სხვადასხვა ენაზე, რა სტრატეგიებს, ენობრივი მანიპულაციის რა ხერხებს იყენებენ ისინი მიზნის მისაღწევად.

აქ გასათვალისწინებელია ინტერპერსონალური ურთიერთობების ისეთი რეესტრი, როგორიცაა მიმართვის ფორმულები, თავაზიანობის ფორმები, მეხსიერების ფიგურებისა და კულტურული ხატების გამოყენება, სენსიტიური თემებითა და მოვლენებით ოპერირება და სხვ. **სიტყვათა არჩევანი** (ვორდინგი) და **კომუნიკაციის სტრატეგია** სიახლოვის ან დისტანციურობის საჩვენებლად, გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია საზოგადოების სოციოკულტურული ფენომენების გათვალისწინება. მაგალითად, ევროპული საკომუნიკა-

ციო კულტურისათვის დამახასიათებელია მიმართვის ფორმულებში გვარის გამოყენება (პატივისცემის გამოხატვის მიზნით), რაც სრულიად დაუშვებელია ქართული საკომუნიკაციო კულტურისათვის. ქართული საკომუნიკაციო კულტურა მოითხოვს სახელით მიმართვის ფორმულის გამოყენებას. მიმართვის ფორმულებში გვარის გამოყენება ქართულ საკომუნიკაციო სივრცეში პირიქით, ჰონორატიულობას (პატივისცემის გადმომცემს) აქცევს საპირისპირო ფუნქციის მატარებლად – პეიორატივად.

პოლიტიკური ლინგვისტიკის (ანუ პოლიტიკაში ენობრივი ქცევის) შესწავლა განსაკუთრებით სასარგებლოა საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, მაგალითად, დიპლომატიური მოლაპარაკებების გაანალიზებისას. საერთაშორისო მოლაპარაკებების ანალიზი კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან მასზე ზემოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი, ხშირად გვხვდება ენობრივი და კულტურული ბარიერები. იქიდან გამომდინარე, რომ მთარგმნელებს ძირითადი აქცენტი შინაარსობრივ ადეკვატურობაზე გადააქვთ, რათა ნიუანსები და დეტალები არ დაიკარგოს თარგმანის პროცესში, ხშირად სირთულეებს აწყდებიან პოლიტიკური კომუნიკაციის სოციოკულტურული ადეკვატურობის თვალსაზრისით. ამის დასტურად შეიძლება გამოდგეს 2021 წლის მარტს ჩინეთში მომხდარი ერთი მოვლენა. თარჯიმანმა ჟანგ ჯინმა შეძლო 10-წუთიანი გამოსვლის თარგმნა პირდაპირი (გლუვი) და ზუსტი ფორმით. მისი თარგმანი შეფასდა, როგორც "მშვიდი და ცხადი, რომლის დროსაც მან შეძლო ეთარგმნა და გადმოეცა პოლიტიკოსის გზავნილი ზუსტად, რაც სრულად აჩვენებდა ქვეყნის დიპლომატიური გუნდის ელეგანტურობას“ (Tilly, 2004:262). გარკვეული გაგებით, ჟანგის შესაძლებლობებმა არა მხოლოდ გამოავლინა ჩინეთის დიპლომატიური გუნდის კომპეტენციის ხარისხი, არამედ გააუმჯობესა საზო-

გადოების მხრიდან მთავრობის პოზიციის სწორი აღქმაც. აღნიშ-ნული ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელო-ვანია პოლიტიკური ლინგვისტიკა პოლიტიკოსთა ენობრივი ქცევი-სა და პოლიტიკურ პროცესებზე მისი გავლენის კვლევის თვალ-საზრისით.

1.2. პოლიტიკური მეტყველება და პოლიტიკური დისკურსი

პოლიტიკური ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი დის-ციპლინის შექმნის პირველივე დღიდან დგას საკითხი: რა უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ დისკურსად: მხოლოდ პოლიტიკური ტექ-სტები (ნორმატიული დოკუმენტები, ოფიციალური გამოსვლები, პო-ლიტიკოსთა მეტყველება) თუ პოლიტიკურ მეტყველებად უნდა ჩა-ითვალოს ყველა ის ტექსტი, რომლებიც პოლიტიკის საკითხებს განიხილავს (ანუ არაპოლიტიკოსთა მეტყველებაც პოლიტიკურ თე-მებზე). განსაკუთრებული კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა **პოლიტიკური მოსაზრებების მოპოვების ხერხები**, როგორებიცაა, მაგალითად, ინ-ტერვიუს აღების დროს კითხვის დასმის წესები, საზოგადოების ზეპირი გამოკითხვის ფორმები, წინასწარ შემუშავებული კითხვა-რები. უნდა ჩაითვალოს თუ არა პოლიტიკურ საკითხებზე ჩატარე-ბული ამგვარი ინტერვიუები და გამოკითხვები (ანუ სატელევიზიო თოქშოუები, რადიოგადაცემები, სპონტანური გამოკითხვები პოლი-ტიკურ თემებზე, კითხვარები საზოგადოების აზრის გამოსაკვლე-ვად) პოლიტიკური დისკურსის ნიმუშად? პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია **კითხვის ჩარჩოს** დადგენა.

კითხვის ჩარჩოს პოლიტიკურ ლინგვისტიკაში განიხილავენ როგორც საგანგებო კითხვებს, რომლებიც მიზანმიმართულად და-ესმით რესპონდენტებს კონკრეტული პასუხის მისაღებად, ანუ კი-

თხვის ფორმულირება უნდა იძლეოდეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას. ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა პოლიტიკური კომუნიკაციის დიალოგურ რეჟიმში წარმართვის დროს, ვინაიდან იგი საშუალებას აძლევს ოპონენტებს, უპასუხონ კითხვებს კონკრეტული პასუხებით. ამის ნათელი მაგალითია მიჩიგანის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ შედგენილი რასობრივი დამოკიდებულების კითხვის ჩარჩო. პროექტზე მომუშავე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კითხვების ფორმულირება დიდ გავლენას ახდენდა იმაზე, თუ რამდენად მტკივნეული იყო რასობრივი კუთვნილება რესპონდენტებისათვის.

რასობრივი დისკრიმინაცია ყოველთვის იყო პოლიტიკური დისკუსიის საგანი. პოლიტიკურ პარტიებსა და კონკრეტულ პოლიტიკოსებს შესწევთ უნარი, პოლიტიკური ლინგვისტიკის ცოდნის შემთხვევაში შესაბამისი ენობრივი სტრატეგიები გამოიყენონ რასობრივი დაძაბულობის შესამცირებლად ან გასაღვივებლად. მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ წარმოებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კითხვაზე პასუხები სულ სხვა შინაარსს შეიძენდა, კითხვარებში ფოკუსი რომ გაკეთებულიყო ინდივიდუალურ მიდწევებზე და არა ზოგად, ყოველდღიურ რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემებზე. ზოგადად უნდა ითქვას, რომ კითხვების ფორმულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად, განსაკუთრებით დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის შემთხვევაში. ხშირად კითხვები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ გარკვეულწილად მოიცავენ სავარაუდო „სასურველ“ პასუხებს, ან ასოციაციურად წარმართავენ რესპონდენტის რეაგირებას კითხვაში დასმულ მოვლენაზე, რაც მანიპულაციის გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს პოლიტიკურ მეტყველებაში, ამიტომ მოცემულ კონტექსტში მნიშვნელოვანია არა მარტო პოლიტიკური დისკურსის

კვლევა მონოლოგური ტიპის ტექსტებში, არამედ კვლევის მეთოდოლოგიის და განსაკუთრებით, „გამოკითხვის მეთოდების“ შესწავლაც.

გამოკითხვის მეთოდოლოგია გამოყენებითი სტატისტიკის სფეროს მიეკუთვნება, რომელიც ფოკუსირებულია კვლევის მიზნით ადამიანთა გამოკითხვებზე, ამასთან, იგი შეისწავლის მოსახლეობის სიმრავლიდან ცალკეული ერთეულების შერჩევის პრინციპებსა და კანონზომიერებებს და კვლევის მონაცემთა შეგროვების კონკრეტულ გზებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რა ტექნიკას იყენებენ მკვლევრები გამოკითხის დროს. უპირველეს ყოვლისა,

- რა პრინციპზე არის აგებული კითხვარი;
- რამდენია გამოკითხვებზე სავარაუდო პასუხების რაოდენობა;
- რამდენად ზუსტი, და შესაბამისად, სანდოა პასუხები და
- როგორ შეიძლება კითხვარების ოპტიმიზება დასკვნების ვალიდურობის შემოწმების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია მიზნად ისახავს ისეთი ინსტრუმენტების შექმნას და გამოკითხვის პროცედურების დახვეწას, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევის პროცესის ეფიციენტურობას, რაც გულისხმობს კითხვის იმგვარად ფორმულირებას, რომ არ გამოიწვიოს რესპონდენტის დაბნევა და უზრუნველყოს რამდენიმე პასუხი. გამოკითხვის ფორმულირების შემდგომი გამოკვლევა გვეხმარება კითხვარების ოპტიმალიზაციასა და გამოკითხვის მეთოდების დახვეწაში.

როგორც ცნობილია, მკვლევრები გამოკითხვის სტატისტიკურ ანალიზს იყენებენ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის პოზიციონირების სტატისტიკური დასკვნების გაკეთების მიზნით; ამ გზით მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული გამოკითხვის კითხვებზე. საზოგადოებრივი აზრის შესახებ გამოკითხვები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევები,

ბაზრის კვლევები, სამთავრობო გამოკითხვები და აღწერები, ეს არის რაოდენობრივი კვლევის მაგალითი, რომელიც იყენებს კვლევის მეთოდოლოგიას მოსახლეობის შესახებ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მიუხედავად იმისა, რომ აღწერები არ შეიცავს „ნიმუშს“, ისინი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიის სხვა ასპექტებს, როგორებიცაა: კითხვარები, ინტერვიუერები და შემდგომი დაკვირვების ტექნიკა. გამოკითხვები გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ყველა სახის საჯარო ინფორმაციისა და კვლევის სფეროს, მათ შორის სოციალური, ჯანმრთელობის და თუნდაც, პოლიტიკური პროცესების ან არჩევნების შესახებ (მაგ., საზოგადოების დამოკიდებულება ე.წ. რუსული კანონის შესახებ).

1.3. პროპაგანდა

პოლიტიკური მეტყველება აქტიურად იყენებს მანიპულაციის ენობრივ საშუალებებს. პროპაგანდის გამოყენება პოლიტიკური მანიპულირების თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, დემოკრატიულ ქვეყნებშიც, დასტურდება. იგი გვხვდება პოლიტიკურ არჩევნებში, მედიაში, დებატებსა და პროპაგანდისტულ პლაკატებში.

პროპაგანდის ტერმინები შეგნებულად არის შექმნილი, რათა ხელი შეუშალოს საზოგადოების აზროვნებას და მოვლენების რაციონალურად აღქმას. მაგალითად, 1940-იან წლებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მანამდე არსებული ტერმინის „კაპიტალიზმის“ ნაცვლად შემოღებულიყო ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „თავისუფალი საწარმო“ და „თავისუფალი სამყარო“. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანი იყო საზოგადოების იმაში დარწმუნება, რომ კონტროლის, ბატონობისა და აგრესიის სისტემები, რომლებსაც ძალაუფლების

მქონე პირები და სისტემები ერთგულად ახორციელებდნენ, სინამდვილეში იყო ერთგვარი თავისუფლება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის მიდგომა, რომელიც ჰიტლერს ჰქონდა, რომ ყველა პროპაგანდა უნდა ყოფილიყო პოპულარული, მაგრამ მისი ინტელექტუალური შინაარსი მინიმუმამდე უნდა ყოფილიყო დაყვანილი. ჰიტლერის აზრით, პროპაგანდამ უნდა მართოს საზოგადოების ემოციები, მისი ეფექტურობა კი დაფუძნებული იქნება მასების ემოციების ექსპლუატაციაზე (Adams, 2024).

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ნაცისტები ხშირად იყენებდნენ პლაკატებს პროპაგანდის გასავრცელებლად. ამ პლაკატებს ჩვეულებრივ ჰქონდათ მოკლე წარწერები, რომლებიც ებრაელებს ადანაშაულებდნენ გერმანელების წინაშე არსებულ პრობლემებში, თუმცა არ იძლეოდნენ ამ მოსაზრების ლოგიკურ ახსნას. ებრაელების ფაქტორს ისინი იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის დროს ნეგატიური ემოციების გასაღვივებლად. გერმანელები თავიანთი ეკონომიკური პრობლემების არსებობაში ბრალს სდებდნენ ებრაელებს.

1.4. პოლიტიკური სტრატეგიების მაგალითები

ა) სინგაპურის მაგალითი

მსოფლიოს უახლესი ისტორია არაერთ სტრატეგიას იცნობს, რომელიც პოლიტიკური პროცესების მართვის შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ. ასეთი იყო, მაგალითად, **2020 წლის სინგაპურის საყოველთაო არჩევნები.**

2020 წელს სინგაპურში საყოველთაო არჩევნების წინ პრემიერ-მინისტრმა **ლი სენ ლუნგმა** მმართველი პარტიიდან მოუწოდა ამომრჩევლებს, ხმა კვლავაც მმართველი პარტიისათვის მიეცათ და

„გააფრთხილა“ სინგაპურელები, რომ ოპოზიციური პარტიებისთვის ხმის მიცემა საშიშროებას შეიცავდა. ამ მოსაზრებას პრემიერ-მინისტრი იმით ხსნიდა, რომ მთავრობის ხშირი ცვლილება არ იწვევს სოციალურ ცვლილებებს, რომლებსაც ხალხი აძლევს ხმას. პირიქით, შეიძლება გამოიწვიოს მეტი არასტაბილურობა. თავისი აზრის დასტურად მან მოუწოდა ამომრჩევლებს, რომ ყურადღებით გადახედონ სხვა ქვეყნების შემთხვევებს, სადაც პოლიტიკური კონსენსუსი დაეცა ხელისუფლების ხშირი შეცვლის შემდეგ. შესაბამისად, PAP-ისთვის (People's Action Party) ხმის მიცემა ყველაზე გონივრული არჩევანი უნდა ყოფილიყო სინგაპურის მოსახლეობისათვის.

ბ) ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი

2020 წლის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის წინასაარჩევნო მესიჯი დონალდ ტრამპის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში იყო მასებისადმი ტრამპის დამოკიდებულების ხაზგასმა. დონალდ ტრამპის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრა 2020 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს სადაც ნათქვამია, რომ ტრამპის 2016 წლის კამპანიის დროს და მთელი მისი პრეზიდენტობის განმავლობაში, იგი ძალადობით ემუქრებოდა ოპონენტებს, მოუწოდებდა მათ ძალადობის ქმედებების ჩადენისკენ და მის მიმდევრებს ჰპირდებოდა ძალადობის ტოლერანტობას.

წინასაარჩევნო კამპანიაში ბაიდენის საარჩევნო ჯგუფმა გამოიყენა ბაიდენის წესიერება და ტრამპისგან განსხვავებით, ამერიკელ მოქალაქეებს მოუწოდა, ებრძოლათ ერის სულისთვის (Paul, 2014).

ბაიდენმა დაარწმუნა მასები, გაეკეთებინათ სწორი არჩევანი ტრამპის წინააღმდეგ, რომ თუ ტრამპს თეთრ სახლში რვა წელიწადით მმართველობის საშუალებას მისცემენ, მის მიერ შემოტანილი ძალადობა სამუდამოდ დამკვიდრდება და ძირეულად შეცვლის ამ ერის ხასიათს.

აქედან გამომდინარე, წინასაარჩევნო პოლიტიკური გამოსვლების ანალიზის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ საკითხს და გამოვავლინოთ ის პოლიტიკური სტრატეგიები, რომლებსაც იყენებენ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციური პარტიები არჩევნების წინ.

1.5. სოციალური მოძრაობები

პოლიტიკური მეტყველება და განსაკუთრებით მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ეფექტური გამოყენება ფართოდ რეალიზდება **სოციალური მოძრაობების** მიერ. ეს ის ადგილია, სადაც პოლიტიკური ლინგვისტიკა ვლინდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომიტინგეები პოლიტიკური ცვლილებებისკენ მოუწოდებენ საზოგადოებას. ამასთან, ზოგიერთი მოძრაობა მიზნის მისაღწევად იყენებს ლაკონურ ფრაზებს, რათა იოლი გზით მიაღწიოს მასებზე გავლენას და გაავრცელოს პოლიტიკური მოძრაობის ძირითადი მესიჯები. ზოგიერთი პოლიტიკური მოძრაობა კი უპირატესობას ანიჭებს მოსახლეობასთან ხანგრძლივ ურთიერთობას როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებში, თუმცა სოციალური მოძრაობის წარმომადგენლები, როგორც წესი, ორივე საშუალებას იყენებენ მიზნის მისაღწევად.

მკვლევართა მოსაზრებები სოციალური მოძრაობების გაჩენის შესახებ არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თანამედროვე დასავლური სოციალური მოძრაობები შესაძლებელი გახდა განათლებისა (ლიტერატურის ფართო გავრცელების) და შრომის მობილობის გაზრდის გზით მე-19 საუკუნის საზოგადოებების ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის გავლენით. ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ გამოხატვის თავისუფლება, განათლება და

შედარებითი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომელიც გავრცელებულია თანამედროვე დასავლურ კულტურაში, პასუხისმგებელია სხვადასხვა თანამედროვე სოციალური მოძრაობის უპრეცედენტო რაოდენობასა და მასშტაბებზე. ბოლო ასი წლის განმავლობაში ბევრი სოციალური მოძრაობა შეიქმნა მსოფლიოში, რომელიც დაუპირისპირდა დასავლურ კოლონიალიზმს, როგორიცაა მაგალითად, ანტიკოლონიური მოძრაობა კენიაში მაუ მაუ (Elkins, 2005). სოციალური მოძრაობები იყვნენ და არიან მჭიდროდ დაკავშირებული დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებთან. ზოგჯერ სოციალური მოძრაობები მონაწილეობენ ერების დემოკრატიზაციაში, მაგრამ უფრო ხშირად სოციალური მოძრაობების „აყვავება“ დემოკრატიზაციის შემდგომ პერიოდს ეფუძნება.

სოციოლოგი ჩარლზ ტილი მიიჩნევს, რომ სოციალური მოძრაობები – ეს არის სადავო სპექტაკლების, ჩვენებებისა და კამპანიების სერია, რომლითაც ჩვეულებრივი ადამიანები აცხადებენ კოლექტიურ პრეტენზიებს (Tilly, 2004:3). ტილისთვის სოციალური მოძრაობები არის უმთავრესი მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვეულებრივ ადამიანებს, მონაწილეობა მიიღონ საჯარო პოლიტიკაში. ის გამოყოფს სოციალური მოძრაობის სამ ძირითად ელემენტს:

კამპანიები: მდგრადი, ორგანიზებული საზოგადოებრივი ძალისხმევა სამიზნე ხელისუფლებისადმი კოლექტიური პრეტენზიების გამოხატვის მიზნით;

რეპერტუარი (დაპირისპირების რეპერტუარი): პოლიტიკური მოქმედების შემდეგი ფორმებიდან კომბინაციების გამოყენება: სპეციალური დანიშნულების ასოციაციებისა და კოალიციების შექმნა, საჯარო შეხვედრები, საზეიმო მსვლელობა, მობილობა, მიტინგები, დემონსტრაციები, პეტიციების გამართვა, განცხადებები საჯარო მედიასა და მასმედიაში, პამფლეტირება;

WUNC-ის **(worthiness, unity, numbers, and commitments) ჩვენება:** მონაწილეთა შეთანხმებული საჯარო წარმოდგენა ღირსების, ერთობის, რაოდენობისა და ვალდებულებების შესახებ საკუთარი და/ან მათი თემის ან ოლქის მხრიდან.

პოლ ვან სიტერსის და პოლ ჯეიმსის აზრით, სოციალური მოძრაობის განსაზღვრა გულისხმობს „ერთად შეკრების“ რამდენიმე მინიმალურ პირობას:

(1.) რაიმე სახის კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბება;

(2.) საერთო ნორმატიული ორიენტაციის განვითარება;

(3.) სტატუს კვოს ცვლილების შეშფოთების გაზიარება და

(4.) პრაქტიკული მოქმედების მომენტების დადგომის გამოყენება, რაც ცვლილებაზე ზრუნვით არის გამოწვეული.

„ამგვარად, ჩვენ განვსაზღვრავთ სოციალურ მოძრაობას, როგორც პოლიტიკური ასოციაციის ფორმას იმ პირებს შორის, რომლებსაც აქვთ, სულ მცირე, მინიმალურად განცდა, რომ ისინი სხვებთან საერთო მიზნებით არიან დაკავშირებულნი და რომლებიც იკრიბებიან დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რათა განხორციელდეს მათი წარმოდგენით ან შეხედულებით აუცილებელი სოციალური ცვლილებები“ (Paul, Seeters, 2014).

1.6. საზოგადოებრივი მოძრაობის ტიპები

პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი თანმდევი ატრიბუტი სოციალური მოძრაობებია. სოციოლოგები განასხვავებენ სოციალური მოძრაობის რამდენიმე ტიპს:

1. **ფარგლები:**

რეფორმის მოძრაობა (reform movement) არის მოძრაობა, რომელიც მხარს უჭერს ზოგიერთი ნორმის ან კანონის შეცვლას. ასეთი

მოძრაობის შემთხვევად უნდა განვიხილოთ პროფკავშირი, რომელიც მიზნად ისახავს მუშათა უფლებების დაცვასა და გაზრდას, ან მწვანეთა მოძრაობა, რომელიც მხარს უჭერს ეკოლოგიურ კანონებს, ან მოძრაობას, რომელიც მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის ან აბორტის უფლების შემოღებას ან აკრძალვას. ზოგიერთი რეფორმის მოძრაობა შეიძლება მიმართული იყოს ჩვეულებებისა და მორალური ნორმების შეცვლაზე, როგორებიცაა პორნოგრაფიის დაგმობა, ლგბტ-ს აკრძალვა ან ზოგიერთი რელიგიის დაცვა-გავრცელება.

რადიკალური მოძრაობა (radical movement) არის მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს ღირებულებითი სისტემების ფუნდამენტური გზით შეცვლას. მაგალითად, სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა სრულ სამოქალაქო უფლებებს და კანონის შესაბამისად თანასწორობას ყველა ამერიკელისთვის, განურჩევლად რასისა; პოლონური სოლიდარობის (Solidarność) მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა სტალინური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დემოკრატიად გადაქცევას; ან სამხრეთ აფრიკის ე.წ. ქოხის მცხოვრებთა მოძრაობა (shack dwellers' movement), რომელიც ითხოვს ქოხის მცხოვრებთა სრულ ჩართვას ქალაქების ცხოვრებაში.

2. ცვლილების ტიპი:

ინოვაციური მოძრაობა (innovation movement) არის მოძრაობა, რომელსაც სურს, შემოიტანოს ან შეცვალოს კონკრეტული ნორმები, ღირებულებები და ა.შ. სინგულარიზმი, რომელიც მხარს უჭერს მიზანმიმართულ, შეგნებულ ქმედებებს ტექნოლოგიური სინგულარობის უზრუნველსაყოფად, არის ინოვაციური მოძრაობის მაგალითი.

კონსერვატიული მოძრაობა (conservative movement) – მოძრაობები, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ არსებული ნორმები, ღირებულებები და ა.შ. მაგალითად, მე-19 საუკუნის ანტიტექნოლოგიური განწყობის მქონე ლუდიტების მოძრაობა ინგლისში ან თანამედროვე მოძრაობა, რომელიც ეწინააღმდეგება გენმოდიფიცირებული საკვების გავრცელებას, შეიძლება ჩაითვალოს კონსერვატიულ მოძრაობებად, რადგან ისინი მიზნად ისახავენ ბრძოლას კონკრეტული ტექნოლოგიური ცვლილებების წინააღმდეგ.

3. მიზნები:

ჯგუფებზე ფოკუსირებული მოძრაობები (group-focus movements) – ორიენტირებულია ჯგუფებზე ან ზოგადად საზოგადოებაზე ზემოქმედების გასავრცელებლად, მაგალითად, პოლიტიკური სისტემის ცვლილების ადვოკატირებაზე. ზოგიერთი ჯგუფი გარდაიქმნება ან უერთდება პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ ბევრი რჩება რეფორმისტული პარტიის პოლიტიკური სისტემის მიდმა.

ინდივიდზე ორიენტირებული მოძრაობები (individual-focused movements) – ორიენტირებულია ინდივიდებზე ზემოქმედების განხორციელებაზე. რელიგიური მოძრაობების უმეტესობა ამ კატეგორიაში მოხვდება.

4. მუშაობის მეთოდები:

მშვიდობიანი მოძრაობები – სხვადასხვა მოძრაობა, რომლებიც იყენებენ არაძალადობრივ საპროტესტო საშუალებებს. ასეთ მოძრაობად მიიჩნევა ინდოეთში საზოგადოებრივი დაუმორჩილებლობის ფრთა, რომელსაც ხშირად უწოდებენ სამოქალაქო წინააღმდეგობას. ამერიკული სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, პოლონური სოლიდარობის მოძრაობა ან ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობის არაძალადობრივი, სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე ორიენტირებული ფრთა ამ კატეგორიაში მოხვდება.

ძალადობრივი მოძრაობები (violent movements) – სხვადასხვა მოძრაობა, რომლებიც მიმართავენ ძალადობას. ისინი, როგორც წესი, შეიარაღებულნი არიან და უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მიიღონ გასამხედროებული ან ტერორისტული ორგანიზაციის ფორმა. მაგალითად, ასეთ მოძრაობებს წარმოადგენდნენ მილიტარული მემარცხენეების მიერ დაარსებული წითელი არმიის ფრაქცია RAF (Rote Armee Fraktion) დასავლეთ გერმანიაში, პან-ისლამური მილიტარული ორგანიზაცია ალ-ქაიდა და სხვ.[4]

5. ძველი და ახალი:

ძველი მოძრაობები – ცვლილებებზე ორიენტირებული მოძრაობები მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. ყველაზე ადრეული მოძრაობების უმეტესობა, რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დასტურდება, იბრძოდა კონკრეტული სოციალური ჯგუფების მხარდასაჭერად, როგორებიცაა: მუშათა კლასი, გლეხები, თეთრკანიანები, არისტოკრატები, პროტესტანტები, მამაკაცები. ისინი, როგორც წესი, ორიენტირებული იყვნენ რაღაც მატერიალისტური მიზნების გარშემო, როგორიცაა ცხოვრების დონის გაუმჯობესება ან, მაგალითად, მუშათა კლასის პოლიტიკური ავტონომია.

ახალი მოძრაობები – მოძრაობები, რომლებიც დომინანტური გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ ტიპის მოძრაობის

---

[4] ძალადობრივი სოციალური მოძრაობების შესახებ იხ. Roberts, -Adam and Timothy Garton Ash (eds.), *Civil Resistance and Power Politics: The Experience of Non-violent Action from Gandhi to the Present* Archived 2014-11-15 at Archive-It, Oxford: Oxford University Press, 2009. ISBN 978-0-19-955201-6, Seferiades, S., & Johnston, H. (Eds.). (2012). *Violent protest, contentious politics, and the neoliberal state*. Ashgate Publishing, Ltd; Snow, David A.; Soule, Sarah A.; Kriesi, Hanspeter *(2004-02-13). The Blackwell Companion to Social Movements. Wiley. ISBN 978-0-631-22669-7.*

თვალსაჩინო მაგალითებად უნდა ჩაითვალოს ამერიკის სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, მეორე ტალღის ფემინიზმი, ჰომოსექსუალების უფლებების დაცვის მოძრაობა, გარემოს დაცვისა და საზოგადოების თვალყურის დევნების (მასობრივი მეთვალყურეობის) წინააღმდეგობა და ა.შ.

6. დიაპაზონი:

გლობალური მოძრაობები – სოციალური მოძრაობები გლობალური (ტრანსნაციონალური) ამოცანებითა და მიზნებით. ისეთი მოძრაობები, როგორიცაა პირველი (სადაც მარქსი და ბაკუნინი შეხვდნენ), მეორე, მესამე და მეოთხე ინტერნაციონალები, მსოფლიო სოციალური ფორუმი, სახალხო გლობალური მოქმედება და ანარქისტული მოძრაობა ცდილობს, შეცვალოს საზოგადოება გლობალურ დონეზე.

ლოკალური მოძრაობები – სოციალური მოძრაობების უმეტესობას აქვს ლოკალური არეალი.[5] ისინი ორიენტირებული არიან ადგილობრივ ან რეგიონულ მიზნებზე, როგორებიცაა კონკრეტული ბუნებრივი ტერიტორიის დაცვა, ლობირება გარკვეულ ავტომაგისტრალზე გადასახადის შემცირებისთვის, ან შენობის შენარჩუნება, რომელიც უნდა დანგრეულიყო გენტრიფიკაციისთვის და გადაქცევა სოციალურ ცენტრად.

დღეისათვის სოციალური მოძრაობის ჯგუფები ინტერნეტს აქტიურად იყენებენ ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად. სოციალური მოძრაობის ჯგუფები ამტკიცებენ, რომ იგი ხელს უწყობს სოციალურ მოძრაობასთან დაკავშირებული კომუნიკაციის სიჩქა-

---

5 იხ. Roberts, Adam and Timothy Garton Ash (Eds.), 2014; Seferiades, S., & Johnston, H. (Eds.), 2012; Snow, David A.; Soule, Sarah A.; Kriesi, Hanspeter.

რის, წვდომის და ეფექტურობის გაზრდას, ისევე როგორც მობილიზაციის მცდელობებს, და შედეგად, ვარაუდობენ, რომ ინტერნეტს აქვს დადებითი გავლენა სოციალურ მოძრაობებზე. ცნობილია Twitter-ის როლი სოციალური მოძრაობების ფართო სპექტრის დროს (2007 WikiLeaks, 2009 მოლდოვა, 2009 ავსტრია სტუდენტური პროტესტი, 2009 ისრაელ-ღაზა, 2009 ირანის მწვანე რევოლუცია, 2009 თორონტო, 2011 ეგვიპტე, 2011 ინგლისი, 2011 აშშ-ს ოკუპაციის მოძრაობა, 2011 ესპანეთი Indignados, 2011 საბერძნეთი Aganaktismenoi მოძრაობები, 2011 იტალია, 2011 ვისკონსინის შრომითი პროტესტი, 2012 ისრაელი ჰამასი, 2012 ბრაზილია და ა.შ.)

ამჟამად ბევრს მსჯელობენ სოციალური თემების შესახებ, კერძოდ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სოციალურ მედიებს სოციალური მოძრაობის ფორმირებასა და მობილიზაციაზე (შჰირკყ, 2008). მაგალითად, Coffee Party-ის გაჩენა პირველად სოციალურ ქსელში Facebook-ზე გამოჩნდა. 2009-2010 წლებში ირანის საარჩევნო პროტესტებმა ასევე აჩვენა, თუ როგორ აჩქარებს და აადვილებს სოციალური ქსელები დიდი რაოდენობით ხალხის მობილიზებას. ირანელებმა შეძლეს ორგანიზება გაეწიათ მაჰმუდ აჰმადინეჟადის არჩევასა და გამოეთქვათ წინააღმდეგობა ისეთ საიტებზე, როგორიცაა Twitter და Facebook (Castells, Manuel, 2012). ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ხელისუფლების ფართო ცენზურა ვებსა და სოციალურ ქსელებზე.

სოციალური მოძრაობების სოციოლოგიური შესწავლა საკმაოდ ახალია. მოძრაობების ტრადიციული შეხედულება ხშირად აღიქვამდა მათ, როგორც ქაოსურა და დეზორგანიზებულს, ხოლო აქტივიზმს განიხილავდა, როგორც სოციალური წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეს. 1960-იან და 1970-იან წლებში მოქმედი აქტივიზმი შეიცვალა ახალი მსოფლიო აზრით ამ თემასთან მიმარ-

თებით. ამჟამად მიმდინარეობს მოდელირება სოციალურ მოძრაობებში ჩადებული ორგანიზაციული და სტრუქტურული ძალების შესაცნობად, შესასწავლად და მათი მიზნების გასაგებად.

1.7. ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების გენდერული ასპექტები

დღეს, საზოგადოებაში ქალის როლის საყოველთაო ზრდისა და ქალის უფლებების მზარდი ტემპის ფონზე, წარმოუდგენელია პოლიტიკური მეტყველების შესწავლა გენდერული კვლევის გარეშე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი ნაშრომის ფოკუსში საგანგებოდ მოგვექცია ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების საკითხი გენდერულ ჭრილში.

მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტურ მოძრაობას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, გენდერის კვლევა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, შედარებით ახალია. გენდერული კვლევები საწყისს იღებს იმ პერიოდიდან, როდესაც მიმოქცევაში შემოვიდა ინგლისური ტერმინი **გენდერული როლი** (*gender role),* რომელიც 1955 წელს გამოიყენა პირველად ახალზელანდიელმა მეცნიერმა, კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტმა ჯონ უილიამ მანიმ (John William Money) თავის ერთ-ერთ სტატიაში ჰერმაფროდიტიზმის შესახებ (Money, Hampson, 1995: 301–319).

გენდერული როლი, ვიწრო გაგებით, არის ქცევების ჯამი, რომელიც ითვლება ტიპურად და მისაღებია აღნიშნული სქესისათვის მოცემულ იმ კონკრეტულ კულტურაში, რომელსაც მიეკუთვნება ინდივიდი. უფრო ფართო გაგებით, გენდერული როლი მოიცავს პიროვნების ინდივიდუალურ ქცევებს, რომელთა მეშვეობითაც იგი გამოხატავს თავის გენდერულ იდენტობას ან სურს გამოხატოს ის. დღეს სოციოლოგიურად და ფსიქოლოგიურად გენდერული და სქე-

სობრივი იდენტობა აღარ არის გაიგივებული. დღეს უკვე ერთმანეთისაგან განასხვავებენ კულტურულად და სოციალურად განსაზღვრულ გენდერულ როლებს ბიოლოგიური გენდერისაგან: ქალი – მამაკაცი – ინტერსექსუალი.

ტერმინი **გენდერული როლი** მოგვიანებით, 70-იან წლებში დამკვიდრდა ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენ-ლის, ამერიკელი ფემინისტის, გეილ რუბინის (Gayle S. Rubin) აქტივობის შედეგად, რომელსაც დაეფუძნა ამერიკელი ფილოსოფოსის – იუდიტ ბატლერის (Judith Butler) მიერ შემუშავებული კრიტიკული სოციოლოგიური თეორია (*queer theory*).[6]

სამეცნიერო სივრცეში **გენდერის ცნება** იტალიური წარმოშობის ლიტერატურათმცოდნემ ტერეზა დე ლაურეტისმა (Teresa de Lauretis) შემოიტანა. ის სპეციალობით ლიტერატურის თეორეტიკოსია, რომელიც აქტიურად მუშაობდა კინომცოდნეობის, სემიოტიკისა და ფემინისტური თეორიის სფეროში, უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქვერ-თეორიის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. ფემინისტი მეცნიერი კომპლექსურად იკვლევდა ფემინიზმის არსს და ამასთან ინტერდისციპლინურად უდგებოდა საკვლევ საკითხს. სემიოლოგიასა და ფსიქოანალიზზე დაყრდნობით ტერეზა დე ლაურეტისი კინომცოდნეობაში იკვლევდა პერსპექტივიზაციის პრობლემას, ანუ იკვლევდა საკითხს, თუ როგორ აყალიბებს **მამაკაცური ხედვა** კინოში ქალის, როგორც **სუბიექტის** სახეს და ამის საპირისპიროდ შექმნა ახალი კონცეფცია – **მამაკაცისადმი, როგორც სუბიექტისკენ მიმართული ფემინისტური „კონტრმზერა“** (Brooks, 2002: 95-96).

---

[6] აღნიშნული თეორია წარმოადგენს კულტურულ თეორიას, რომელიც შეიქმნა აშშ-ში 1990-იანი წლების დასაწყისში, და რომელიც კრიტიკულად იკვლევს კავშირს ბიოლოგიურ სქესს, სოციალურ გენდერსა და სექსუალურ ლტოლვას შორის.

1987 წელს გამოცემულ რევოლუციურ ნაშრომში „გენდერის ტექნოლოგიები“ (Lauretis, 1987), იგი განავითარებს მიშელ ფუკოს სექსუალურობის თეორიას და ამტკიცებს, რომ გენდერი არის სოციალური კონსტრუქცია, „დისკურსული და ვიზუალური რეპრეზენტაციების კომპოზიტური ეფექტი“ (Ярская-Смирнова, 2001:113).

გენდერულ ჭრილში ქალთა მეტყველების შესახებ მსჯელობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი ასპექტი: როგორ მეტყველებენ ქალები (ანუ როგორია „ქალური“ მეტყველება) და როგორ მეტყველებენ მათ შესახებ მამაკაცები (ანუ როგორ მოიხსენებიან ისინი ენობრივად მამაკაცთან საკომუნიკაციო აქტში). ამ ასპექტზე საგანგებოდ მსჯელობს ჯორჯ ლაკოფი, რომელიც მიუთითებდა, რომ ქალები ორმაგად განიცდიან ენობრივ დისკრიმინაციას: ერთი მხრივ, ეს აისახება იმაში, თუ როგორ ასწავლიან მათ ენის გამოყენებას, მეორე მხრივ კი იმ ფაქტში, თუ როგორ მოიხსენებიან ისინი ენობრივად (Lakoff, 1975:4). სწორედ ენის გენდერულ ჭრილში განხილვისას წარმოიშვა და ვარირებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სამი განსხვავებული მოდელი: **დეფიციტის მოდელი** (რომლის მიხედვითად, ქალები შეზღუდულ, არახელსაყრელ პოზიციაში მდგომ მოლაპარაკეებად არიან მიჩნეული), **დომინანტობის მოდელი** (რომლის მიხედვითაც ქალები მამაკაცებთან კომუნიკაციაში უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებიან) და **კულტურული სხვაობის მოდელი** (რომლის მიხედვითაც, ქალები და მამაკაცები ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებად არიან მიჩნეული (კიკვიძე, 2010:19-20).

1.8. გენდერული კვლევები

გენდერული კვლევები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ინტერდისციპლინური დარგია და იკვლევს პიროვნების იდენტობისა

და თვითრეპრეზენტაციულობის საკითხს გენდერულ ჭრილში. დისციპლინები, რომლებიც ხშირად გამოიყენება და რომელსაც ყველაზე მეტად ეყრდნობიან გენდერულ კვლევებში, არის ლიტერატურა, ლინგვისტიკა, ისტორია, პოლიტოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, კინო, ადამიანის ევოლუცია, სამართალი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და მედიცინა. ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, შევეცდებით წარმოვადგინოთ ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველება გენდერულ ჭრილში და გამოვკვეთოთ ის არსებითი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველებას.

განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ რეპერტუარებს შორის არაერთხელ არის გამოვლენილი ზეპირი თუ წერითი სამეტყველო სტილების დონეზეც. ვრცელი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე იონას ეინარსონმა დაადგინა, რომ მამაკაცთა სამეტყველო სტილი უფრო მეტად ხასიათდება არსებითი და ზედსართავი სახელების ხშირი გამოყენებით, ვიდრე ქალის მეტყველება. ქალთა სამეტყველო სტილი უფრო მარტივია და საყრდენად უმეტესწილად ნაცვალსახელი და ზმნური კონსტრუქციაა გამოყენებული.[7] იმის გათვალისწინებით, რომ შვედური ზმნა მორფოლოგიურად უაღრესად მწირია და შესაბამისად, ფორმალურად მარტივი, მეცნიერი ზმნებით გაჯერებულ სტილს მარტივად მიიჩნევდა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გვაინტერესებს არა ზოგადთეორიული მოსაზრებები მეტყველების გენდერული სპეციფიკაციის თვალსაზრისით, არამედ ჩვენი კვლევა ემპირიული ხასიათისაა და კორპუსლინგვისტურ ანალიზს ემყარება. ჩვენ გვაინტერესებს არა

---

[7] Einarsson, J. Männ, *kvinnor och språk.* Nordiska studier i filologi och lingvistik. Festskrit tillägnad Gösta Holm. Lund: Studentliteratur AB: 60-75. გვ. 61. წყარო: იხ. ზაალ კიკვიძე, კადმოსი, 3, 2011, გვ. 297.

მამაკაცისა და ქალის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ზოგადი განმასხვავებელი ნიშნები, როგორებიცაა ორი სქესის ვოკალური დიფერენციაცია (სახმო სიმების დაჭიმულობა და სიხშირე), ან მეტყველების სისწრაფე (ცნობილია, რომ ქალები უფრო სწრაფად მეტყველებენ, ვიდრე მამაკაცები), არამედ ის გრამატიკული ღირებულების სხვაობა, რომელიც ჭარბობს მათ მეტყველებაში და ქმნის ენობრივ პროფილს. ამასთან, ეს გულისხმობს არა მათი მეტყველების გრამატიკულ ანალიზს, არამედ სამეტყველო ქცევას.

საკითხის კვლევა უაღრესად აქტუალურია არა მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკურ ზეპირმეტყველებაში ქალების პოლიტიკური აქტივობის ენობრივი ანალიზის თვალსაზრისით, ანუ სოციოლინგვისტურად, არამედ ეთნოლინგვისტური თვალსაზრისითაც, რამდენადაც ემპირიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს სისტემურ დონეზე გამოვავლინოთ ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ მეტყველებას გენდერულ ჭრილში.

აქვე, საგანგებოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ არსებით ასპექტზე. როგორც ზ. კიკვიძე თავის ნაშრომში „რამდენიმე შენიშვნა გენდერულ განსხვავებათა შესახებ ენასა და კომუნიკაციაში“ აღნიშნავს, „გენდერი სოციალურ-კულტურული ფენომენია (მისი კატეგორიებია არა **ქალი** და **მამაკაცი** ან მდედრობითი და მამრობითი, არამედ **ქალურობა** და **მამაკაცურობა**) და ენაში მასთან დაკავშირებული მოვლენების ძიება არსებითად არა რომელიმე სქესთან, არამედ მოცემულ საზოგადოებაში მოცემულ პერიოდში არსებული ქალურობისა (ფემინურობის) და მამაკაცურობის (მასკულინურობის) ფასეულობებისაკენ უნდა იყოს მიმართული“.

1.9. ანალიზის მეთოდები და პარამეტრები

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქართული პოლიტიკური მეტყველება გენდერულ ჭრილში, რომელიც განვახორციელეთ ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური ანალიზის საფუძველზე. აქ გამოყენებული იყო ისეთი კორპუსლინგვისტური კვლევის მეთოდები, როგორებიცაა:

1. **კორპუსზე ორიენტირებული კვლევა** – სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდი, რომელიც გულისხმობს ემპირიული ენათმეცნიერების მეთოდების გამოყენებით რელევანტური ფორმებისა და გრამატიკული მოვლენების კორპუსის ბაზაზე ვერიფიცირებას;

2. **კორპუსზე დამყარებული ლინგვისტური კვლევა** *vs.* **კორპუსით განპირობებული ლინგვისტური კვლევა.** კორპუსზე დამყარებული ლინგვისტური კვლევა გულისხმობს მეთოდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ლინგვისტური ჰიპოთეზის ვალიდურობის შემოწმება კორპუსის ბაზაზე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება ამ შემთხვევაში არ უკავშირდება კორპუსულ კვლევას. კორპუსის ბაზაზე მისი სისწორე და დეტალურობის ხარისხი ანუ ვალიდურობა დგინდება. ამის საპირისპიროდ კორპუსით განპირობებული ლინგვისტური კვლევა გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც ლინგვისტური ჰიპოთეზის ჩამოყალიბება იმთავითვე უკავშირდება კორპუსს, ანუ მეცნიერული პრობლემის დასმის წყაროს წარმოადგენს კორპუსში მონაცემების ანალიზი. ზოგიერთი ავტორი (მაგ., Tognini-Bonelli 2001: 84–5) ამ მეთოდზე დაყრდნობით თვლის, რომ ენობრივი კორპუსი თავად „ქმნის“ ენის თეორიას (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014:35-36).

3. **კლასტერული ანალიზის მეთოდი** – სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც დიდ მონაცემთა ბაზებში ახარისხებს მსგავს ობიექტთა ჯგუფებს – ე. წ. კლასტერებს. ამგვარად შერჩეული კლასტერები ერთიანდებიან იერარქიულ (დაქვემდებარებულ)

ან აგლომერაციულ (თანაბარდონიან) სისტემაში. კლასტერული ანალიზის მიზანია ახალი ჯგუფების გამოვლენა და არა ჯგუფების კლასიფიკაცია (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014:30).

4. **კვანტიტატიური სიგნიფიკანტურობა** – სტატისტიკური მეთოდია. იგი გულისხმობს კვანტიტატიურ შედეგს, რომლის ცდომილება, როგორც წესი, 5%-ზე დაბალია. მის გასაზომად გამოიყენება ტესტების სხვადასხვა ფორმა (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014:53). კვლევის სტრატეგია ემყარებოდა კომპლექსური ბალანსირების პრინციპს. ეს გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსთა გენდერული შერჩევის პრინციპს (გენდერულ ბალანსს) და პოლიტიკოსთა პარტიული კუთვნილების ბალანსს. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა თემის ერთგვაროვნებას (საერთო თემატიკას) და ემპირიული მასალის მოცულობას. ვინაიდან ჩვენი კვლევისათვის ამოსავალი იყო მასალის სტატისტიკური ანალიზი, ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, ვინაიდან:

1. სტატისტიკური ანალიზის შედეგები ვალიდურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო ტექსტები დაახლოებით თანაბარია. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი შეფარდების აბსოლუტური კოეფიციენტის დადგენა.

2. თუ საანალიზო მასალა მოცულობით განსხვავდება, ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ **შედარებითი პროცენტულობის** (Kamarauli, 2022: 51) პრინციპი: თითოეული ტექსტი უნდა გაანალიზდეს შერჩეული პარამეტრის მთლიან ტექსტთან პროცენტული შეფარებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მიდგომა კონტენტანალიზის, მეტაფორულობის ხარისხის, სიძულვილის ენის გამოყენების კვლევის დროს. საკვლევი სიტყვაფორმის მთლიან ტექსტთან მიმართებით შედარებითი პროცენტულობის დადგენა ვალიდურობას ანიჭებს კვლევის სტატისტიკურ შედეგს და შესაძლებელს ხდის, განვახორციელოთ სხვადასხვა პოლიტიკოსის მეტყველების

შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს კვლევის პროცესში წარმოადგენს ტექსტის წინასწარი მომზადება, კერძოდ მისი **ინდექსაცია** და **კლასტერიზაცია** ფუნქციურ და ლექსიკურ ერთეულებად, ვინაიდან ზოგიერთი პარამეტრის დადგენის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად, კონტენტანალიზი, მნიშვნელოვანია სიტყვაფორმათა სიხშირის გამოთვლა არა მთლიან ტექსტთან, არამედ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლესთან მიმართებით.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის კლასიკური მეთოდები: ფენომენოლოგიური, ლინგვისტური ანალიზის მეთოდები, თვისებრივი კონტენტანალიზი, შედარება-შეპირისპირების, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომში ასევე გამოვიყენეთ ლინგვოპოლიტოლოგიური კვლევის მეთოდი, რომელიც ჩვენს წინა კვლევებში უკვე გვქონდა აპრობირებული (Kamarauli, Tsetskhladze, 2024: 164-179).

შერჩეულ პოლიტიკოსთა გამოსვლების კვლევა განხორციელდა დონეებად, რამდენიმე პარამეტრის მიხედვით, კერძოდ:

- **1-ელი დონის ანალიზი:** ტექსტის სტატისტიკური ანალიზი – ტოკენების რაოდენობა, ტიპების რაოდენობა, თთღ;
- **მე-2 დონის ანალიზი:** კონტენტანალიზი, რაც გულისხმობს ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულების სიხშირის გამოთვლას. ასეთებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, ზმნიზედა;
- **მე-3 დონის ანალიზი:** მეტაფორულობის ხარისხის განსაზღვრა;
- **მე-4 დონის ანალიზი:** ეგოცენტრულობის ხარისხის განსაზღვრა, რაც გულისხმობს პირველი პირის ნაცვალსახელების გამოყენების სიხშირის დადგენას;
- **მე-5 დონის ანალიზი:** ტექსტის სინტაქსური დონის სტატისტიკური დამუშავება:

ა) ლექსიკური სიმჭიდროვის გამოთვლა;

ბ) წაკითხვადობის ინდექსის გამოთვლა;

გ) წინადადებაში სიტყვების საშუალო რაოდენობა.

- **მე-6 დონის ანალიზი:** არგუმენტაციული სტრუქტურების გამოყენების სიხშირის დადგენა;
- **მე-7 დონის ანალიზი:** პოლიტიკური გამოსვლის ფოკუსისა და ვექტორის დადგენა;
- **მე-8 დონის ანალიზი:** გაგებინებადობის ხარისხის გამოთვლა წინადადების სტრუქტურის ანალიზის მიხედვით;
- **მე-9 დონის ანალიზი:** ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი.

ყველა აქ ჩამოთვლილი პარამეტრის ჯამი იძლევა პოლიტიკოსთა ენობრივი პროფილის დადგენის საშუალებას. ბალანსირების პრინციპის დაცვა კი უზრუნველყოფს პოლიტიკური მეტყველების გენდერული პერსპექტივიდან კვლევის შესაძლებლობას.

II თავი

2.1. ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

ნაშრომის ამ ნაწილში წარმოვადგენთ ექვსი ქართველი პოლიტიკოსის გამოსვლების ლინგვოპოლიტოლოგიურ ანალიზს. ემპირიული მასალის შერჩევისას, როგორც ნაშრომის შესავალში გვქონდა აღნიშნული, გავითვალისწინეთ პოლიტიკური ორიენტაციისა და გენდერული ბალანსირების პრინციპი, რაც გულისხმობს შემდეგს: ა) ბალანსირების პრინციპიდან გამომდინარე, შევარჩიეთ როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების პოლიტიკური გამოსვლები, ბ) ასევე გავითვალისწინეთ გენდერული ბალანსის საკითხი და ექვსი პოლიტიკოსიდან საანალიზოდ ავიღეთ სამი ქალი და სამი მამაკაცი პოლიტიკოსის გამოსვლები, გ) გარდა ამისა, შინაარსობრივი დაბალანსების პრინციპის გათვალისწინებით, შევარჩიეთ თემატურად მსგავსი გამოსვლები, კერძოდ, ისინი, რომლებიც უკრაინის ომის თემას ეხებოდა.

რაც შეეხება ტექსტების მოცულობას, სამწუხაროდ, ამ კომპონენტის მიხედვით ბალანსირების პრინციპის დაცვა ვერ შევძელით ობიექტური მიზეზების გამო, ამიტომ ემპირიული მასალის სტატისტიკური დამუშავებისას გამოვიყენეთ არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი პროცენტულობის პრინციპი.

ქვემოთ წარმოვადგენთ შერჩეული პოლიტიკოსების: გიგა ბოკერიას, სალომე სამადაშვილის, გიორგი გახარიას, თინა ხიდაშელის, მამუკა მდინარაძისა და ეკა ხერხეულიძის გამოსვლებს.

2.2.1. გიგა ბოკერიას ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

გიგა ბოკერიას ზეპირმეტყველების საანალიზოდ შევარჩიეთ პოლიტიკოსის გამოსვლა ტელეკომპანია TV პირველის გადაცემაში „რეაქცია“. გადაცემის თემა იყო უკრაინის ომი, გადაცემა მიჰყავდა ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას.

გიგა ბოკერიამ ინტერვიუ მისალმებითა და მადლობის გადახდით დაიწყო: „საღამო მშვიდობისა, მადლობა მოწვევისთვის“. პოლიტიკოსის გამოსვლის ძირითად თემას წარმოადგენდა უკრაინის ომი, ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასება და ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველო არსებულ ვითარებაში.

პოლიტიკოსის ინტერვიუში ტექსტი მოიცავს 56 წინადადებას, ტოკენების რაოდენობა არის 1226, ტიპების რაოდენობა – 652, TTR – 0,53.

როგორც ცნობილია, ტოკენისა და ტიპის ურთიერთმიმართება (Token-Type-Ratio) არის თანაფარდობა სიტყვების რაოდენობასა და ტიპების რაოდენობას შორის. ტოკენისა და ტიპების თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს მოსაუბრის მიერ მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენებაზე, ხოლო დაბალი – პირიქით, მოსაუბრის მწირ ლექსიკურ მარაგსა და ერთი და იმავე სიტყვების, ან ფრაზების ხშირ გამეორებაზე.

გიგა ბოკერიას გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფუნქციური ელემენტები, რომელთა გამოყენების მაღალი სიხშირე მოსაუბრის მწირ ლექსიკაზე ან/და ჭარბ ექსპრესიულობაზე მიუთითებს. ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტის მიხედვით გთავაზობთ 5 ყველაზე ხშირად გამოყენებულ ფუნქციურ ელემენტს: ***და*** *(55),* ***რო*** *(31),* ***ეს*** *(31),* ***არ*** *(23),* ***ხო*** *(19).*

როგორც სტატისტიკის მიხედვით ჩანს, პოლიტიკოსი საკმაოდ ექსპრესიულად საუბრობს მიმდინარე მოვლენებზე და სხვა ლექსიკურ ერთეულებს შორის აქტიურად იყენებს ფუნქციურ ელემენტებს.

ნაცვალსახელები „მე“ და „ჩემი“

გიგა ბოკერიას 1226 ტოკენის მოცულობის ტექსტში საკმაოდ ხშირად, 14-ჯერ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი კონტექსტთან ერთად:

(1) *მე ამაზე პროგნოზს ვერ გავაკეთებ... ;*

(2) *მე ვიცი, როგორ იქნება პროპაგანდა... მე ვვარაუდობ, რომ შეიძლება თქვან, რო, ხო, ეხლა დეკლარაციები იქამდეც იყო და აგერ ვერ დაიცვეს უკრაინაო;*

ტექსტში 2-ჯერ გვხვდება ფრაზა **მე ვშიშობ:**

(3) *ნებისმიერ ვითარებაში, მე ვშიშობ და კარგი იქნება თუ ვცდები.*

შედარებით ნაკლები, მხოლოდ 3 შემთხვევა გვაქვს პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის „ჩემის“ გამოყენებისა და ისიც მყარ ფრაზულ გამონათქვამებში, რომელიც მთქმელის ინტენციას გადმოსცემს: *ჩემი მხრიდან, ჩემი აზრით.* ვნახოთ კონტექსტი:

(4) *სანამ არ იქნება გასრესილი ეს ბოროტება, მანამდე ზეიმი ნაადრევია-თქო, მე ჩემი მხრიდან ვიძახი;*

(5) *ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რო ამ ბოროტების იმპერიას ამოსუნთქვის შესაძლებლობა არ მიეცეს;*

ტექსტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება ნაცვალსახელი **ჩემი,** როგორც მოდიფიკატორი, ფრაზაში „ჩემი დასკვნა“:

(6) *ეს ჩემი დასკვნა არ არი;*

პოლიტიკოსის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება განპირობებულია საკუთარი შეხედულებების წინა

პლანზე წამოწევის, პირადი პოზიციების დომინირებისა და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით.

ემპირიული მასალის გაანალიზებით გამოიკვეთა ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელები: *პუტინი (8); უკრაინა (8); ბოროტება (4); საფრთხე (4); ხელისუფლება (4); გარანტია (3); რეჟიმი (3); საქართველო (3); სამყარო (3); სისხლისღვრა (3); ხალხი (3).* პოლიტიკოსის სასაუბრო თემიდან გამომდინარე, დასახელებულ არსებით სახელთა ხშირი გამოყენება ბუნებრივია.

სიხშირის მიხედვით ყველაზე მეტჯერ გვხვდება შემდეგი ზედსართავი სახელები: *თავისუფალი 9-ჯერ; სამხედრო 5-ჯერ; უკრაინელი 5-ჯერ; ნებისმიერი 4-ჯერ; პოლიტიკური 4-ჯერ.*

საუბრის ძირითადი თემები პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ კონცეპტებშიც აისახება:

ა) დადებითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *საქართველო, უკრაინა, თავისუფლება, ევროპა, ამერიკა, გმირული, მშვიდობა, დასავლეთი, მხარდამჭერი.*

ბ) უარყოფითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *სისხლისღვრა, ბოროტება, პროპაგანდა, ომი, აგრესია, მარცხი, მტერი, საფრთხე, რუსეთი, სიმძიმე, ტრაგედია, უბედურება, წინააღმდეგობა, წნეხი, ავადმყოფი, გასრესა, დაბომბვა, დამღუპველი, სახიფათო, უზნეო, თავდასხმა, იარაღი, დიქტატურა, დამანგრეველი.*

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი კონცეპტები ძირითადად რუსეთთან მიმართებით არის გამოყენებული *(გაქრობა, მოსპობა, გასრესა, გადასრულა, განადგურება დამხობა, დაბომბვა).* ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(7) *ბოლომდე უნდა გაგრძელდეს გასრესა ამ ბოროტების იმპერიის;*

(8) *პუტინის საფრთხის გაქრობა მათთვის ბუნებრივად არი კატასტროფის ტოლფასი;*

(9) *დაბომბვა უნდათ; რეჟიმის დამხობა უკრაინაში...;*

გიგა ბოკერიას გამოსვლაში გამოყენებული ზმნებიდან მაღალი სიხშირით გამოირჩევა ზმნა „ყოფნა" (აწმყოში „არი", მომავალში „იქნება"), არსებითი სახელებიდან კი მაღალი სიხშირისაა ანთროპონიმი „პუტინი", ტოპონიმი „უკრაინა", რაც საუბრის თემიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია. ამასთანავე, პოლიტიკოსის სურვილები გადმოცემულია ზმნური კონცეპტებით: *მივიღოთ (2); ვიყოთ (2), გვექნება (2), შევცვალოთ (1); გამოვხატოთ (1); წავიწიოთ (1); გავიხსენოთ (1).*

როგორც ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, გამომსვლელი იყენებს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პირადი პოზიციისა და დომინირების გამოკვეთას, მსმენელზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად.

გარდა ცალკეული ლექსიკური ერთეულისა, ტექსტში ხშირად გვხვდება სახელური და ზმნური ფრაზები: *ბოროტების იმპერია, რეჟიმის დამხობა, რეჟიმის შექმნა; მარცხი იწვნია, მარცხს შეეგუა.* როგორც ჩანს, გამომსვლელი ცდილობს, მაქსიმალურად ექსპრესიული იყოს ტექსტი, რათა მიიქციოს მსმენელის ყურადღება და მაქსიმალური შთაბეჭდილება მოახდინოს მასზე.

საჭიროებისა და აუცილებლობის გადმოსაცემად პოლიტიკოსის მეტყველებაში გვხვდება როგორც შესაბამისი სემანტიკის ზმნური ფორმები, ისე მოდალური ელემენტები. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტი მოიცავს 1226 ტოკენსა და 56 წინადადებას. საგულისხმოა, რომ ტექსტში მოდალური სიტყვა **უნდა** 20-ჯერ დასტურდება, მათ შორის „უნდა" მოდალური ელემენტი 3-ჯერ ფუნქციურ კონსტრუქციაში გვხვდება (რა თქმა უნდა), ერთხელ – ზმნის ფუნქციით (ნდომა). პოლიტიკოსი ქმედების საჭიროებას ძირითადად რუსეთისა და უკრაინის კონ-

ფლიქტის კონტექსტში იყენებს, ანუ სულ 16-ჯერ საუბრობს საჭიროებაზე/აუცილებლობაზე. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(10) *უნდა მიიღონ კიდე უფრო მეტი იარაღი, უნდა მოხდეს კიდე უფრო მეტი ძალების გადასროლა აღმოსავლეთ ევროპაში მოკავშირეებისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან და ბოლომდე უნდა გაგრძელდეს გასრესა ამ ბოროტების იმპერიის;*

(11) *უნდა გაგრძელდეს უკრაინის შეიარაღება;*

(12) *(უკრაინამ) უნდა მიიღონ კიდე უფრო მეტი იარაღი;*

(13) *უნდა მოხდეს კიდე უფრო მეტი ძალების გადასროლა (უკრაინაში);*

(14) *უნდა გაგრძელდეს გასრესა ამ ბოროტების იმპერიის;*

(15) *ეს უნდა გათვლილი იყოს იმ რეალობაზე, რომელიც იმ წამს არი;*

(16) *ეს სისხლისღვრა უნდა შეწყდეს ისე, რომ მაზეგ არ დატოვო ისევ სისხლისღვრის შანსი;*

(17) *რუსეთის ჯარი, უნდა გავიდეს იმ ტერიტორიებიდან, სადაც, ეხლა, ბოლოს შეიჭრა;*

(18) *ეს გარანტიები უნდა შეიცავდეს იმას, რაზეც ლაპარაკობს ზელენსკის ხელისუფლება;*

(19) *თუ მოგაწვებიან ბოლომდე, ხო, სახელმწიფობრიობის ნაწილზეც უნდა უარი თქვა;*

დასახელებული მაგალითებიდან 10 შემთხვევა მიემართება უკრაინის ომს და ერთი წინადადება კი – საქართველოს შიდაპოლიტიკას:

(20) *ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ხელისუფლება, ჩვენ უნდა შევცვლოთ ეს ხელისუფლება, სანამ ეს ფანჯარა არი;*

რაც შეეხება ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკულ ანალიზს, აქ გვხვდება სხვადასხვა სემანტიკის წინადადებები, როგორებიცაა: ვარაუდი, შეფასება, კრიტიკა, პროგნოზი, ახსნა-განმარტება და სხვ.

პოლიტიკოსის გამოსვლაში ვარაუდს გადმოსცემს შემდეგი წინადადება:

(21) *საკვანძო არი თავისუფალი უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები, რომელიც...უნდა გულისხმობდეს იმ ტიპის სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნას..., რომელიც პუტინისნაირ რეჟიმს და არა მარტო პუტინის რეჟიმს... ანახებს... რო ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე არის ნებისმიერი რეჟიმი რუსეთში, რომელიც ხვალ ან ზეგ დააპირებს თავს დაესხას რომელიმე ქვეყანას ან თავისუფალ სამყაროს;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში **შეფასება** სულ 13 კონტექსტში გვხვდება და ძირითადად ხელისუფლებისა და მათი მომხრეების პოლიტიკური ორიენტაციის კრიტიკას მიემართება. ვნახოთ კონტექსტები:

(22) *ეს სახიფათო ბოროტების იმპერიაა, რომელსაც ეს ადამიანი, ავადმყოფი, უძღვება;*

(23) *ხო, ჩვენი მთავარი, დღევანდელი უბედურება მდგომარეობს იმაში, რო ის ხელისუფლება, რომელიც ჩვენ გვყავს – ივანიშვილი და მისი გარემოცვა, საკუთარი ძალაუფლების წყაროდ ხედავს პუტინის საფრთხის გამოყენებას, როგორც ინსტრუმენტს, ესე ხედავენ. ამაზე აყრდნობენ თავის ძალაუფლებას;*

უნდა აღინიშნოს, რომ 56 წინადადებიდან დადებითი შეფასება პროგნოზის ფორმით მხოლოდ 2 შემთხვევაში გვხვდება და ისიც უკრაინის ომში გამარჯვებას მიემართება:

(24) *(უკრაინის გამარჯვება) ეს იქნება საოცარი, ძაან მაგარი იქნება;*

(25) *ეს ფანჯარა არ იქნება ორკვირიანი და ერთთვიანი. ცოტა უფრო გრძელი იქნება და არა უსასრულო;*

გიგა ბოკერიას გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირია უარყოფითი შეფასების გამომხატველი წინადადებები. ასეთი სულ 8

კონტექსტი გვხვდება. ვნახოთ რამდენიმე მათგანი:

(26) *მაგრამ ეს სახიფათო ბოროტების იპერიაა, რომელსაც ეს ადამიანი, ავადმყოფი, უძღვება;*

(27) *ჩვენი მთავარი, დღევანდელი უბედურება მდგომარეობს იმაში, რო ის ხელისუფლება, რომელიც ჩვენ გვყავს – ივანიშვილი და მისი გარემოცვა, საკუთარი ძალაუფლების წყაროდ ხედავს პუტინის საფრთხის გამოყენებას, როგორც ინსტრუმენტს, ესე ხედავენ. ამაზე აყრდნობენ თავის ძალაუფლებას;*

ახსნა-განმარტებას გამომსვლელი აკეთებს 10 შემთხვევაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და გამოკვეთს პოლიტიკოსის ენობრივ მახასიათებელს, გააანალიზოს, გაშალოს სასაუბრო თემა, რათა მსმენელისთვის იყოს გასაგები და საინტერესო. ვნახოთ მაგალითი:

(28) *ამით რისი თქმა მინდა: როცა ადამიანები იღუპებიან და როცა ესეთი ბრძოლა, ესეთი ტრაგედია ხდება, რთულია, რო უარი თქვას პოლიტიკურმა ხელისუფლებამ ნებისმიერ შანსზე, რო ეს სისხლისღვრა შეჩერდეს;*

ვარაუდი გამოსვლის ტექსტში გვხვდება 3-ჯერ:

(29) *მე ვვარაუდობ, რომ შეიძლება თქვან, რო, ხო, ეხლა დეკლარაციები იქამდეც იყო და აგერ ვერ დაიცვეს უკრაინაო;*

ვარაუდთან და პროგნოზთან შედარებით **ფაქტი** ბევრად ხშირად, 6-ჯერ გვხვდება გამოსვლის ტექსტში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გამომსვლელი უპირატესობას ანიჭებს ფაქტებს და არა აბსტრაქტულ მოსაზრებებს, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს პოლიტიკოს მეტყველებაში. ვნახოთ ფაქტის მაგალითი.

(30) *პუტინის საფრთხის მოსპობა რო მათი დასუსტებაა, ეს ესმით და ღიად ამბობენ ამას... ეს, ამაში მან მარცხი იწვნია, ეს ფაქტია, ანუ ეს ჩემი დასკვნა არ არი;*

პოლიტიკოსი გამოსვლაში სამჯერ იყენებს **მოწოდებას,** ხოლო ერთხელ **სურვილს.** ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ გამომსვლელი ნაკლებად არის ორიენტირებული მოვლენების სამომავლო განვითარებაზე და უპირატესობას ანიჭებს არსებული ვითარების ანალიზს.

(31) *ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ხელისუფლება, სანამ ეს ფანჯარა არი;*

(32) *ღმერთმა ქნას, რო უფრო სწრაფად მოხდეს ყველაფერი, ვიდრე მე, უცებ, ეხლა, ვხედავ.*

გიგა ბოკერიას გამოსვლის ტექსტში ასევე ერთხელ გვხვდება **მიმართვა,** ვნახოთ მაგალითი:

(33) *ვსარგებლობ თქვენი ეთერით და ჩვენ გვექნება ჯგუფთან ერთად სამოქალაქო ორგანიზაციების, თავისუფლების ინსტიტუტი, ტაბულა, ასევე, ამომრჩევლთა განათლების საზოგადოებასთან ერთად გვექნება აქცია, 3 აპრილს, რუსთაველზე, მხარდამჭერი უკრაინის და ჩვენი თავისუფლებისთვის;*

გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირად, 4 შემთხვევაში გვხვდება **რიტორიკული** შეკითხვა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ექსპრესიულობის მაღალ ხარისხს:

(34) *ისინი შეეცდებიან პროპაგანდაში გამოიყენონ ის, რო – „ნახეთ რა მიიღო უკრაინამ? ტერიტორიები დაკარგა“ – ამას იტყვიან – „დაიბომბა, ხალხი დაიღუპა და რა მიიღეს?“*

(35) *ნატოზე თავიდანვე ეუბნებოდა პუტინი, რო უარი თქვით ნატოზეო და ნეიტრალიტეტიო, დათანხმებულიყო?*

პოლიტიკოსი ინტერვიუს ასრულებს **მადლობით.** მოცემული ფრაზა სულ ორჯერ გვხვდება ტექსტში:

(36) *მადლობა მოწვევისთვის.*

(37) *მადლობა თქვენ (ჟურნალისტს).*

გამოკვლეული მასალის თანახმად, შეფასება ყველაზე მეტჯერ გვხვდება ტექსტში. 54 წინადადებიდან 13 წინადადება შეფასებითი ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შეფასება და თვითშეფასება ბევრად სჭარბობს დადებით შეფასებას. ეს შესაძლებელია, ნიშნავდეს იმას, რომ პოლიტიკოსის გამოსვლის მთავარი მიზანი არსებული პოლიტიკური სიტუაციის, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მხილება ან საკუთარი პირადი, კრიტიკული პოზიციის დაფიქსირებაა.

თვალსაჩინოებისთვის ვნახოთ ჩვენ მიერ გაანალიზებული სტატისტიკური მასალა ცხრილის სახით:

წინადადების კონტენტის სახე		**წინადადებათა რაოდენობა**
1	შეფასება	13
2	თვითშეფასება	8
3	ახსნა-განმარტება	10
4	ფაქტი	6
5	მოწოდება	3
6	ვარაუდი	3
7	პროგნოზი	2
8	რიტორიკული შეკითხვა	4
9	მადლობა	2
10	სურვილი	1
11	მიმართვა	1
სულ:		54 წინადადება (1226 სიტყვა)

ცხრილი 1: გიგა ბოკერიას ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი

ტექსტის გაანალიზების პროცესში გამოყენებული გვქონდა ტექსტის ციფრული დამუშავების ხელსაწყოები: KWIC და Voyant

tools. სტატისტიკური ანალიზი, რომელიც სიტყვათა სიხშირეს ასახავს, KWIC -ის მეშვეობით გამოვიანგარიშეთ.

ამჯერად ტექსტის (და სიტყვების სიხშირის) საანალიზოდ გამოვიყენეთ Voyant tools-ი, რომელიც ავტომატურად ამუშავებს ტექსტს, როგორც სიტყვაფორმების სიხშირის გამოსაანგარიშებლად, ისე ტექსტური მახასიათებლების სტატისტიკურად შესაფასებლადაც.



სურათი 1. გიგა ბოკერიას ტექსტის კომპლექსური ანალიზი

ტექსტის Voyant tool-ში დამუშავების შედეგად მიღებული მაჩვენებლების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს:

ლექსიკური სიმჭიდროვე: 0.533

წაკითხვის ინდექსი: 18.240

სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 20.8

2.2.2. გიგა ბოკერიას ინტერვიუს ტექსტი

ტელევიზია: TV პირველი
გადაცემა: რეაქცია
თემა: უკრაინაში ომია
წამყვანი: ჟურნალისტი ინგა გრიგოლია
სტუმარი: გიგა ბოკერია – პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერი
ვიდეოჩანაწერის ბმული:
https://www.youtube.com/watch?v=CXizxYqUiOo
თარიღი: 29.03.2022

ჟურნალისტი: გიგა, დიდი მადლობა თქვენ, რომ იღებთ გადაცემაში მონაწილეობას. მოდით შევაჯამოთ, ზუსტად ისე, როგორც თინასთან, იგივე რეჟიმში. პირველ რიგში, დღევანდელი დღე. ანუ ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ, რომ შესაძლებელია, დასასრულისკენ წავიდა ომი უკრაინაში. ფიქრობთ თუ არა, რომ ეს ასეა, იმის მიუხედავად, რომ ჯერ არ ვიცით პუტინის პასუხი უკრაინის მიერ წაყენებულ პირობებზე.
გიგა ბოკერია: საღამო მშვიდობისა, მადლობა მოწვევისთვის. მე არ მგონია სწორი ჩემი მხრიდან ან ნებისმიერი ადამიანის მხრიდან, რომელსაც რაიმე დამატებითი მონაცემი არა აქ, გარდა იმ მონაცემებისა, რაც საჯაროდ ცნობილია, რომ დასკვნა გააკეთოს იმაზე, წავიდა თუ არა იმისკენ საქმე, რო ეს ბოროტების იმპერია და პუტინი ამ მარცხს შეეგუოს, არსებითად. ჩვენ რაც ვიცით, არის ის, რომ მარცხი იწვნია იმ ამოცანის შესრულებაში, რაც ქონდა დასახული – რეჟიმის დამხობა უკრაინაში და ტოტალიტარული რეჟიმის შექმნა. ეს, ამაში მან მარცხი იწვნია, ეს ფაქტია, ანუ ეს ჩემი დასკვნა არ არი. მაგრამ ეს სახიფათო ბოროტების იპერიაა, რომელსაც ეს

ადამიანი, ავადმყოფი, უძღვება. როდის გადაწყეტს, რომ აღარ შეუძ-ლია დამატებით განხორციელება აგრესიის უკრაინლი ხალხის, უკ-რაინის წინააღმდეგ, თავისუფალი სამყაროს წინააღმდეგ, მე ამაზე პროგნოზს ვერ გავაკეთებ, იმიტო რო არ მაქვს მონაცემები ამის თაობაზე და ამიტომ ვთვლი, რო სანამ ეს არ მომხდარა, სიტყვებით კი არა, საქმით, სანამ არ უთქვია და არ დაუწყია ჯარების გაყვანა უკრაინიდან, მანამდე უნდა გაგრძელდეს უკრაინის შეიარაღება, და-ჩქარდეს უკრაინის შეიარაღება. უნდა მიიღონ კიდე უფრო მეტი იარაღი, უნდა მოხდეს კიდე უფრო მეტი ძალების გადასროლა აღმოსავლეთ ევროპაში მოკავშირეებისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან და ბოლომდე უნდა გაგრძელდეს გასრესა ამ ბორო-ტების იმპერიის. იქამდე ნაჩქარევად ზეიმი მე არ მგონია სწორი. ღმერთმა ქნას, რო უფრო სწრაფად მოხდეს ყველაფერი, ვიდრე მე, უცებ, ეხლა, ვხედავ. ეს მხოლოდ კარგი იქნება და, რა თქმა უნდა, არასოდეს არ არის გამორიცხული, როცა ასეთი დიქტატურა გაქ დამყარებული, როგორც პუტინს აქ, რომ ერთმა მოსრიალებამ ჩამო-აქციოს მთელი სისტემა და ღმერთმა ქნას, რომ ეს მოხდეს, ოღონდ პოლიტიკა და პოლიტიკური ნაბიჯები არ შეილება გათვლილი იყოს იმედებზე. ეს უნდა გათვლილი იყოს იმ რეალობაზე, რომე-ლიც იმ წამს არი.

ინგა გრიგოლია: ხო, მესმის რასაც ამბობთ. აი, პენტაგონის განცხა-დებაც, კომენტარიც რაც წავიკითხე, რომ რუსეთის დღე... ანუ გადა-ადგილება ჯარების კიევის რეგიონში არის გადაადგილება და არა ჯარების გაყვანა და თქვენ მზად უნდა იყოთ კიდევ უფრო სერიო-ზული შეტაკებებისთვისო უკრაინის სხვა, სხვა ნაწილებში. რა თქმა უნდა, მესმის თქვენ რასაც ამბობთ, უბრალოდ, დღევანდელი დღის შეჯამების კონტექსტში დაგისვით ეს კითხვა. შესაძლებელია...

გიგა ბოკერია: რა თქმა უნდა, არა, არა, თქვენი კითხვა აბსოლუტუ-რად ლოგიკურია, ანუ, ის რიტორიკის ცვლილებაც, რაც ვნახეთ, ხო,

პუტინის გუნდისგან, ხო, გარემოცვისგან, რო ჩვენ ჩვენი ამოცანები პირველი ეტაპის შევასრულეთ და, და, აი, რაღაც დატოვება შესაძ-ლებლობის, რო რაღაც ნაწილს გავაკონტროლებთ უკრაინის და ჩვენ არც გვინდოდა რეჟიმის შეცვლა... ეს, რა თქმა უნდა, არი გამო-ვლინება იმის, რაც მოხდა ფაქტიურად, ხო, რო უკრაინელი ხალხის, უკრაინელი არმიის უკრაინელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გმირული და ეფექტური ბრძოლის და თავისუფალი სამყაროსგან, დასავლეთისგან, ამერიკისგან დაგვიანებული, მაგრამ სერიოზული სამხედრო დახმარების შედეგად მან პირველ ეტაპზე მარცხი იწ-ვნია და ეხლა ამასთან ადაპტირება არი ამ რიტორიკის ცვლილება. უბრალოდ, იმის ხაზგასმა მინდოდა, რო სანამ ეს არ მოხდება, სანამ, სანამ არიქნება გასრესილი ეს ბოროტება, მანამდე ზეიმი ნაადრე-ვია-თქო, მე ჩემი მხრიდან ვიძახი.

ინგა გრიგოლია: მით უმეტეს, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა იქნება, ხო მესმის, მესმის... მით უმეტეს, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით, მაგალი-თად, პუტინის პოზიცია რა იქნება, იმიტომ, რომ რუსეთმა ხელი უნდა მოაწეროს დოკუმენტს, რომ უკრაინაზე თავდასხმის შემთხვე-ვაში მას სამხედრო ძალით დაუპირისპირდებიან. ეს იქნება ამერი-კის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი თუ სხვა მონაწილე, გარანტორი ქვეყნები, რაზეც, ხო, ჩვენ არ ვიცით ჯერ პუტინის პასუხი.

გიგა ბოკერია: ოღონდ აქ ხაზი უნდა გავუსვათ, ეს ბუდაპეშტის, იმიტო, რო მე ვიცი, როგორ იქნება პროპაგანდა, ხო, ჩვენი მხრიდან, მთავრობის შიგნიდან. მე ვვარაუდობ, რომ შეიძლება თქვან, რო, ხო, ეხლა დეკლარაციები იქამდეც იყო და აგერ ვერ დაიცვეს უკრაი-ნაო. ეს დეკლარაცია არ იქნება, ეს იქნება ვალდებულება, ანუ რო-გორიც არი მეხუთე მუხლი ნატოსი, ნატოს ქვეყნების ნაწილისგან. ერთადერთი, რასაც მე დავამატებდი, არი, რომ მეხუთე მუხლს ნე-

ბისმიერი ფორმით, მაგალითად, ისეთით, როგორიც ამერიკას აქ იაპონიასთან, თავდასხმის შემთხვევაში იაპონიაზე მხარდაჭერა. ან როგორიც აქ სამხრეთ კორეასთან, ყოველთვის ეს საჭიროებს სამხედრო ლოჯისტიკურ მზაობასაც. ამიტო უკრაინის შიგნით, ან მინიმუმ აღმოსავლეთ, ევროპაში გაძლიერება სამხედრო ყოფნისა, ასევე აუცილებელია ამ გარანტიასთან ერთად. მიხვდით, ხო, რას ვგულისხმობ? გარანტიაა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი.

ინგა გრიგოლია: კი ბატონო, დღეს სააკაშვილმა გამოაქვეყნა. სააკაშვილის სიტყვები იყო დღეს, რომ უკრაინა ფორმალურად არ გახდება ნატოს წევრი. უკრაინა არ შევა ნატოში, მაგრამ ნატო შევა უკრაინაშიო. ანუ... არ.. მე სააკაშვილზე კომენტარს არ გთხოვთ, უბრალოდ, ანუ... მოლოდინი რამდენად ჩვენ შეილება ამისი გვქონდეს. ამაზე ვმსჯელობ, თორემ, ვიდრე პუტინი, ვიდრე პუტინი არ იტყვის სიტყვას, აი, ამ დღევანდელი მოლაპარაკებებიდან გამომდინარე, საერთოდ ამ თემებზეც შეიძლება ნაადრევი იყოს რაიმე დასკვნის გაკეთება.

გიგა ბოკერია: აბსოლუტურად, აბსოლუტურად, თქვენ თვითონ რაც მოიყვანეთ, კიდე ერთხელ რო გავიხსენოთ პენტეგონის მონაცემები, ახლა, ის რო, იტყვის რა დღეს აგრესია გრძელდება ხო.. ამ, ამ რეჟიმისგან, პუტინის რეჟიმისგან და რომც შეჩერდეს ეს აგრესია, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რო ამ ბოროტების იმპერიას ამოსუნთქვის შესაძლებლობა არ მიეცეს ისე, რო კვლავ საფრთხე იყოს უკრაინელი ხალხისთვის, თავისუფალი სამყაროსთვის და ჩვენთვის, პირველ რიგში. ამით რისი თქმა მინდა – როცა ადამიანები იღუპებიან და როცა ესეთი ბრძოლა, ესეთი ტრაგედია ხდება, რთულია, რო უარი თქვას პოლიტიკურმა ხელისუფლებამ ნებისმიერ შანსზე, რო ეს სისხლისღვრა შეჩერდეს. ოღონდ მთელი საქმე და სიმძიმე პოლიტიკური პასუხისმგებლობის, მაშინ როცა ლიდერი ხარ ქვეყნის, ხო, ამ შემთხვევაში, ზელენსკი და მისი გუნდი და

რატო იმსახურებენ აღფრთოვანებას, რთული ვითარება გაქ, ხო? შენ გინდა, რომ შეწყდეს სისხლისღვრა, ოღონდ ეს სისხლისღვრა უნდა შეწყდეს ისე, რომ მაზეგ არ დატოვო ისევ სისხლისღვრის შანსი, ანუ მინიმუმ ძალიან შეამცირო. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი შეთანხმება და იქ საკვანძო საკითხი არი, რო მინიმუმ, როგორც უკრაინის ხელისუფლება სწორად სვამს საკითხს, მინიმუმ, აი, ამ 2021 წლის მდგომარეობაზე უნდა დაბრუნდეს, ხო, რუსეთის ჯარი, უნდა გავიდეს იმ ტერიტორიებიდან, სადაც, ეხლა, ბოლოს შეიჭრა და უკვე ამის მერე საკვანძო არი თავისუფალი უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის და თავისუფალი სამყაროსი და ეს გარანტიები უნდა შეიცავდეს იმას, რაზეც ლაპარაკობს ზელენსკის ხელისუფლება, ორმხრივ ვალდებულებებს შტატების და სხვა ბირთვული თავისუფალი სამყაროს ლიდერი ქვეყნების, პირველ რიგში, შეერთებული შტატების და ასევე, ჩემი აზრით, უნდა გულისხმობდეს იმ ტიპის სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნას აღმოსავლეთ ევროპაში, თუ შიგნით უკრაინაში არა, რომელიც პუტინისნაირ რეჟიმს და არა მარტო პუტინის რეჟიმს, მის მოკავშირეებს, ტოტალიტარულს, სხვაგან, უფრო აღმოსავლეთით, ანახებს, რო ეს უბრალოდ გარანტია კი არ არი, ვალდებულება იურიდიული, არამედ ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე არის ნებისმიერი რეჟიმი რუსეთში, რომელიც ხვალ ან ზეგ დააპირებს თავს დაესხას რომელიმე ქვეყანას ან თავისუფალ სამყაროს.

ინგა გრიგოლია: გიგა, ერთ კითხვაზე მაინტერესებს თქვენი პასუხი. ჩვენი, საქართველოს თემაზე, ამ შემთხვევაში. დავუშვათ, რომც, რომ შედგეს თანხმობა, შეთანხმება, გარანტორი ქვეყნების, მათ შორის, ჩართულობაზე, დაცვის და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ყველაფერზე რომ მოხდეს შეთანხმება უკრაინასთან მიმართებაში, აი საქართველოს კონტექსტში ეს როგორ ითარგმნება. თინამაც თქვა, აი,

ეხლა შეიძლებაო დაიწყონო საუბარი, დავუშვათ, თუ თქვენ თქვით, მაპატიეთ, ინტერპრეტაციებზე როცა საუბრობენ, აი, ნეიტრალიტეტი, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ვსაუბრობთ უკრაინის შემთხვევაში იმ ტიპის ნეიტრალიტეტზე, რომელიც ნატოს პრინციპით დაცულობას განსაზღვრავს უკრაინისას, მარა საქართველოსთან მიმართებაში რა ხდება?

გიგა ბოკერია: ხო, ჩვენი მთავარი, დღევანდელი უბედურება მდგომარეობს იმაში, რო ის ხელისუფლება, რომელიც ჩვენ გვყავს – ივანიშვილი და მისი გარემოცვა, საკუთარი ძალაუფლების წყაროდ ხედავს პუტინის საფრთხის გამოყენებას, როგორც ინსტრუმენტს, ესე ხედავენ. ამაზე აყრდნობენ თავის ძალაუფლებას. უფრო შორს რო არ წავიდე თეორიებში, რა კავშირები აქვთ რუსულ ელიტასთან, ვის როგორი და ასე შემდეგ, მინიმუმ, რაც ზედაპირზე დევს, ხო? მათ პროპაგანდას რო დააკვირდეთ, ეს ხო დამალული არ არი. ამაზე ყვირიან ყველგან. „ომის პარტია"- ყველა ჩვენი ოპონენტი – „ომი იქნება", „თქვენი დაბომბვა უნდათ", „ჩვენ ვაჩერებთ ამას" – ანუ პუტინის საფრთხის გაქრობა მათთვის ბუნებრივად არი კატასტროფის ტოლფასი. ასე ესმით თვითონ. მე კი არ ვაბრალებ. თვითონ ხო ამას იძახიან სუ, რო „ჩვენ გამო არ იბომბებით თქვენ" და, ნუ, მერე აყოლებენ ამას უზნეოდ დამღუპველ პოლიტიკურ იდეას, რომ უნდა დანებდე. თუ მოგაწვებიან ბოლომდე, ხო, სახელმწიფობრიობის ნაწილზეც უნდა უარი თქვა, აბა, გინდა რო დაგბომბონ? არა, ყველა ვარიანტში, პუტინის საფრთხის მოსპობა რო მათი დასუსტებაა, ეს ესმით და დიად ამბობენ ამას, ამიტო ნებისმიერ ვითარებაში, მე ვშიშობ და კარგი იქნება თუ ვცდები, ისინი შეეცდებიან პროპაგანდაში გამოიყენონ ის, რო „ნახეთ რა მიიღო უკრაინამ? ტერიტორიები დაკარგა, ამას იტყვიან, დაიბომბა, ხალხი დაიღუპა და რა მიიღეს. ნატოზე თავიდანვე ეუბნებოდა პუტინი, რო უარი თქვით ნატოზეო და ნეიტრალიტეტიო, დათანხმებულიყო"?. მე

ვციტირებ ქართული ოცნების სპიკერებს. გვარები და სახელებიც შეგვიძლია, ეხლა, აღარ ჩამოვთვლი. ისინი მნიშვნელოვანი ხალხი კი არაა. ნუ, შალვა რამიშვილს იცნობს, ხო, ხალხი, ხო? მარა პროპაგანდა საითაც მიყავთ ხო? ჩვენ პატარა დემონსტრაცია მოვაწყეთ, ევროპულმა საქართველომ, როგორ ლაპარაკობენ ისინი და ხო, მე ვშიშობ, რო ეს პროპაგანდა ექნებათ და რაც უფრო მეტი, რამე საკითხში ბუნდოვანება იქნება, მით უფრო შეეცდებიან ამის ექსპლუატაციას და ყველა ვარიანტში, რასაც არ ცდილობენ აქამდე და საერთოდ არ შვებიან, ვშიშობ რო, საერთოდ არც კი გაიხედავენ იქითკენ, არანაირი რეალური მიწოლა საქართველოს ხელისუფლებისგან თავისუფალ სამყაროზე. ლეგიტიმური მიწოლა ჩვენ მოკავშირეებზე, რო ჩვენ მივიღოთ ასეთი ორმხრივი გარანტიები, ან ნატოს წევრობისკენ წავიწიოთ წინ. ან, ან, ან სამხედრო ინფრასტრუქტურა საქართველოში. თავისუფალ საქართველოს ნაწილში რო დაცულები ვიყოთ, ან ყველაფერი, რასაც კი მოვეჭიდებით, მივიღოთ შეიარაღება, რომელიც დაგვიცავს და შეამცირებს რისკებს ომისა, არა ომისთვის. ამას რო არ იზამენ, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ. ეხა, ძალიან გამიხარდება, თუ გაგვიმართლებს, ჩამოიქცევა პუტინის რეჟიმი უკრაინელი ხალხის, არმიის და პოლიტიკური ხელისუფლების, ზელენსკის გმირული წინააღმდეგობის შედეგად და ჩვენ ესე გავძვრებით. ეს იქნება საოცარი, ძაან მაგარი იქნება, ოღონდ ამის იმედზე, როგორც მოქალაქე და როგორც პოლიტიკოსი, ვერ ვიქნები და არ უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა შევცვლოთ ეს ხელისუფლება, სანამ ეს ფანჯარა არი. ეს ფანჯარა არ იქნება ორკვირიანი და ერთთვიანი. ცოტა უფრო გრძელი იქნება და არა უსასრულო.

ინგა გრიგოლია: მადლობა, მადლობა გიგა, მოდი, იმედი გამოვთქვათ, რომ მართლა დასასრული მალე დადგება უკრაინის გამარჯვებით, რაც მთავარია, ამ ომში. გიგა ბოკერია, ევროპული საქართველოს

ლიდერი, გვყავდა ხაზზე, კი, ბატონო...

გიგია ბოკერია: მე ვთვლი, მე ვთვლი, სანამ ეს დამდგარა ბოლო წინადადებას ვიტყვი, ინგა, თუ შეილება, სანამ ეს დამდგარა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ფსიქოლოგიურ ომში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ გარეთ პუტინის პროპაგანდის და შიგნით, სამწუხაროდ, ჩვენივე ხელისუფლების დამანგრეველი, უზნეო პროპაგანდის წინააღმდეგ და, ნუ, ღიად ყავს ალტ-ინფო და ისინი, მარა თვითონაც იგივე ხაზზე არიან, ჩვენ მუდმივად საზოგადოებრივი პოზიცია და მორალური სიცხადე გამოვხატოთ, ამიტომ ვსარგებლობ თქვენი ეთერით და ჩვენ გვექნება ჯგუფთან ერთად სამოქალაქო ორგანიზაციების, თავისუფლების ინსტიტუტი, ტაბულა, ასევე, ამომრჩევლთა განათლების საზოგადოებასთან ერთად გვექნება აქცია, 3 აპრილს, რუსთაველზე. მხარდამჭერი უკრაინის და ჩვენი თავისუფლებისთვის და ყველა ჯგუფი უნდა ცდილობდეს მუდმივად ამ საკითხზე მორალურად, წნეხის ქვეშ ამყოფოს ყველა საქართველოს თავისუფლების მტერი, ჩვენი ქეყნის შიგნით თუ გარეთ. მადლობა თქვენ.

ინგა გრიგოლია: დიდი მადლობა, გიგას დავემშვიდობები. წარმატებას გისურვებთ.

2.3.1. სალომე სამადაშვილის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

სალომე სამადაშვილის პოლიტიკური მეტყველების გასაანალიზებლად შევარჩიეთ პოლიტიკოსის გამოსვლა ტელეკომპანია TV პირველის გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“. გადაცემის თემა – „უკრაინაში ომია“. გადაცემას უძღვებოდნენ ჟურნალისტები ინგა გრიგოლია და გიორგი ნიორაძე.

ჟურნალისტის თხოვნით ის აფასებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას და იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველო არსებულ ვითარებაში:

ჟურნალისტი: „სალომე, არ ვიცი, რა როგორ, როგორ წარმოგიდგენიათ ფინალი ამ ყველაფრის, თქვენ გამოცდილი დიპლომატი ბრძანდებით, ანუ საერთაშორისო ენა თქვენ კარგად იცით. აი, ეხლა რა მოცემულობაც გვაქვს საერთაშორისო ენაზე, გადმომითარგმნეთ ეხლა იმ ენაზე, რომელი ენითაც მე ვმეტყველებ“ .

შესაბამისად, პოლიტიკოსის ინტერვიუ ახსნა-განმარტებით იწყება:

(1) *პირველ რიგში მე მინდა ვთქვა და ჩვენს საზოგადოებას უნდა ეს აუცილებლად კარგად ავუხსნათ და ესმოდეს...მე რო ეხლა ვიყო, ალბათ იარაღით ხელში რო ვიბრძოდე უკრაინაში შეილება მქონდეს განცდა, რომ მარტო ვიბრძვი;*

პოლიტიკოსის ინტერვიუში ტექსტი მოიცავს 53 წინადადებას, ტოკენების რაოდენობა არის 830, ტიპების რაოდენობა – 448, TTR – 0,54. ტექსტში ტოკენისა და ტიპების თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი, როგორც ვიცით, მიუთითებს მოსაუბრის უხვ, მდიდარ ლექსიკურ მარაგზე, განსხვავებით დაბალი კოეფიციენტისაგან, რომელიც, პირიქით, მწირი ლექსიკური ფორმების გამოყენების მაჩვენებელია.

სალომე სამადაშვილის გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფუნქციური ელემენტები, რომელთა გამოყენების მაღალი სიხშირე მოსაუბრის მწირ ლექსიკაზე ან/და ჭარბ ექსპრესიულობაზე მიუთითებს. ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტის მიხედვით გთავაზობთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ 5 ფუნქციურ ელემენტს: ***რო/რომ*** *(33);* ***და*** *(32);* ***არ*** *(13);* ***ეს*** *(12);* ***ხო*** *(10).* სტატისტიკის მიხედვით, პოლიტიკოსი საკმაოდ ექსპრესიულია და საუბრისას ხშირად იყენებს ფუნქციურ ელემენტებს.

ნაცვალსახელები „მე“ და „ჩემი“

სალომე სამადაშვილის 830 ტოკენის მოცულობის ტექსტში 10-ჯერ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი **„მე“**. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი კონტექსტთან ერთად:

(1) *მე არ ვფიქრობ, რო ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, კიდევ არის შესაძლებლობი, რომელიც უნდა გამოიყენოს;*

(2) *მე ვფიქრობ, რო თქვენ რო მოუსმინოთ ხუთ ძალიან ინფორმირებულ სამხედრო ექსპერტს ყველა მათგანი გეტყვით სხვადასხვა შესაძლო განვითარებას მოვლენების;*

(3) *დღეს, როდესაც მე გავხსენი ფეისბუკი მემორი რომ გიგდებს წინა წლების რაღაც ჩანაწერებს...რვა წლის წინანდელი ინტერვიუ ამოაგდო ფეისბუქმა;*

მე ნაცვალსახელის შემთხვევაში 2-ჯერ გვხვდება ფრაზა *მე მესმის*, 1-ჯერ *მე მინდა*:

(4) *მე მესმის, მე მესმის აბსოლუტურად ეს განცხადება, მაგრამ ჩვენ თუ ამას შევხედავთ სწორედ იმ ჭრილიდან, საიდანაც ჩვენ ვუყურებთ;*

(5) *მე მესმის, მე რო ეხლა ვიყო, ალბათ იარაღით ხელში რო ვიბრძოდე უკრაინაში შეილება მქონდეს განცდა, რომ მარტო ვიბრძვი;*

(6) *მე მინდა, რომ ყურადღება მივაქციო მათ შორის იმ განცხადებას, რომელიც კულებამ გააკეთა;*

შედარებით ნაკლები, მხოლოდ 2 შემთხვევა გვაქვს პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **„ჩემის“** გამოყენებისა. ვნახოთ კონტექსტი:

(7) *რაც ჩემი აზრით, არის, სამწუხაროდ, დღეს, როდესაც მე გავხსენი ფეისბუკი მემორი რომ გიგდებს წინა წლების რადაც ჩანაწერებს;*

(8) *ჩემი რვა წლის წინანდელი ინტერვიუ ამოაგდო ფეისბუქმა, რომელიც ბელგიური ერთ-ერთი მთავარი გაზეთისთვის მაქ მიცემული;*

პირველი პირის ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება განპირობებულია საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევისა და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით.

ემპირიული მასალის კონტენტანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელები: *უკრაინა (12); დასავლეთი (8); ომი (8); რუსეთი (6); ხელისუფლება (5); ევროკავშირი (4); ხალხი (4); ვლადიმერ (3) პუტინი (4); მსოფლიო (4); სახელმწიფო (3); ადამიანი (3); ბავშვები (3); თავისუფლება (2); ღარიბაშვილი (2); ეკონომიკა (2); ნატო (2); საქართველო (2); ზელენსკი (1), ელჩი (1).* პოლიტიკოსის სასაუბრო თემიდან გამომდინარე, ამგვარი სურათი ბუნებრივია.

საგულისხმოა, რომ ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირე არ აღემატება 2-ს, რაც პოლიტიკოსის მეტყველების ლექსიკურ მრავალფეროვნებაზე მიუთითებს: *ეკონომიკური 2-ჯერ; მნიშვნელოვანი 2-ჯერ; პოლიტიკური 2-ჯერ; უპრეცედენტო 2-ჯერ; საომარი 1-ჯერ; რეალური 1-ჯერ; სახიფათო 1-ჯერ; ცივილიზებული 1-ჯერ.*

საუბრის ძირითადი თემები პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ კონცეპტებშიც აისახება:

ა) დადებითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *თავისუფლება, შეთანხმება, გამარჯვება.*

ბ) უარყოფითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *ბოროტება, პროპაგანდა, გაუქმება, ამოგდება.*

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი კონცეპტები ძირითადად რუსეთთან მიმართებით არის გამოყენებული. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(9) *მათ შორის რუსეთის პროპაგანდაც ნახეთ როგორ მუშაობს;*

(10) *და ამას აუცილებლად მოყვება ის, რაც საბოლოოდ დაასრულებს ამ ბოროტებას;*

(11) *(პუტინის) მისი სტრატეგიული ამოცანა ამ სახელმწიფოს გაუქმება;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნებია: *არის (17); გააკეთა (2); იბრძვიან (2); გაუუქმებს (1); ამუშავდა (1).* როგორც ვხედავთ, ყოფნა ზმნა ყველაზე მეტჯერ გვხვდება. ვნახოთ კონტექსტის მაგალითები:

(12) *ომს აქვს ოთხი კომპონენტი ხო, ეს არის დიპლომატია – ერთი და უკრაინის გარშემო დღეს არის შეკრული მთელი ცივილიზებული სამყარო, მეორე ეს არის სამხედრო კომპონენტი;*

(13) *დღეს ისინი იბრძვიან საკუთარი სისხლით იბრძვიან იმ ღირებულებებისთვის, რაზეც დღეს დგას ევროპა;*

სალომე სამადაშვილის გამოსვლის ტექსტი მოიცავს 830 ტოკენსა და 53 წინადადებას. ტექსტში მოდალური სიტყვა **უნდა** 10-ჯერ დასტურდება, მათ შორის „უნდა“ მოდალური ელემენტი 1-ჯერ ფუნქციურ კონსტრუქციაში გვხვდება ***რა თქმა უნდა,*** დანარჩენ შე-

მთხვევაში კი – ზმნის ფუნქციით. პოლიტიკოსი ქმედების საჭიროებას ძირითადად რუსეთისა და უკრაინის კონფლიქტის კონტექსტში იყენებს, ანუ სულ 9-ჯერ საუბრობს საჭიროებაზე. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(14) *ჩვენ უნდა გვესმოდეს, რო, რა თქმა უნდა, როდესაც ესეთი გადაწყვეტილების წინაშე დგას დასავლეთი, რო უშუალოდ აქ მესამე მსოფლიო ომის დაწყების შესაძლებლობაზე არის საუბარი ხო;*

(15) *ეხლა ჩვენ უნდა გვესმოდეს იმიტო, რო ჩვენ ვუხსნით ხო ადამიანებს მათ შორის რა ხდება;*

(16) *ამიტო ჩვენ უნდა გვესმოდეს რო დასავლეთი, მე არ ვფიქრობ, რო ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, კიდევ არის შესაძლებლობი, რომელიც უნდა გამოიყენოს;*

(17) *რამდენი დახმარებაც არ უნდა მისცეს მსოფლიომ დღეს გადარჩენისთვის იბრძვის და საკუთარი სახელმწიფოსთვის უკრაინელი ხალხი;*

(18) *მაგრამ უკრაინისთვის განხილვა უნდა იყოს ცალკე ევროკავშირში განაცხადის თაობაზე, საქართველოსთვის ცალკე;*

დასახელებული მაგალითებიდან 10 შემთხვევა მიემართება უკრაინის ომს და ერთი წინადადება კი – საქართველოს შიდაპოლიტიკას:

(19) *და ამ ბრძოლაში ჩვენი ხელისუფლება, მათ შორის, ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა აჩვენოს, რო დგას უკრაინელი ხალხის გვერდზე;*

სალომე სამადაშვილის გამოსვლის ტექსტში **შეფასება** სულ 25-ჯერ გვხვდება, პოლიტიკოსის ძირითადი სასაუბრო თემა არსებული პოლიტიკური სიტუაციის შეფასებას ეხება, სწორედ ამიტომაც, კონტენტანალიზის აღნიშნული მაჩვენებელი ბუნებრივია. ვნახოთ კონტექსტები:

(20) *იმიტო, რო ინგრევა ეკონომიკა რუსეთის, უბრალოდ აი ასე როგორც შენობა რომ ეცემა, ენარცხება ძირს ესეთ ვითარებაშია;*

(21) *იმიტო რო დარიბაშვილი და პუტინია ორი ადამიანი, ვინც იძახის რო დასავლეთი არაფერს არ აკეთებს უკრაინისთვის;*

უნდა აღინიშნოს, რომ 53 წინადადებიდან დადებითი შეფასება მხოლოდ 6 შემთხვევაში გვხვდება და უკრაინის ომში გამარჯვებას მიემართება:

(22) *უკრაინის გვერდზე დღეს დგას მთლიანად მთელი დასავლეთი თავისი ეკონომიკური, საამხედრო და ბევრი სხვა შესაძლებლობებით;*

(23) *დასავლეთი რეალურად ამ ომში და აძლევს უკრაინას იმ ძალიან დიდ დახმარებას, რომელიც დღეს არის მათთვის გადამწყვეტი;*

(24) *ამიტო ყველა კომპონენტით, რომელიც ომში არის მნიშვნელოვანი დასავლეთის მართლა ძალიან დიდი მხარდაჭერა არის დღეს უკრაინელების მიმართ;*

სალომე სამადაშვილის გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირია **თვითშეფასების** გამომხატველი წინადადებები. ასეთი სულ 7 კონტექსტი გვხვდება. ვნახოთ რამდენიმე მათგანი:

(25) *ამიტო ჩვენ უნდა გვესმოდეს რო დასავლეთი, მე არ ვფიქრობ, რო ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, კიდევ არის შესაძლებლობი...;*

(26) *მე მესმის აბსოლუტურად ეს განცხადება, მაგრამ ჩვენ თუ ამას შევხედავთ სწორედ იმ ჭრილიდან, საიდანაც ჩვენ ვუყურებთ, უკრაინა დღეს მარტო ნამდვილად არ იბრძვის;*

ახსნა-განმარტებას გამომსვლელი აკეთებს 5 შემთხვევაში, პოლიტიკოსი აანალიზებს, გამოკვეთს სასაუბრო თემას, რათა მსმენელისთვის იყოს გასაგები და საინტერესო. ვნახოთ მაგალითი:

(27) *მეორე ეს არის სამხედრო კომპონენტიდა აქაც ჩვენ ვხე-*

დავთ, რო უკრაინა უპრეცედენტოდ შეიარაღებული და ყოველდღიურად დამატებითი, ასე ვთქვათ, ამუნიცია ეძლევათ მათ ხო;

პროგნოზი გამოსვლის ტექსტში გვხვდება 3-ჯერ:

(28) *მაგრამ სტრატეგიულად ყველა თანხმდება იმაზე, რომ პუტინი ამ ომს წააგებს;*

(29) *ანუ რა არი მისი სტრატეგიული ამოცანა ამ სახელმწიფოს გაუქმება;*

პროგნოზთან შედარებით **ფაქტი** უფრო ხშირად, 6-ჯერ გვხვდება გამოსვლის ტექსტში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გამომსვლელი უპირატესობას ანიჭებს ფაქტებს და არა აბსტრაქტულ მოსაზრებებს, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს პოლიტიკოსის მეტყველებაში. ვნახოთ ფაქტის მაგალითი.

(30) *უკრაინა დღეს მარტო ნამდვილად არ იბრძვის;*

(31) *დღეს გადარჩენისთვის იბრძვის და საკუთარი სახელმწიფოსთვის უკრაინელი ხალხი;*

(32) *და ეს არის პუტინის რეჟიმის ჩამოშლა, შეცვლა ვითარების, შიდა პოლიტიკური ვითარების რუსეთში;*

პოლიტიკოსის გამოსვლაში 1-ხელ გვხვდება **მოწოდება, სურვილი** და **დაპირება.** ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ გამომსვლელი ნაკლებად არის ორიენტირებული მოვლენების სამომავლო განვითარებაზე და უპირატესობას ანიჭებს არსებული ვითარების ანალიზს.

(33) *ამ ბრძოლაში ჩვენი ხელისუფლება, მათ შორის, ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა აჩვენოს, რო დგას უკრაინელი ხალხის გვერდზე და უკრაინის სახელმწიფოს გვერდზე;*

(34) *მე მინდა, რომ ყურადღება მივაქციო მათ შორის იმ განცხადებას, რომელიც კულებამ გააკეთა;*

(35) *პარალელურად აცხადებს, რომ დიახ, თქვენ იომეთ და ჩვენ ვაპირებთ, რო ევროკავშირში შევიტანოთ განაცხადი თქვენთან ერთად;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში 2-ჯერ გვხვდება **გაფრთხილება**, ვნახოთ მაგალითი:

(36) *ვამბობ რვა წლის წინ, რო ჩვენ თუ არ შევაჩერეთ პუტინი ახლა, მოგვიწევს გავიხსენოთ ჩერჩლის სიტყვები...“*

(37) *„ნიანგთან დაზავება არ გამოდის, ნიანგთან ზავი იმით სრულდება, რომ შენ შეგჭამს უკანასკნელს“;*

სალომე სამადაშვილის ტექსტში ასევე 1-ჯერ გვხვდება **ბრალდება** ხელისუფლების მისამართით, ვნახოთ მაგალითი:

(38) *ჩვენ დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც საკუთარი გზავნილებით პირდაპირ საუბრობს რუსეთის პროპაგანდის ენით;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში იშვიათად გვხვდება **რიტორიკული** შეკითხვა, სულ 2 შემთხვევა დასტურდება:

(39) *ანუ ეს რა გამოდის, რო ჩვენ თქვენს გვერდზე არ ვართ ბრძოლაში?*

უარყოფითი შეფასება კრიტიკის თანხლებით, რომლითაც პოლიტიკოსი ასრულებს ინტერვიუს:

(40) *ამ ბრძოლაში ჩვენი ხელისუფლება, მათ შორის, ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა აჩვენოს, რო დგას უკრაინელი ხალხის გვერდზე და უკრაინის სახელმწიფოს გვერდზე, სამწუხროდ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა.*

გამოკვლეული მასალის თანახმად, შეფასება ყველაზე მეტჯერ გვხვდება ტექსტში. 53 წინადადებიდან 25 წინადადება შეფასებითი ხასიათისაა. ეს შესაძლებელია, ნიშნავდეს იმას, რომ პოლიტიკოსის გამოსვლის მთავარ მიზანს არსებული პილიტიკური სიტუაციის, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის შეფასება-ანალიზი წარმოადგენს.

თვალსაჩინოებისთვის ვნახოთ ჩვენ მიერ გაანალიზებული სტატისტიკური მასალა ცხრილის სახით:

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1	შეფასება	25
2	თვითშეფასება	7
3	ახსნა-განმარტება	5
4	ფაქტი	6
5	პროგნოზი	3
6	რიტორიკული შეკითხვა	2
7	გაფრთხილება	2
8	ბრალდება	1
9	სურვილი	1
10	დაპირება	1
სულ:		53 წინადადება (830 სიტყვა)

ცხრილი 2: სალომე სამადაშვილის ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი

ემპირიული მასალის დამუშავების დროს, ტექსტის გაანალიზებისას, სტატისტიკური ანალიზი KWIC-ის მეშვეობით ჩავატარეთ, ხოლო სიტყვაფორმების სიხშირის გამოსათვლელად და ტექსტური მახასიათებლების სტატისტიკის გასაკეთებლად Voyant tool გამოვიყენეთ.



სურათი 2. სალომე სამადაშვილის ტექსტის კომპლექსური ანალიზი

ტექსტის Voyant tool-ში ანალიზის შედეგად მიღებული სურათის მიხედვით:

ლექსიკური სიმჭიდროვე: 0.538

წაკითხვის ინდექსი: 18.7

სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 36.0

2.3.2. სალომე სამადაშვილის ინტერვიუს ტექსტი

ტელევიზია: TV პირველი
გადაცემა: ნოდარ მელაძის შაბათი
თემა: უკრაინაში ომია
წამყვანი: ჟურნალისტები ინგა გრიგოლია და გიორგი ნიორაძე
სტუმარი: სალომე სამადაშვილი – პარტია „ლელო საქართველოს-თვის“
ვიდეოჩანაწერის ბმული:
https://www.facebook.com/LeloForGeorgia/videos/455073286301373/
თარიღი: 06.03.2022

ინგა გრიგოლია: – სალომე, არ ვიცი, რა როგორ, როგორ წარმოგიდგენიათ ფინალი ამ ყველაფრის, თქვენ გამოცდილი დიპლომატი ბრძანდებით, ანუ საერთაშორისო ენა თქვენ კარგად იცით. აი, ეხლა რა მოცემულობაც გვაქვს საერთაშორისო ენაზე, გადმომითარგმნეთ ეხლა იმ ენაზე, რომელი ენითაც მე ვმეტყველებ.
სალომე სამადაშვილი: –ხო, ეხლა, პირველ რიგში მე მინდა ვთქვა და ჩვენს საზოგადოებას უნდა ეს აუცილებლად კარგად ავუხსნათ და ესმოდეს, რო დღეს უკრაინა იმიტო, რომ აქ ნათქვამი იყო და მე მესმის, მე რო ეხლა ვიყო, ალბათ იარაღით ხელში რო ვიბრძოდე უკრაინაში შეილება მქონდეს განცდა, რომ მარტო ვიბრძვი.
ინგა გრიგოლია: – მამუკას ნათქვამზე ამბობთ, პოლიტიკოსების გაკეთებულ განცხადებებზე?
სალომე სამადაშვილი: – მე მესმის, მე მესმის აბსოლუტურად ეს განცხადება, მაგრამ ჩვენ თუ ამას შევხედავთ სწორედ იმ ჭრილიდან, საიდანაც ჩვენ ვუყურებთ, უკრაინა დღეს მარტო ნამდვილად არ იბრძვის. ომს აქვს ოთხი კომპონენტი ხო, ეს არის დიპლომატია

– ერთი და უკრაინის გარშემო დღეს არის შეკრული მთელი ცივილიზებული სამყარო, მეორე ეს არის სამხედრო კომპონენტი და აქაც ჩვენ ვხედავთ, რო უკრაინა უპრეცედენტოდ შეიარაღებული და ყოველდღიურად დამატებითი, ასე ვთქვათ, ამუნიცია ეძლევად მათ ხო იზრდება მათი სამხედრო შესაძლებლობები, მარტო უკრაინა ამ თვალსაზრისითაც არ არის. საინფორმაციო კომპონენტი, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ომში. მიუხედავად იმისა, დასავლეთი უშუალოდ რო არ არის ჩართული ომში საომარ მოქმედებებში, დამერწმუნეთ, რო აი დაზვერვის დონეზე და ინფორმაციის დონეზე ჩართულია დასავლეთი რეალურად ამ ომში და აძლევს უკრაინას იმ ძალიან დიდ დახმარებას, რომელიც დღეს არის მათთვის გადამწყვეტი და ბოლოს ეკონომიკა. ეკონომიკის თვალსაზრისით დღეს ჩვენ ვნახეთ, ვლადიმერ პუტინმა გააკეთა სხვათაშორის ძალიან სახიფათო გარკვეულწილად განცხადებაც რო ეს სანქციებიო, რაც დასავლეთმა ეს არის ომის ტოლფასიაო იმიტო, რო ინგრევა ეკონომიკა რუსეთის, უბრალოდ აი ასე როგორც შენობა რომ ეცემა, ენარცხება ძირს ესეთ ვითარებაშია და ამის პარალელურად უპრეცედენტო დახმარება უკრაინისთვის მათი, მათ შორის ეკონომიკური გადარჩენისთვის ხო, ამიტო ყველა კომპონენტით, რომელიც ომში არის მნიშვნელოვანი დასავლეთის მართლა ძალიან დიდი მხარდაჭერა არის დღეს უკრაინელების მიმართ.

ინგა გრიგოლია: – სანამ თქვენ საუბარს დაიწყებდი, მე წავიკითხე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს რო შეხვდა და კულებამ მერე ტვიტერზე დაწერა უკრაინისთვის საჭირო იარაღის მიწოდებაზე და შემდგომ სანქციების კიდევ უფრო გამკაცრებაზე იყო საუბარი

სალომე სამადაშვილი: – ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მართლა.

ეხლა ჩვენ უნდა გვესმოდეს იმიტო, რო ჩვენ ვუხსნით ხო ადამიანებს მათ შორის რა ხდება და მათ შორის რუსეთის პროპაგანდაც ნახეთ როგორ მუშაობს, იგივე ნატოზე ცის ჩაკეტვის თემაზე ამუშავდა ხო რუსეთის პროპაგანდა, ერთის მხრივ მუქარა ნატოს მიმართულებით და მეორეს მხრივ იგივე პროპაგანდა რაც ჩვენ გვესმის, სამწუხაროდ, ჩვენივე ხელისუფლებისგან ხო. იმიტო რო ღარიბაშვილი და პუტინია ორი ადმაიანი, ვინც იძახის რო დასავლეთი არაფერს არ აკეთებს უკრაინისთვის. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რო, რა თქმა უნდა, როდესაც ესეთი გადაწყვეტილების წინაშე დგას დასავლეთი, რო უშუალოდ აქ მესამე მსოფლიო ომის დაწყების შესაძლებლობაზე არის საუბარი ხო, ამიტო ჩვენ უნდა გვესმოდეს რო დასავლეთი, მე არ ვფიქრობ, რო ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, კიდევ არის შესაძლებლობი, რომელიც უნდა გამოიყენოს, მაგრამ უკრაინის გვერდზე დღეს დგას მთლიანად მთელი დასავლეთი თავისი ეკონომიკური, საამხედრო და ბევრი სხვა შესაძლებლობებით. ეხლა რაც შეეხება შესაძლო განვითარებებს მოვლენების, ერთი რამ არის ფაქტი და მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა ჩვენ აუცილებლად ვთქვათ, იმიტო რო რამდენი დახმარებაც არ უნდა მისცეს მსოფლიომ დღეს გადარჩენისთვის იბრძვის და საკუთარი სახელმწიფოსთვის უკრაინელი ხალხი. და იმ თავგანწირვამ და ძალიან დიდმა თვითორგანიზაციამ, რაც აჩვენა უკრაინელმა ხალხმა ერთ რამეში დაარწმუნა, ვფიქრობ, მსოფლიო სტრატეგიულად ვლადიმერ პუტინი ამ ქვეყანაში ვერ გაიმარჯვებს ანუ რა არი მისი სტრატეგიული ამოცანა ამ სახელმწიფოს გაუქმება. სახელმწიფოს უკრაინელ ხალხს რუსეთი, რუსული რეჟიმი ვერ გააუქმებს.

გიორგი ნიორაძე: – დაზვერვის სამსახური ახსენეთ ხო, რომ დასავლეთი აწვდის დაზვერვასო. ამ მონაცემების თანახმად არის ერთი ვერსია, რომ შეილება კიევი აიღონ და ზელინკის მოუწიოს მაგალითად ქვეყნის დატოვება და სხვა ქვეყნიდან ქვეყნის მართვა.

ინგა გრიგოლია: – სულ ამაზე ლაპარაკობს რუსული პროპაგანდა, რომ დატოვებს ის ქვეყანას, დატოვა-არ დატოვა, კიევშია, არ არის კიევში.

სალომე სამადაშვილი: – იცი რა, მე ვფიქრობ, რო თქვენ რო მოუსმინოთ ხუთ ძალიან ინფორმირებულ სამხედრო ექსპერტს ყველა მათგანი გეტყვით სხვადასხვა შესაძლო განვითარებას მოვლენების ტაქტიკურად, მაგრამ სტრატეგიულად...

გიორგი ნიორაძე: – სტრატეგიულად ყველა ამბობს, რომ პუტინი აგებს.

სალომე სამადაშვილი: – ყველა თანხმდება იმაზე, რომ პუტინი ამ ომს წააგებს და ამას აუცილებლად მოყვება ის, რაც საბოლოოდ დაასრულებს ამ ბოროტებას და ეს არის პუტინის რეჟიმის ჩამოშლა, შეცვლა ვითარების, შიდა პოლიტიკური ვითარების რუსეთში, რაც ჩემი აზრით, არის, სამწუხაროდ, დღეს, როდესაც მე გავხსენი ფეისბუკი მემორი რომ გიგდებს წინა წლების რადაც ჩანაწერებს, ჩემი რვა წლის წინანდელი ინტერვიუ ამოაგდო ფეისბუქმა, რომელიც ბელგიური ერთ-ერთი მთავარი გაზეთისთვის მაქ მიცემული, სადაც ვამბობ რვა წლის წინ, რო ჩვენ თუ არ შევაჩერეთ პუტინი ახლა, მოგვიწევს გავიხსენოთ ჩერჩლის სიტყვები, რო „ნიანგთან დაზავება არ გამოდის, ნიანგთან ზავი იმით სრულდება, რომ შენ შეგჭამს უკანასკნელს“ უბრალოდ გამახსენდა რამდენი ენერგია, რამდენი დრო გვაქვს ჩვენ ჩადებული, ჩვენ წლების მანძილზე რომ მსოფლიოსთვის აგვეხსნა, რო ვიქნებოდით იქ, სადაც დღეს ჩვენ ვართ თუ დროზე არ მოხდებოდა იმ ნაბიჯების გადადგმა, რაც გაანეიტრალებდა ვლადიმერ პუტინის რეჟიმს და სამწუხაროა, რო დღეს ამხელა ფასი უჯდება უკრაინელ ხალხს ის, რაც შეიძლებოდა ამ მიმართულებით გადამდგარიყო შესაბამისი ნაბიჯები ამ წლების მანძილზე.

ინგა გრიგოლია: – ძალიან დიდი, ძალიან მძიმე ფასია ეს, ძალიან

ძვირია თავისუფლება, რისთვისაც მათ უხდებათ ბრძოლა.

სალომე სამადაშვილი: – ხო მაგრამ ინგა, ჩვენთვის ეს შეხსენება იმიტო რო თავისუფლება საერთოდ ძვირია, თავისუფლება ყველამ ბრძოლით მოიპოვა. შენ როდესაც მე მინდა, რომ ყურადღება მივაქციო მათ შორის იმ განცხადებას, რომელიც კულებამ გააკეთა. დიახ, შეიტანა საქართველომ და მოლდოვამ განაცხადი, მაგრამ უკრაინისთვის განხილვა უნდა იყოს ცალკე ევროკავშირში განაცხადის თაობაზე, საქართველოსთვის ცალკე. რატო? სწორედ იმიტომ, რო დღეს ისინი იბრძვიან საკუთარი სისხლით იბრძვიან იმ ღირებულებებისთვის რაზეც დღეს დგას ევროპა და ჩვენ დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც საკუთარი გზავნილებით პირდაპირ საუბრობს რუსეთის პროპაგანდის ენით და ამის პარალელურად, როდესაც იმ ვითარებამდე მიიყვანა მდგომარეობა, რომ უკრაინის ხელისუფლებამ გაიწვია ელჩი კონსულტაციებისთვის, ამისთვის პარალელურად აცხადებს, რომ დიახ, თქვენ იომეთ და ჩვენ ვაპირებთ, რო ევროკავშირში შევიტანოთ განაცხადი თქვენთან ერთად. ანუ ეს რა გამოდის, რო ჩვენ თქვენს გვერდზე არ ვართ ბრძოლაში...

ინგა გრიგოლია: – ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ღარიბაშვილმა ხო თქვა, მე წავალ, ჩემს საქმეს გავაკეთებო

სალომე სამადაშვილი: – ღარიბაშვილის საქმე ყოფილა ე.ი. რო თვითონ გამოაცხადოს, უთხარს, აი ამ ხალხს ეხლა რო აჩვენებენ ხო, ბომბებიდან როგორ გამოყავს ბავშვები. დღეს თვენახევრის ბავშვი დაიღუპა, ადამიანებს უწვავენ საკუთარ სახლებს. ზელესკიმ არ იცის, გადარჩება თუ არა და ამ ხალხს ღარიბაშვილი ეუბნება, რო არანაირი დასავლეთის დახმარების აზრი არ აქვს და მაინც განახორციელებს რუსეთი იმ ამოცანებს, რაც აქვს და ამის პარალელურად რატომღაც ფიქრობს, რო უკრაინა იქნება მისი მოკავშირე იქ, სადაც ჩვენი ამოცანები გვაქვს განსახორციელებელი და ესე არ არის და ამიტოა, რო ჩვენი გზავნილი ყოველთვის იყო, რო ეს არის

ჩვენი საერთო ბრძოლა და ამ ბრძოლაში ჩვენი ხელისუფლება, მათ შორის, ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა აჩვენოს, რო დგას უკრაინელი ხალხის გვერდზე და უკრაინის სახელმწიფოს გვერდ-ზე, რაც სამწუხროდ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა.

ინგა გრიგოლია: – დიდი მადლობა, სალომე, მშვიდობა გქონდეთ. დიდი მადლობა, რომ იყავით ჩვენთნ ერთად, სალომე სამადაშვილი გვსტუმრობდა.

2.4.1. გიორგი გახარიას ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

გიორგი გახარიას პოლიტიკური მეტყველების გასაანალიზებლად შევარჩიეთ პოლიტიკოსის გამოსვლა ტელეკომპანია ფორმულას გადაცემაში „გიორგი თარგამაძის ფორმულა“. გადაცემის თემა – „ომი უკრაინაში“. გადაცემას უძღვებოდა ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე.

გიორგი გახარია ესალმება ჟურნალისტს „მოგესალმები, გიორგი“ და თავის ინტერვიუს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით იწყებს: „პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ არ დავიწყებ საქართველოს მთავრობის განცხადებების შეფასებას უკრაინული მხრის, მხარის გადმოსახედიდან. აქ არ არის ამის, ამის აუცილებლობა“.

პოლიტიკოსის ინტერვიუში ტექსტი მოიცავს 153 წინადადებას, ტოკენების რაოდენობა არის 3669, ტიპების რაოდენობა – 1400, TTR – 0,38.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტოკენისა და ტიპის ურთიერთმიმართება (Token-Type-Ratio) გადმოსცემს თანაფარდობას სიტყვების რაოდენობასა და ტიპების რაოდენობას შორის. ტოკენისა და ტიპების თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს მოსაუბრის მიერ მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენებაზე, ხოლო დაბალი – პირიქით, მოსაუბრის მწირ ლექსიკურ მარაგსა და ერთი და იმავე სიტყვების, ან ფრაზების ხშირ გამეორებაზე. შესაბამისად, TTR დაბალი მაჩვენებელი არსებით პარამეტრს წარმოადგენს პოლიტიკოსის მეტყველების თავისებურების დასადგენად, განსაკუთრებით, პოლიტიკოსის ენობრივი პროფილის შესაქმნელად.

სტატისტიკური ანალიზის ვალიდურობის თვალსაზრისით, აუცილებელია ტექსტის ინდექსად ჩაშლა და ინდექსის კლასტერიზაცია ლექსიკურ და ფუნქციურ ელემენტებად.

გიორგი გახარიას გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფუნქციური ელემენტები, რომელთა გამოყენების მაღალი სიხშირე მოსაუბრის მწირ ლექსიკაზე ან/და ჭარბ ექსპრესიულობაზე მიუთითებს. ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტის მიხედვით ყველაზე ხშირად გამოყენებული ფუნქციური ელემენტებია: *და (143); რო/რომ (126); ეს (93); არ (81); აი (31); ხო(18); თუ (18).*

როგორც სტატისტიკის მიხედვით ჩანს, პოლიტიკოსი საკმაოდ ექსპრესიულად საუბრობს მიმდინარე მოვლენებზე და სხვა ლექსიკურ ერთეულებს შორის აქტიურად იყენებს ფუნქციურ ელემენტებს.

ნაცვალსახელები „მე“ და „ჩემი“

გიორგი გახარიას გამოსვლის ტექსტში, საკმაოდ ხშირად, 50-ჯერ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი **„მე“**. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი კონტექსტთან ერთად:

(1) *დღეს მსოფლიო აბსოლუტურად იცვლება. მე შემიძლია, მათ... რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება რო, ჩვენს მთავრობას გონია, ჩვენ ურთიერთობა არა გვაქვს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, კოლეგებთან, მეგობრები არა გვყავს;*

(2) *მე მინდა გითხრათ, რომ თუ ჩვენი მთავრობის, დღევანდელი მთავრობის, პასუხი მიმდინარე გამოწვევებზე გაგრძელდება ისე, როგორც იყო აქამდე და ცოტა გონს არ მოეგებიან... ცოტა გონს არ მოეგებიან, და თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნების მიზანს არ გადააყოლებენ ქვეყნის სუვერენიტეტს და ქვეყნის ევროპულ მომავალს და პერსპექტივას და ჩვენი შვილების მომავალს;*

(3) *მე ერთ რამეს გეტყვით, რაც ძაან სწორად თქვა ეხლა აქ ინტერვიუში, რაც უფრო დიდხანს უკრაინული არმია შეძლებს გაუწიოს წინააღმდეგობა რუსულ არმიას, მით უფრო რთული იქნება დაბალანსებული შუაში პოზიციის, ვითომ არც იქით, არც აქეთ,*

პოზიციის დაჭერა;

(4) *ეხლა, რაც შეეხება ანაკლიას, ეს ყოველთვის სუბიექტური იქნება დავა, კერძო ინვესტორი ჩათვლის, რომ მე იქ რადაც ნეგატიური როლი შევასრულე, მე ჩავთვლი, რომ კერძო ინვესტორი ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს;*

(5) *როგორც კი ეს გახდა შეუძლებელი და უკვე, აი, ესე რადიკალურად დადგა საკითხი კერძო პოლიტიკურ ინტერესებსა და ქვეყნის ინტერესებს შორის, მე გადავდგი ის ნაბიჯი, რომელიც გადავდგი, რომელიც, არავისო არ ვიტყვი, მარა ბევრს საერთოდ არ გადაუდგამს და ვერც წარმოედგინა.*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში **„ჩემი“** სამ შემთხვევაში გვხვდება. ვნახოთ მაგალითები კონტექსტში:

(6) *ჩემი ღრმა რწმენით, მე შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ოცნება“ ასაზრდოებენ ერთმანეთს და იმიტომ აქვთ, აი, ეს მშვენიერი ტანგო ერთმანეთთან, რომ ორივე ერთად გვაბრუნებენ წარსულში;*

(7) *პირველი, სად არი ჩემი პასუხისმგებლობა, როცა მეკითხებით, ჩემი პასუხისმგებლობა არის იქ, რომ მე ეხლა აქ ვზივარ ან ვდგევარ და ვპასუხობ იმ კითხვებს, რომლებიც გაქვთ თქვენ და რომელიც აქვს საზოგადოებას;*

(8) *და ბევრჯერ მომიწია უკვე ერთი და იგივე კითხვებზე – როგორიც არის 20 ივნისი, როგორიც არის პანკისი, როგორიც არის ანაკლია – ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, ეს არის ჩემი პასუხისმგებლობა და სანამ ეს კითხვები იქნება, მე ამ კითხვებზე ყოველთვის გავცემ პასუხს;*

გიორგი გახარიას მეტყველებაში პირველი პირის ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება განპირობებულია საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევის, პირადი პოზიციების დომინირებისა და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით.

ემპირიული მასალის გაანალიზებით გამოიკვეთა ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელები: *საქართველო (39), მთავრობა (27), ქვეყანა (18), უკრაინა (12), უსაფრთხოება (9), პრობლემა (7), გეგმა (6), არჩევანი (6), უფლება (6), მთავრობა (6); რუსეთი (5); პრეზიდენტი (3); პარტნიორი (9); ინვესტორი (3).*

სიხშირის მიხედვით ყველაზე მეტჯერ გვხვდება შემდეგი ზედსართავი სახელები: *საერთაშორისო (8); დემოკრატიული (7); ევროპული (7); ეროვნული (6); თანამედროვე (6); პოლიტიკური (5); წარმოუდგენელი (5); კრიტიკული (4); უკრაინული (3); სტრატეგიული (3); სუვერენული (3).*

როგორც ვხედავთ, საუბრის ძირითადი თემები პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ კონცეპტებშიც აისახება:

ა) დადებითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *საქართველო, მოქალაქე, პარტნიორი.*

ბ) უარყოფითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *სისხლი, ოკუპირებული, ომი.*

გიორგი გახარიას გამოსვლაში გამოყენებული ზმნებიდან მაღალი სიხშირით გამოირჩევა ზმნა „ყოფნა" (აწმყოში „არი", მომავალში „იქნება"), ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(9) *საქართველო, რომელიც არის უმძიმესი უსაფრთხოების რისკების ქვეშ, ოკუპირებული ქვეყანა, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გააკეთოს და უკვე გაეკეთებინა იმისთვის, რომ ეს კონსოლიდირება უკრაინის გარშემო ჩვენც უნდა გვფარავდეს;*

(10) *საქართველოს ექსპორტის 25%, ეს დაახლოებით მილიარდია, ეს არის რუსეთი და უკრაინა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ორი ქვეყნიდან საქართველოში რემიტანსების სახით ყოველწლიურად ჩვენ ვიღებთ დაახლოებით ნახევარ მილიარდს;*

(11) *ვიღაცას თუ გონია, რომ რუსეთი უფრო იქნება ქვეყნის უსაფრთხო განვითარების გარანტი, ვიდრე დასავლური სამყარო,*

მას საერთოდ, არ ვიცი, რაზე უნდა ველაპარაკოთ;

ტექსტში საჭიროების/აუცილებლობის გადმოსაცემად გამოყენებულია მოდალური სიტყვა **უნდა,** რომელიც 72-ჯერ დასტურდება, მათ შორის „უნდა“ მოდალური ელემენტი 12-ჯერ ფუნქციურ კონსტრუქციაში გვხვდება – *რა თქმა უნდა,* პოლიტიკოსი დანარჩენ შემთხვევებში ქმედების საჭიროებაზე საუბრობს. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(12) *...თქვენს კითხვაზე პასუხს, რა თქმა უნდა, ამ მთავრობაში საკმაოდ არიან კომპეტენტური ადამიანები, საკმაოდ არიან კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მკაფიოდ და სწორად აფასებენ და ძაან კარგად ხედავენ, დღეს რა ხდება;*

(13) *თანამედროვე მსოფლიო, რომელიც იცავს დღეს უკრაინას, ეს ფარი ჩვენც უნდა გვფარავდეს;*

(14) *ყველანი უნდა მოვემზადოთ, ეს ყველას უნდა გვესმოდეს და, პირველ რიგში, უნდა ესმოდეს საქართველოს მთავრობას, იმიტომ რომ არჩევანი დღეს, აი, უყურეთ, ძაან მარტივია, განსაკუთრებით ოკუპირებული ქვეყნისთვის;*

(15) *„ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ, „ქართულმა ოცნებამ“ ერთი რამ... ეს არის, ეს არის დემაგოგია... ეს ძაან მარტივია;*

(16) *უნდა გაეკეთებინათ და გააკეთებდა კიდეც. მე გეტყვით ერთ რამეს, რომ, ყოველთვის ვამბობდი, ვიტყვი და ასეც იქნება, საქართველოში ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურა ქვეყნისთვის და რეგიონისთვის აუცილებელი;*

(17) *და მე ვფიქრობ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ დიდი გამარჯვების პატარა ნაწილი მაინც გავხდეთ;*

პოლიტიკოსის გამოსვლა ფუნქციურ-პრაგმატიკული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტექსტში **შეფასება** სულ 45 კონტექსტში

გვხვდება და ძირითადად ხელისუფლებისა და მათი მომხრეების პოლიტიკური ორიენტაციის კრიტიკას მიემართება. ვნახოთ კონტექსტები:

(18) *დღეს ჩვენ საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ვადევნებთ თვალს მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებას და ეს ახალი წესრიგი, ეხა, საქართველოს მთავრობა თუ აირჩევს სტრატეგიას, რო ეს არ შეიმჩნიოს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ჩვენგანს ეს არ შეეხება;*

(19) *ისეთი შთაბეჭდილება მრჩება რო, ჩვენს მთავრობას გონია, ჩვენ ურთიერთობა არა გვაქვს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, კოლეგებთან, მეგობრები არა გვყავს;*

(20) *და ეს დღეს არავის არ ახსოვს და მთავრობას ჰგონია, თუ, ამას თუ არ შეიმჩნევს, ეს გაივლის და ჩვენს ცხოვრებაზე არანაირი ზეგავლენა არ ექნება;*

(21) *ერთი რამე უნდა გვესმოდეს ყველას, საქართველოს გაფუჭებული ურთიერთობა უკრაინასთან – მოლდოვასთან, ეს ფაქტობრივად, ფაქტობრივად, ანულებს საქართველოს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობის შესაძლებლობას, აი, ასეთ პროგნოზირებად მომავალში;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირია **თვითშეფასების** გამომხატველი წინადადებები. ასეთი სულ 12 კონტექსტი გვხვდება. ვნახოთ რამდენიმე მათგანი:

(22) *მე ამასთან მიმართებაში ცოტა უფრო სხვა მიდგომა მაქ;*

(23) *საბოლოო ჯამში, მე მჯერა იმის, რომ ეს ხდება, აი, ამის გამო და აი, ასე;*

(24) *ეხლა, რაც შეეხება და, ერთი რამე მინდა გითხრათ კიდე: ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლის პროცესში ყველაზე, სამწუხაროდ, სამწუხაროდ, ყველაზე მძიმე შედეგები ჩვენ გვქონდა ბოლო ერთი წლის განმავლობში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში;*

ახსნა-განმარტებას გამომსვლელი აკეთებს 16 შემთხვევაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და გამოკვეთს პოლიტიკოსის ენობრივ მახასიათებელს, გააანალიზოს, გაშალოს სასაუბრო თემა, რათა მსმენელისთვის გასაგები და საინტერესო იყოს. ვნახოთ მაგალითი:

(25) *იმიტო, რო პრეზიდენტის ასეთი დონით ჩარევა აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში ჩვენი დასავლელი პარტნიორებისათვის არ არი სწორი, ისინი ასე უხეშად არ მოქმედებენ;*

(26) *და ამის ყველაზე კარგი მაგალითი არის დღეს ის, რაც ხდება უკრაინაში, რასაც აკეთებს უკრაინელი ხალხი და უკრაინელი ხელისუფლება დღეს;*

ვარაუდი გამოსვლის ტექსტში გვხვდება 2-ჯერ, ხოლო **პროგნოზი** 14-ჯერ:

(27) *თქვენ ვინც ჩამოთვალეთ, მე არ მინახავს ეს ინფორმაცია, მე ვფიქრობ, რომ, მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკი დიდწილად პრეზიდენტის წარდგინებით ინიშნება, ალბათ, იქ რადაცა საკადრო საკითხები განიხილება და ეს არის და ეს;*

(28) *ეს იქნება დამატებითი ეფექტი, კოვიდის შემდგომ კიდევ უფრო დაამძიმებს ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობას;*

ტექსტში ვარაუდსა და პროგნოზთან შედარებით ბევრად ხშირად, 20-ჯერ გვხვდება **ფაქტის** დასახელების შემთხვევები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გამომსვლელი უპირატესობას ანიჭებს არა ინტერპრეტაციებს, არამედ ფაქტებს, რაც პოლიტიკოსის მეტყველებაში დადებითად შეიძლება შეფასდეს. ვნახოთ მაგალითი.

(29) *კიდევ ერთი, ძაან მნიშვნელოვანი მომენტი: ყველას, ყველა ვხედავთ, რა არის დღეს გეოპოლიტიკური ცვლილება, წარმოუდგენელი ძალების კონსოლიდირება უკრაინის სოლიდარობის ირგვლივ;*

პოლიტიკოსი გამოსვლაში 21-ჯერ სვამს **კითხვას,** აქედან 9

რიტორიკული შეკითხვაა. პოლიტიკოსის საუბრის მიზანი, შეიძლება ვთქვათ, რომ მეტწილად მსმენელზე ზემოქმედებაა.

(30) *სხვა არჩევანი გვაქვს? ვინმეს გვაქვს სხვა არჩევანი?*

(31) *როგორ გგონიათ, საქართველოს უსაფრთხოების გარანტი, თეორიულადაც, ვინ შეიძლება იყოს და რა არჩევანი გვაქვს ჩვენ?*

(32) *თუ ვინმეს გონია, რომ საქართველოს დღევანდელი განვითარების ეტაპზე და დღევანდელი მთავრობით აქვს რესურსი იმის, რომ დამოუკიდებლად იბრძოლოს ყველა ფრონტზე?*

გიორგი გახარია **მოწოდებას** 18-ჯერ იყენებს. ვნახოთ მაგალითები:

(33) *ეხლა, ყველას ხო კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს საქართველოს მთავრობის და თითოეული მოქალაქის პირდაპირი ამოცანაა, რომ საქართველო ცხელ ომში არ იყოს ჩათრეული, მაგრამ ასევე საქართველო არ უნდა იყოს იზოლირებული თანამედროვე განვითარებული მსოფლიოსგან;*

(34) *ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ დიდი გამარჯვების პატარა ნაწილი მაინც გავხდეთ;*

გიორგი გახარიას გამოსვლის ტექსტში ასევე ერთხელ გვხვდება **მადლობა,** ისიც მყარ ფორმულაში, საკუთარი ინტენციის გადმოსაცემად. ვნახოთ მაგალითი:

(35) *მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს.*

გამოკვლეული მასალის თანახმად, შეფასება ყველაზე მეტჯერ გვხვდება ტექსტში. 153 წინადადებიდან 45 წინადადება შეფასებითი ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შეფასება და თვითშეფასება ბევრად სჭარბობს დადებით შეფასებას.

თვალსაჩინოებისთვის ვნახოთ ჩვენ მიერ გაანალიზებული სტატისტიკური მასალა ცხრილის სახით:

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1	შეფასება	45
2	შეკითხვა	21
3	ფაქტი	20
4	მოწოდება	18
5	ვარაუდი	2
6	პროგნოზი	14
7	თვითშეფასება	12
8	ახსნა-განმარტება	16
9	რიტორიკული შეკითხვა	9
10	ვარაუდი	2
11	მადლობა	1
სულ:		153 წინადადება (3669 სიტყვა)

ცხრილი 3: გიორგი გახარიას ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი

ტექსტის გაანალიზების პროცესში გამოყენებული გვქონდა ტექსტის ციფრული დამუშავების ხელსაწყოები: KWIC და Voyant tool. სტატისტიკური ანალიზი, რომელიც სიტყვათა სიხშირეს ასახავს, KWIC -ის მეშვეობით გაკეთდა.

ამჯერად წარმოვადგენთ Voyant tool-ში ტექსტის სტატისტიკური დამუშავების შედეგებს. ტექსტის დამუშავების შედეგები სამი არსებითი პარამეტის მიხედვით ასეთია:

ლექსიკური სიმჭიდროვე: 0.382

წაკითხვის ინდექსი: 19.215

სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 19.0



სურათი 3. გიორგი გახარიას ტექსტის კომპლექსური ანალიზი

2.4.2. გიორგი გახარიას ინტერვიუს ტექსტი

ტელევიზია: ფორმულა

გადაცემა: გიორგი თარგამაძის ფორმულა

თემა: ომი უკრაინაში

წამყვანი: ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე

სტუმარი: გიორგი გახარია – პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე

ვიდეოჩანაწერის ბმული:
https://cdn.formula.ge/trimmer/TRIM/10032022/7a9f5137-3318-4b4b-ac33-062191bb8be2.mp4

თარიღი: 09.03.2022

ჟურნალისტი: – ახლა ჩვენ ვმასპინძლობთ გიორგი გახარიას, ქართველ პოლიტიკოსს, პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერს, ექს-პრემიერს, რომელთან საუბარსაც დავიწყებთ მისივე სიტყვებით. უკრაინა, ცხადია, ჩვენი დღევანდელი ინტერვიუს მთავარი ფოკუსი იქნება, მე მოვუსმინე თქვენს ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუს, პრინციპში ბოლოს და ერთადერთს, იმიტომ, რომ დიდი ხნის პაუზა გქონდათ გარკვეული დროის განმავლობაში, სადაც აფასებდით უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, საქართველოს მთავრობის რეაქციას და თქვით ასეთი ფრაზა, რომ „საქართველოს მთავრობის თითოეული გამოჩენა და განცხადება შეურაცხყოფს საქართველოს ღირსებას“. აი, რას გულისხმობდით, ბატონო გიორგი, თქვენ ამ შემთხვევაში, როგორ აფასებთ საქართველოს მთავრობის რეაგირებას უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით და რას გააკეთებდით თქვენ, რომ ახლა პრემიერ-მინისტრი იყოთ?

გიორგი გახარია: – მოგესალმებით, გიორგი. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ არ დავიწყებ საქართველოს მთავრობის განცხადებების შეფასებას უკრაინული მხრის, მხარის გადმოსახედიდან. აქ

არ არის ამის, ამის აუცილებლობა. საქართველოს თითოეული რიგითი მოქალაქის გადმოსახედიდან უფრო მძიმედ გვაქვს სიტუაცია, რადგან მთავრობამ, როგორც ჩანს, აირჩია სტრატეგია, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ახალი წესრიგის დამყარების პროცესები უბრალოდ არ შეიმჩნიოს, თვალი დახუჭოს ამაზე და მთავრობა რატომღაც ფიქრობს, რომ ამით ან თავს გადაირჩენს, ან ამით არანაირი, ვთქვათ, შემხებლობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოების პრობლემებთან ამას არ ექნება. მთავრობამ, მე რაც ვთქვი, პირველ რიგში, ვთქვი საქართველოს მოქალაქესთან მიმართებით. დღეს ჩვენ საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ვადევნებთ თვალს მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებას და ეს ახალი წესრიგი, ეხა, საქართველოს მთავრობა თუ აირჩევს სტრატეგიას, რო ეს არ შეიმჩნიოს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ჩვენგანს ეს არ შეეხება. ეს შეეხება თითოეულ ჩვენგანსაც და ჩვენს შვილებსაც. იმიტომ, რომ ამას ექნება ძალიან გრძელვადიანი ეფექტი. დღეს მსოფლიო აბსოლუტურად იცვლება, მე შემიძლია, მათ, რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება რო, ჩვენს მთავრობას გონია, ჩვენ ურთიერთობა არა გვაქვს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, კოლეგებთან, მეგობრები არა გვყავს. დღეს უნდა იცოდეთ, მაგალითად, და ყველა ვხედავთ, რომ პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ვაშინგტონში ყველა აცნობიერებს, რომ დღეს რაც ხდება, ეს არის იმის შედეგი, რომ 2008 წლის მოვლენებს საკადრისი, შესაბამისი და სწორი პასუხი არ გაეცა. ყველა ხვდება, რომ მაშინ დაწყებულმა პროცესებმა მიგვიყვანა დღეს და ამას ჩვენი პარტნიორები დღეს ღიად ამბობენ. საქართველოში ამის შემჩნევა არავის არ უნდა. მე ერთი რამე მინდა გითხრათ, ეხლა გადავალ მეორე, აბსოლუტურად პრაგმატულ, პრაქტიკულ საკითხებზე. როგორც კი ეს ომი დაიწყო, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრო-

ბას, პირველ რიგში, რას გავაკეთებდი მე, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეებისთვის უნდა წარედგინა სასწრაფო, გადაუდებელი ღონისძიებების გეგმა. ეს სასწრაფო, გადაუდებელი ღონისძიებები უნდა შეხებოდა, პირველ რიგში, ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკას, ეკონომიკას, უსაფრთხოებას. ამის შემდგომ საშუალოვადიანი გეგმა და გრძელვადიანი გეგმა. რა არის გადაუდებელი ღონისძიებების გეგმა? ეხლა, ყველას ხო კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს საქართველოს მთავრობის და თითოეული მოქალაქის პირდაპირი ამოცანაა, რომ საქართველო ცხელ ომში არ იყოს ჩათრეული, მაგრამ ასევე საქართველო არ უნდა იყოს იზოლირებული თანამედროვე განვითარებული მსოფლიოსგან. მთავრობის ვალდებულება და პასუხისმგებლობაა, რომ ამ ორივე მიზანს მიაღწიოს. ეს უნდა ყოფილიყო... რა თქმა უნდა... აი, ეხლა აგიხსნით... ძაან მარტივად....

ჟურნალისტი: – შესაძლებელი იყო ამ ბალანსის პოვნა? რა ნაბიჯები უნდა გადაედგა, ან რა უნდა ეთქვა პრემიერს ან სხვა პიროვნებებს?

გიორგი გახარია: – ძაან მარტივად, ერთი რამ უნდა გვესმოდეს ყველას, ახლა მე ჩამოგითვლით საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით რა უნდა გაეკეთებინა, არ უნდა მივცეთ არავის უფლება, ჩაგვითრიოს ომში, მაგრამ არ უნდა მივცეთ არავის უფლება, რომ საქართველოს იზოლაცია მოახდინოს. მეორე, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დღეს საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით შეინარჩუნოს უძლიერესი სამუშაო კავშირები და პარტნიორობა კიევთან და, რა თქმა უნდა, უნდა მოლდოვეთთან. ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ერთიანობა არის უაღრესად მნიშვნელოვანი და არ უნდა დაავიწყდეს არც საქართველოს მოქალაქეს და არც საქართველოს მთავრობას, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი წარუდგენს საერთაშორისო თანამეგობრობას პრეტენზიებს, იქ მარტო უკრაინაზე არ არი

საუბარი, საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვაზეც არის საუ-ბარი და ეს დღეს არავის არ ახსოვს და მთავრობას ჰგონია, თუ, ამას თუ არ შეიმჩნევს, ეს გაივლის და ჩვენს ცხოვრებაზე არანაირი ზეგავლენა არ ექნება. კიდევ ერთი, ძაან მნიშვნელოვანი მომენტი – ყველას, ყველა ვხედავთ, რა არის დღეს გეოპოლიტიკური ცვლილე-ბა, წარმოუდგენელი ძალების კონსოლიდირება უკრაინის სოლიდა-რობის ირგვლივ. საქართველო, რომელიც არის უმძიმესი უსაფ-რთხოების რისკების ქვეშ, ოკუპირებული ქვეყანა, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გააკეთოს და უკვე გაეკეთებინა იმისთვის, რომ ეს კონსოლიდირება უკრაინის გარშემო ჩვენც უნდა გვფარავდეს იმიტო, რო ჩვენც ოკუპირებული ქვეყანა ვართ, ჩვენც გამოვიარეთ რუსეთთან ომი 2008 წელს, ჩვენ ეს ფასი სისხლით უკვე გადახდილი გვაქვს და არავის არა აქვს იმის უფლება, რომ მთავრობამ ვერ იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობა, დაიმალოს და ჩვენს პარტნიო-რებს და, მათ შორის, კიევსაც, არ ჰქონდეს არანაირი მოტივაცია, რომ ის კონსოლიდაცია საერთაშორისო ძალების იყოს, ამ კონსო-ლიდაციამ გადაფაროს და ასევე უზრუნველყოს საქართველოს უსაფრთხოება. მეოთხე – საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით გა-მოცდები, გამოწვევები და, აი, ასეთი რთული პირობები არის შესა-ნიშნავი შესაძლებლობა შენს სტრატეგიულ პარტნიორებთან გააღ-რმავო ნდობა. ისე კი არ მოიქცე, როგორც იქცევიან, ნდობა გააღ-რმავო. იმიტო, რომ არავინ არ ითხოვდა საქართველოსგან, რომ გინდა თუ არა, მაშინვე პირველი სანქციებს შეერთებოდა. მოლო-დინი იყო, მოლოდინი იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური თანადგომის გამოცხადება, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობას შეეძ-ლო. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ამას ვინმე არ უყურებს, ან ვინმე ყურადღებას არ აქცევს? ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, მეგობ-რებო, ეს უნდა გვესმოდეს, ისინი როდესაც ამბობენ, რომ, მაგალი-

თად, ევროპულმა სახელმწიფოებმა იციან, რა ფასის გადახდა მოუწევთ იმ სოლიდარობაში, რომელსაც უცხადებენ მხარდაჭერაში უკრაინას. მათ იციან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაგალითად, ენერგომატარებლებზე ფასების ზრდას, ეკონომიკურ წნეხს და ასე შემდგომ, მათ ძაან კარგად იციან, რა პოლიტიკური და უსაფრთხოების რისკები მოჰყვება ამას ყველაფერს, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ მეორე მხარეს არის ჩვენი მომავალი და ჩვენი ფასეულობები. ამ დროს ჩვენი ქვეყნის მეთაური და გამოდის და ამბობს, რომ ომიო კიევში არიო და მე აქ ეკონომიკური პრობლემები მაქო. წარმოუდგენელი რამ ხდება, ეს უნდა გაკეთებულიყო ეს ოთხი პუნქტი, საგარეო პოლიტიკის მიმართებით, ეს უნდა ყოფილიყო, აი, სასწრაფო ღონისძიებები. ეკონომიკის მართულებით, ეკონომიკის მართულებით, როგორც კი ეს დაიწყო, ყველას უნდა გვესმოდეს, სასწრაფო დახმარება, ანტიკრიზისული დახმარება, პირველ რიგში, ექსპორტიორებს და ადამიანებს, რომლებიც რემიტანსებს იღებდნენ რუსეთიდანაც და უკრაინიდანაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, უნდა დავამთავრო, დამამთავრებინე ეს, გიორგი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ექსპორტის 25%, ეს დაახლოებით მილიარდია, ეს არის რუსეთი და უკრაინა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ორი ქვეყნიდან საქართველოში რემიტანსების სახით ყოველწლიურად ჩვენ ვიღებთ დაახლოებით ნახევარ მილიარდს.

ჟურნალისტი: –გადმორიცხვების დავაზუსტოთ ტერმინოლოგიურად.

გიორგი გახარია: – რა თქმა უნდა, უნდა გვესმოდეს, რომ იმ გადმორიცხვებით, რომლებიც ჩვენ საქართველოში მოდიოდა, ოჯახის წევრებს ურიცხავდნენ ქართველები, რომლებიც გარეთ მუშაობენ, უკრაინიდან და რუსეთიდან, არჩენენ ამ ოჯახებს, რომლებსაც აქვთ კრედიტები, რომლებსაც აქვთ უამრავი ხარჯები. დღეს ეს ყველაფერი გამქრალია. სახელმწიფომ პირველი, რაც უნდა გააკეთოს, რა

თქმა უნდა, გადაუდებელი მხარდაჭერა ექსპორტიორებს და ადამიანებს, რომლებიც იყო ამ გადარიცხვების მიმღებლები. ამასთან ერთად, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს რაც უნდა გავაკეთოთ, ფართო მასშტაბის სოციალური მხარდაჭერის სწრაფი, უსწრაფესი გეგმა. ჩვენ ხო ყველას გვესმის, ხო, ეს ორი უმსხვილესი ეკონომიკა, რომელიც ჩვენი ძირითადი პარტნიორები იყვნენ, ამ ეკონომიკების ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს არიან, პირდაპირი ზემოქმედება ექნება საქართველოში ენერგომატარებლების ფასებზე, იმფლაციაზე, დოლარის კურსზე, ყველაფერზე. ეს იქნება დამატებითი ეფექტი, კოვიდის შემდგომ, კიდევ უფრო დაამძიმებს ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობას და ეს ჩვენი მთავრობა იძახის, რო არაფერი არ ხდებაო, რა, მეო ორპროცენტ..., ორნიშნული ეკონომიკური ზრდა მაქვსო, აი, სრული წარმოუდგენელი, მე არ ვიცი ამას რა დავარქვა. ამასთან ერთად ელემენტარული საკითხი, როდესაც იცი, რომ შენი ქვეყანა საბაზისო მოხმარების პროდუქტებით დამოკიდებულია იმპორტზე რუსეთიდან და უკრაინიდან, ის, რო ვერ მოაგვარო, რო სასურსათო უზრუნველყოფის უსაფრთხოება დაალაგო და დღეს, აი, ეხა, ეს რაც ხდება თბილისში, წარმოუდგენელი რამ, ხო, ეს, ეს უნდა გაკეთებულიყო სასწრაფოდ, ეს მარტივია, ამაში რთული არაფერი არ არი, თან ამ ხალხს გამოცდილებაც აქვს, კოვიდის პირობებში ჩვენ ეს გავაკეთეთ, თან მაშინ ეს გლობალური პრობლემა იყო ამასთან დაკავშირებით. რაც შეეხება უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, უსაფრთხოების ნაწილს. დღეს საქართველოს მთავრობამ ზუსტად უნდა იცოდეს, რახდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ზუსტად, დეტალურად. საქართველოს მთავრობამ უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყანაში მიგრაციის და ემიგრაციის ნაწილში და დემოგრაფიულად სად ვართ და რა მდგომარეობაში ვართ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ყველაფერზე რა გეგმა აქვთ, რა სტრატეგია აქვთ, როგორ აფასებენ სიტუაციას დღეს, სად

მიჰყავთ ქვეყანა ხვალ. ამ ყველაფერზე მოქალაქეებს უნდა ესაუბრებოდნენ და ეს მოქალაქეები ბედის ანაბარა მიგდებული არ უნდა ყავდეთ. სწორედ აქედან იბადება შიშები, სწორედ აქედან იბადება დაუსაბუთებელი რიგები მაღაზიებში, აქედან იბადე...ბა ადამიანების უამრავი კითხვები, როდესაც ხედავენ, რო, ერთის მხრივ, უსუსური, შეშინებული, არაკომპეტენტური მთავრობა და წაგებული და დაკარგული პერსპექტივები საერთაშორისო მიმართულებითაც, გადაუზღვეველი რისკები ეკონომიკაში და, ეხა, როგორ შეიძლება, მაგალითად, მთელი მსოფლიო გლობალურად აფასებს თავისი თითოეული ქვეყნების რისკების შემცირებას და ჩვენ გვეუბნებიან, რო, ჩვენი სპეციალური სამსახურები გვეუბნებიან, რო საქართველოს არაფერი არ ემუქრებაო. მე ერთი რამე მინდა დასკვნის სახით გითხრათ, ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს რაც ხდება უკრაინაში, ეს არ არის მხოლოდ უკრაინაზე, უკრაინის შემდგომ ყველაზე მეტად ვისზეც არი, საქართველოზეა. დღეს ჩვენ ჩვენი ჩრდილოელი მეგობარი გვეუბნება, მეზობელი, ბოდიშით, გვეუბნება, რომ საქართველოს სუვერენული უფლება უნდა იყოს შეზღუდული, რომელ ალიანსებში გაწევრიანების უფლება აქვს – ერთი, და მეორე – გვეუბნება, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება მისთვის მიუღებელია. ეხა, მე მინდა გკითხოთ, გიორგი, ჩვენი მშობლების, ჩვენი ცოტა უფრო უფროსი თაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მიზანი რა იყო? იყო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და დღეს ჩვენ უბრალოდ ამას გვიზღუდავენ.

ჟურნალისტი: – და დემოკრატიულიც დავამატოთ, იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ...

გიორგი გახარია: – დემოკრატიულიც, რა თქმა უნდა, გეთანხმებით.

ჟურნალისტი: – მთავარი არის დემოკრატიის ვირუსი, რომლისაც ეშინიათ, ხო...

გიორგი გახარია: – მე ... მე ... მე ... მინდა გითხრათ, რომ თუ ჩვენი მთავრობის, დღევანდელი მთავრობის, პასუხი მიმდინარე გამოწვევებზე გაგრძელდება ისე, როგორც იყო აქამდე და ცოტა გონს არ მოეგებიან, ცოტა გონს არ მოეგებიან, და თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნების მიზანს არ გადააყოლებენ ქვეყნის სუვერენიტეტს და ქვეყნის ევროპულ მომავალს და პერსპექტივას და ჩვენი შვილების მომავალს, როგორ, როგორ სახელმწიფოში იცხოვრებენ, ქვეყანაში, უბრალოდ, დგება ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების საკითხი და ეს არ იქნება ხუმრობა, თქვენ ხო გესმით, რომ დღეს უკრაინაში რაც ხდება, ეს არის ეროვნული მოძრაობა, რომელიც დაიბადა და ძლიერდება და ვითარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, საუბედუროდ, ომის პირობებში. ჩვენ ეს გამოვიარეთ 2008 წელს, ჩვენ დღეს ყველაზე კარგად უნდა გვესმოდეს, რას ნიშნავს სტრატეგიული პარტნიორის გვერდით დგომა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიცაა უკრაინა, ჩემთვის წარმოუდგენელია, აი, უბრალოდ მორალს მიღმა არის, როდესაც ომში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც ობიქტურად, ყველას ესმის, რო არ შეგიძლია პირდაპირ დაეხმარო, ბრალს დებ ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობაში და რაღაც წარმოუდგენელ, აი, რაღაც ვიწრო, პოლიტიკურ, შენს კონტექსში, შიდა ქვეყნის და ამით რისკის ქვეშ აყენებ... ერთი რამე უნდა გვესმოდეს ყველას, საქართველოს გაფუჭებული ურთიერთობა უკრაინასთან ტირე – მოლდოვასთან, ეს ფაქტობრივად, ფაქტობრივად, ანულებს საქართველოს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობის შესაძლებლობას, აი, ასეთ პროგნოზირებად მომავალში. ეს ყველას კარგად უნდა გვესმოდეს და ჩვენ, როდესაც ვცდილობთ, ყველანი ერთად, რომ ეს ქვეყანა, რომელმაც მართლა დაიმსახურა უკვე წლებით, ომით, სისხლით, დამოუკიდებლობისთვის რუსეთთან ბრძოლებით, რომ შეასრულოს, როგორმე მიაღწიოს წინაპრების მიზანს და

იყოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ერთიანი, ცივილური, თანამედროვე, განვითარებული ევროპული ოჯახის წევრი, ეს არ არის აქ ჩვენი თობის, ეს ასწლეულობის მიზანი და ოცნება იყო ჩვენი წინაპრების და დღეს ეხლა თუ ვიღაცა ცდილობს, ან თავისი არაკომპეტენტურობით, ან თავისი სიმხდალით, ან იმით, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავის სკამს არის ჩაბდაუჭებული და ძალაუფლების დაკარგვა არ უნდა, ეს იქნება კატეგორიულად მიუღებელი და ეს იქნება სტიმული, რომელიც გააჩენს ქვეყანაში ახალ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც საბოლოოდ გააფორმებს ძლიერ, თანამედროვე, დამოუკიდებელ, ევროპულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ჟურნალისტი: – ბევრი რამ თქვით საინტერესო, თუმცა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ახალი ეროვნული მოძრაობის წარმოშობის პერსპექტივა, თქვენი მხრიდან დანახული, არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, რადგან ეროვნული მოძრაობა თავის თავში გულისხმობს აქტიურ ბრძოლას ყველა მეთოდის გამოყენებით, რაც თავისუფლებისთვის მებრძოლ ერს შეიძლება ახასიათებდეს, ეს ნიშნავს იმას, რომ პარტიული ხაზებიც კი იკარგება ამ ბრძოლაში თავისუფლებისთვის, სუვერენობისთვის და დემოკრატიისთვის ბრძოლაში. თქვენ დღეს ოპოზიციურ ფლანგზე ხართ წარმოდგენილი, თუმცა გაქვთ „ქართულ ოცნებაში“ ყოფნის გამოცდილებაც, სწორედ ამიტომ კითხვა, რომელსაც თქვენ დაგისვამთ თქვენი მხრიდან პასუხგაცემული შეიძლება უფრო მეტად დაფასდეს და საინტერესო იყოს. მე ჩავინიშნე რამდენიმე ფრაზა, მათ შორის ის, რომ მათ გონიათ, რომ შეიძლება რაღაცას აარიდებენ, გონიათ, რომ ეს პროცესი ისე ჩაივლის და ა.შ. თუმცა არსებობს ამისგან უფრო განსხვავებული, უფრო მკაცრი ვერსიაც, რომ ხელისუფლების სათავეში დღეს არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომლებიც პირდაპირ ასრულებენ დავალებებს, რომელიც მოდის მოსკოვიდან. მე განსაკუთრებით შეგახსენებდით მაგალითისათვის შარლ-მიშელის

შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო დაზვერვის სპეციალურ განცხადებას, აი, ნარიჩკინის, აწურული რო იდგა იქ, პუტინთან – ნუ ერევით საქართველოს საშინაო საქმეებში და ა.შ. არსებობს გარკვეული ინფორმაციები, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს ძალიან მკვეთრად შეზღუდული მოქმედების სივრცე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების. არსებობს მოსაზრებები, რომ მათ პირდაპირი, ღია გზავნილები მიიღეს მათ, დაფარული არხებით, უფრო სწორად, რომ სამხედრო ინტერვენციის საფრთხე იქნებოდა ძალიან აქტიური და ა.შ. ანუ ორი ვარიანტია: ერთია, რომ იმ დონეზე შეყვნენ ამ თამაშს, ისე რომ ვედარ გამოდიან, მეორეა, რომ მართლა დაექვემდებარენ, მათ შორის, სამხედრო პოლიტიკურ შანტაჟსაც მოსკოვის მხრიდან. რომელ ვერსიას უფრო მეტად განიხილავთ თქვენ? იმიტო რო, შეუძლებელია ასეთი მასობრივი არაკომპეტენტურობის მოწმე ვიყოთ, შეიძლება ერთ ადამიანთან მიმართებაში, კი, მე, მაგალითად, ღარიბაშვილთან მიმართებაში ეს, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მარტო ღარიბაშვილი ხო არ არის ეს მთავრობა, არა? როცა ამდენი შეცდომა იქნა დაშვებული, აქ უკვე ეს პოლიტიკას ნიშნავს ანუ პოლიტიკის ნაწილია და ეს პილიტიკა უნდა იყოს ნაკარნახები ძალიან კონკრეტული მოცემულობით. რას მიიჩნევთ თქვენ მოცემულობას? ეს მთავრობა დღეს რუსეთის პოლიტიკის შემსრულებელია თუ შანტაჟს იმ დონეზე დაექვემდებარა, რომ მას უბრალოდ გადაწყვეტილებების მიღების თავისუფალი ნება აღარ გააჩნია?

გიორგი გახარია: (იცინის) – ჰმ, გიორგი, თქვენ ეხლა რაც თქვით, იმ კონტექსტში, რასაც მე ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, ახალ ეროვნულ მოძრაობას, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა მიზეზის გამო ხდება ეს. თქვენ რაც თქვით, ერთ და მეორე ვარიანტშიც, ადასტურებთ იმას, რომ ახალი ეროვნული მოძრაობა ამ ქვეყანს

სჭირდება მისი მომავლისთვის. ეხლა რაც შეეხება უფრო დეტალურად თქვენს კითხვაზე პასუხს, რა თქმა უნდა, ამ მთავრობაში საკმაოდ არიან კომპეტენტური ადამიანები, საკმაოდ არიან კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მკაფიოდ და სწორად აფასებენ და ძაან კარგად ხედავენ, დღეს რა ხდება. მე ამასთან მიმართებაში ცოტა უფრო სხვა მიდგომა მაქ. პირველი, ვიტყვი, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, სისულელით თუ განზრახ აკეთებ რაღაცას, თუ ამას, შედეგი დგება, რომ ეს რუსულ წისქვილზე ასხამს წყალს, ჩემთვის უკვე არანაირი მნიშვნელობა არა აქ, რის გამო ხდება ეს, შენი სისულელით თუ განზრახ აკეთებ ამას. ეს ერთი, მაგრამ უფრო დეტალურად ტექნოლოგიაში რო ჩავიდეთ, მე ვთვლი, რომ არ თვლიან იქიდანაც საჭიროდ ამ ჩვენ მთავრობასთან ლაპარაკს, აი, არც დაელაპარაკებიან, არც თვლიან საჭიროდ, რომ მათ ელაპარაკოთ და გეტყვიან, რატომ, გეტყვით, რატომ. იმიტო რო დღეს ყველა ხედავს, რომ ქართული ხელისუფლების პრინციპები არის სრულად ავტორიტატული და ყველას ძაან კარგად ესმის, რომ ავტორიტატულ პრინციპებზე დალაგებული ხელისუფება და მთავრობა ვერასოდეს ვერ გახდება ევროპული ოჯახის წევრი. მათ ბუნებრივად უწევთ იმ ავტორიტარულ სივრცეში მოძრაობა, სადაც ეს მისაღებია. საბოლოო ჯამში, მე მჯერა იმის, რომ ეს ხდება, აი, ამის გამო და აი, ასე. საბოლოო ჯამში, რა შედეგი ექნება ეხლა ამას? პირდაპირ ბრძანებებს იღებენ იქიდან თუ უბრალოდ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით იძულებულები არიან, რომ იმოძრაონ იქით მხარეს, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მე ვიცი ერთი რამ, ეს მოძრაობა და ასეთი პოზიციონირება, აი, შუაში, უსპობს ჩვენს ქვეყანას ევროპულ, თანამედროვე, დემოკრატიულ მომავალს. მე ერთ რამეს გეტყვით, რაც ძაან სწორად თქვა ეხლა აქ ინტერვიუში, რაც უფრო დიდხანს უკრაინული არმია შეძლებს გაუწიოს წინაღმდეგობა რუსულ არმიას, მით უფრო

რთული იქნება დაბალანსებული შუაში პოზიციის, ვითომ არც იქით, არც აქეთ, პოზიციის დაჭერა. ამისთვის ყველანი უნდა მოვემზადოთ, ეს ყველას უნდა გვესმოდეს და, პირველ რიგში, უნდა ესმოდეს საქართველოს მთავრობას, იმიტომ რომ არჩევანი დღეს, აი, უყურეთ, ძაან მარტივია, განსაკუთრებით ოკუპირებული ქვეყნისთვის. როგორ გგონიათ, საქართველოს უსაფრთხოების გარანტი, თეორიულადაც, ვინ შეიძლება იყოს და რა არჩევანი გვაქვს ჩვენ? აი, ვინმეს წარმოგიდგენიათ, რომ დღეს გლობალურად გამწვავებულ პირობებში, როდესაც რუსეთმა, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების არსებობის უფლება, მათ შორის, უკრაინის, ხო, ისეთი ფორმით როგორითაც ისინი საერთაშორისოდ იყვნენ აღიარებული, აი, ამ გარემოში შეიძლება, რომ დასავლეთის და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გარდა ვინმე იყოს ჩვენი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და სახელმწიფოებრიობის გარანტი? არჩევანი ხომ მარტივია – ან თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიო, რომელიც კონსოლიდირებულია დღეს უკრაინის ირგვლივ, ან უკან საბჭოთა რუსეთში. სხვა არჩევანი გვაქვს? ვინმეს გვაქვს სხვა არჩევანი? თუ ვინმეს გონია, რომ საქართველოს დღევანდელი განვითარების ეტაპზე და დღევანდელი მთავრობით აქვს რესურსი იმის, რომ დამოუკიდებლად იბრძოლოს ყველა ფრონტზე? ეს ხო წარმოუდგენელია. ამიტომ ვამბობ მე, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია, საქართველოს გონიერმა მთავრობამ ის კონსოლიდირებული ძალა, რომელიც იცავს საერთშორისო, დემოკრატიული, თანამედროვე მსოფლიო, რომელიც იცავს დღეს უკრაინას, ეს ფარი ჩვენც უნდა გვფარავდეს. ეს, ეს თუ ჩვენ, ჩვენზეც არ გავავრცელეთ, ძალიან გავიჭირდება, ელემენტარული, უსაფრთხოების გამოწვევების დაზღვევა კი არა, მოგვარება უახლოეს...

ჟურნალისტი: – ამ მხრივ პოზიციების გააქტიურებას, „ქართული

ოცნება“ ეძახის ომში ჩართვის, ჩათრევის მცდელობას, ოპოზიციის სხვა პირების მხრიდანაც, ომის პარტიის რიგებში თქვენც ჩადგებით ამ განცხადებების შემდგომ.

გიორგი გახარია: – „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ, „ქართულმა ოცნებამ“ ერთი რამ... ეს არის, ეს არის დემაგოგია..

ჟურნალისტი: – თქვენ თქვენი საუბარი დაიწყეთ უბრალო ადამიანებზე იმის ახსნით, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს საქართველოს მხრიდან სწორი პოზიციის დაკავებას, ასეთივე უბრალო ადამიანებს და არაპოლიტოლოგებს რომ განუმარტოთ, რატო ნიშნავს ის, რაზეც თქვენ საუბრობთ, უსაფრთხოების უფრო მეტ გარანტიებს და პირიქით, ომის საფრთხეების მეტ-ნაკლებად განეიტრალებას და არა პირიქით, ომში ჩართვას. ანუ რუსეთთან მკაცრი და მკაფიო პოზიციონირება რა ფორმით გამორიცხავს საფრთხეს, რომ რუსეთი თავის სამხედრო ინტერვენციას საქართველოს ტერიტორიაზე გააგრძელებს?

გიორგი გახარია: – ეს ძაან მარტივია. რუსეთი დღეს უკვე არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთი დღეს უკვე იმ განცხადებით, რომელიც უკვე მსოფლიოს წარუდგინა, წაუყენა, ფაქტობრივად...

ჟურნალისტი: – კი, იქ ჩამონათვალში საქართველო ფიგურირებს.

გიორგი გახარია: – ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტს მის ტერიტორიაზე და ამის შემდგომ ვიღაცას თუ გონია, რომ რუსეთი უფრო იქნება ქვეყნის უსაფრთხო განვითარების გარანტი, ვიდრე დასავლური სამყარო, მას საერთოდ, არ ვიცი, რაზე უნდა ველაპარაკოთ. ყველას ხო ძაან კარგად გვესმის, აი, ყველა ხო ვხედავთ... მოდით ერთ რაღაცას გეტყვით და ვფიქრობ, რომ ეს ძაან ნათელი იქნება ჩვენი მოქალაქებისთვის – ზუსტად ხუთი წლის წინ რო

შეგედარებინათ განვითარების დონე, რა თქმა უნდა, ევროპულ მისწრაფებებთან მიმართებაში საქართველოსი და უკრაინასი, საქართველო იყო ბევრად წინ, ვიდრე უკრაინა, ბევრად, თქვენ რო 5-6 წლის წინ შეგედარებინათ საქართველოს ჯარის მდგომარეობა, მისი სტანდარტების შესაბამისობა, საერთშორისო სტანდარტებთან და უკრაინის, წარმოუდგენელი სხვაობა იქნებოდა საქართველოს ჯარის სასარგებლოდ. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, როდესაც 2015 თუ 2016 წელს ჩვენ მივიღეთ თავისუფალი სავიზო რეჟიმი, საქართველო ისეთ კარგ ფორმაში იყო, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორების თხოვნით ჩვენ რამოდენიმე თვე ველოდებოდით უკრაინას, რომ უკრაინას თავისი მაჩვენებლები გამოესწორებინა, რომ ერთად მიგვეღო უვიზო რეჟიმი. დღეს, სულ რაღაც ხუთი, ექვსი თუ სამი თუ ორი წლის შემდეგომ საერთოდ შეუდარებელია ის მაჩვენებლები, რომელიც აქვს უკრაინას, მე კიდევ ერთხელ ვამბობ, ევროპულ მისწრაფების კონტექსტში, და ის რაც გვაქვს ჩვენ. ჩვენ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აღარ გვენდობიან, არ ჯერათ ჩვენი რეფორმების.

ჟურნალისტი: – ბატონო გიორგი, არა, არა წამოძახებისთვის, ამ შემთხვევაში, უბრალოდ, თქვენ იმ პერიოდშიც, ამ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში, გარკვეული პერიოდი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი იყავით, თუ ამ მხრივ ქვეყნის განვითარების ტენდენცია ნეგატიური იყო, მაშინ სად არის თქვენი პასუხისმგებლობა და, მათ შორის, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ, ის, რომ ჩვენი ქვეყნის შიდა დემოკრატიული რესურსი არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად, უფრო დინამიურად წაეყვანა დასავლური ინტეგრაციისკენ, ეს ფაქტია. ამის დამაბალანსებელი შეიძლებოდა და უნდა ყოფილიყო თავად დასავლეთის მოახლოება ჩვენთან, მათ შორის, ინფრასტრუქტურული, უსაფრთხოე-

ბის სისტემების გათვალისწინებითაც და აქ შეუძლებელია არ ვახსენოთ ანაკლიის პორტის ისტორია, საერთოდაც არ მინდა რო ვახსენოთ, გნებავთ, მამუკა ხაზარაძე ან ბადრი ჯაფარიძე, არა, მაგრამ დავუშვათ, მათ რაღაც ისე არ გამოუვიდათ, როგორც თქვენი ვერსიით ეს ასეა, ხო, ბადრიც და მამუკაც რომ გვერდზე გადაგვედო და საერთოდ ეს ისტორია, თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრმა, რატომ არ გააკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ დღეს ამერიკელები, მათ შორის, ანაკლიის პორტის მეშვეობით აქტიურად მდგარიყვნენ აქ, ამ რეგიონში და, მათ შორის, ჩვენი ინფრასტრუქტურა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი საყრდენი იმ შემადგენელი ჯაჭვისა, რომელიც რუსეთის, აი, ამ აგრესიული მოძრაობის შემაკავებელ ფაქტორად შეიძლებოდა ქცეულიყო.

გიორგი გახარია: – პირველი, სად არი ჩემი პასუხისმგებლობა, როცა მეკითხებით, ჩემი პასუხისმგებლობა არის იქ, რომ მე ეხლა აქ ვზივარ ან ვდგევარ და ვპასუხობ იმ კითხვებს, რომლებიც გაქვთ თქვენ და რომელიც აქვს საზოგადოებას. და ბევრჯერ მომიწია უკვე ერთი და იგივე კითხვებზე, როგორიც არის 20 ივნისი, როგორიც არის პანკისი, როგორიც არის ანაკლია – ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, ეს არის ჩემი პასუხისმგებლობა და სანამ ეს კითხვები იქნება, მე ამ კითხვებზე ყოველთვის გავცემ პასუხს. რაც შეეხება, რატომ მაშინ მე იქ რომ... მე სანამ მქონდა შესაძლებლობა, პოზიტიური როლი მეთამაშა და ფუნქცია შემესრულებინა ქვეყნის დასავლეთისკენ მოძრაობაში, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და ა.შ., და ა.შ. მე იქ ვიყავი, როგორც კი ეს გახდა შეუძლებელი და უკვე, აი, ესე რადიკალურად დადგა საკითხი კერძო პოლიტიკურ ინტერესებსა და ქვეყნის ინტერესებს შორის, მე გადავდგი ის ნაბიჯი, რომელიც გადავდგი, რომელიც, არავისო არ ვიტყვი, მარა ბევრს საერთოდ არ გადაუდგამს და ვერც წარმოედგინა. ეხლა, რაც შეე-

ხება და, ერთი რამე მინდა გითხრათ კიდე – ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლის პროცესში ყველაზე, სამწუხაროდ, სამწუხაროდ, ყველაზე მძიმე შედეგები ჩვენ გვქონდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ეს არის ფაქტი, ამას ყველა აღიარებს. ეხლა, რაც შეეხება ანაკლიას, ეს ყოველთვის სუბიექტური იქნება დავა, კერძო ინვესტორი ჩათვლის, რომ მე იქ რაღაც ნეგატიური როლი შევასრულე, მე ჩავთვლი, რომ კერძო ინვესტორი ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს. ამას რო, ახლა, აი, ამ ბურალტერიაში და კინკლაობაში რო არ შევიდეთ, და გეტყვით, რატომ. მე, მე, მე...

ჟურნალისტი: – სახელმწიფოს აქტიური ჩარევით უნდა გაეკეთებინათ.

გიორგი გახარია: – უნდა გაეკეთებინათ და გააკეთებდა კიდეც. მე გეტყვით ერთ რამეს, რომ, ყოველთვის ვამბობდი, ვიტყვი და ასეც იქნება, საქართველოში ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურა ქვეყნისთვის და რეგიონისთვის აუცილებელი. მას უნდა ყავდეს პასუხისმგებლიანი ინვესტორი საერთაშორისო ინვესტორებთან ერთად. ეს შეიძლება იყვნენ ამერიკელი, ევროპელი, იაპონელი ინვესტორები, ალბათ, აი, ასე. მაგრამ ეს კომპოზიცია არის უაღრესად მნიშვნელოვანი, იქ ბევრი ნიუანსი იყო, რომელზეც საუბრის დრო და შესაძლებლობა ეხლა არ არის. ეხლა, ამ კითხვასთან დაკავშირებით ერთი რამე მინდა გითხრათ, რა, რა არის ჩემთვის ყველაზე გაუგებარი და კატეგორიულად მიუღებელი? დღეს, როდესაც ყველა ნორმალური ადამიანიუკრაინაში, საქართველოში, მოლდოვაში, ბალტიისპირეთში, პოლონეთში, ბევრგან ხვდება და გრძნობს, რომ მათი სუვერენიტეტი, მათი დამოუკიდებლობა, მათი განვითარება, კეთილდღეობა არის რისკის ქვეშ, ყველგან, აი, ყველგან, თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ, ყველგან უდიდესი მოძრაობა არის ერთიანობისკენ, კონსოლი-დირებისკენ, გაერთიანებისკენ.

ჩვენთნ ეს ვერ ხდება. ის, ის შესაძლებლობა, ყველაზე დიდი, რასაც დღეს, დღევანდელი მთავრობა უშვებს ხელიდან, რომ შეძლოს კონსოლიდირება მოსახლეობის, მოქალაქეების, პოლიტიკური ძალების, საზოგადოების, ამის ხელიდან გაშვება, როდესაც მიზანი, ამაზე დიდი მიზანი ხომ ვერ იქნება...

ჟურნალისტი: – ბატონო გიორგი, ღარიბაშვილი ამას არ გააკეთებს, ჩემთვის ეს სრულიად ნათელია. ორი სიტყვით აგიხსნით, რატომ. კობახიძე და ღარიბაშვილი, მთელი მათი ძალაუფლების, ესე ვთქვათ, ამ ტანდემის ძალაუფლების კონსტრუქცია მთლიანად დგას ერთი – რუსეთთან ურთიერთობის დალაგების და რუსეთის უძლეველობის ფაქტორზე, ამიტომაც ჩვენ ასე უნდა ვიყოთ რუსეთთან მიმართებაში და ევროპელები კიდევ მოგვითმენენ, მეორე – ეს არის ქართული ოპოზიციის, როგორც მოცემულობის ელიმინაციის ანუ განადგურების, აღმოფხვრის ამოცანა, ესენი ყველანი ნაცები არიან არა ნარკომანები, თქვენ შემთხვევაში. და, მათ შორის, ქართული მედიისადმი დამოკიდებულებას და დემოკრატიული რესურსისადმი დამოკიდებულებაც, რომ ესენი არიან ქვეყნის მოღალატეები, ესენი ებრძვიან ეკლესიას, ყოველგვარ ეროვნულს და ა.შ., და ა.შ. ანუ ამ ხალხმა ისე შეტოპა ამ მიმართულებით, რომ ამ ადამიანების მიერვე ფონის გამოძებნა სხვებთან საურთიერთოდ შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, მე დარწმუნებული ვარ, ამ სიტუაციაში თავის დროზე ღარიბაშვილს და ამ ხალხს რომ გამოეჩინა ინიციატივა, ბევრი ოპოზიციური პარტია მზად იყო იმისთვის, რომ უკრაინასთან მიმართებაში საერთო პოზიციები გაეზიარებინათ, მაგრამ ფაქტია, რომ პირიქით ხდება ეს ამბავი, ამიტომ, როცა თქვენ ეროვნულ მოძრაობაზე ლაპარაკობთ, ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ხომ არ დადგა დრო, რო თქვენ, ქართული ოპოზიციის სხვა მოქმედი ლიდერები, თქვენთან მიმართებაში საკმაოდ კრიტიკულად განწყობილები,

დღეს მართლაა ისეთი კრიტიკული მომენტი, რაღაცა საერთო ოპოზიციური, ერთობა სიტყვას არ ვამბობ, მაგრამ თუ თქვენც ჩემსავით გაქვთ ის შეგრძნება, რომ ძაან კრიტიკულ წერტილს მივადექით, რომლის იქითაც ამ ქვეყნის მომავალი მართლა განისაზღვრება ათწლეულებით, ეს ნიშნავს იმას, ბევრი რაღაცის დავიწყება არა, მაგრამ დროებით რაღაცეებზე თვალის დახუჭვა ჭირდება ჩვენს ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვაქვს ეს მოცემულობა – ღარიბაშვილი, ჩემი აზრით, ივანიშვილთან პირდაპირი კავშირით საქართველოს ბოლომდე მიათრევს იმ, უკვე საბჭოთაც აღარ იქნება იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი შეიძლება ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის ხალხს შეიძლება კიდევ უფრო შედარებით უკეთესად ახსოვდეს იმიტომ, რომ ეს მაინც უძრაობის ხანა იყო რეპრესიები ნაკლები იყო და კორუფცია დიდი იყო და შეიძლება ეს ვიღაცეებს უკეთესად ახსოვს, მაგრამ უარესი საბჭოთა კავშირის პერიოდი შეიძლება დადგეს აქ თავისი რეპრესიებით და სიღარიბით. აი თუ ასეთი მძიმე ალტერნატივაა, სად არის შინაგანი ძალა და ენერგია პოლიტიკურ ლიდერების მხრიდან, რომ ამას მისცენ ფორმა, შეუქმნან დისკომფორტი კი არა, შეუძლებელი გახადონ ღარიბაშვილის და მისნაირების მეშვეობით საქართველოს იმ ტიპის რუსულ „რუსკი მირში“ შეთრევა და ჩატოვება.

გირგი გახარია: – ნუ, ვერ შეითრევენ, პირდაპირ გეუბნებით, რომ ვერ შეითრევენ.

ჟურნალისტი: – რატომ ვერ შეითრევენ?

გიორგი გახარია: – აგიხსნით, აგიხსნით, რატო. მარტივად აგიხსნით. ეხლა რაც ხდება, თქვენ რასაც ამბობთ, იმიტომ, რომ მოუწევთ, ხო იცით, არის საერთო სახალხო ენერგია, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, ეს ხო არ არი ლარის კურსი და ნავთობის ფასი ან საწვავის ფასი. ეს ქვეყნის სუვერენიტეტზეა საუბარი. დღეს, შეხედეთ, რა ხდება, დღეს ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ახალგაზრობა, ჩვენი

მოქალაქეები თავიანთი ეროვნული თვითშეგნებით, ტრადიციებით ბევრად უფრო ახლოს არიან ევროპასთან, ბევრად, ვიდრე ჩვენი მთავრობა, ფასეულობების დონეზე. რა არის ჩვენი მთავარი პრობლემა? ჩვენი მთავარი პრობლემა არის ის, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ბევრად უფრო პროგრესულები არიან, ვიდრე ჩვენ მთავრობა გვყავს, ეხლა რატომ ხდება ასე? მარტივი მიზეზის გამო. დღეს ჩვენ მთავრობას, მე არჩევნების პერიოდში ყოველთვის ვამბობდი, რომ ამ მთავრობას უკვე აქვს და ექნება ლეგიტიმაციის სერიოზული პრობლემები, იმიტომ, რომ პოლიტიკური რესურსი არ არსებობს. გამოჩნდა პირველივე კრიზისში, პირველივე კრიზისში, აი, მთავრობა, რომელიც გრძნობდა თავის თავს, აი, დაუმარცხებლად, ყველაფერი მოიგო, ყველაფერი...პირველივე კრიზისი, სწორი პოზიციონირების ვერმოძებნის და სითამამის და პროფესიონალიზმის და კომპეტენციის არქონის გამო, ჯერ ხო თვითონ უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იყენებენ თავს, რა თქმა უნდა, და ქვეყანასაც აზიანებენ. მაგრამ აქ მთავარი რა არი? აი, ეს ენერგია, საერთო სახალხო, რომელიც ბევრად უფრო პროგრესულია, გიორგი, აი, გამოვიდა ჩვენმა ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა და რაღაც მორიგი სისულელე თქვა. გამოვიდა რამოდენიმე ათასი ადამიანი ამმმ, იმაზე რა ქვია, რუსთაველის პროსპექტზე და სიტუაცია გამოასწორა. სახალხო რაღაც შუღლი დადაპირეისპირება მაინც არ მოხდა.

ჟურნალისტი: – სხვათა შორის, მინდა გკითხოთ, აი, მაგალითად, სალომე ზურაბიშვილმა აქციის მსვლელობის დროს შეგვეხმიანა და ადმინისტრაცია ჩაერთო, მიმართა და ხალხი შეხვდა ემოციებით პრეზიდენტის გამოსვლას. იმიტო კი არა, რომ იქ შეკრებილ ადამიანებს...

გიორგი გახარია: – იმიტომ რო გონიერი და ლოგიკური გამოსვლა იყო.

ჟურნალისტი: – სალომე ზურაბიშვილის ყველაფერი მოწონთ, წარსულში მისი გაცხადებული პოზიციები. არა, მაგრამ, აი, ამ კონკრეტულ მომენტში, როცა ქვეყანას ჭირდება ერთიანობის ჩვენება, ამ თემებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ლიდერების პოზიციები. მსგავს აქციებში, მსგავსი ერთიანობის, ასე ვთქვათ, აქციებში, აი, თქვენ პირადად რატო არ მონაწილეობთ, ან თუ გაქვთ სურვილი, ან ერთობლივად დაიგეგმოს მსგავსი...

გიორგი გახარია: – აი, მე არანაირი, არანაირი პრობლემა არა მაქ მონაწილეობის. ჩვენი, ჩვენი პარტიის წევრები მონაწილეობდნენ. ეხლა, მე არ ვთვლი საერთოდ, რომ მსგავსი აქციები უნდა გახდნენ პოლიტიკური პოზიციონიერების ადგილი. ეს უნდა იყოს სოლიდარობის, პირველ რიგში, უკრაინელ ხალხთან სოლიდარობის, იმისთვის, რომ ჩვენი ზოგიერთი დურაკი მთავრობის წევრის შეცდომები რო გამოვასწოროთ. ამისთვის იყო ეს გაკეთებული და ეს მოხერხდა. ეხლა რა არის, რა არის აქ...

ჟურნალისტი: – მოდით, სხვანაირად დაგისვამთ შეკითხვას.

გიორგი გახარია: – აბა, მიდი, გისმენთ.

ჟურნალისტი: – აი, თქვენ ამბოთ, რომ რადაცა ენერგია არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილისგან, მე ვიცი, რომ ეს იარსებებს და, მეტსაც გეტყვით, რომ ცოტახნში გადაცემაში მე გამოვაქვეყნებ სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ერთ-ერთი ორგანიზაციის, რომელშიც ნათლად ჩანს ქვეყნის მოსახლეობის განწყობა უკრაინაში მიმდინარე ომის და საქართველოს მომავლის მიმართ და ეს ციფრები ვერ დაიდებოდა, რომ არა თავად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა ამ პოზიციების. მაგრამ მიუხედავდად ამისა, რადაც ერთი ვიწრო ჯგუფი, ხელისუფლებაში მოკალათებული, ახერხებს პროცესის მართვას, ხშირ შემთხვევაში, კანონის საწინააღმდეგოდ, და ამისთვის იყენებს, მათ შორის, ისეთ მექანიზმებს, როგორიც არის პოლიცია, პატრული

და ა.შ. და ეს ხალხი დღეს გადაიქცა რეპრესიულ მექანიზმად და არა კანონის დამცველებად. ძალიან ვწუხვართ, როდესაც პატრულის და პილიციის ავტორიტეტი და რეპუტაცია ამ მხრივ ძალიან კნინდება და საზოგადოების თვალში...

გიორგი გახარია: – მაგრამ ეს არ აძლევს არავის უფლებას, პატრულს, ბოდიშით და, რაღაცა ესროლონ ან რაღაცა ფქვილი შე.... ეს ასე არ ხდება, სახელმწიფო ასე არ შენდება, გიორგი.

ჟურნალისტი: – პატრულისთვის ის ტუალეტის ქაღალდები არ უსვრიათ, ესროლეს მთავრობის შენობას.

გიორგი გახარია: – რა მნიშვნელობა აქვს, რა მნიშვნელობა აქვს, შეხედე, გიორგი, აქ არა...

ჟურნალისტი: – აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენება მათ არ უნდოდათ.

გიორგი გახარია: – გასაგებია, გავიგე, ეს გავიგე, მაგრამ...

ჟურნალისტი: – მათ დაიწყეს ამათი დაჭერა, დაპატიმრება, როცა უკვე აქცია იშლებოდა. ძალიან ცუდი სიტუაცია მივიღეთ. ჩამოყალიბდა ვითარება, როდესაც ახალგაზრდა აქტივისტებზე პატრული, პოლიცია ნადირობს მაშინ, როდესაც სანადირო კი არა, კანონი როა აღსასრულებელი მოძალადე და დია ჯგუფებზე, რომლებიც პირდაპირ დავალებებს ასრულებენ რუსეთიდან, ეს ადამიანები თავისუფლად კი არ დადიან, სასამართლოს ეზოში იყვნენ კვლავ ჟურნალისტების საცემრად. ეს არის ჩვენი სასამართლო სისტემა და ჩვენი პოლიცია დღეს, ბატონო გიორგი. ამ ადამიანებს მოვეფეროთ, კი ბატონო, დავიცვათ მათი მუნდირი, მაგრამ თავად უნდა მოგვცენ საშუალება, რომ მათ ღირსებას პატივი ვსცეთ.

გიორგი გახარია: – ეს არგუმენტია, ეს არგუმენტია და რატომ ხდება? კარგი, კარგი, ეხლა მე გეტყვით, აი, კითხვა რომ დამისვით, ოპოზიციური ერთობა, ერთიანობა და ასე შემდგომ. იქაც ძაან ბევრი პრობლემებია და, სხვათა შორის, კრიტიკული პრობლემებია. მათ

შორის, მაგალითად... ახლა, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, მე როგორც არ უნდა მომწონდეს, ან არ მომწონდეს, ან კრიტიკულად ვიყო განწყობილი, ან საერთოდ, შეიძლება, ბევრზე უკეთესად ვიცოდე, რა არის დნმ ამ გადაწყვეტილების მიღების დღეს, როდესაც ქვეყანაში, რეგიონში ცხელი ომია სანამ ეს პიკი დაძაბულობის, ტემპერატურის არ მორჩება, მთავრობის და პრემიერის გადადგომაზე დღეს ლაპარაკი არასწორია. არ შეიძლება დაპირისპირების ასეთი ხარისხი და ტემპერატურა, ყველა აქციის გამოყენება იმიტო, რომ ჩვენი მტერი ამას ელოდება. ერთი პატარა, ერთი პატარა, ჩვენი პრობლემა არის ეს.

ჟურნალისტი: – ვინ იყენებს მერე, იკრიბება ეს ხალხი და იშლება, გამოხატავს პოზიციას.

გიორგი გახარია: – მაგასთან არანაირი პრობლემა არ არი, მაგასთან არანაირი პრობლემა არ არი, უნდა გამოხატოს, მაგრამ ერთი რამე უნდა გვესმოდეს, მოდით, ეხლა, საერთოდ, გულწრფელად რო, გულწრფელად რო...

ჟურნალისტი: – არა, მეორეს მხრივ, „ოცნება“ თავს გრძნობს ძალიან კომფორტულად, არავინ მათ მოქმედებას განცხადებას... პასუხს არ აგებს...

გიორგი გახარაია: –კომფორტულად იმიტომ, კომფორტულად იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობის სულელურ ნაბიჯებს ვინც ყველაზე კარგად იყენებს, იყენებს ხელისუფლება. და ეს, ეს, ამას ასეთ საჩუქრებს უკეთებენ და რატო უკეთებენ ამ საჩუქრებს არ ვიცი, ვერ ვხვდები ხანდახან.

ჟურნალისტი: – ბოლო ხანებში რომელი იყო ასეთი სულელური საქციელი? პირიქით, მათ ხალხი საყვედურობს, მხარდამჭერები, რო არასაკმარისად აქტიურობენ.

გიორგი გახარაია: – არ ვიცი, არ ვადევნებ თვალ-ყურს მე მაგათ.

ჟურნალისტი: – მათი ერთ-ერთი, მათი ლიდერი დღემდე შიმშილობს,

მშვიდობიანი პროტესტის ფორმას მიმართავს და უკვე, მე მგონი, მეორე კვირაა, ხო, რაც შიმშილობის აქცია იმ, იმ მომენტში, როდესაც მართლა რადაცნაირად, აუცილებლობა არი...

გიორგი გახარია: – არა, არ შეიძლება დღეს, არ შეიძლება, როდესაც დღეს ქვეყანას უსაფრთხოების, ეკონომიკის, არ ვიცი, იდენტობის, სუვერენიტეტის კრიტიკული პრობლემებია, არ შეიძლება, რომ ყველაფერი ტრიალებდეს მიშა სააკაშვილის ირგვლივ. კარგით ეხლა მართლა რა. არ შეიძლება, ხალხნო.

ჟურნალისტი: – მიშა სააკაშვილის გარშემო ფაქტია, რომ აღარ ტრიალებს ბოლო ხანების განმავლობაში.

გიორგი გახარია: –მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს.

ჟურნალისტი: – თუმცა მისი შიმშილობის აქტისადმი ყურადღების მიქცევა, როგორც მინიმუმ, ადამიანური და ჰუმანური მოსაზრებიდან გამომდინარე,

გიორგი გახარია: – არა, ამ პრინციპებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა.

ჟურნალისტი: – მით უმეტეს, 2008 წლის ომის პერსპექტივით თუ შევხედავთ დღევანდელ სიტუაციას, ვერშბოუს ინტერვიუ იყო რადიო თავისუფლებაზე, ალბათ ნახავდით, ნეტავ მაშინ დაგვეჯერებინა პრეზიდენტ სააკაშვილისათვის, როდესაც გვეუბნებოდა, რომ საქართველოს შემდეგ ყირიმი იქნებდა და ყირიმის შემდეგ კიდევ უფრო შორს წავა რუსეთიო, ანუ ამ თვალსაზრისით სააკაშვილი არის იმ რესურსის მატარებელი ადამიანი, რომელიც ქართული ინტერესების დასაცავად შეიძლება აქტიურად გამოსაყენებელი იყოს ახლა. თქვენ ეხლა ამ კითხვას არ დაგისვამთ, თქვენ არც პრეზიდენტი ხართ და რომ შეწყალებაზე ფიქრობდეთ და არც სხვა რამე, მაგრამ როცა ეროვნულ მოძრაობაზე ლაპარაკობთ და რაღაც ქართული პოლიტიკისთვის კრიტიკულ მომენტზე, ალბათ, ყველა ადამიანი და, მით უმეტეს, თუნდაც, თქვენთვის ყველაზე მიუღებელი

პოლიტიკური ლიდერების მდგომარეობაც გასათვალისწინებელია ამ ბრძოლაში. იმიტომ რომ იმ ნაციონალურ მოძრაობას და იმავე სააკაშვილს ნახევარი მილიონი ამომრჩეველი და მხარდამჭერი ჰყავს. თუ ჩვენ გვინდა, თუ თქვენ გინდათ, როგორც ოპოზიციურ ლიდერს, რაღაც მნიშვნელოვან ძვრას მიაღწიოთ ამ ტიპის ხელისუფლებაში, რომელიც აბსოლუტურად ავტორიტატული მეთოდებით მართავს სიტუაციას ქვეყანაში და ამ სიტუაციით ჩვენ შეიძლება ხვალ უკვე „რუსული მირის“ ან „რუსკი მირის“ ნაწილი აღმოვჩნდეთ, რაზეც მინდა ბოლო კითხვა დაგისვათ, ამ საფრთხეებზე, მე მგონი, ამ მიმართულებებით ფიქრი და გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი დამოკიდებულებების გადახედვაც შეიძლება საჭირო იყოს.

გიორგი გახარია: – მე გეტყვით ერთ რაღაცას, ესე იგი, ავტორიტარული რეჟიმი, ნაციონალური მოძრაობისაც, იყო სრულად ავტორიტარული, ბოლო პერიოდში. ეხლა, დღეს, როდესაც...

ჟურნალისტი: – ვიცი, ბატონო გიორგი, მე გამომიყვანეს ავტომატით ტელევიზიიდან, ვიცი ეგ ამბავი.

გიორგი გახარია: – ხო, ხო ხვდებით ეხლა რასაც ვამბობ?

ჟურნალისტი: – ეს ქვეყანა წინ უნდა წავიდეს.

გიორგი გახარია: – რა თქმა უნდა.

ჟურნალისტი: – და ამ წინ წაყვანაში მოქმედი პოლიტიკური ლიდერების წვლილი უნდა იყოს გადამწყვეტი.

გიორგი გახარია: – კი, მაგრამ მთელი პრობლემა იმაშია, რომ ერთიც და მეორეც წარსულში გვაბრუნებს. ერთი გვეუბნება და უკვე აღარ შეიძლება, რომ, დღეს შეიძლება, რომ, მაგალითად, უკრაინის მთავრობის და პრეზიდენტის დამოკიდებულება და განცხადება საქართველოსთან მიმართებაში დააბრალო „ნაციონალურ მოძრაობას“? ახლა, უსუსური ხარ გამოდის, ხო? ათი წელი გქონდა იმისა-

თვის, რომ რაღაცა მოგეგვარებინა, ეს ერთი. და მეორე, მეორე, რომელიც, არც უნდა, რო ადიაროს, რო რაღაცა დააშავა, შემეშალაო, იძახის და მაპატიეთო? ნუ, არ ხდება ესეთი რაღაცა. თუ სწორი, ობიექტური შეფასებები არ იქნა, ჩვენ წინ ვერ წავალთ. ჩემი ღრმა რწმენით, მე შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ოცნება“ ასაზრდოებენ ერთმანეთს და იმიტომ აქვთ, აი, ეს მშვენიერი ტანგო ერთმანეთთან, რომ ორივე ერთად გვაბრუნებენ წარსულში. აი, ეს რადიკალიზაციის ხარისხი, რომელიც დღეს არის, ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე დიდი პრობლემაა, ამას ასაზრდოებს რუსეთი, სხვა არავინ, იმიტომ, რომ მან ძაან კარგად იციან, რომ ერთი პატარა კონფლიქტი, აი, ამ ორ ავტორიტატულ, აბსოლუტურად, ძალას შორის და, რომელიც ბევრით არ განსხვავდება ერთამანეთისგან, და დამთავრებულია ჩვენი ყველანაირი ოცნება მომავალზე.

ჟურნალისტი: – დააბალანსეთ, დააბალანსეთ.

გიორგი გახარია: – საკრებულოში ვცდილობთ, რომ დავაბალანსოთ.

ჟურნალისტი: – კარგი, ბოლო კითხვას დაგისვამთ. რადგან უკრაინაა ფოკუსი, ამიტომ საკრებულოებზე აღარ ვსაუბრობ, თუმცა ამის დრო...

გიორგი გახარია: – არა, არა, არც ღირს, ეხლა, ამაზე რა უნდა ვისაუბროთ.

ჟურნალისტი: – დღეს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან უცნაური თავყრილობა დავაფიქსირეთ, ფორმულამ, ასე ვთქვათ, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ სამთავრობო მანქანები და მერე გავარკვიეთ და ვაჩვენეთ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მთავრობის მთელი ეკონომიკური გუნდი იყო იქ – ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი და ა.შ. ჩემი კითხვა მდგომარეობს შემდეგში – ჩემი ინფორმაციით, თქვენ ეს სხვათაშორის ირიბად

დაადასტურეთ, როდესაც თქვით, რომ ამათთან დასავლეთი უკვე აქტიურ კომუნიკაციაში აღარ არის, იმდენად აღარ ენდობიან ან რთულია მათთან ურთიერთობა. ერთადერთი კომუნიკაციის არხი დარჩა პრეზიდენტი ზურაბიშვილი. ჩემს ვერსიას გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით ვყვები. ამავე დროს, აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია დაწესებული სანქციების და მკაცრი ფინანსურ-ეკონომიკური იზოლაციის პირობებში, რომ საქართველო გამოყენებული იქნას რუსული ფულის გათეთრების საშუალებად ან დროებით ე.წ. პარკირების ტერიტორიად და ამ მხრივ ქართული საბანკო სისტემა იქნას ჩართული, რაც დამეთანხმებით, რომ იქნება სრული კატასტროფა ჩვენი ეკონომიკის, იმიტომ, რომ მართლა რაზეც დგას ეს ეკონომიკა...

გიორგი გახარია: – ნებისმიერი, ნებისმიერი სახით ხელშეწყოფა სანქციების გვერდის ავლით იქნება სრული კატასტროფა, ნებისმიერი სახის.

ჟურნალისტი: – კი, ბატონო. ასევე ჩემი ინფორმაციით, უცხო, დასავლელ პარტნიორებს უკვე აქვთ ამ მიმართულებით თბილისში გარკვეული მოძრაობების შესახებ ინფორმაცია და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მეშვეობით ეს ინფორმაცია დაიყვანეს სწორედ ჩვენს ეკონომიკურ გუნდამდე და ეროვნული ბანკის პრეზიდენტამდე. რომელიც, მათ შორის, სხვათა შორის, ბატონი გვენეტაძე მყავს, კობა, მხედველობაში, ამ კუთხით, ასევე ჩემი ინფორმაციით, საკმაოდ ყურადღებით და მკაცრად ეკიდება სიტუაციას, იმედი მაქვს, აცნობიერებს, რა, მის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ამ ვითარებაში. თქვენ რას იტყვით, რა საფრთხეების მატარებელი არის რუსული კაპიტალის და ფინანსების, თუნდაც გარკვეული ნაწილის, ქართულ საბანკო ნავსადგურში დაბუდება?

გიორგი გახარია: – შეხედეთ, ჩვენ ერთი რამე უნდა გავყოთ, უნდა

გავყოთ სხვადასხვა რაღაცეები. პირველი: საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს დაწესებული საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლას, უმკაცრესად იქნება შეფასებული და შეეხება არა მხოლოდ ამ მთავრობას, არამედ ქვეყნის მომავალ პერსპექტივასაც. გასაგებია, ხო, რაც ვთქვი? ეს ერთი, მეორე, რაც შეეხება, თქვენ რაც მოყევით ქალბატონ პრეზიდენტთან შეხვედრის თაობაზე, მე არ მგონია, რომ ესე იყოს. მე ვფიქრობ, რომ, ეხა, თქვენ ვინც ჩამოთვალეთ, მე არ მინახავს ეს ინფორმაცია, მე ვფიქრობ, რომ, მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკი დიდწილად პრეზიდენტის წარდგინებით ინიშნება, ალბათ, იქ რაღაცა საკადრო საკითხები განიხილება და ეს არის და ეს. იმიტო, რო პრეზიდენტის ასეთი დონით ჩარევა აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში ჩვენი დასავლელი პარტნიორებისათვის არ არი სწორი, ისინი ასე უხეშად არ მოქმედებენ, ის ხალხი, თქვენ ეხლა რახან ჩამოთვალეთ, მე ვფიქრობ, რომ იქ ეროვნული ბანკის საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით რაღაცას განიხილავდნენ.

ჟურნალისტი: – ფინანსთა მინისტრს და ეკონომიკის მინისტრს და სოფლის მეურნეობის მინისტრს არაფერი არ ესაქმებოდა იქ, მაგ შემთხვევაში.

გიორგი გახარია: – არა, როგორ არ ესაქმებოდა.

ჟურნალისტი: – მაშინ ეროვნულ ბანკთან გაივლიდა ამ კონსულტაციას.

გიორგი გახარია: – არა, ეროვნულ ბანკთან მე ვფიქრობ, რომ...

ჟურნალისტი: – ფაქტია, რომ სალომე ზურაბიშვილი აღმოჩნდა ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელთანაც დღეს, დაწყებული ბლინკენით დამთავრებული უცხოური...

გიორგი გახარია: – ეს მესიჯია, სხვათა შორის, მესიჯია, მაგრამ ეს ცოტა სხვა რამეა.

ჟურნალისტი: – ამიტომ ამ ინფორმაციის დაყვანა მთავრობამდე საჭიროა.

გიორგი გახარია: – არავის, ერთი რაღაცაა, ერთი წუთით, როგორც კი გაჩნდება დამადასტურებელი ფაქტები, რომ საქართველოს მთავრობა ეხმარება სანქციების გვერდის ავლას, არ დასჭირდებათ არც სალომე ზურაბიშვილი, პირდაპირ იმოქმედებენ, იმისთვის, რომ...

ჟურნალისტი: – რომ არ იმოქმედონ? შესაძლოა მანამდე შეტყობინება მოვიდეს...

გიორგი გახარია: – არა, არავინ არავის არარ შეატყობ... ნუ გაქვთ იმის იმედი, ნუ გაქვთ იმის იმედი, რომ ვიღაცა რაღაცის გაფრთხილებას დაგვიწყებს. ერთი რამე იცოდეთ, ეხლა, ჩვენ ხო ყველა ვურთიერთობთ ხო ჩვენს ევროპელ კოლეგებთან, საელჩ, ხალხ, ევრო, ევროპელებმა, დასავლეთმა იმხელა რაღაცეები დადეს სასწორის მხარეს, უზარმაზარი, რას ბრძანებთ.

ჟურნალისტი: – მათ შორის, თავისუფალი სამყაროს ბედიც წყდება.

გიორგი გახარია: – რა თქმა უნდა.

ჟურნალისტი: – დიდი მადლობა, რამის დამატება ხომ არ გსურდათ?

გიორგი გახარია: – მე ერთი რამე, მე ერთი რამე მინდა ბოლოს გითხრათ, რომ უბრალოდ აღფრთოვანებული ვარ იმით, როგორ მოქმედებს დღეს უკრაინული სახელმწიფო. მე მინდა გითხრათ, რომ დარწმუნებული ვარ, რომ, აი, ასეთ დიდ განსაცდელებში იბადება ძლიერი, წარმატებული სახელმწიფო. და ბოლო წლების განმავლობაში, ბოლო ერთი წელი, ჩვენ, აი, ესე პერმანენტულად გვიმტკიცებენ იმას, რომ ჩვენ არავინ არა ვართ, რომ ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია, რომ ჩვენ პატარა ერი ვართ, ჩვენ უნდა გავჩუმდეთ, იქნებ გავძვრეთ, რომ ჩვენ საერთოდ პოლიტიკის ობიექტი ვართ და ვერასოდეს სუბიექტი ვერ გავხვდებით – ეს ყველაფერი არის ტყუილი, ეს ყველაფერი არის ტყუილი. და ამის ყველაზე კარგი მაგალითი არის დღეს ის, რაც ხდება უკრაინაში, რასაც აკეთებს უკრაინელი ხალხი და

უკრაინელი ხელისუფლება დღეს. და ამის ერთადერთი გასაღები არის ერთიანობა, ფასეულობები და იმის გააზრება, რომ დღეს, დღეს მამები თუ იბრძოლებენ, იბრძოლებენ იმისათვის, რომ რომ მათ შვილებს არ მოუწიოთ მომავალში სისხლისღვრა, ბრძოლა რომ ნორმალურ, განვითარებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში იცხოვრონ. და მე ვფიქრობ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ დიდი გამარჯვებების პატარა ნაწილი მაინც გავხდეთ.

ჟურნალისტი: – დიდი მადლობა, მადლობა. გიორგი გახარია იყო ჩვენი გადაცემის სტუმარი.

2.5.1. თინა ხიდაშელის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

თინა ხიდაშელის პოლიტიკური მეტყველების გასაანალიზებლად შევარჩიეთ პოლიტიკოსის გამოსვლა ტელეკომპანია TV პირველის გადაცემაში „რეაქცია“. გადაცემის თემა – „უკრაინაში ომი“. გადაცემას უძღვებოდა ჟურნალისტი ინგა გრიგოლია.

თინა ხიდაშელი თავის ინტერვიუს მისალმებით იწყებს და ესალმება ჟურნალისტსა და ტელემაყურებელს:

(1) *მოგესალმებით, ინგა, მივესალმები თქვენს მაყურებელს;*

საინტერესოა პოლიტიკოსის ინტერვიუს შესავალი ნაწილი. ის მისალმების შემდეგ საუბარს მიმართვით აგრძელებს. თინა ხიდაშელი ომგამოვლილ, ომში დაღუპული ადამიანების ოჯახებს მიმართავს და მადლობას უხდის:

(2) *პირველ რიგში, ძალიან გთხოვთ, ნახევარი წუთი მომცეთ, რომ შევეხმიანო იმ ოჯახებს, იმ ქართველი ბიჭების ოჯახებს, ვინც ამ ომმა იმსხვერპლა და მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, მათი გაზრდისთვის, იმ გამბედაობისთვის, მამაცობისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, იმისთვის რომ, ასეთი ოჯახები რომ არ ყოლოდათ ამ ადამიანებს ზურგს უკან, ალბათ, ბრძოლაც გაუჭირდებოდათ და თავგანწირვაც გაუჭირდებოდათ;*

გამომსვლელი სამძიმარს უცხადებს ოჯახებს დაღუპული გმირების გამო და აღნიშნავს, რომ ძალიან განიცდის არსებულ სიტუაციას:

(3) *ამიტომ, პირველ რიგში, დიდი მადლობა მათ დედებს და მინდა ... მიჭირს ხოლმე ესეთ დროს სამძიმარის გამოხატვა, იმიტომ, რომ გმირებზე სამძიმარს მაინცდამაინც არ ამბობენ, მაგრამ მთელ საქართველოს მინდა რომ მივუსამძიმრო ეს დანაკლისი;*

ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი საკითხიდან გამომდინარე,

გადაცემის თემაა უკრაინის ომი, შესაბამისად, პოლიტიკოსი ინტერვიუში ძირითადად საუბრობს ომის მოსალოდნელ შედეგებზე.

თინა ხიდაშელის ინტერვიუში ტექსტის მოცულობა 60 წინადადებაა. ტექსტში ტოკენების რაოდენობა არის 1552, ტიპებისა – 809, ხოლო TTR – 0,52. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტოკენისა და ტიპების თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი (0,52) მიუთითებს მოსაუბრის მიერ მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენებაზე.

პოლიტიკოსის მეტყველებაში ხშირად გვხვდება ფუნქციური ელემენტები. გთავაზობთ მათს სიხშირეს: ***და (55); რომ (47); არ (37); ამ (30); ეს (25).*** ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ფუნქციური ელემენტების გამოყენების მაღალი სიხშირე საუბრის ექსპრესიულობაზე მიუთითებს.

ნაცვალსახელები „მე“ და „ჩემი“

თინა ხიდაშელის 1552 ტოკენის მოცულობის ტექსტში **„მე“** ნაცვალსახელი 8-ჯერ დასტურდება. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(4) *მე მაიმედებს ის, რომ ერდოღანი პირადად მონაწილეობდა დღეს ამ მოლაპარაკებებზე, პირადად მივიდა;*

(5) *ისე რომ, მე რომ მკითხოთ, მე რომ ვიყო დღეს, რას გავაკეთებდი ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, განვაახლებდი ამ საუბრებს პენტაგონთან;*

„მე“ ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება განპირობებულია გამომსვლელის მიერ საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევით ან/და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით.

პოლიტიკოსის გამოსვლაში **„ჩემი“** ნაცვალსახელის გამოყენების მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს ფრაზებში: ერთხელ ფრაზულ კონსტრუქციაში „ჩემი აზრით“ და მეორედ – მოდიფიკატორის

ფუნქციით ფრაზულ კონსტრუქციაში „მიუხედავად ჩემი უზარმაზარი პატივისცემისა“. ვნახოთ შესაბამისი კონტექსტები:

(6) *რამოდენიმე საკითხია აქ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი;*

(7) *მიუხედავად ჩემი უზარმაზარი პატივისცემისა, ვთქვათ, ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის მიმართ, არავინ არ ფიქრობს, ხო, რომ მთავარი ზეწოლა, მთავარი მისია, მეხუთე მუხლის დაცვის, ამ ქვეყნებზე მოდის, ხო;*

ემპირიული მასალის გაანალიზებით გამოიკვეთა ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელები: *ამერიკა (6); მინისტრი (5); უკრაინა (4); ქვეყანა (4); ნატო (3); პრეზიდენტი (3); საქართველო (3); სახელმწიფო (3); ხელისუფლება (3).*

პოლიტიკოსი ინტერვიუში აქცენტს აკეთებს უკრაინის ირგვლივ არსებულ სიტუაციაზე, საქართველოს ხელისუფლების, ამერიკისა და ნატოს პოზიციებზე. სასაუბრო თემიდან გამომდინარე, ამგვარი სურათი ბუნებრივია.

სიხშირის მიხედვით ყველაზე მეტჯერ გვხვდება შემდეგი ზედსართავი სახელები: *სამხედრო 9-ჯერ; მნიშვნელოვანი 8-ჯერ; დიდი 7-ჯერ; მთავარი 7-ჯერ; საგარეო 4-ჯერ; ამერიკული 3-ჯერ.*

11-ჯერ გვხვდება მიმართებითი ზედსართავი სახელი რომელიც.

საუბრის ძირითადი თემები პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ კონცეპტებშიც აისახება. პოლიტიკოსი იყენებს როგორც დადებითი სემანტიკის მატარებელ სიტყვებს; ***საქართველო, ნატო, უკრაინა, პრეზიდენტი, ბრიტანეთი, ამერიკა, გმირი, დასავლეთი, მამაცი***, ასევე უარყოფითი სემანტიკის მატარებელ სიტყვებს: ***ომი, მარცხი, თავდასხმა, პუტინი, სისხლი, რუსეთი.*** უარყოფითი სემანტიკის კონცეპტები ***(თავდასხმა, ომი, მარცხი, სისხლი)*** ძირითადად ომით გამოწვეული სიტუაციის შესაფასებლად და რუსეთის მიმართებით არის გამოყენებული. ვნახოთ შესაბამისი კონტექსტები:

(8) *ამ ომის სრული აბსურდულობის გარდა, სისასტიკისა და იმ აბსოლუტური სრულფასოვანი ფაშიზმის გამოვლინებისა, რომელიც ჩვენ რუსული შეიარაღებული ძალებისგან ვნახეთ, გარდა ამისა, აი, სრული აბსურდულობის დადასტურებაზე, იმიტომ, რომ ბუნებრივია, ვერანაირი შეთანხმება ვერ შედგება, თუ რუსეთმა უკან არ დაიხია აბსოლუტურად ყველა პოზიციიდან;*

(9) *თუკი მას (პუტინს) ნამდვილად და გულწრფელად გაცნობიერებული აქვს გარდაუვალი მარცხი და არა მხოლოდ რუსეთის შეიარაღების გარდაუვალი მარცხი, არამედ, პირადად მისი ხელისუფლების ძალაუფლების დასასრული და შესაძლოა, სავარაუდოდ, მისი სისხლის სამართლის დამნაშავედ, სამხედრო დამნაშავედ გამოცხადება;*

(10) *ჩვენს ქვეყნებზე თავდასხმის შემთხვევაში, ამ შემთხვევაში, უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში სრულფასოვანი შიარაღება, სამხედრო ძალები, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და ცის დაკეტვა. ანუ, რეალურად, უკრაინა ითხოვს იმას, რაც არის მეხუთე მუხლით დაცული;*

თინა ხიდაშელის გამოსვლაში ხშირად გამოყენებული ზმნებია: *არის (17); შემიძლია (4); ითხოვს (3); მოიქცევა (3); უყურებს (3).*

(11) *ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ნატოს წევრი ქვეყნები არ მიატოვებენ უკრაინას. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული და ერთადერთი, საქართველოსთან დაკავშირებით რაც შემიძლია გითხრათ, ის არი, რომ იმის მიუხედავად, როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება, ზუსტად ისევე ვარ იმედიანად განწყობილი ჩვენ პარტნიორებთან მიმართებაში, რომ არც საქართველო არ დარჩება გვერდზე, არ მიატოვებენ ისინი;*

როგორც ვხედავთ, გამოყენებული ზმნებიდან მაღალი სიხშირით გამოირჩევა ზმნა „ყოფნა“ (აწმყოში „არის“, მომავალში „იქნება“):

(12) *ეს არის სამი ძირითადი ამბავი;*

(13) *ეს არის სწორედ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ანუ დიდი სახელმწიფოები დიდი შეიარაღებით და ძლიერი სამხედრო ძალებით არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იმისა, რომ ჩვენ უბრალოდ ამ გემის იქით არ დავრჩებით;*

გარდა ცალკეული ლექსიკური ერთეულისა, ტექსტში ასევე გვხვდება ფრაზეოლოგიზმები და იდიომებიც. მაგალითად, ***ჯვარს მაცვეს,*** რაც მეტ ექსპრესიულობას სძენს წინადადებას:

(14) *მაშინ ჯვარს მაცვეს, მახსოვს, როდესაც მინისტრი ვიყავი, ამის გამო;*

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტი მოიცავს 1552 ტოკენსა და 60 წინადადებას. 60 წინადადებაში მოდალური სიტყვა **უნდა** 16-ჯერ დასტურდება. თინა ხიდაშელის გამოსვლის ტექსტში „უნდა“ მოდალური ელემენტი ყველაზე ხშირად, 9-ჯერ, ფუნქციურ კონსტრუქციაში გვხვდება ***რა თქმა უნდა.*** ვნახოთ მაგალითები:

(15) *და არის, რა თქმა უნდა, იმის განცდაც, რომ რუსეთის ამ მოლაპარაკებებს, ვლადიერ ზელენსკიც საუბრობდა რამდენიმე დღის წინ, ამ მოლაპარაკებებს ერთგვარად დროის გაწელვისთვის და დროის გაყვანისთვის იყენებს;*

(16) *აბსოლუტურად, რა თქმა უნდა, სრულად ვეთანხმები;*

(17) *ეს, რა თქმა უნდა, მაიმედებს;*

(18) *თუმცა, ვნახოთ, რა თქმა უნდა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ;*

(19) *ის, რა თქმა უნდა, წაგებულ თამაშში, ესე, პირდაპირი მნიშვნელობით წაგებულ თამაშში არ შევიდოდა, ხომ, რომ არ ქონდეს რაღაც ტიპის, რა თქმა უნდა, არასრულფასოვანი და არასაბოლოო, რაღაც ტიპის პოზიტიური და ოპტიმისტური მოლოდინები, რომ ამ მოლაპარაკებებიდან შედეგი დადგება;*

აღსანიშნავია, რომ **ნდომა** ზმნის აწმყოს მესამე პირის ფორმა პრედიკატის ფუნქციით კონტექსტებში არ დასტურდება. **უნდა** ძირითადად მოდალური ელემენტის ფუნქციით გვხვდება ტექსტში. პოლიტიკოსი ქმედების საჭიროებას ძირითადად არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად იყენებს და საზოგადოებაზე ერთგვარად მანიპულირებს: ***არ უნდა დაგვავიწყდეს*** გამოიყენება 3-ჯერ, ***არ უნდა ვლაპარაკობდე*** – 1-ჯერ.

(20) *არ,* ***არ უნდა დაგვავიწყდეს*** *ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი, რასაც პრეზიდენტი ზელენსკი, ერთის მხრივ, მისი მომლაპარაკებლები, საგარეო საქმეთა მინისტრი, მუდმივად ყველა საუბარში ასახელებენ;*

(21) *უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში სრულფასოვანი შეიარაღება, სამხედრო ძალები, ეს* ***არ უნდა დაგვავიწყდეს*** *და ცის დაკეტვა;*

(22) *კი, ეხლა სინამდვილეში ამაზე მე კი* ***არ უნდა ვლაპარაკობდე*** *თქვენს ეთერში;*

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პოლიტიკოსი აქტიურად იყენებს მოდალურ სიტყვას **უნდა** მოწოდებითი ხასიათის წინადადებებში: *უნდა იჯდეს, უნდა გველაპარაკებოდეს, პასუხს უნდა გვცემდნენ:*

(23) *აქ ჩემს ნაცვლად ან საგარეო საქმეთა მინისტრი* ***უნდა იჯდეს*** *ან თავდაცვის მინისტრი და სხვადასხვა ეთერებში სხვადასხვა მადალი თანამდებობის პირები და სწორედ ამ კითხვაზე, ამ კონკრეტულ საკითხზე* ***უნდა გვცემდნენ*** *პასუხს... ის* ***უნდა გველაპარაკებოდეს*** *საკუთარ შეთავაზებებზე, ვერსიებზე, სცენარებზე;*

(24) *ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველწუთიერად* ***უნდა იყვნენ კომუნიკაციაში*** *საზოგადოებასთან, რას სთავაზობენ;*

თინა ხიდაშელის გამოსვლის ტექსტი ძირითადად საქართვე-

ლოს ხელისუფლების პოზიციების, სხვა მეზობელი ქვეყნების პოზიციების განხილვა-შეფასებას მოიცავს:

(25) *პრეზიდენტი ერდოღანის ინიციატივით მიმდინარეობდა ეს შეხვედრა და თუკი ვინმე არის დღეს დედამიწის ზურგზე სისხლხორციელად დაინტერესებული ამ ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებაში, პირველ რიგში, ალბათ, თურქეთი არის. ყველა, უამრავი, ბევრი მიზეზის გამო, რომელთა აქ ჩამოთვლაც ეხლა შორს წაგვიყვანს.მეზობლობის გეოსტრატეგიული, პოლიტიკური, ორივე ქვეყანასთან ურთიერთობის, ყირიმის პრობლემის გამო, რომელიც თურქეთმა განსაკუთრებით მძიმედ მოინელა, თუ ჯერ კიდევ ვერ მოინელა დღემდე;*

პოლიტიკოსი ასევე ხშირად ეხმიანება და აანალიზებს საქართველოს, ამერიკის, ნატოს წევრი ქვეყნების პოზიციებს უკრაინის მიმართ. აქედან გამომდინარე, გამომსვლელის ტექსტში 60 წინადადებიდან **შეფასება** სულ 20-ჯერ დასტურდება, რომელთა უმრავლესობა უარყოფითი სემანტიკის მატარებელია. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(26) *იმიტო, რო ერთხელ უკვე შერცხვნენ, ნუ, ერთხელ არა, ბევრჯერ შერცხვნენ (ხელისუფლება);*

(27) *ამიტომ, ის (ერდოღანი), რა თქმა უნდა, წაგებულ თამაშში, ესე, პირდაპირი მნიშვნელობით წაგებულ თამაშში არ შევიდოდა (ერდოღანი) ხომ, რომ არ ქონდეს რაღაც ტიპის, რა თქმა უნდა, არასრულფასოვანი და არასაბოლოო, რაღაც ტიპის პოზიტიური და ოპტიმისტური მოლოდინები, რომ ამ მოლაპარაკებებიდან შედეგი დადგება;*

(28) *ხო, არ ვიცი, მე ძალიან რთულად შემიძლია ეს დავინახო, თუმცა არის ერთი შემთხვევა, როდესაც შემიძლია, პრინციპში, დავინახო პუტინის მხრიდან ამაზე თანხმობა;*

(29) *ამით თქვენ კი არ გებუტებათ, ინგა გრიგოლიას კი არ აკ-ლდება რამე, საკუთარი ქვეყნის, პირდაპირი მნიშვნელობით, ნახე-ვარს ეუბნება კომუნიკაციაზე უარს და ეს არის უბრალოდ წარმო-უდგენელი;*

გვხვდება დადებითი შეფასებაც:

(30) *მე მაიმედებს ის, რომ ერდოღანი პირადად მონაწილეობდა დღეს ამ მოლაპარაკებებზე, პირადად მივიდა. ეს, რა თქმა უნდა, მაიმედებს;*

ინტერვიუში გვხვდება **თვითშეფასების** 3 შემთხვევაც:

(31) *მე მუდმივად მომხრე ვიყავი ამ იდეის;*

პოლიტიკოსი აქტიურად მიმართავს **ახსნა-განმარტებას.** ასეთი შემთხვევა სულ 10-ჯერ დასტურდება ტექსტში:

(32) *და არის, რა თქმა უნდა, იმის განცდაც, რომ რუსეთის ამ მოლაპარაკებებს, ვლადიერ ზელენსკიც საუბრობდა რამდენიმე დღის წინ, ამ მოლაპარაკებებს ერთგვარად დროის გაწელვისთვის და დროის გაყვანისთვის იყენებს;*

თინა ხიდაშელის ინტერვიუში საანალიზო თემის განსამტკი-ცებლად მოხმობილია 6 **ფაქტი:**

(33) *ეს არის სწორედ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ანუ დიდი სახელმწიფოები დიდი შეიარაღებით და ძლიერი სამხედრო ძალებით და შეიარაღებებით, რომლებიც, რეალურად, არიან მეხუთე მუხლის გარანტორები და მათ ითხოვს გარანტიად, მათგან ითხოვს სწორედ გარანტიას;*

ასევე გვხვდება **მოლოდინის** გამომხატველი წინადადება (4-ჯერ):

(34) *უკვე დიდი ხანია, ეს საუბრები დაწყებული მექნებოდა და მოლოდინი მექნებოდა, რომ პარალელურად იმ მოვლენების, იმის მიხედვით, როგორ განვითარდება მოვლენები ამ თვალსაზრისით,*

უკრაინასთან, საქართველო არ დარჩებოდა ამ უსაფრთხოების, აბსოლუტურად რეალური გარანტიების და ზომების მიღმა;

(35) *ისე რომ, მე რომ მკითხოთ, მე რომ ვიყო დღეს, რას გავაკეთებდი ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, განვაახლებდი ამ საუბრებს პენტაგონთან;*

ვარაუდი *ტექსტში სულ 6-ჯერ დასტურდება:*

(36) *და მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი, ალბათ, ყველაზე მთავარი, რაც დღეს, საგარაუდოდ, საქართველოში, სამზარეულოებში ყველაზე ხშირად იხილებოდა, რომ, აი, ხო ხედავთ, უკრაინა ნეიტრალიტეტს თანხმდება;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში **მოწოდება** 5-ჯერ გვხვდება, ვნახოთ მაგალითი:

(37) *ხო, აი, ამ ტიპის დემაგოგია რომ გამოირიცხოს, ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველწუთიერად უნდა იყვნენ კომუნიკაციაში საზოგადოებასთან, რას სთავაზობენ;*

თინა ხიდაშელის გამოსვლის ტექსტში **რიტორიკული შეკითხვა** 4-ჯერ დასტურდება ტექსტში, რაც შესაძლებელია, ნიშნავდეს იმას, რომ პოლიტიკოსის მეტყველება ნაკლებად ექსპრესიულია. ვნახოთ მაგალითები:

(38) *უკრაინა ნეიტრალიტეტს თანხმდება და საქართველოში ჩვენ რატომ ვფართხალებთ, ხო? და რა გვინდა?*

(39) *დღეს, აი, ამ წუთას, ის უნდა გველაპარაკებოდეს საკუთარ შეთავაზებებზე, ვერსიებზე, სცენარებზე. ვის ელაპარაკებიან ამაზე?*

1552 ტოკენის მოცულობის ტექსტში **კრიტიკა** ორჯერ გვხვდება, ვნახოთ კონტექსტი:

(40) *...აქ ჩემს ნაცვლად ან საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა იჯდეს ან თავდაცვის მინისტრი და სხვადასხვა ეთერებში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები და სწორედ ამ კითხვაზე, ამ კონკრეტულ საკითხზე უნდა გვცემდნენ პასუხს;*

(41) *შეიძლება თქვენი ეთერით არ ლაპარაკობს და არ მელაპარაკება, მაგრამ იმედიდან გველაპარაკოს, არაუშავს, სადღაციდან.*

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალების სტატისტიკა ვნახოთ ცხრილის სახითაც:

წინადადების კონტენტის სახე		**წინადადებათა რაოდენობა**
1	შეფასება	19
2	ახსნა-განმარტება	10
3	ფაქტი	6
4	ვარაუდი	6
5	მოწოდება	5
6	თვითშეფასება	5
7	რიტორიკული შეკითხვა	4
8	მოლოდინი	4
9	კრიტიკა	2
10	მადლობა	2
სულ:		60 წინადადება (1552 სიტყვა)

ცხრილი 4: თინა ხიდაშელის ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი

მოცემული მასალის ანალიზის თანახმად, შეფასება ყველაზე მეტჯერ გვხვდება მოცემულ ტექსტში. 60 წინადადებიდან 19 წინადადება შეფასებითი ხასიათისაა. უარყოფითი შეფასება და თვითშეფასება უფრო მეტჯერ გვხვდება, ვიდრე დადებითი შეფასება.

როგორც თინა ხიდაშელის გამოსვლის ლინგვოპოლიტოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, პოლიტიკოსის გამოსვლის მიზანი რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური სიტუაციის შეფასება იყო საქართველოს კონტექსტში.

ემპირიული მასალის დამუშავების პროცესში გამოვიყენეთ

ციფრული დამუშავების ხელსაწყოები: KWIC და Voyant tool. სტატისტიკური ანალიზი, რომელიც სიტყვათა სიხშირეს ასახავს, KWIC-ის მეშვეობით გავაკეთეთ, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. ვნახოთ ემპირიული მასალის მზა ტექნოლოგიებით დამუშავების შედეგები:



სურათი 4. თინა ხიდაშელის ტექსტის კომპლექსური ანალიზი

ჩვენ ტექსტის საანალიზოდ ვიყენებთ Voyant tool-ს, რომელიც ავტომატურად ამუშავებს ტექსტს, ითვლის სიტყვაფორმების სიხშირეს და გამოიყენება ტექსტური მახასიათებლების სტატისტიკის შესაფასებლადაც. ვნახოთ ანალიზის შედეგები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით:

ლექსიკური სიმჭიდროვე: 0.521

წაკითხვის ინდექსი: 20.733

სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 23.9.

2.5.2. თინა ხიდაშელის ინტერვიუს ტექსტი

ტელევიზია: TV პირველი
გადაცემა: რეაქცია
თემა: უკრაინაში ომია
წამყვანი: ჟურნალისტი ინგა გრიგოლია
სტუმარი: თინა ხიდაშელი – 2015-2016 წწ საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
ვიდეოჩანაწერის ბმული:
https://www.youtube.com/watch?v=CXizxYqUiOo
თარიღი: 29.03.2022

ინგა გრიგოლია: – გადაცემის ამ ბლოკში ჩვენი სტუმრები: თინა ხიდაშელი, გიგა ბოკერია, ეკა ხერხეულიძე, გიორგი ვაშაძე. მე მივესალმები თავდაცვის ყოფილ მინისტრს, თინა ხიდაშელს. ძალიან დიდი მადლობა, ქალბატონო თინა, რომ იღებთ გადაცემაში მონაწილეობას. მოდით, ერთგვარი რეზიუმე გავუკეთოთ დღევანდელ დღეს. მოლაპარაკებებს სტამბულში და იმ განცხადებებს, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ. აქ ძალიან მნიშვნელოვანი არის, რა, რამდენად შეიძლება ჩვენ ვენდოთ რუსეთის მხრიდან დადებულ რაიმე პირობას, როგორც ასეთი, პირობას, რომელსაც რუსეთი ყოველ წუთს არღვევს და, ალბათ, მომავალშიც დაარღვევს, მაგრამ უკრაინის მხრიდან არის ძალიან სერიოზული მოთხოვნა სხვა ნატოს წევრი ქვეყნების გარანტიების შესახებ და, აი, ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი, ალბათ. თინა, მოდი ჩამოგვიყალიბეთ, რა შედეგზე შეიძლება ვისაუბროთ დღევანდელი დღის ბოლოს.
თინა ხიდაშელი: – მოგესალმებით, ინგა, მივესალმები თქვენს მაყურებელს. პირველ რიგში, ძალიან გთხოვთ, ნახევარი წუთი მომცეთ, რომ შევეხმიანო იმ ოჯახებს, იმ ქართველი ბიჭების ოჯახებს, ვინც

ამ ომმა იმსხვერპლა და მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, მათი გაზრდისთვის, იმ გამბედაობისთვის, მამაცობისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, იმისთვის რომ, ასეთი ოჯახები რომ არ ყოლოდათ ამ ადამიანებს ზურგს უკან, ალბათ, ბრძოლაც გაუჭირდებოდათ და თავგანწირვაც გაუჭირდებოდათ. ამიტომ, პირველ რიგში, დიდი მადლობა მათ დედებს და მინდა ... მიჭირს ხოლმე ესეთ დროს სამძიმარის გამოხატვა, იმიტომ, რომ გმირებზე სამძიმარს მაინცდამაინც არ ამბობენ, მაგრამ მთელ საქართველოს მინდა რომ მივუსამძიმრო ეს დანაკლისი.

ინგა გრიგოლია: – სხვათა შორის, თინა, ამ თემაზე მეც გიერთდები. კიდევ ერთხელ, ჩემი სამძიმარი დაღუპული ბიჭების ოჯახებს. როდესაც ვიყავი პანაშვიდზე, დავით რატიანის, რომელიც ქაშუეთში იმართებოდა, ჩემთან მოვიდა რამდენიმე ბიჭი. უბრალოდ, ვერ ვიცანი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულები იყვნენ და შემახსენეს, არ გახსოვსო? დათო რატიანი, ავღანეთში როცა ახლდით თინა ხიდაშელს, თავდაცვის მინისტრი რო იყო, მაშინ იქ იყოო. აი, ძალიან რთულია ხოლმე ფორმებში გამოწყობილი გაცნობილი ადამიანების შემდეგ აღქმა. შესაძლებელია, ამიტომაც უცებ ვერ მივხვდი და აღმოჩნდა, რომ, როდესაც თქვენ იყავით თავდაცვის მინისტრი და თქვენი პირველი ვიზიტით როცა ჩახვედით ავღანეთში, სადაც ქართველები მსახურობდნენ, საგანგებო მისიაში მონაწილეობდა სწორედ ისიც და ეს ჩემთვის იყო ძალიან, ისეთი, გულისამაჩუქებელი გახსენება და თითონ ის ბიჭებიც, ვინც ეს შემახსენეს, იყვნენ სწორედ იქ მაშინ, ვინც თქვენ დაგხვდნენ, როგორც ახლადდანიშნულ თავდაცვის მინისტრს.

თინა ხიდაშელი: –კი, სამწუხაროდ, მეც მქონდა ეს საუბარი ქაშუეთის ეკლესიაში და მესმის, კი, სხვადასხვა დროს ვიყავით, როგორც ჩანს, მაგრამ იგივე საუბარი გვქონდა ჩვენც. რაც შეეხება თქვენს

კითხვას, ის, რაც დღეს ხდება და სტამბულში მთელი დღის განმავლობაში, რამოდენიმე საკითხია აქ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი. პირველი, ის რაც თქვენ თქვით, რამდენად სანდოა ის, რაც გვესმის რუსეთისგან. აბსოლუტურად, რა თქმა უნდა სრულად ვეთანხმები, ვიზიარებ, ვიმეორებ იმას, რაც თქვენ წაიკითხეთ; განცხადებას, რომელიც ამბობს, რომ არცერთი ნაბიჯი არ უნახავთ ჯერჯერობით რუსეთის მიერ განხორციელებული, რაც მიანიშნებდა ან რეესკალაციას, ან მათი მხრიდან რაიმე ტიპის გაგებას. და არის, რა თქმა უნდა, იმის განცდაც, რომ რუსეთის ამ მოლაპარაკებებს, ზელენსკიც საუბრობდა რამდენიმე დღის წინ, ამ მოლაპარაკებებს ერთგვარად დროის გაწელვისთვის და დროის გაყვანისთვის იყენებს, იმიტომ რომ დღევანდელი მდგომარეობით ისინი, სამხედრო თვალსაზრისით, მათ შორის, პოლიტიკურად, მორალურად, დიპლომატიურად რო განადგურებულები არიან, ეს ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ, მათ შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც სერიოზული დანაკარგები აქვთ, რაც იწვევს მათი მხრიდან უკან დახევის აუცილებლობას. ამიტომ მთელი ეს ლაპარაკი იმაზე, რომ კიევზე აღარ გაილაშქრებენ, სადღაც უკან დაიხევენ, უფრო მეტად გავს იმას, რომ მათ მიერ რეალობის აღქმას... აღქმა დაუახლოვდა, უფრო სწორად, მათი აღქმები დაუახლოვდა რეალობას და იწყებენ მოქმედებებს ამ რეალობის შესაბამისად, ვიდრე იმას, რომ რეალურ დათმობაზე არიან წამსვლელები. თუმცა, ვნახოთ, რა თქმა უნდა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მეორე, ძაან მნიშვნელოვანი ფაქტორი, არის ის, რომ პრეზიდენტი ერდოღანის ინიციატივით მიმდინარეობდა ეს შეხვედრა და თუკი ვინმე არის დღეს დედამიწის ზურგზე სისხლხორციელად დაინტერესებული ამ ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებაში, პირველ რიგში, ალბათ, თურქეთი არის. ყველა, უამრავი, ბევრი მიზეზის გამო, რომელთა აქ ჩამოთვლაც ეხლა შორს წა-

გვიყვანს. მეზობლობის გეოსტრატეგიული, პოლიტიკური, ორივე ქვეყანასთან ურთიერთობის, ყირიმის პრობლემის გამო, რომელიც თურქეთმა განსაკუთრებით მძიმედ მოინელა, თუ ჯერ კიდევ ვერ მოინელა დღემდე, ხომ. ამიტომ, ის, რა თქმა უნდა, წაგებულ თამაშში, ესე, პირდაპირი მნიშვნელობით წაგებულ თამაშში არ შევიდოდა, ხომ, რომ არ ქონდეს რაღაც ტიპის, რა თქმა უნდა, არასრულფასოვანი და არასაბოლოო, რაღაც ტიპის პოზიტიური და ოპტიმისტური მოლოდინები, რომ ამ მოლაპარაკებებიდან შედეგი დადგება. და მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი, ალბათ, ყველაზე მთავარი, რაც დღეს, სავარაუდოდ, საქართველოში, სამზარეულოებში ყველაზე ხშირად იხილებოდა, რომ, აი, ხო ხედავთ უკრაინა ნეიტრალიტეტს თანხმდება და საქართველოში ჩვენ რატომ ვფართხალებთ, ხო და რა გვინდა?

ინგა გრიგოლია: –ხო და მე აუცილებლად მინდოდა ამ თემაზე კითხვის დასმა, დიახ.

თინა ხიდაშელი: –არ, არ უნდა დაგვავიწყდეს ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი, რასაც პრეზიდენტი ზელენსკი, ერთის მხრივ, მისი მომლაპარაკებლები, საგარეო საქმეთა მინისტრი, მუდმივად ყველა საუბარში ასახელებენ, რაც, ასევე, დღეს რუსებისგანაც გახდა ცნობილი, რომ სწორედ ეს არის პირობები, რომელსაც უკრაინა აყენებს. რეალურად, რაზე არის აქ საუბარი? საუბარი არის იმაზე, რომ იმ პირობებში დათანხმდება უკრაინა უბლოკო სტატუსს, ანუ ნატოში სამხედრ.. რომ აღარ, აღარ გაწევრიანდეს სამხედრო გაერთიანებაში დასავლურ ქვეყნებთან ერთად, თუკი ეს დასავლური ქვეყნები, ასეთი გართიანების გარეშე უზრუნველყოფენ იმას, რისთვისაც ჩვენ, ჩვენნაირ სახელმწიფოებს ნატო გვჭირდება, ხომ? ეს არის სამი ძირითადი ამბავი... ჩვენს ქვეყნებზე თავდასხმის შემთხვევაში, ამ შემთხვევაში, უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში

სრულფასოვანი შიარაღება, სამხედრო ძალები, ეს არ უნდა დაგვა-ვიწყდეს და ცის დაკეტვა. ანუ, რეალურად, უკრაინა ითხოვს იმას, რაც არის მეხუთე მუხლით დაცული. სხვას კი არაფერს არ აკე-თებს.

ინგა გრიგოლია: – ხო, ერთზე თავდასხმა, ნატოს მეხუთე მუხლი რასაც ითვალისწინებს, რომ ნიშნავს ყველაზე თავდასხმას, პრაქ-ტიკულად, არგაწევრიანებაზე წავიდა ლაპარაკი, ოღონდ ამ გარან-ტიაზე, ანუ უკრაინას ეს ექნება გარანტირებული.

თინა ხიდაშელი: – დიახ, ოღონდ ამ შემთხვევაში იქნება არა ყველა, არამედ ის რამდენიმე სახელწიფო, რომელიც იქნება გარანტორი და ეს სახელმწიფოები, რეალურად, ეხა, ამ წუთას რაც ჩანს, ყოველ შემთხვევაში, სინამდვილეში არიან კიდეც ნატოს ფარგლებში მთა-ვარი გარანტორები, ხომ. მიუხედავად ჩემი უზარმაზარი პატივისცე-მისა, ვთქვათ, ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის მიმართ, არავინ არ ფიქრობს, ხო, რომ მთავარი დაწოლ... ზეწოლა, მთავარი მისია, მე-ხუთე მუხლის დაცვის, ამ ქვეყნებზე მოდის, ხო. ეს არის სწორედ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ანუ დიდი სახელმწიფოები დიდი შეიარაღებით და ძლიერი სამხედრო ძალებით და შეიარაღებებით, რომლებიც, რეალურად, არიან მეხუთე მუხლის გარანტორები და მათ ითხოვს გარანტიად, მათგან ითხოვს სწორედ გარანტიას...

ინგა გრიგოლია: – რამდენად შესაძლებელია, სწორედ, დაშვების დონეზე, ჩვენ ჯერ არ ვიცით პუტინის პოზიცია როგორი იქნება, ველოდებით, ხო, ამ პოზიციას. ჯერ მოვისმინეთ მხოლოდ დელეგა-ციის წევრების განცხადებები. რამდენად, თქვენ ფიქრობთ, თინა, რომ შესაძლებელია ამაზე წამოვიდეს პუტინი. არამხოლოდ ამაზე, მაგალითად, იგივე, ყირიმის სტატუსზე, თხუთმეტ წელზე გაწერილ გეგმაზე არი საუბარი და სხვა მთავარ საკითხებზე, რომელიც დღე-

ვანდელი მოლაპარაკების შემდეგ გახდა ცნობილი მთელი მსოფ-ლიოსთვის. პუტინი ამაზე წამოვა, ფიქრობთ?

თინა ხიდაშელი: – კი და რეალურად კიდევ იმის დადასტურებაზე, ამ ომის სრული აბსურდულობის, გარდა სისასტიკისა და იმ აბსო-ლუტური სრულფასოვანი ფაშიზმის გამოვლინებისა, რომელიც ჩვენ რუსული შეიარაღებული ძალებისგან ვნახეთ, გარდა ამისა, აი, სრული აბსურდულობის დადასტურებაზე, იმიტომ რომ, ბუნებრივია, ვერანაირი შეთანხმება ვერ შედგება, თუ რუსეთმა უკან არ დაიხია აბსოლუტურად ყველა პოზიციიდან, თუკი რამე პოზიცია საერთოდ შერჩა წინწაწეული 24 თებერვლის შემდეგ, ხომ? ესეც ხომ სრული-ად ერთმნიშვნელოვანია. ხო, არ ვიცი, მე ძალიან რთულად შემიძ-ლია ეს დავინახო, თუმცა არის ერთი შემთხვევა, როდესაც შემიძ-ლია, პრინციპში, დავინახო პუტინის მხრიდან ამაზე თანხმობა. ეს არის, თუკი მას ნამდვილად და გულწრფელად გაცნობიერებული აქვს გარდაუვალი მარცხი და არა მხოლოდ რუსეთის შეიარაღების გარდაუვალი მარცხი, არამედ, პირადად მისი ხელისუფლების ძა-ლაუფლების დასასრული და შესაძლოა, სავარაუდოდ, მისი სის-ხლის სამართლის დამნაშავედ, სამხედრო დამნაშავედ გამოცხადე-ბა და, მეორეს მხრივ, თუკი მისგან ეხლა ვაჭრობა დაიწყება დასავ-ლეთთან, რომ, აი, ამ შეთანხმებაში გაიცვალოს ის რაზეც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯონსონი საუბრობდა, რომ ეს არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ სანქციები შეუმცირდეს ან საერ-თოდ გაქრეს.

ინგა გრიგოლია: – ერთი საინტერესო კითხვა არის, თინა. მე ბევრ პოზიციას და მოსაზრებას გავეცანი, მთელი დღის განმავლობაში ვკითხულობდი და ხათუნა ლაგაზიძე წერდა, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი არის ჩვენი საკითხი, ანუ უკრაინის საკითხის ამა თუ იმ ფორმით გადაჭრის შემდეგ რას უზამს რუსეთი მის მოთხოვ-

ნას საქართველოსთან მიმართებაში. აი, ეხლა მინდა უბრალოდ მოკლედ რომ წავიკითხო, დეკემბრის ულტიმატუმში უკრაინას და საქართველოს ერთნაირი მოთხოვნები ქონდა წამოყენებული, ხათუნა ლაგაზიძე წერს: „ნატოზე უარის თქმა, სამხედრო სწავლებების და შეიარაღების შეწყვეტა, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგების აკრძალვა, უკრაინა წარმოუდგენლად მყარ უსაფრთხოების გარანტიებს იძენს ახალი ხელშეკრულებით, ეყოლება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არმია, ულტრათანამედროვე შეიარაღება. რითი ვხვდებით ჩვენ რუსეთის შესაძლო მოთხოვნებს და, აი, ჩვენი კონტექსტი, ვინაიდან დეკემბრის ულტიმატუმში უკრაინა და საქართველო ერთად განიხილებოდა რუსეთის მხრიდან“ – ამაზე რას გვეტყვით? საინტერესო საკითხია, დამეთანხმებით.

თინა ხიდაშელი: –კი, ეხლა სინამდვილეში ამაზე მე კი არ უნდა ვლაპარაკობდე თქვენს ეთერში, აქ ჩემს ნაცვლად ან საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა იჯდეს ან თავდაცვის მინისტრი და სხვადასხვა ეთერებში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები და სწორედ ამ კითხვაზე, ამ კონკრეტულ საკითხზე უნდა გვცემდნენ პასუხს.

ინგა გრიგოლია: – მაგას შევეგუოთ, რომ მთავრობა არ გველაპარაკება არა მხოლოდ ჩვენ, არამედ თქვენც და საზოგადოებასაც, დიახ.

თინა ხიდაშელი: – შეიძლება თქვენი ეთერით არ ლაპარაკობს და არ მელაპარაკება, მაგრამ იმედიდან გველაპარაკოს, არაუშავს, სადღაციდან. დღეს, აი, ამ წუთას, ის უნდა გველაპარაკებოდეს საკუთარ შეთავაზებებზე, ვერსიებზე, სცენარებზე. ვის ელაპარაკებიან ამაზე? იმიტო, რო ერთხელ უკვე შერცხვნენ, ნუ, ერთხელ არა, ბევრჯერ შერცხვნენ, მარა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მთელი იანვარი გვეუბნებოდნენ, რომ ისეთი უპრეცედენტო ურთიერთობები ჰქონდათ დასავლეთთან, სანამ ომი დაიწყებოდა უკრაინაში,

რომ არასოდეს არ ყოფილაო და შემდეგ გამოაქვეყნა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩამონათვალი ყველა კომუნიკაციის, რომელიც შედგა და ერთადერთი სატელეფონო საუბარი იყო საგარეო, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის და ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ხო? ყველას კარგად გვახსოვს ნული კომუნიკაცია თავდაცვიდან, ნული კომუნიკაცია გენერალური შტაბიდან და პრაქტიკულად ნულოვანი კომუნიკაცია მთელი დანარჩენი სახელმწიფო სექტორიდან. ერთადერთი, პრეზიდენტი ავლენს ინიციატივას, სურვილს, აქვს მოთხოვნილება, რომ იყოს ამ მუდმივ კომუნიკაციაში და მასაც ჯერ ისე უკრძალავდნენ და ეხლა საკონსტიტუციო სასამართლოთი აპირებენ, რომ გააჩუმონ საერთოდ. ამიტომ, ეხლა, ამ წუთას, სანამ სცენარებზე გადავალთ, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი არის, პანიკა რომ არ იყოს, ერთი მხრივ ჩვენ, საზოგადოებაში, მეორეს მხრივ, ეს რაღაცა გაუგებრობა რო დასრულდეს, რომელიც, თითქოს ალტერნატივა იმაშია, ჩავბარდეთ თუ არა რუსეთს, ნატოს წევრები გავხდეთ, ხო, აი, ამ ტიპის დემაგოგია რომ გამოირიცხოს, ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველწუთიერად უნდა იყვნენ კომუნიკაციაში საზოგადოებასთან, რას სთავაზობენ. მე რომ ვიყო ეხლა ხელისუფლების წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, მე მაშინვე, ეს ყველამ იცის ძალიან კარგად, თქვენმა შემდეგმა სტუმრებმაც კარგად იციან, მაშინ ჯვარს მაცვეს, მახსოვს, როდესაც მინისტრი ვიყავი, ამის გამო. მე მუდმივად მომხრე ვიყავი ამ იდეის, რომ საქართველოს, ვინაიდან ესეთ შორეულ, ახლობელ პერსპექტივაში არ ჩანდა ნატოში გაწევრიანების რეალური გზა, ორმხრივი ხელშეკრულება დაედო ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ისეთი ტიპის, ძაან მარტივ ენაზე რო ვთქვა, როგორც აქვს სამხრეთ კორეას, იაპონიას, ანუ იმ ქვეყნებს, რომელიც ამერიკული სამხედრო მხარდაჭერის, ამერიკული სამხედრო უზრუნველყოფის ქვეშ არიან. იქ ამერიკული სამხედრო ბაზებია განლაგებული და

ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს აღებული ეს პასუხისმგებლობა, იმისი, ზუსტად, იმ ტიპის და იმდაგვარი, რაზეც დღეს არის საუბარი უკრაინასთან მიმართებაში. ისე რომ, მე რომ მკითხოთ, მე რომ ვიყო დღეს, რას გავაკეთებდი ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, განვაახლებდი ამ საუბრებს პენტაგონთან. უკვე დიდი ხანია, ეს საუბრები დაწყებული მექნებოდა და მოლოდინი მექნებოდა, რომ პარალელურად იმ მოვლენების, იმის მიხედვით, როგორ განვითარდება მოვლენები ამ თვალსაზრისით, უკრაინასთან, საქართველო არ დარჩებოდა ამ უსაფრთხოების, აბსოლუტურად რეალური გარანტიების და ზომების მიღმა, მაგრამ იმედი მინდა დავიტოვო თეორიული, პატარა მაინც, რომ ეს საუბრები მიმდინარეობს, ეს ზეწოლა ვაშინგტონზე მიმდინარეობს თბილისიდან და რეალურად ამ შედეგებს ვნახავთ, თუმცა რატო გვიმალავენ, თუ ესეთი რამე ხდება, ეს ცოტა ძნელად აღსაქმელი და წარმოსადგენია.

ინგა გრიგოლია: – ხო ეს ძალიან უცნაურია, მართლა გვაქვს კითხვები, გარდა იმისა, რომ ჩვენ დავინახეთ, რა პოზიციაც ქონდა უკრაინასთან მიმართებაში, ჩვენი ქვეყანა, ჩვენ სად ვართ ამ დროს, იმიტომ რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ეხლა, ერთი არის პუტინი რას შეასრულებს, ვთქვათ, ამ მოთხოვნებიდან, რაც უკრაინას აქვს, რაზე წავა, მარა მეორეა, ჩვენ სად ვართ ამ დროს და, აი, ამასობაში, ძალიან საინტერესო არის ისიც, რომ პენტაგონი კომენტარს აკეთებს რუსეთის დღევანდელ ინიციატივებზე, დღევანდელ მოლაპარაკებებზე, ამერიკის შეერთებული შტატების და, დიახ, მოკლედ, რუსული ჯარების გადაადგილება, კიევის რეგიონში არის გადაადგილება და არა ჯარების გაყვანა და თქვენ უნდა იყოთ მზად უკრაინის სხვა ნაწილებში სერიოზული შეტაკებებისთვის. აი, ასეთი არის პენტაგონის განცხადება. მადლობა, თინა, მოკლედ, უნდა დაველოდოთ ხო, დიახ.

თინა ხიდაშელი: – დედამიწის ზურგზე ყველა ეჭვის თვალით უყურებს პუტინს, რა თქმა უნდა, და მისი... მით უმეტეს, პუტინს საერთოდ არაფერი არ უთქვამს და იქ თუ ვინმე სხვა რამეს ლაპარაკობს, ეს კიდევ უფრო მეტად არასერიოზულად აღიქმება ყველას მიერ. მე მაიმედებს ის, რომ ერდოღანი პირადად მონაწილეობდა დღეს ამ მოლაპარაკებებზე, პირადად მივიდა. არ ფლანგავს ის ესე მარტივად საკუთარ სახელს და საკუთარ მანდატს. ეს, რა თქმა უნდა, მაიმედებს. ჰო, და მეორე არის ის, რომ ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, ბოლო წუთამდე, სანამ რეალურად არ მოხდება ჯარების გამოყვანაც, რეალურად არ მოხდება იმ ტერიტორიების დაბრუნებაც, რომელზეც ეხლა საუბარია, მანდ, სანამ არ მოხდება უზრუნველყოფა, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, რატიფიკაციებით, ამ ხელშეკრულებების და ცის დახურვა, მანამდე ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ნატოს წევრი ქვეყნები არ მიატოვებენ უკრაინას. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული და ერთადერთი, საქართველოსთან დაკავშირებით რაც შემიძლია გითხრათ, ის არი, რომ იმის მიუხედავად, როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება, ზუსტად ისევე ვარ იმედიანად განწყობილი ჩვენ პარტნიორებთან მიმართებაში, რომ არც საქართველო არ დარჩება გვერდზე, არ მიატოვებენ ისინი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მიუხედავად იმისა, როგორ მოიქცევა, ან საერთოდ არანაირად არ მოიქცევა, ჩვენი ხელისუფლება, იმიტომ რომ ძალიან კარგად აცნობიერებენ ჩვენი მეგობრები, რომ ის უზარმაზარი ინვესტიცია, რომელიც ამ ქვეყანაში უკვე ჩადებულია და მაინცდამაინც ფინანსურ ნაწილს არ ვგულისხმობ მხოლოდ – ინტელექტუალური, მეგობრობის, პარტნიორობის, რეპუტაციული, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში არსებობს, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იმისა, რომ ჩვენ უბრალოდ ამ გემის იქით არ

დავრჩებით, თუკი... ახლო მომავალში შესაძლებელი გახდა რეალური უსაფრთხოების გარანტიების შესახებ შეთანხმების მიღწევა.

ინგა გრიგოლია: – დიდი მადლობა, თინა, ძალიან დიდი მადლობა, ჩვენი სტუმარი რომ იყავი. ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის განცხადებებიდან, კიდევ, თქვენთან ერთად, მოკლედ, რეზიუმე რომ გავაკეთოთ: „ჩვენ პუტინს არა სიტყვებით, არამედ საქმით განვსჯით“ – აი, ეს არის მათი პოზიცია და ახლა ველოდებით უკვე რა იქნება პუტინის პასუხი. თქვენ თქვით, რომ ეხლა წესით უნდა ლაპარაკობდნენ მოქმედი თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. სამწუხაროდ, ისინი ჩვენ გებუტებიან. ასეთ დროსაც კი და, სამწუხაროდ, ვიტყვი კიდევ ერთხელ, იმიტომ რომ, როცა თქვენ იყავით თავდაცვის მინისტრი, იყავით ძალიან გახსნილი მედიასთან და ეხლა, კიდევ ერთხელ, წლების შემდეგ, მადლობას გადაგიხდით იმ გახსნილობისთვის, როგორიც თქვენგან მოდიოდა და მათ შორის კრიტიკული მედიის მისამართით, როცა თქვენ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდით.

თინა ხიდაშელი: – ეხლა შემიძლია, ინგა, ვთქვა, რომ არ გამიბრაზდებით იმედი მაქვს, მაგრამ ზუსტად იმიტომ, რომ კრიტიკული მედიის წარმომადგენელი იყო, ძალიან ბევრჯელ, დათო კაკულიას, რომელიც მაშინ რუსთავი ორზე მუშაობდა, სწორედ დათო კაკულია იყო ჩვენი ექსკლუზივების მთავარი მომხმარებელი, ზუსტად იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, უფრო სწორად, არანაკლებ მნიშვნელოვანი, იყო განსხვავებულ პოზიციაზე მყოფ ამომრჩეველთან საუბარი, ჩვენი ქვეყნის იმ მოქალაქეების დარწმუნება, რომლებიც მაინცდამაინც არ გვენდობოდნენ და რომლებსაც მაინცდამაინც არ ვუყვარდით. განა თქვენ გეუბნებათ უარს რომელიმე მათგანი? ეს ვერ გაიგეს მათ, რომ ამ ქვეყნის მინიმუმ ნახევარ მილიონ მოქალაქეს ეუბნება უარს, რომელიც თქვენ გიყურებთ. ოპოზიციურ არხებს უყურებს და ტელეკომპანია იმედს არ

უყურებს. ამით თქვენ კი არ გებუტებათ, ინგა გრიგოლიას კი არ აკლდება რამე, საკუთარი ქვეყნის, პირდაპირი მნიშვნელობით, ნახევარს ეუბნება კომუნიკაციაზე უარს და ეს არის უბრალოდ წარმოუდგენელი. განსაკუთრებით, ასეთ საკითხებზე, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოებას და ერთიანობას ეხება საქმე.

ინგა გრიგოლია: – დათო კაკულიას ვაძლევდიო ყველა ექსკლუზივსო, მაგრამ როცა მინისტრი გახდით, უკაცრავად, მაშინ, ეხლა ცოტა მეც წავიტრაბახებ, ჩემი პირველი ექსკლუზივი, ერთ, პირველი ექსკლუზივი ჩემი იყო, როცა ავდანეთში წავედით და იქ ძალიან საინტერესო გამოცდ... კი, კი.

თინა ხიდაშელი: –კი, კი, შენ ყველა ვალი გადაგიხადე, რაც მქონდა საერთოდ.

ინგა გრიგოლია: – მადლობა, თინა, მადლობა დიდი, ამიტომ ნამდვილად ვერ გავბრაზდები, ყველაზე მაგარი ექსკლუზივი, თქვენი მინისტრობისას, მე მქონდა, როდესაც ბაზაზე ჩვენს ქართველ ბიჭებს ვიღებდი, როგორც ჟურნლისტი. ეს იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრი – თინა ხიდაშელი.

2.6.1. მამუკა მდინარაძის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

მამუკა მდინარაძის პოლიტიკური მეტყველების გასაანალიზებლად შევარჩიეთ პოლიტიკოსის გამოსვლა ტელეკომპანია TV იმედის გადაცემაში „იმედი LIVE“. გადაცემის თემა – „უკრაინაში ომია“. გადაცემას უძღვებოდა ჟურნალისტი მაგდა ანიკაშვილი. მამუკა მდინარაძემ ინტერვიუ მისალმებით დაიწყო: „მოგესალმებით, მივესალმებით, მივესალმები თქვენს მაყურებელს“. გარდა უკრაინის თემისა, გამოსვლის ძირითადი თემა იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შეფასება და გაანალიზება.

ინტერვიუში პოლიტიკოსის ტექსტი მოიცავს 79 წინადადებას, კერძოდ, ტოკენების რაოდენობა არის 2377, ტიპების რაოდენობა – 1117, TTR – 0,46. Token-Type-Ratio-ს მაღალი მაჩვენებელი არის იდენტიფიკატორი თუ როგორია გამომსვლელის ლექსიკა, მრავალფეროვანი თუ მწირი.

მამუკა მდინარაძის გამოსვლის ტექსტში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფუნქციური ელემენტები. ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტის მიხედვით გთავაზობთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ფუნქციურ ელემენტს: **და** (127); **რომ** (63); **არ** (54); **ეს** (40); **მაგრამ** (24), **ხო** (14), **თუ** (14), როგორც სტატისტიკის მიხედვით ჩანს, პოლიტიკოსი საკმაოდ ექსპრესიულად საუბრობს მიმდინარე მოვლენებზე და სხვა ლექსიკურ ერთეულებს შორის აქტიურად იყენებს ფუნქციურ ელემენტებს.

ნაცვალსახელები „მე“ და „ჩემი“

მამუკა მდინარაძის 2377 ტოკენის მოცულობის ტექსტში 14-ჯერ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი **„მე“**. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი კონტექსტთან ერთად:

(1) *მართლაც, ეხლა, ყველას გვაქვს ეს ინფორმაცია, მე მგონია, ვინც იქ გვისმენდა, ჟურნალისტების უმეტეს ნაწილსაც ჰქონდა ეს ინფორმაცია, რომ მართლაც არსებობს რადაცა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც შეთავაზებებს აკეთებს;*

(2) *მიმოწერაში, წელან ვნახე, ყველაზე დიდი პრობლემა, ერთ-ერთი მათ შორის, იყო რა – არავის არ უხსნის თურმე, იმ მიმოწერაში არსად ჩანს, თურმე, კიდევ ნახეთ, მე არაფერი შემეშალოს, მე არ მგონია რომ იყოს, უცებ გადავავლე თვალი;*

შედარებით ნაკლებად, მხოლოდ 3- ჯერ გამოიყენება პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი **„ჩემი“**. ვნახოთ კონტექსტი:

(3) *ეხლა, ინფორმაციაც ხომ უნდა მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა, ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდნენ იქნებ და ჩემი ეს გამოსვლა დღევანდელი ამაშიც წაადგეს, რომ უნდა იცოდნენ;*

პირველი პირის ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება განპირობებულია საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევის, პირადი პოზიციების დომინირებისა და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ „მე“ ნაცვალსახელი ძირითადად ფუნქციურ კონსტრუქციაში „მე მგონია“ / „მე არ მგონია“ გვხვდება.

ემპირიული მასალის კონტენტანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელები: საქართველო (15); ომი (14); ქვეყანა (8); ქართული (6); ადამიანი (13); მესიჯი (4); მშვიდობა (4), რუსეთი (4), ბავშები (4).

სიხშირის მიხედვით ყველაზე მეტჯერ გვხვდება შემდეგი ზედსართავი სახელები: სამხედრო –15-ჯერ; პოლიტიკური – 6-ჯერ; გულწრფელი –3-ჯერ; კონკრეტული –3-ჯერ; მნიშვნელოვანი – 3-ჯერ; თანამედროვე –2-ჯერ.

საუბრის ძირითადი თემები პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ კონცეპტებშიც აისახება:

ა) დადებითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *საქართველო, მშვიდობა, მხარდაჭერა.*

ბ) უარყოფითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *ომი, სპეკულაცია, ბოროტება.*

ვნახოთ უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი კონცეპტების რამდენიმე მაგალითი:

(4) *ახალი, და მთავარი ამბავი, რაც ხდება სინამდვილეში, წელან რომ დავიწყე, რა ხდება იცით, ომის ნარატივი, გახსოვთ, მძლავრად, ერთი, პირველი ტალღა იყო ძალიან მძლავრი, თავისი თვითმფრინავების გაგზავნის მოთხოვნით და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ეს მოთხოვნა იყო ძალიან მკაფიოდ გახმოვანებული;*

(5) *ვინც მეორე, ვინც ომის მხარეს დგას, აღიზიანებს მშვიდობა, რა თქმა უნდა;*

(6) *ეხლა, თქვენ რო დგახართ სიკეთის მხარეს, ბოროტება გაღიზიანებთ ხო, გულწრფელად, მაგრამ არა ისე, როგორც მეორე მხარეს – ბოროტების მხარეს მდგომ ადამიანებს აღიზიანებს სიკეთე.*

პოლიტიკოსის გამოსვლაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნებია: *არის (19); იყო (16); აღიზიანებს (5); უხსნის (4); აკეთებს (4).* ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(7) *უდიდესი, რომ კი, მშვიდობა არის ის უპირატესი უფლება ქართული საზოგადოების, რაც შეიძლება მოითხოვოს და მიიღოს მისი ხელისუფლებისგან და ეს არის სწორი და პრაგმატული ნაბიჯი;*

(8) *დიახ, საქართველოს ხელისუფლება და საქართველო აკეთებს მაქსიმალურს და გადის შესაძლებლობების ზღვარზე და ზღვარს მიღმა;*

საჭიროებისა და აუცილებლობის თემას მამუკა მდინარაძე ხშირად ეხება. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა **უნდა** პოლიტიკოსის

გამოსვლაში 25-ჯერ დასტურდება, ის მხოლოდ 4-ჯერ არის გამოყენებული სიტყვასთან ***რა თქმა უნდა,*** ანუ პოლიტიკოსი სულ 21-ჯერ საუბრობს საჭიროებაზე. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(9) *შენ როცა მთხოვ მე, რომ სამხედრო დახმარება გაგიწიო, რაც პირდაპირ ნიშნავს, ეხლა, ომის გამოცხადება შეიძლება ზედმეტი იყოს, მაგრამ მხარედ დაფიქსირებას სამხედრო კი მისი თავი, რა თქმა უნდა, შეიძლება ქონდეს თავისუფლად ამერიკის შეერთებულ შტატებს და ასეც იქცევა – სამხედრო მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას, აფინანსებს ამ მიმართულებითაც და მილიარდებს აძლევს;*

(10) *ვინც მეორე, ვინც ომის მხარეს დგას, აღიზიანებს მშვიდობა, რა თქმა უნდა;*

(11) *სკანდალური, მაგრამ სამწუხარო, ამავდროულად. მოდი იმით დავიწყებ, რომ არ უნდა გამოგვრჩეს არცერთ შემთხვევაში, მართლები რომ ვიყოთ საკუთარ თავთან, როცა ამას ვლაპარაკობთ, საკუთარ საზოგადოებასთან და იმ ხალხთან, ვინც იქ იბრძვის;*

(12) *ამას არავინ უხსნის და შეილება ის ადამიანები აღმოჩნდნენ, ეხლა, ინფორმაციაც ხომ უნდა მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა, ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდნენ...;*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში **შეფასება** სულ 26 კონტექსტში გვხვდება და ძირითადად ხელისუფლებისა და მათი მომხრეების პოლიტიკური ორიენტაციის შეფასება-გაანალიზებას მიემართება. ვნახოთ კონტექსტები:

(13) *რაც შეეხება ამ თემას, რომ დავამთავროთ, რიგ შემთხვევებში, ესეც მინდა ვთქვა, შეიძლება ის ანაზღაურებაც კი, და თუკი ვინმე აღმოჩნდება, ადამიანი, რომელიც, ვთქვათ ანაზღაურებასაც იღებს და წასულია და იბრძვის, ეს ანაზღაურებაც კი არ გვაძლევს იმის საშუალებას, აქაც რომ მართლები და გულწრფელები ვიყოთ, რომ ანაზღაურების სანაცვლოდ არის წასული;*

(14) *აი, წარმოიდგინეთ და ავტორიტარიზმის სიტყვის მნიშვნელობაც არ იციან ანდა კარგად იციან და სპეციალურად როგორც შვრებიან, კი იცით და პრემიერ-მინისტრს შეურაცხმყოფელი კითხვით მიმართავენ, ვის მხარეს დგას;*

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი შეფასება ხშირად **კრიტიკის** თანხლებით გვხვდება:

(15) *აი, იმ კითხვას დავუბრუნდეთ. ნახეთ, ვერ ბედავს კიარა, მეტიც, შეურაცხმყოფელი იყო დღეს, ვუსმენდი პირდაპირ ეთერში პრემიერთან დასმულ კითხვებს. ჯერ ერთი, ნუ, აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რო არცერთი ფრაზის და სიტყვის და წინადადების დასრულებას არ აცდიდნენ, საოცარი ატმოსფერო გვაქ;*

ასევე გვხვდება დადებითი შეფასებაც:

(16) *დიახ, საქართველოს ხელისუფლება და საქართველო აკეთებს მაქსიმალურს და გადის შესაძლებლობების ზღვარზე და ზღვარს მიღმა.*

მამუკა მდინარაძის გამოსვლის ტექსტში გვხვდება **თვითშეფასების** გამომხატველი წინადადებები. ასეთი სულ 9 კონტექსტი გვხვდება. ვნახოთ მაგალითი:

(17) *საქართველოში თავმოყვარე არც ჟურნალისტმა, არც რესპონდენტს, არავინ არავის არ უნდა აკადროს ეს კითხვა;*

(18) *კი, ბატონო, პოლიტიკური მხარდაჭერა იყო, პრეზიდენტი იყო ჩამოსული, მადლობა ამ ყველაფრისთვის, გულწრფელი მადლობა, მაგრამ არ უნდა გავახმო, გაახმოვანონ ისეთი მესიჯები, რომელიც საქართველოს მოსახლეობას რაღაც შეცდომაში შეიყვანს და არასწორი მიმართულებით წაიყვანს, ესეც აუცილებლად სათქმელია;*

ახსნა-განმარტებას გამომსვლელი აკეთებს 18 შემთხვევაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და გამოკვეთს პოლიტიკოსის ენობრივ მახასიათებელს, გააანალიზოს, გაშალოს სასაუბრო თემა,

რათა მსმენელისთვის იყოს გასაგები და საინტერესო. ვნახოთ მაგალითი:

(19) *ამას არავინ უხსნის და შეილება ის ადამიანები აღმოჩნდნენ, ეხლა, ინფორმაციაც ხომ უნდა მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა, ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდნენ იქნებ და ჩემი ეს გამოსვლა დღევანდელი ამაშიც წაადგეს, რომ უნდა იცოდნენ, რაღაცა გადაწყვეტილების მიღების დროს, რომ კარგავენ საქართველოს მოქალაქეობას იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ის ადამიანი იწერება, ირიცხებიან სხვა ქვეყნის ჯარებში;*

(20) *იმ ქვეყნებზეა საუბარი, რომელი ქვეყნებიც სამხედრო შეიარაღებულ დახმარებას უწევენ უკრაინას, ეს ქვეყნები ემიჯნებიან მოხალისეების გაგზავნას;*

ვარაუდი გამოსვლის ტექსტში გვხვდება 6-ჯერ, ხოლო **პროგნოზი** 4-ჯერ:

(21) *დავუშვათ, და მიყავს, მე იმ ხალხზე მაქვს საუბარი და გუშინაც ამაზე ვსაუბრობდი. ეხლა თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ;*

(22) *საქართველო ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ეს ნიშნავს მხარედ დაფიქსირებას სამხედრო შეიარაღებულ კონფლიქტში, რაც რისკს ასმაგად ზრდის და საქართველოს ომის რისკის გადატანა ძალიან გაუჭირდება დღეს, აი, ამ ძალიან სერიოზულ რეგიონალურ, გლობალურ, იმ საშინელებაში, რასაც რუსეთის საოკუპაციო არმია აწარმოებს უკრაინის წინააღმდეგ;*

ფაქტი, ვარაუდთან და პროგნოზთან შედარებით, ბევრად ხშირად, 10-ჯერ გვხვდება გამოსვლის ტექსტში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გამომსვლელი უპირატესობას ანიჭებს ფაქტებს და არა აბსტრაქტულ მოსაზრებებს, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს პოლიტიკოს მეტყველებაში. ვნახოთ ფაქტის მაგალითი.

(23) *რეალურად, რეალურად, აქ გვაქ საქმე იმასთან, რომ ჩვენზე*

გაცილებით ძლიერი, ყველა პარამეტრით, ქვეყნების ლიდერები და იმ ქვეყნების ლიდერები, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთის, განცხადებებს ვგულისხმობ, ემიჯნებიან კონკრეტული, კონკრეტულ, მკაფიო განცხადებებით მოხალისეების გაგზავნას;

პოლიტიკოსი გამოსვლაში 4-ჯერ იყენებს **მოწოდებას,** ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ გამომსვლელი ორიენტირებული მოვლენების სამომავლო განვითარებაზე და აანალიზებს არსებულ ვითარებას.

(21) *გულწრფელად უნდა იბრძოლოს ადამიანმა, ასევე, პატრიოტული მოტივებით, თავისი სამშობლოს სიყვარულით;*

გამოსვლის ტექსტში 3 შემთხვევაში გვხვდება **რიტორიკული შეკითხვა,** ვნახოთ მაგალითი:

(22) *რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ჩემგან ეხლა ამისი თქმა, შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც საშინლად იქცევიან, პოლიტიკურ კონტექსტში, საშინლად დამაზიანებელ მესიჯებს ახმოვანებენ, მაგრამ შეიძლება საერთო არაფერი ჰქონდეთ იმ სკანდალთან, რომელიც ეხლა, რამდენიმე საათის წინ გასცდა, ხო, ეს უნდა ვაღიაროთ?*

გამოკვლეული მასალის თანახმად, შეფასება ყველაზე მეტჯერ გვხვდება ტექსტში. 79 წინადადებიდან 26 წინადადება შეფასებითი ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შეფასება და თვითშეფასება ბევრად სჭარბობს დადებით შეფასებას. ეს შესაძლებელია, ნიშნავდეს იმას, რომ პოლიტიკოსის გამოსვლის მთავარი მიზანი არსებული პოლიტიკური სიტუაციის შეფასება-გაანალიზებაა.

თვალსაჩინოებისთვის ვნახოთ ჩვენ მიერ გაანალიზებული სტატისტიკური მასალა ცხრილის სახით:

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1	შეფასება	26
2	თვითშეფასება	9
3	ახსნა-განმარტება	18
4	ფაქტი	10
5	მოწოდება	4
6	ვარაუდი	6
7	პროგნოზი	4
8	რიტორიკული შეკითხვა	3
სულ:		79 წინადადება (2337 სიტყვა)

ცხრილი 5: მამუკა მდინარაძის ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი

ტექსტის გაანალიზების პროცესში გამოყენებული გვქონდა ტექსტის ციფრული დამუშავების ხელსაწყოები : KWIC და Voyant tool. სტატისტიკური ანალიზი, რომელიც სიტყვათა სიხშირეს ასახავს, KWIC-ის მეშვეობით გამოვიანგარიშეთ.



სურათი 5. მამუკა მდინარაძის ტექსტის კომპლექსური ანალიზი

Voyant tool-ში წარმოებული ტექსტური მახასიათებლების სტატისტიკური სურათის მიხედვით ძირითადი მახასიათებლების მონაცემები ასეთია: ლექსიკური სიმჭიდროვე: 0.47, წაკითხვის ინდექსი: 20.0, სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 31.4

2.6.2. მამუკა მდინარაძის ინტერვიუს ტექსტი

ტელევიზია: TV იმედი
გადაცემა: იმედი IV
თემა: უკრაინაში ომია
წამყვანი: ჟურნალისტი მაგდა ანიკაშვილი
სტუმრები: მამუკა მდინარაძე – ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავ-მჯდომარე
ვიდეოჩანაწერის ბმული:
https://www.youtube.com/watch?v=yZuPsLCsrBw
თარიღი: 05.12.2022

ჟურნალისტი: – სტუდიაში კი მამუკა მდინარაძე შემოგვიერთა, მასთან გავნაგრძობთ საუბარს. მამუკა, ჩვენ აუცილებლად უნდა ვილაპაროთ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე, პოლიტიკურ განზომილებაზე ცხადია, ამ თემის, მაგრამ მანამდე კი, გთხოვთ, შეაფასოთ ის სკანდალური ინფორმაცია, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გავრცელდა მედიაში. ლაპარაკია იმაზე, რომ კონკრეტული ანაზღაურების სანაცვლოდ ძალიან ორგანიზებულად ხდება საქართველოს მოქალაქეების წაყვანა და ჩართვა სამხედრო მოქმედებებში უკრაინაში. დასახელებულია კონკრეტული თანხები, მთელი ქსელი მუშაობს გამოდის იმისთვის, რომ ეს ჩვენი მებრძოლები ჩავიდნენ და მიიღონ ამ ომში მონაწილეობა. თქვენ ამ თემაზე უკვე ისაუბრეთ და თქვით, კიდეც, რომ სოფელ-სოფელ დადიან და ბიჭებს აგროვებენო. რა ინფორმაცია გაქვთ კონკრე-ტულად?
მამუკა მდინარაძე: – მოგესალმებით, მივესალმებით, მივესალმები თქვენს მაყურებელს. სკანდალური, მაგრამ სამწუხარო, ამავ-დროულად. მოდი იმით დავიწყებ, რომ არ უნდა გამოგვრჩეს არცერთ შემთხვევაში, მართლები რომ ვიყოთ საკუთარ თავთან, როცა ამას

ვლაპარაკობთ, საკუთარ საზოგადოებასთან და იმ ხალხთან, ვინც იქ იბრძვის და ნამდვილად, ვაჟკაც ადამიანებთან დაკავშირებითაც უნდა ვთქვათ, სანამ ამაზე გადავალ, რომ მართლაც არსებობენ ადამიანები, ეს გუშინაც ვთქვი, დღესაც გავიმეორებ და არასდროს არ მომბეზრდება ამის ლაპარაკი, რომლებსაც ღრმად სწამთ, ასეთი რწმენა გააჩნიათ, რომ ისინი თავისი სამშობლოსთვის იბრძვიან ამავდროულად და თავისუფლებისთვის, და უდიდესი პატივისცემა იმ ადამიანებს და მათ შორის, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ჩემგან ეხლა ამისი თქმა, შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც საშინლად იქცევიან, პოლიტიკურ კონტექსტში, საშინლად დამაზიანებელ მესიჯებს ახმოვანებენ, მაგრამ შეიძლება საერთო არაფერი ჰქონდეთ იმ სკანდალთან, რომელიც ეხლა, რამდენიმე საათის წინ გასკდა, ხო. ეს უნდა ვაღიაროთ. შეიძლება ჩემთვის, თქვენთვის, ვიღაცისთვის, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ის მესიჯები, რაც ზოგიერთი მათგანიდან მოდის, არ იყოს მისაღები, მეტიც, დამაზიანებელიც კი იყოს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, თან ამას შემთხვევით არ ვლაპარაკობ, შეიძლება კონკრეტული ადამიანი და ადამიანებიც კი მყავდეს მხედველობაში, არ გამორიცხავს იმას, რომ ისინი ვაჟკაცურად, თავისი რეალური, გულწრფელი ემოციით და რწმენით იბრძვიან ბრძოლის ველზე და წინა ხაზზე, მაგრამ ამის მიღმა ასევე, ასევე, ხაზგასმით ვამბობ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მართლაც ცდილობენ, რომ წაიყვანონ რაც შეიძლება მეტი მოქალაქე წინა ფრონტზე. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, გუშინ, როცა მე ამას ვლაპარაკობდი, მე რომ მეთქვა ესეთი რამ, რომ ეს რიგ შემთხვევებში გარკვეული ანაზღაურების შეთავაზების ფონზეც კი ხდება-მეთქი, რა მოხდებოდა, ხო წარმოგიდგენიათ? ის კი არა, რომ ვთქვი, რომ სოფელ-სოფელ დადიან. მართლაც, ეხლა, ყველას გვაქვს ენ იფორმაცია, მე მგონია, ვინც იქ გვისმენდა, ჟურნალისტების უმეტეს ნაწილსაც ჰქონდა ეს ინფორმაცია, რომ

მართლაც არსებობს რადაცა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც შეთავაზებებს აკეთებს.

ჟურნალისტი: – იცით, მაყურებელი ახლა ხედავს აი ამ მიმოწერას, რომელიც გავრცელდა მედიაში, სადაც არის კონკრეტული შეთანხმება, რა თანხის სანაცვლოდ ჩავლენ მებრძოლები იქ, რა პირობები იქნება, ერთი სიტყვით, ძალიან ორგანიზებული საქმეა.

მამუკა მდინარაძე: – დიახ, დიახ, დიახ და სწორედ, სწორედ ამას ვამბობ და აქამდე მივდიოდი, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს რეალობა, რაც ბევრმა ადამიანმა იცის ამ ქვეყანაში და ხშირ შემთხვევაში, თურმე, აღმოჩნდა, და ამის ლაპარაკს გუშინ მოვერიდე, მაგრამ რადგან ეხლა ისედაც ნათელი გახდა, დღეს ამასაც დავამატებ, ბუნებრვია, ეს ყველამ ვიცოდით და ვიცით და, რა თქმა უნდა, სკანდალია, უკვე დოკუმენტალურად ასახული და მტკიცებულებით. ერთ-ერთმა, სხვათა შორის, შეიძლება ახლა, არც, ცუდი დროა ამ ლირიული გადახვევისთვის, მაგრამ მართლა ანეგდოტია, რომ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტი მთხოვდა მტკიცებულებას, ნაცმოძრაობის ტელევიზიის ჟურნალისტი რომ მტკიცებულებას მთხოვს, ნუ, ცალკე გასაღიმებელი ამბავია, მაგრამ, აი, მტკიცებულებაც, მაგრამ მე როცა ამას ვამბობდი, სხვათა შორის, აი, გულწრფელად გეტყვით, რომ ვაღიარებ და გაგიმხელთ, რომ, არც ის ვიცოდი, რომ რაღაც პოსტი იყო ფეისბუკში გამოდებული, ეს მართლა მერე გავიგე, ნამდვილად არ ვიცოდი, მე სხვა ინფორმაცია მქონდა, რომ რაღაც შეთავაზებები იყო და ეს რაც, რაც გამოაშკარავდა დღეს, რა თქმა უნდა, მსგავსი ინფორმაციები მქონდა, მაგრამ ფეისბუქში თუ იყო გამოჭენებული, უკაცრავად ამ გამოთქმისთვის, ქონდათ პოსტი, რომ, აბა, გელოდებით, ვისაც სურვილი გაქვთ და რაღაცა, ეს პირველი მტკიცებულება გუშინვე დაიდო, რომელიღაცა ფეისბუქმომხმარებელმა დადო, რომ აგერ არის და მე არ ვიცოდი, მე პირადად, შეიძლება, ახლა, ვიღაცებმა იცოდნენ ჩვენს გუნდში, მე

ამის შესახებ არ ვიცოდი და დღეს უკვე, აი, იმ მიმოწერით, სადაც პირდაპირ სთავაზობენ გარკვეულ თანხას, ნათელი გახდა, რომ ესეთი შეთავაზებებიც არის არამხოლოდ რაღაცა ესეთი გულწრფელ მოტივებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტი: – თქვენი ოპონენტების კრიტიკა ხო ძირითადად იმას უკავშირდება, რომ ხელისუფლებას არა აქვს მტკიცე პოციზია უკრაინასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ვერ ბედავს რომ თქვას მათი უკრაინამ გაიმარჯვოს და მთელი ეს პიარმანქანა თუ რაც გნებავთ თქვენ უწოდებთ აწყობილი რომ ხელისუფლება უკრაინასთან მიმართებაში არ იქცევა სწორად და იქცევა რუსეთის მაამებლად.

(ოპონენტები აკრიტიკებენ იმას, რომ ხელისუფლება ღიად არ უჭერს მხარს უკრაინასო)

მამუკა მდინარაძე: –გიორგი, ნახეთ, ეს სხვა და სპეკულაციური თემაა. ორი წინადადებით იმას დავამთავრებ და ამაზე გიპასუხებთ. ამაზე მინდა, რომ კიდევ ერთხელ კარგად განუმარტო ჩვენს საზოგადოებას, რა ხდება რეალურად იმის მიღმა, რასაც ისინი აკეთებენ და სინამდვილეში რა ხდება. რაც შეეხება ამ თემას, რომ დავამთავროთ, რიგ შემთხვევებში, ესეც მინდა ვთქვა, შეიძლება ის ანაზღაურებაც კი, და თუკი ვინმე აღმოჩნდება, ადამიანი, რომელიც, ვთქვათ, ანაზღაურებასაც იღებს და წასულია და იბრძვის, ეს ანაზღაურებაც კი არ გვაძლევს იმის საშუალებას, აქაც რომ მართლები და გულწრფელები ვიყოთ, რომ ანაზღაურების სანაცვლოდ არის წასული. არ გამოვრიცხავ დამთხვევას პოზიციებისას, რომ გულწრფელად უნდა იბრძოლოს ადამიანმა, ასევე, პატრიოტული მოტივებით, თავისი სამშობლოს სიყვარულით, მაგრამ მათ შორის დამატებითი, ვთქვათ რაღაცა, არგუმენტაციასაც ნუ დავარქმევთ, დამატებითი ფაქტორი იყოს გარკვეული ანაზღაურება. ესეც კი შეიძლება ხდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის მტკიცებულების და

ფაქტის იქით, მერე ღრმა შეფასებებში არ შევალ, მაგრამ ის ხალხი, რომელიც სარგებლობს ვიღაცა ადამიანის გულწრფელი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მოტივებით, და, მეორე მხრივ, გაჭირვებით, აი, ამ ხალხზე უკვე, ვინც მიდის, იმაზე კი არ ვლაპარაკობ, იმ ხალხზე, ვინც ამას აორგანიზებს, კონკრეტულ თანხას სთავაზობს ან კონკრეტულ რაღაცა, ვთქვათ, ენთუზიაზმთან დაკავშირებულ სამოტივაციო წინადადებებს ეუბნება, დავუშვათ და მიჰყავს, მე იმ ხალხზე მაქვს საუბარი და გუშინაც ამაზე ვსაუბრობდი. ეხლა თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ. მოდით, ცოტა უკან გადავახვიოთ და რა ხდება სინამდვილეში, იმაზე ვილაპარაკოთ, ხო? ხო, იქ არ დაგვავიწყდეს ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი რაღაცა გამომრჩა ახლა მე. აქ მეორე ძაან დიდი პრობლემაა. იქ, მიმოწერაში, წეღან ვნახე, ყველაზე დიდი პრობლემა, ერთ-ერთი მათ შორის, იყო რა – არავი არ უხსნის თურმე, იმ მიმოწერაში არსად ჩანს, თურმე, კიდევ ნახეთ, მე არაფერი შემეშალოს, მე არ მგონია რომ იყოს, უცებ გადავავლე თვალი, არავინ უხსნის, ანუ მეორე მხარე, ვინც ეპატიჟება და მერე 45 000 გრივნას და ასეთ თემებზე ელაპარაკება, არ უხსნის, რომ ქართული კანონმდებლობით და ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით, ევროპული კანონმდებლობა ესეა, არამგონია გამონაკლისი იყოს რომელიმე სახელმწიფო, ქართული კანონმდებლობის თანახმად, თუ სხვა ქვეყნის ჯარში, მის რიგებში ჩაერიცხები, კარგავ საქართველოს მოქალაქეობას ავტომატურად, ანუ თუ სხვა ქვეყნის ჯარში ირიცხები, შენ კარგავ იმ ქვეყნის მოქალაქეობას, რომელი ქვეყნის მოქალაქეც ხარ. ამას არავი უხსნის და შეილება ის ადამიანები აღმოჩნდნენ, ეხლა, ინფორმაციაც ხომ უნდა მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა, ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდნენ იქნებ და ჩემი ეს გამოსვლა დღევანდელი ამაშიც წაადგეს, რომ უნდა იცოდნენ, რაღაცა გადაწყვეტილების მიღების დროს, რომ კარგავენ საქართველოს მოქალაქეობას იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ის ადამიანი

იწერება, ირიცხებიან სხვა ქვეყნის ჯარებში, მაგრამ ეს შეიძლება მართალიც არ იყოს, შეილება საერთოდ არ ირიცხებოდნენ და ასე შემდეგ. და რეალურად, რეალურად, აქ გვაქ საქმე იმასთან, რომ ჩვენზე გაცილებით ძლიერი, ყველა პარამეტრით, ქვეყნების ლიდერები და იმ ქვეყნების ლიდერები, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთის, განცხადებებს ვგულისხმობ, ემიჯნებიან კონკრეტული, კონკრეტულ, მკაფიო განცხადებებით მოხალისეების გაგზავნას, წარმოიდგინეთ და იმ ქვეყნებზეა საუბარი, რომელი ქვეყნებიც სამხედრო შეიარაღებულ დახმარებას უწევენ უკრაინას, ეს ქვეყნები ემიჯნებიან მოხალისეების გაგზავნას და მარტო, ბოდიში, და დავამთავრებ, ბოდიში ძალიან დიდი, და მხოლოდ ქართული, ბევრჯერ გავიმეორეთ ეს სიტყვები მკაფიოდ მინდა დავაფიქსირო, მხოლოდ ქართული რადიკალური ოპოზიციაა, ვინც ახალისებს მოხალისეობას უკრაინის ომთან დაკავშირებით, რუსეთის საოკუპაციო ომთან დაკავშირებით.

ჟურნალისტი: – ეს ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ ხელისუფლება ვერ ბედავს, თქვას, რომ უკრაინას უჭერს მხარს და უკრაინის გამარჯვებას ემხრობა.

მამუკა მდინარაძე: – აი, იმ კითხვას დავუბრუნდეთ. ნახეთ, ვერ ბედავს კი არა, მეტიც, შეურაცხმყოფელი იყო დღეს, ვუსმენდი პირდაპირ ეთერში პრემიერთან დასმულ კითხვებს. ჯერ ერთი, ნუ, აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რო არცერთი ფრაზის და სიტყვის და წინადადების დასრულებას არ აცდიდნენ, საოცარი ატმოსფერო გვაქ. თან, ერთი მხრივ, ვიღაცები გვეუბნებიან, რო ავტორიტარიზმია ამ ქვეყანაში, თან პრემიერ-მინისტრს რასაც უნდათ, იმას ეუბნებიან, ნებისმიერ ადამიანს, დადიან უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა და ავტორიტარიზმზე სემინარებს ატარებენ და თან იძახიან, რო ავტორიტარიზმია ამ ქვეყანაშიო, აი, წარმოიდგინეთ და ავტორიტარიზმის სიტყვის მნიშ-

ვნელობაც არ იციან ანდა კარგად იციან და სპეციალურად როგორც შვრებიან, კი იცით და პრემიერ-მინისტრს შეურაცხმყოფელი კითხვით მიმართავენ, ვის მხარეს დგას. საქართველოში თავმოყვარე არც ჟურნალისტმა, არც რესპონდენტს, არავინ არავის არ უნდა აკადროს ეს კითხვა. მეტიც, თქვენ რასაც, ვის მხარეს ვართ კიარა, არ უნდა აკადრონ და საქრთველოს რაც შეუძლია, შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე გადის და ეს მაქსიმუმის ზღვარი, მაგალითად, ინდიკატორი ამისა, არის ჰააგაში სამხედრო ტრიბუნალთან მიმართებაში საქართველოს პოზიცია, ჩვენი პოზიცია. არავის დაუძალებია, არავის მოუწოდებია, არც სპეკულაცია ყოფილა და არც არასპეკულაცია, ამასთან დაკავშირებით. 400-ზე მეტ განცხადებას, რეზოლუციას რომ შეუერთდა, თანა, თანასპონსორები ვიყავით, თანასპონსორები და თანაავტორები უმრავლესი მათგანის, იქ ჩვენ, ჰააგაში, მოვითხოვეთ რუსეთის გასამართლება სამხედრო დანაშაულებისთვის. ეს არის პოლიტიკური უმაღლესი, ე.წ. ლეველის, მხარდაჭერა. პირველი ნომერი ვიყავით მსოფლიოში, უკრაინის ფოსტის განცხადებით, ჰუმანიტარული დახმარების ეგიდით. და იმიტომ რომ, საქართველო, რომელსაც, თავისი ქვეყნის შუაგულში, სამწუხაროდ, უდგას დღესაც რუსეთის საოკუპაციო ჯარი, არ და ვერ რისკავს იმას, რომ სამხედრო დახმარება გაუწიოს თავის მეგობარ უკრაინას, მიუხედავად ყველაფრისა, იქ რაც ხდება და როგორი დამაზიანებელი განცხადებები, მესიჯებიც მოდის რიგითი პოლიტიკოსების და ლიდერების მხრიდან, ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ ყველაფერს აკეთებს, პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ დახმარებას და არ რისკავს იმას, არ არის ეს მართლზომიერი რისკი, რომ სამხედრო დახმარება გაუწიოს და გუშინ გამოჩნდა პირდაპირი მიზანი, რა უნდათ და რას ემსახურებიან.

ჟურნალისტი: – კასიანოვის განცხადებაზეც მინდა ბარემ გკი-

თხოთ. არა მხოლოდ თქვენი ოპონენტები აპროტესტებენ მთავრობის ქმედებებს, არამედ ადრე კასიანოვმა თქვა, რომ საქართველომ არ მოგვაწოდა არანაირი შეიარაღება, არ მოგვაწოდა გენერატორები, ერთი თვეა ვითხოვთ საქართველოს მთავრობის მხრიდან პასუხს და ეს პასუხი არ გვაქვს. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

მამუკა მდინარაძე: – ნახეთ, გუშინ გენერატორიდან დაწყებული და არამხოლოდ გენერატორზე იყო იქ საუბარი, სხვა ჩვენთვის დამაზიანებელი მესიჯები ხო ბევრი მოისმინეთ, ყველაფერი იყო მეორეხარისხოვანი, ყველაფერი აბსოლუტურად, იყო რაღაც წერილი სადღაც შეიტანეს და რაღაცა რეაგირება არ მოყვა იმას თუ დააგვიანა რეაგირება თუ რაღაც მომზადების პროცესში, აი, მეასეხარისხოვანიც არ არის, არის მეათასეხარისხოვანი იმასთან შედარებით, რაც თქვა ამ ადამიანმა – ახალი, და მთავარი ამბავი, რაც ხდება სინამდვილეში, წეღან რომ დავიწყე, რა ხდება იცით – ომის ნარატივი, გახსოვთ, მძლავრად, ერთი, პირველი ტალღა იყო ძალიან მძლავრი, თავისი თვითმფრინავების გაგზავნის მოთხოვნით და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ეს მოთხოვნა იყო ძალიან მკაფიოდ გახმოვანებული და რას ნიშნავდა, უკვე ავუხსენით ჩვენ ქართულ საზოგადოებას, უკვე აღარ დავღლი, პირდაპირ ჩართვას ომში, მიზანი, მხარედ დაფიქსირდეს საქართველო სამხედრო შეიარაღებულ კონფლიქტში, ხო, და რისკი, მოგეხსენებათ, მართლაც, აგერ 30 და 25 კილომეტრში ჯარი რომ გვიდგას, რისკი ყველაზე დიდი, ნომერ პირველი რისკის შემცველი ქვეყანაა დღეს უკრაინის შემდეგ საქართველო, რისკი ამისი რამხელა არსებობს, ხო. ახლა, როცა მინელდა, შედარებით, თორე არ მინელებულა, ეს ომის მოთხოვნის ტალღა, როდესაც ქართული საზოგადოება ჩამოყალიბდა მშვიდობაზე, მისი უმრავლესობა, უდიდესი, რომ კი, მშვიდობა არის ის უპირატესი უფლება ქართული საზოგადოების, რაც შეიძლება მოითხოვოს და მიიღოს მისი ხელისუფლებისგან და ეს არის სწორი და

პრაგმატული ნაბიჯი, დღეს უკვე, როდესაც მიხვდნენ, რომ ეს პიარ-კამპანია ჩავარდა, ეცადნენ ახალი ტალღის აგორებას და ბოლო დღეებში ბევრი მსგავსი მესიჯი მოვისმინეთ და ეს მესიჯები და-აგვირგვინა, არა ისეთმა ირიბმა მესიჯმა, როგორიც სხვაც, სხვებიც გვესმის, არამედ გაჭრილად, პირდაპირმა მოთხოვნამ შეიარაღების გადაცემის, რაც ნიშნავს, ცალსახად, სხვა დასკვნას ალბათ ვერ გამოიტანს ვერავინ, ხო, როგორც კი საქართველო ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ეს ნიშნავს მხარედ დაფიქსირებას სამხედრო შეიარა-ღებულ კონფლიქტში, რაც რისკს ასმაგად ზრდის და საქართვე-ლოს ომის რისკის გადატანა ძალიან გაუჭირდება დღეს, აი, ამ ძა-ლიან სერიოზულ რეგიონალურ, გლობალურ, იმ საშინელებაში, რა-საც რუსეთის საოკუპაციო არმია აწარმოებს უკრაინის წინააღ-მდეგ. ამ რისკზე საქართველო ვერ წავა და გამოჩნდა, რომ თავად გენერატორი და რადაცეები, ბოდიში გამოთქმისთვის, მაგრამ სისუ-ლელეებია დანარჩენი ყველაფერი, ეს არის თითიდან გამოწოვილი რადაც თემები და რადაც წერილი შეიტანა, იმ წერილზე პასუხმა დააგვიანა, სხვა წერილი შეიტანა, იმაზე არ დააგვინა, იმაზე არავინ საუბრობს, არავინ საუბრობს იმაზე, რომ, სხვათა შორის, 2008 წლის ომი, ომის კონტექსტშიც მინდა ვუპასუხო და ამის საშუალებას თუ მომცემთ, მადლობას გეტყვით, არავინ პასუხობს იმას, რომ უკრაი-ნულ ენაზე ბავშვები სწავლობენ, ჰუმანიტარულ დახმარებაში პირ-ველი ნომრები რომ ვიყავით, არავინ პასუხობს იმას, რა პოლიტიკურ მხარდაჭერას ვუცხადებთ ამ ხალხს, მხოლოდ რადაცა, ერთი რადაც რადაც გამოვარდა და ეს ერთი ხარვეზი დავარქვათ თუ გნებავთ, გა, რადაცა სპეკულაციის საგანი გახდა. რაც შეეხება 2008 წლის ომს, რაც თქვა კასიანოვმა, ესეც ძაან მნიშვნელოვანი თემაა, გიორგი, ბოდიში, გამიგრძელდა, მაგრამ ძაან მნიშვნელოვანი თემებია, რაზეც ალბათ უნდა ვილაპარაკოთ. ჩვენ არ უნდა ვაყვედრიდეთ რადაცე-ებს ერთმანეთს. როგორც კი ამ თემაში შევალთ, ცოტა უხერხულ

მდგომარეობაში ვვარდებით. არცერთი რეაქცია ჩვენი მხრიდან არ ყოფილა პროაქტიური, ანუ ჩვენ არ დაგვიწყია არაფერზე საუბარი, აბსოლუტურად. 90-იანი წლების ძალიან პოზიტიური როლი უკრაინელების ჩვენ გვახსოვს და მადლობა უნდა ვუთხრათ, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ვიდრე ცოცხლები ვიქნებით, ამისათვის მადლობა უნდა ვუთხრათ. მათ შორის მადლობა უნდა ვუთხრათ მათ, 2008 წელს რომ მოგვყიდეს იარაღი, ოღონდ ომის დღეებში ეს არ ხერხდებოდა, კიდე გადავამოწმე, სანამ წამოვიდოდი, იმიტომ რომ ამის თქმას ვაპირებდი და გამახსენდა და მადლობა შესაძლებლობისთვის. მაგრამ ისე გამოდის, თითქოს ომის დღეებში, ვიღაცას გონია, კონტექსტი ისეთია, რომ გადმოგვცეს რაღაც იარაღი, ეს ასე არ ყოფილა, თუმცა არავინ არ ავალდებულებდა და არავის ეს არ მოუთხოვია და არავის ამაზე არ უსაუბრია დღევანდელ დღემდე, ვიდრე არ გაჩნდა იმის საფრთხე, რომ ხალხი შეცდომაში შეუძლია რაღაც სპეკულაციურ მესიჯს შეიყვანოს. კი, ბატონო, იყვნენ ინსტრუქტორები, რომლებსაც ეძლეოდათ ხელფასი ომამდე, რომლებმაც გარკვეული შეიარაღებაც გადმოგვცეს, უკრაინულმა მხარემ და შემდეგ გახსოვთ, რომ ამაზე გამოძიების დაწყებას ითხოვდნენ რადაში, თუ არ ვცდები და იყო ესეთი ორგანიზაცია, თუ გამახსენდა, უკრაინის სპეცსერვისი თუ რაღაც მსგავსი, შეიძლება შემეშალოს დასახელება, რომლის ხელმძღვანელმაც, შემდეგ, მე მახსოვს, გააკეთა განცხადება, რომ, დიახ, ჩვენ 80 ქვეყანაზე ვყიდდით შეიარაღებას და სამხედრო ტექნიკას და ასე შემდეგ, სხვადასხვა აღჭურვილობას და საქართველოზეც გავყიდეთ და ამაზე მთელი ამბავი იყო ატეხილი. დიახ, შევიძინეთ და რომ მოგვყიდეს, კი, ბატონო, ამაზეც მადლობა, მაგრამ როდესაც ვიღაც საუბრობს იმაზე, რომ, აი, ჩვენ დაგეხმარეთ, კი, ბატონო, პოლიტიკური მხარდაჭერა იყო, პრეზიდენტი იყო ჩამოსული, მადლობა ამ ყველაფრისთვის, გულწრფელი მად-

ლობა, მაგრამ არ უნდა გავახმო, გაახმოვანონ ისეთი მესიჯები, რომელიც საქართველოს მოსახლეობას რაღაც შეცდომაში შეიყვანს და არასწორი მიმართულებით წაიყვანს, ესეც აუცილებლად სა თქმელია.

ჟურნალისტი: – საქართველო პირნათელია უკრაინის წინაშე?

მამუკა მდინარაძე: – დიახ, საქართველოს ხელისუფლება და საქართველო აკეთებს მაქსიმალურს და გადის შესაძლებლობების ზღვარზე და ზღვარს მიღმა, იმიტო, რო აბსოლუტურად თავისუფლად შეგვეძლო, მათ შორის პოლიტიკური მხარდაჭერის კონტექსტშიც, რაღაცაზე დავთანხმებულიყავით უკრაინელებს, ისინი ხო თხოვდნენ მხარდაჭერას მთელ ევროპას, მთელ რეგიონს, და რაღაცაზე არა. მათ შორის ჩვეულებრივი არგუმენტი იქნებოდა, რომ, იცით რა, ჰააგაში სამხედრო ტრიბუნალზე გადაეცით ახლა რუსეთს, როგორც სამხედრო დამნაშავე, ამაზე შეგვეძლო გვეთქვა, რო რაღაც, მართლა რაღაც რისკის შემცველია, მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ პოლიტიკურ პლატფორმაზე აბსოლუტურად ბოლომდე მივყვებით და მხარს ვუჭერთ ბოლომდე ყველა რისკიან გადაწყვეტილებაში, მაგრამ შენ როცა მთხოვ მე, რომ სამხედრო დახმარება გაგიწიო, რაც პირდაპირ ნიშნავს, ეხლა, ომის გამოცხადება შეიძლება ზედმეტი იყოს, მაგრამ მხარედ დაფიქსირებას სამხედრო კო... ამისი თავი, რა თქმა უნდა, შეიძლება ქონდეს თავისუფლად ამერიკის შეერთებულ შტატებს და ასეც იქცევა: სამხედრო მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას, აფინანსებს ამ მიმართულებითაც და მილიარდებს აძლევს, მაგრამ საქართველოდან, ეხლა, რეალურად ხო ყველა ვხვდებით, რო არანაირი რეალური, ისეთი მოლოდინი, რო, ეხლა, ჩვენ ისეთ სამხედრო ტექნიკას და საბრძოლო მასალას გადავცემთ აქედან, რო ამოისუნთქავს უკრაინა, ჯერ ეს ხო სიგიჟეა, წარმოუდგენელი ამბავია, უბრალოდ მიზანი არის, რომ ახალი ტალღა, ის

ჩავარდნილი ტალღა ამოწიონ და წამოვიდეს ზეწოლა საქართველოს ხელიუფლებაზე რო რამენაირად დაფიქსირდეს საქართველო, როგორც მხარე სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტის, გაიზარდოს, გაასმაგდეს რისკი, დაფიქსირდეს ომის მხარედ და აქ, ეს ქვეყანა ჩაერთოს ომში და აქ გაიხსნას მეორე ფრონტი. ეს არის მარტივი ლოგიკა. თუ ამას ვიღაც ვერ ხვდება, არ ხვდება ქვია უფრო, ვიდრე ვერ მიხვედრა.

ჟურნალისტი: – მოდით გადავიდეთ სააკაშვილის საკითხზეც, ისე მოხდა, რომ აქ ბევრი განზომილება აქვს თემას, არის საამედიცინო, შიდაპოლიტიკური საკითხი, მთელი შიდა არეულობა, გამოსვლები და მათ შორის რადიკალური ზომები, როგორც დაგვიანონსეს ნაციონალებმა და აქ არის საერთაშორისო ლობისტური თემა,რომელიც ძალიან ასე დაემთხვა რაღაცნაირად ამ თემის გააქტიურებას, რისთვის იყენებენ ამ თემას? რა დგას ამ ყველაფრის უკან? როგორია სქემა, თქვენი შეხედულება მოგვახსენეთ?

მამუკა მდინარაძე: – არაფერი არ დაემთხვა, პირდაპირ გეუბნებით, არაფერი არ დაემთხვა. ეს არის სპეცოპერაციის გაგრძელება, როგორც ომის თემა, რამდენიმე მიმართულებით იბრძვიან, ხო. ერთი – ებრძვიან მშვიდობას და იმდენად ებრძვიან, რომ სიტყვა მშვიდობაც აღიზიანებთ, სლოგანიც აღიზიანებთ. ადამიანები არიან დღეს საქართველოში, რომლებიც წერენ სოციალურ ქსელში, რო, აი, მშვიდობ, ფოტოს დებენ, მშვიდობის ქალაქი და იმის ფონზე, რომ კლიჩკო გამოდის უკრაინის დედაქალაქიდან და ამბობს, რომ პუტინს ვერ მოაპარინებს ახალ წელს, საქართველოში არ უნდა აღინიშნოს ახალი წელი, წარმოიდგინეთ. რაღაცა გრინჩული მიდგომები აქვთ და უნდათ რომ ბავშვებმა არ იზეიმონ ახალი წელი, ნაძვისხე არ გა, შავი ლენტებით და შავი ძაძებით იყოს შემოსილი ეს ქალაქი და ეს ქვეყანა. მშვიდობა აღიზიანებთ. ეს ერთი მიმართულება მათი

სპეცოპერაციის და აა, იმას ვამბობდი, სოციალურ ქსელში არსებობენ ადამიანები, მხვდება ხოლმე, ძალიან იშვიათად, როცა ვახედებ, როცა ვახერხებ ასქროლვა-ჩასქროლვას ფეისბუქში, ვინც გადაიღებს ფოტოს, მშვიდობის ქალაქს, და ეს და დამაწვევინაო და რა უბედურებაა, იძახის. და მეორე მიმართულება, არ მინდა გამომრჩეს ქალბატონ მაგდას კითხვა.

ჟურნალისტი: – გასაგებია და ეს სლოგანი „მშვიდობის ქალაქი" სანამ გაარძელებთ მთავარი არგუმენტი არის ის, რომ როდესაც შენ აწერ მშვიდობის ქალაქს, როცა მოძმე სახელმწიფოში ომია, ეს არ არის ეთიკური, ეს იყო მთავარი გზავნილი, ის რომ მშვიდობით არ შეიძლება სპეკულაცია, ვციტირებ: როდესაც უკრაინაში და კიევში ასეთი ამბები ხდება.

მამუკა მდინარაძე: – დიახ, არაეთიკური რა არის, რომ.. რას ამბობენ? სპეკულაციები თავისკენ მოიკითხონ. ბევრ არგუმენტს დავდებდი, მაგრამ ამაზე არ შეეჩერდები, ბევრი ვილაპარაკე ამაზე. მაგრამ მთავარი არის ის, რომ მშვიდობა არის ეხლა მთავარი საზრუნავი თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსი. ის, რაც თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ყველაზე დიდი საზრუნავი და სანატრელი ამბავია, რაც უკრაინელებისთვის, კიეველებისთვის მათი მთავარი სანატრელი ამბავია, ის, რაც გვაქვს და მთავარი საზრუნავია და როდესაც გარკვეული რისკის წინაშე ვდგავართ, ხო ხედავთ, ადამიანი გამოდის და პირდაპირ ომისკენ მოგვიწოდებს, პრაქტიკულად, ამისი ხაზგასმა და დაფიქსირება რატოა სასპეკულირო თემა? და მთავარი სლოგანი და მთავარი მიზანი რატოა დარტყმის ობიექტი, თუ ის არ აღიზიანებს ამ ხალხს? აღიზიანებს რეალურად, არაფერი სპეკულაცია ამაში არ არის, რეალურად აღიზიანებს. ვინც მეორე, ვინც ომის მხარეს დგას, აღიზიანებს მშვიდობა, რა თქმა უნდა. ეხლა, თქვენ რო დგახართ სიკეთის მხარეს, ბოროტება გაღი-

ზიანებთ ხო, გულწრფელად, მაგრამ არა ისე, როგორც მეორე მხარეს, ბოროტების მხარეს მდგომ ადამიანებს აღიზ ... აღიზიანებს სიკეთე. ეს არის სიმართლე. და თქვენ კითხვას უნდა დაეუბრუნდეთ. და მეორე სპეცოპერაციაზე დავიწყე საუბარი თქვენი კითხვის საპასუხოდ. შემდეგ გიორგიმ, ჩაგვერთო გიორგი ამ ამბავში. ნახეთ, სპეცოპერაცია იყო სააკაშვილის ჩამოყვანა საქართველოში. იყო გეგმა A, გეგმა B, როგორც ჩანს...

ჟურნალისტი: – დიდი მადლობა, მამუკა მდინარაძე იყო ჩვენი სტუმარი.

2.7.1. ეკა ხერხეულიძის ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

ეკა ხერხეულიძის პოლიტიკური მეტყველების გასაანალიზებლად შევარჩიეთ პოლიტიკოსის გამოსვლა ტელეკომპანია TV პირველის გადაცემაში „რეაქცია“. გადაცემის თემა – „უკრაინაში ომი“. გადაცემას უძღვებოდა ჟურნალისტი ინგა გრიგოლია.

პოლიტიკოსის სასაუბრო თემას წარმოადგენდა უკრაინის ომი, ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასება და ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველო არსებულ ვითარებაში.

პოლიტიკოსის ინტერვიუში ტექსტის მოცულობაა 47 წინადადება, ტექსტში ტოკენების რაოდენობა არის 1153, ტიპების რაოდენობა – 566. TTR – 0,49.

ეკა ხერხეულიძის გამოსვლის ტექსტში ხშირად გვხვდება შემდეგი ფუნქციური ელემენტები: ***და*** *(34);* ***ეს*** *(26);* ***არ*** *(24);* ***რო(მ)*** *(40);* ***ამ*** *(18).*

ფუნქციური ელემენტების გამოყენების მაღალი სიხშირე პოლიტიკოსის მწირ ლექსიკაზე ან/და ჭარბ ექსპრესიულობაზე მიუთითებს.

ნაცვალსახელები „მე“ და „ჩემი“

ეკა ხერხეულიძის 1153 ტოკენის მოცულობის ტექსტში „**მე**“ ნაცვალსახელი 13-ჯერ გვხვდება, ხოლო **ჩემი/ ჩემს** 4-ჯერ:

(1) *მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ეს, ეს შეთანხმება;*

(2) *მე ჩემს პოზიციას გეუბნები. ეს არის ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება და არა მარტო ჩემი;*

(3) *მე ვგულისხმობ, პოლიტიკური თვალსაზრისით მოგებას;*

მე ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება განპირობებულია საკუთარი შეხედულებების, პირადი პოზიციების დომინირებისა და

მსმენელზე ზემოქმედების მიზნით.

ემპირიული მასალის გაანალიზებით გამოიკვეთა ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელები: *პოზიცია (14); საქართველო (13); ხელისუფლება (10); მიხეილ სააკაშვილი (6); ქვეყანა (8); უკრაინა (3); პუტინი (3); ხალხი (7); ადამიანი (7); დასავლეთი (2); ელიტა (2); ჯარი (2).* პოლიტიკოსის სასაუბრო თემიდან გამომდინარე, ამგვარი სურათი ბუნებრივია.

სიხშირის მიხედვით ყველაზე მეტჯერ გვხვდება შემდეგი ზედსართავი სახელები: *დღევანდელი 6-ჯერ; ნებისმიერი 3-ჯერ; ბუნდოვანი 2-ჯერ; მნიშვნელოვანი 2-ჯერ; მოწინავე 2-ჯერ; რუსული 2-ჯერ;* ასევე გვხვდება *ქართული, არაჩვეულებრივი, აღტაცებული, გამომწყვდეული, გაუგებარი, გულწრფელი, მომწყვდეული, ღირსეული, ჰუმანური.*

საუბრის ძირითადი თემები პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ კონცეპტებშიც აისახება:

ა) დადებითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *თავისუფლება, გამარჯვება, თავგანწირვა, თანამეგობრობა, თანამშრომლობა, მოთამაშე.*

(4) *ეს ძალიან მნიშვნელოვანია და დღეს ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნებოდა მიხეილ სააკაშვილი, ის რო თავისუფლებაზე ყოფილიყო;*

(5) *ჩვენ შევძლით, საზოგადოებას, მსოფლიო თანამეგობრობას გავაგებინოთ, ჩვენი პოზიცია როგორია და ამას ვახერხებთ მეტნაკლებად;*

(6) *ეს იყო მართლა არაჩვეულებრივი დღე ჩვენს ისტორიაში და, მე ვფიქრობ, რო არცერთ შემთხვევაში ეს თავგანწირვა, ჩვენი სოლიდარობა, ჩვენი ერთად ყოფნა და ჩვენი დამოკიდებულება არცერთ შემთხვევაში უშედეგო არ იქნება;*

უარყოფითი სემანტიკის მატარებელი სიტყვები: *ბედუკულმართობა, მარცხი, ღალატი, ტრაგედია, ომი.*

(7) *უბრალოდ, არ გააჩნია პერსპექტივა თავისი პოზიციის დაფიქსირების და ეს არის მართლა ისტორიული ბედუკულმართობა;*

(8) *მე ვგულისხმობ, პოლიტიკური თვალსაზრისით მოგებას, იმიტო რო, თავისთავად ტრაგედია, რომელიც უკრაინაში არის, აი, იგივე ტრაგედიის გადატანა 2008 წელს, როდესაც ჩვენ მოგვიწია, ჩვენ არ გვყავდა ამდენი მფარველი;*

ეკა ხერხეულიძესთან ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი ზმნები: *არის (20); იყო (7); გააჩნია (4); ვფიქრობ (4); მნიშვნელოვანია (4).* ვნახოთ კონტექსტის მაგალითები:

(9) *დღევანდელი დღე თავის განაცხადით, რუსეთის პოზიციით, რა თქმა უნდა, ეს არის წარმატება უკრაინის და ეს ნიშნავს იმას, რო გრძელვადიან პერსპექტივში, ნებისმიერ შემთხვევაში, უკრაინა მოიპოვებს გამარჯვებას;*

(10) *რა თქმა უნდა, განზე დარჩა, ისევე როგორც ახლა გააჩნია პოზიცია და დუმს;*

პოლიტიკოსის სურვილები გადმოცემულია ზმნური კონცეპტებით: *ვთქვათ (2); ვიყოთ (2); შეგვიძლია (1); შევძლებთ (1); გავაგებინოთ (1).*

გარდა ცალკეული ლექსიკური ერთეულისა, ტექსტში ასევე გვხვდება ზმნური ფრაზებიც, მაგალითად, **მარცხი განიცადა**.

(11) *უარს ამბობს კიევის აღებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მან განიცადა მარცხი;*

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტი მოიცავს 1153 ტოკენსა და 47 წინადადებას. 47 წინადადებიდან მოდალური სიტყვა **უნდა** 8-ჯერ დასტურდება. საინტერესოა, რომ ეკა ხერხეულიძის გამოსვლის ტექსტში „უნდა“ მოდალური ელემენტი

რვავე შემთხვევაში ფუნქციურ კონსტრუქციაში გვხვდება: *რა თქმა უნდა,* რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკოსი თავის გამოსვლაში საჭიროების/აუცილებლობის თემას არ ეხება:

(12) *რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მაგრამ დღევანდელი დღე, დღევანდელი დღე თავის განაცხადით, რუსეთის პოზიციით, რა თქმა უნდა, ეს არის წარმატება უკრაინის და ეს ნიშნავს იმას, რო გრძელვადიან პერსპექტივაში, ნებისმიერ შემთხვევაში, უკრაინა მოიპოვებს გამარჯვებას;*

(13) *პროდასავლური პოზიციების მქონე ადამიანების ერთობა, რა თქმა უნდა, იცნობს მის როლს ამ საკითხებთან მიმართებაში და, რა თქმა უნდა, ეს არი ჩვენი ძალიან დიდი, აი, როგორ გითხრათ, დანაკლისი, იმისთვის რომ ჩვენ დღეს მოწინავე ვიყოთ, იმიტო რო მოწინავე ქვეყანა ვიყოთ;*

(14) *(ხელისუფლება) რა თქმა უნდა, განზე დარჩა, ისევე როგორც ახლა გააჩნია პოზიცია და დუმს;*

ფუნქციურ-პრაგმატიკული თვალსაზრისით პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტი საკმაოდ მწირია. ემპირიული მასალის ანალიზი გვაძლევს შემდეგ სურათს:

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში **შეფასება** სულ 21-ჯერ გვხვდება და ძირითადად ხელისუფლებისა და მათი მომხრეების პოლიტიკური ორიენტაციის კრიტიკას მიემართება. ტექსტში ხშირია უარყოფითი შეფასება, რომელიც 19-ჯერ გვხვდება და ძირითადად, საქართველოს ხელისუფლების მისამართითაა:

(15) *იმიტო რო დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ჩვენ ეს, უბრალოდ, არ გაგვაჩნია;*

(16) *ნებისმიერი ადამიანი, ვისაც უბრალოდ ჰუმანური განწყობები აქვს, ასეთი მორალი აქვს, ასე ცხოვრობს და ვისაც აინტერესებს ხვალინდელი დღე ჩვენი ქვეყნის მომავლის, თავისთავად, ძალიან*

მნიშვნელოვანია საქართველოს პოზიცია და რომელიც არ არსებობს;

(17) *საქართველოს ხელისუფლების პოზიცია არის ძალიან ბუნდოვანი;*

ნაკლებად, მაგრამ გვხვდება დადებითი შეფასებაც, სულ 2 შემთხვევა:

(18) *ძალიან მნიშვნელოვანია ეს, ეს შეთანხმება;*

ეკა ხერხეულიძის გამოსვლის ტექსტში **თვითშეფასება** 3-ჯერ გვხვდება, ვნახოთ კონტექსტი:

(19) *მე მართლა არ ვიცი. მე ჩემს პოზიციას გეუბნები. ეს არის ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება და არა მარტო ჩემი.*

ახსნა-განმარტება საკმაოდ ხშირად (14-ჯერ) გვხვდება, ვნახოთ მაგალითი:

(20) *ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენთვის, თავისთავად, ჩვენი გულშემატკივრობა უკრაინისადმი განაპირობებს ჩვენს მომავალს და ამიტომ ვართ ყველა ჩართული ამ პროცესში.*

ახსნა-განმარტებასთან შედარებით, **პროგნოზი** უფრო ნაკლებია, ტექსტში სულ სამი შემთხვევა დასტურდება:

(21) *მე ვფიქრობ, თუ ასეთი კრიტიკული დღეები დადგება, აუცილებლად ექნება ხალხს ასევე რეაქცია, მაგრამ ეს არ იქნება მარტო დუმილის ხმა, დუმილის აქცია, რომელიც სოლიდარობას გამოხატავს ხელისუფლების მიმართ.*

პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში **ფაქტი** 6-ჯერ გვხვდება:

(22) *ძალიან რთული გზა გავიარეთ იმისთვის, რომ 14 წლის მერე ედიარებინათ, რო საქართველოს თავს დაესხა რუსეთი.*

გამოკვლეული მასალის თანახმად, შეფასება ყველაზე მეტჯერ გვხვდება ტექსტში.

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1	შეფასება	21
2	ახსნა-განმარტება	14
3	ფაქტი	6
4	პროგნოზი	3
5	თვითშეფასება	3
სულ:		47 წინადადება (1156 სიტყვა)

ცხრილი 6: ეკა ხერხეულიძის ტექსტის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი

47 წინადადებიდან 21 წინადადება შეფასებითი ხასიათისაა. უარყოფითი შეფასება (19) ბევრად სჭარბობს დადებით შეფასებას (2). ეს შესაძლებელია, ნიშნავდეს იმას, რომ პოლიტიკოსის გამოსვლის მთავარ მიზანს არსებული პოლიტიკური სიტუაციის ნეგატიური ასპექტის შეფასება წარმოადგენს.

ტექსტის გაანალიზების პროცესში ჩვენ მიერ გამოყენებული მზა ტექნოლოგიური ხელსაწყოები და პროგრამული დამუშავების ტექნოლოგიები: KWIC და Voyant tool ტექსტის სტატისტიკური დამუშავების ხელსაწყოებია. სტატისტიკური მონაცემები სწორედ KWIC-ის მეშვეობით გამოვიანგარიშეთ, რომელიც სიტყვათა სიხშირეს და TTR გვიჩვენებს.

Voyant tool, რომელიც ავტომატურად ამუშავებს ტექსტს, გამოვიყენეთ როგორც ტექსტის საანალიზოდ, ასევე სიტყვაფორმების სიხშირის გამოსაანგარიშებლად და ტექსტური მახასიათებლების სტატისტიკურად შესაფასებლადაც.



სურათი 6. ეკა ხერხეულიძის ტექსტის კომპლექსური ანალიზი

გავეცნოთ ძირითად მახასიათებლებს:

ლექსიკური სიმჭიდროვე: 0.492

წაკითხვის ინდექსი: 18.88

სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 18.4

2.7.2. ეკა ხერხეულიძის ინტერვიუს ტექსტი

ტელევიზია: TV პირველი
გადაცემა: რეაქცია
თემა: უკრაინაში ომია
წამყვანი: ჟურნალისტი ინგა გრიგოლია
სტუმარი: ეკა ხერხეულიძე – პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
ვიდეოჩანაწერის ბმული:
https://www.youtube.com/watch?v=CXizxYqUiOo
თარიღი: 29.03.2022

ინგა გრიგოლია: – ახლა წავიკითხავ სააკაშვილის განცხადებას, შეფასებას სტამბოლში გამართულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით: „სტამბოლში უკრაინის დიდი გამარჯვება გაფორმდა, რუსეთმა აღიარა, რო ვეღარ იღებს კიევს და ჯარები მთლიანად კიევის მიმართულებით გაჰყავს. პუტინის მთავარი ოცნება, დაჰპატრონებოდა კიევს, სამუდამოდ დაინგრა. უკრაინა ფორმალურად არ გახდება ნატოს წევრი. უკრაინა არ შევა ნატოში, მაგრამ ნატო შევა უკრაინაში, თუმცა ალიანსის ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი წევრები აძლევენ უკრაინას ნატოს მეხუთე მუხლის ტოლფას გარანტიებს” – წერს საქართველოს მესამე პრეზიდენტი „რაც ნიშნავს, რომ უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში, ისინი ჯარს უკრაინის დასაცავად ავტომატურად გაგზავნიან, რაც მთავარია, რუსეთი ამას თანხმდება. ახლა, კიევთან მარცხის შემდეგ, რუსეთი დომბასზე შეტევის განხორციელებას შეეცდება, მაგრამ იქაც აუცილებლად ჩაფლავდება. ეს არის დიპლომატიური გამარჯვება, რომელიც გმირი უკრაინელი სამხედროების სისხლის ფასად და უკრაინელი ერის ერთობის ფონზეა მოპოვებული. ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი,

გამაგონე ჩემს მამულში. ეს შეთანხმება არის რუსეთის ისტორიული მარცხი და რუსეთის არსებობის დაშლის დაწყების გაფორმება" – ამბობს საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი და მასთან იყო სწორედ დღეს შესული ეკა ხერხეულიძე, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ეხლა გვყავს ხაზზე. ეკას მივესალმები, საღამო მშვიდობისა. ეკა, დიდი მადლობა გადაცემაში ჩართვისთვის. ეხლა მე წავიკითხე მიხეილ სააკაშვილის შეფასება სტამბოლში შემდგარ დღევანდელ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით. თქვენ იყავით მასთან შესული და, აი, რა გითხრათ მან, ანუ, მაგალითად, ჯერ ნაადრევად მიიჩნევს დასავლეთი რაიმე წარმატებაზე საუბარს უკრაინაში, თუმცა სააკაშვილი ამბობს, რომ ეს არის უკრაინის პირველი დიდი გამარჯვება. რას იტყვით თქვენ, რაზე ესაუბრეთ მას?

ეკა ხერხეულიძე: – მოგესალმებით. ეს ინფორმაცია გაიგო თქვენი ტელევიზიით. ხუთსაათიანი საინფორმაციო გამოშვებისთვის მან მთხოვა, რომ ცოტა ხანი ავიდოდა საკანში, იმიტო რო აინტერესებდა შედეგი ამ მოლაპარაკების და ჩამოვიდა აღტაცებული. ისეთივე, როგორი პათოსიც არის წერილში. ეს წერილი მე გამოვიტანე და მისი შეხედულება ძალიან მკაფიოა წერილში და, ის რა თქმა უნდა, ამას წარმატებას უწოდებს. შესაძლებელია დასავლეთში რადაცა კატეგორია ფიქრობს, რო ეს არის ნაადრევი სიხარული, მაგრამ იმის გათვალისინებით, რომ პუტინის პირობის დაცვა ჩვენ არავის არ გვახსოვს, მაგრამ, მოდით, ისიც გავიხსენოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი, თითქმის, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც წინასწარ პროგნოზირებდა იმ მოვლენებს, რომელიც ახლა ვითარდება უკრაინაში, ასევე, რომ პირიქით, მე ვფიქრობ, მისი ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან კარგად იცნობს ამ ვითარებას, თუნდაც მოლაპარაკების იმ ეტაპებს, რომელსაც ეხლა გადის უკრაინა რუსეთთან, იმიტო რო ეს 2008 წელს, პირადად აქ, პირადად აქვს გავლილი და

დღევანდელი დღე მან, დღევანდელი წარმატება, დაუფარავად, პირ-ველმა აღნიშნა და თქვა, რომ ეს არი მართლა გამარჯვება, იმიტო რო, ჩვენ თუ გავითვალისწინებთ იმას, რა იყო ამოცანა პუტინის, თავისთავად ცხადი ხდება ყველაფერი. პუტინის განაცხადი იყო შემდეგი, რო ის აიღებდა ორ დღეში კიევს. დღეს მან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რო კიევში აღარ ეყოლება ჯარი და გაიყვანს იქედან. უარს ამბობს კიევის აღებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მან განიცადა მარცხი. აქ რა არის გაუგებარი და ბუნდოვანი, მე არ მესმის, იმიტომ რომ რუსული ჯარის ამბიცია და კრემლის ინტერესები იყო სულ სხვა და უკვე 34-ე დღეს მან გადაწყვიტა, რო გაიყვანოს ჯარი კიევიდან. მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ეს, ეს შეთანხმება. როგორ დაიცავს, თავისთავად, რუსეთი ამ შეთანხმებას, ბუნდოვანია, იმიტო რო არ არსებობს მისი გამოცდილება ღალატის და...

ინგა გრიგოლია: – და წამოვა თუ არა ამაზე რუსეთის პრეზიდენტი, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

ეკა ხერხეულიძე: –რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მაგრამ დღევანდე-ლი დღე, დღევანდელი დღე თავის განაცხადით, რუსეთის პოზიციით, რა თქმა უნდა, ეს არის წარმატება უკრაინის და ეს ნიშნავს იმას, რო გრძელვადიან პერსპექტივში, ნებისმიერ შემთხვევაში, უკრაინა მოიპოვებს გამარჯვებას.

ინგა გრიგოლია: – კარგი, ეკა, აი, მოდით, ასეთ კითხვას დაგისვამთ, დავუშვათ, შეთანხმება შედგა. არ არის, ხო, გამორიცხული, რო მარ-თლა შედგეს, იმიტო რო ძალიან ჩიხში არის შესული თვითონ პუტინი, რუსეთი და არ არის გამორიცხული, რომ მართლა დადგეს ეს შეთანხმების შედეგი. საქართველო სად არის ამ დროს, იმიტომ რომ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ უკრაინა ითხოვს გარანტიებს, იქ ჩამონათვალი არის. მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი და სხვა უნდა იყვნენ გარანტორები, რომ რუსული ან ნებისმიერი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში,

ისინი ისე დაიცავენ უკრაინას, როგორც დაიცავდნენ, უკრაინა რომ ყოფილიყო ნატოს წევრი. აი, ამ შემთხვევაში ნეიტრალიტეტზე, სამხედრო ნეიტრალიტეტზე კომპრომისი არის დასაშვები. ჩვენ სად ვართ, იმიტომ რომ ... მე ვეთანხმები გიგას, რომლმაც წედან თქვა ეთერში, რომ ინტერპრეტაციების საშუალება, ძალიან ბევრ ადამიანს ამ ქვეყანაში, მათ შორის „ქართულ ოცნებას", შესაძლებელია მიეცს. აი, თუკი ჩვენ ვილაპარაკებთ, დავუშვათ, ამ ნეიტრალიტეტზე. თუკი მიზანმიმართულად არ გავიხსენებთ, რომ იქ გარანტიებზე არის ლაპარაკი, როგორც, პრაქტიკულად, ნატოს წევრ ქვეყანაზე, შინაარსით, თითქმის. საქართველო სად რჩება ამ დროს?

ეკა ხერხეულიძე: – ხო, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენთვის, თავისთავად, ჩვენი გულშემატკივრობა უკრაინისადმი განაპირობებს ჩვენს მომავალს და ამიტომ ვართ ყველა ჩართული ამ პროცესში. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც უბრალოდ ჰუმანური განწყობები აქვს, ასეთი მორალი აქვს, ასე ცხოვრობს და ვისაც აინტერესებს ხვალინდელი დღე ჩვენი ქვეყნის მომავლის, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს პოზიცია და რომელიც არ არსებობს, ვერავინ ვერ გეტყვით მკაფიოდ, დღეს საქართველოს რა პოზიცია აქვს, იმიტო რო საჯარო განცხადებების, რადაცა აუდიტორიებში არის სულ სხვა, მოქმედება არის სულ სხვა და, თავისთავად, ამ ორჭოფულ დამოკიდებულებას არავინ არ მიიღებს სწორხაზოვან პოზიციად არც უკრაინაში, არც დასავლეთში. პოზიციასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის დღევანდელი წუხილი ზუსტად, აი, ეს იყო, რო ის არის ოთხ კედელში გამომწყვდეული. ადამიანს, რომელიც, ადამიანი, რომელიც ოცნებობდა, რომ ამ ასპარეზზე, რომ საქართველო ყოფილიყო დიდ ქვეყანასთან ერთად, დიდ ქვეყნებთან ერთად მოასპარეზე ქვეყანა, ხედავს, რომ არის უადგილოდ. უბრალოდ, არ გააჩნია პერსპექტივა თავისი პოზიციის დაფიქსირების და ეს არის მართლა ისტორიული ბედუკუღმართობა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია და დღეს ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნებოდა მიხეილ სააკაშვილი. ის რო თავისუფლებაზე ყოფილიყო, იმიტო რო უკრაინის პოლიტ-ელიტა და დასავლეთის პოლიტ-ელიტა და ზოგადად ქართული, პროდასავლური პოზიციების მქონე ადამიანების ერთობა, რა თქმა უნდა, იცნობს მის როლს ამ საკითხებთან მიმართებაში და, რა თქმა უნდა, ეს არი ჩვენი ძალიან დიდი, აი, როგორ გითხრათ, დანაკლისი, იმისთვის რომ ჩვენ დღეს მოწინავე ვიყოთ, იმიტო რო მოწინავე ქვეყანა ვიყოთ, იმიტო რო დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ჩვენ ეს, უბრალოდ, არ გაგვაჩნია. მე არ ვიცი, რას ფიქრობს საქართველოს ხელისუფლება, იმიტომ რომ მისი პოზიცია ასე აიხსნება, რომ ძალიან სწყინთ, როდესაც ჩვენ მათ რუსული გავლენის მქონე ხელისუფლებად, ვთქვათ, ვასახელებთ, მართლა, თვითონ ჩიხში მომწყვდეულები არიან და სხვა, უბრალოდ, მიმართულებას ისინი არ იძლევიან ამ შეფასების გარდა, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიცით, რა პოზიცია აქვთ საქართველოს ხელისუფლებას. თქვენ ხედავთ, რომ ნებისმიერი ქვეყანა, პროდასავლურად მოაზროვნე ქვეყანა, ცდილობს პრეზიდენტ ზელენსკისთან თანამშრომლობას, მასთან მოკავშირეობის დადასტურებას და საქართველოს ხელისუფლება არის პასიური. უბრალოდ, არც განცხადება ხმამაღალი არ გაუკეთებია, უბრალოდ, არ დაურეკავს პრეზიდენტ ზელენსკისთვის, ჩასვლაზე აღარ არის საუბარი და მას არ უცდია, რო პოზიცია ქონოდა და ისეთი განცდა გვეუფლება, რო ეს ადამიანები რომელ ქვეყანას გულშემატკივრობენ, აი, ამ ომში, მე მართლა არ ვიცი. მე ჩემს პოზიციას გეუბნები. ეს არის ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება და არა მარტო ჩემი. ჩემ ირგვლივ ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს ასე. ამიტომ საქართველო სად არის, ეს საზოგადოებამ თავისთავად იტვირთა საკუთარ თავზე და ხალხმა განაპირობა ჩვენი პოზიციის გაგზავნა, გზავნილის სახით დასავლურ სამყაროსთან, რო ხალხი თქვენთან

ერთად არის. ხელისუფლებას არ უცდია შეერთებოდა ხალხს. მონაწილეობა მიეღო ამ ხალხის, ამ ხალხის სოლიდარულ აქციაში. რა თქმა უნდა, განზე დარჩა, ისევე როგორც ახლა გააჩნია პოზიცია და დუმს. ეს არის საქართველოს პოზიცია. საქართველო დუმს, რომელსაც შეუძლია ძალიან დიდი მოგება ნახოს ამ ვითარებიდან. მე ვგულისხმობ, პოლიტიკური თვალსაზრისით მოგებას, იმიტო რო, თავისთავად ტრაგედია, რომელიც უკრაინაში არის, აი, იგივე ტრაგედიის გადატანა 2008 წელს, როდესაც ჩვენ მოგვიწია, ჩვენ არ გვყავდა ამდენი მფარველი. ჩვენ არ გვყავდა ამდენი მოკავშირე და ძალიან რთული გზა გავიარეთ იმისთვის, რომ 14 წლის მერე ეღიარებინათ, რო საქართველოს თავს დაესხა რუსეთი. დღეს სრულიად სხვა ვითარებაა. შეგვიძლია ჩვენ ძალიან ბევრი რამ, პოლიტიკურად, ჩვენს აქტივში ჩავიწეროთ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება პირიქით, ტრაგიკულად განიცდის ჰააგის გადაწყვეტილებას, იმიტო რო იქ მარცხს ელოდებოდა წინა ხელისუფლების და პერსონალურად მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

ინგა გრიგოლია: – საქართველოს ხელისუფლებამ, პრინციპში, იქ ჩაწერა კიდეც, მთავრობის ადმინისტრაციის რაღაც პიარჯგუფის განცხადება იყო, თუ პირადად მისი, არ ვიცი, უკრაინას რომ თითქოს რუსეთთან აქვს ომი. ასე გამოუვიდათ, ყოველ შემთხვევაში.

ეკა ხერხეულიძე: – რამდენჯერ გადავიკითხე, ინგა, ეს ტექსტი. კი, რამდენიმეჯერ გადავიკითხე ეს ტექსტი, იმდენად დაუჯერებელი ამბავი იყო. აი, მე არ ვიცი. ამიტო გეუბნებით, პოზიცია არის ეს. ჩვენი ხელისუფლება, სამწუხაროდ, რას გულშემატკივრობს, არ იცი არავინ. იმიტომ რომ, გეუბნებით, არა აქვს მკვეთრი პოზიცია, არ გააჩნია სწორი, სწორხაზოვანი, ვთქვათ, დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში. საკითხთან, რომლის ირგვლივაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის პოზიცია არის მკაფიო. საქართველოს ხელისუფლების პოზიცია არის ძალიან ბუნდოვანი, ამიტომ თავისთავად, ქვეყანას

ადგილი არ გააჩნია. ხალხის ტვირთია. ჩვენ შევძლით, საზოგადოებას, მსოფლიო თანა, თანამეგობრობას გავაგებინოთ, ჩვენი პოზიცია როგორია და ამას ვახერხებთ მეტ-ნაკლებად, ხო? არავის იმდენი ხალხი, პირველ დღეებში, არ შეუკრებია, რაც მოხდა საქართველოში და ეს იყო მართლა არაჩვეულებრივი დღე ჩვენს ისტორიაში და, მე ვფიქრობ, რო არცერთ შემთხვევაში ეს თავგანწირვა, ჩვენი სოლიდარობა, ჩვენი ერთად ყოფნა და ჩვენი დამოკიდებულება არცერთ შემთხვევაში უშედეგო არ იქნება. მე ვფიქრობ, თუ ასეთი კრიტიკული დღეები დადგება, აუცილებლად ექნება ხალხს ასევე რეაქცია, მაგრამ ეს არ იქნება მარტო დუმილის ხმა, დუმილის აქცია, რომელიც სოლიდარობას გამოხატავს ხელისუფლების მიმართ. ეს იქნება აქცია იმისა, რო ხელისუფლება ჩამოშორდეს მმართველობას და საქართველოს ყავდეს ღირსეული ხელისუფლება, რომელიც თანამეგობრობაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

ინგა გრიგოლია: – დიდი მადლობა, ეს იყო ეკა ხერხეულიძე, სწორედ მან გამოიტანა, როგორც მოისმინეთ ეთერში, მიხეილ სააკაშვილის ის განცხადება, შეფასება, რომელიც მე წაგიკითხეთ, სადაც სააკაშვილი უკრაინის პირველ დიდ გამარჯვებად მიიჩნევს დღევანდელ მოლაპარაკებებს.

III თავი

3.1. ტექსტების სტატისტიკური ანალიზი

ქართველ პოლიტიკოსთა ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი, რომელიც ნაშრომის წინა თავებში წარმოვადგინეთ, შედარებით-შეპირისპირებით ანალიზს მოითხოვს. ეს ანალიზი სტატისტიკურად არის მოცემული და შეჯამებული ქვემოთ წინამდებარე თავში. თავდაპირველად წარმოვადგენთ მამაკაც, შემდგომ კი – ქალ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკურ ანალიზს. ბოლოს შედარება-შეპირისპირების მეთოდის გამოყენებით შევეცდებით შევაჯამოთ მიღებული სტატისტიკური შედეგები და გამოვიტანოთ დასკვნები ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების თავისებურებების შესახებ გენდერულ ჭრილში.

3.1.1. მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი

1.1. ძირითადი პარამეტრები

მე-7 ცხრილში მოცემულია მამაკაც პოლიტიკოსთა გამოსვლების სტატისტიკური ანალიზის შედეგები ძირითადი პარამეტრების მიხედვით:

ძირითადი პარამეტრები	გ. ბოკერია	გ. გახარია	მ. მდინარაძე
ტოკენების რაოდენობა	1226	3669	2377
ტიპების რაოდენობა	652	1400	1117
TTR	0,53	0,38	0,46
წინადად. რაოდენობა	56	153	79
ლექსიკური სიმჭიდროვე	0,53	0.38	0.47
წაკითხვის ინდექსი	18,24	19.22	20.0
სიტყვათა საშ. რაოდ.	20,8	19.00	31.4

ცხრილი 7: მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი – ძირითადი პარამეტრები

როგორც ცხრილიდან ჩანს, TTR-ის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს გიგი ბოკერიას (0,53), შემდეგ მამუკა მდინარაძეს (0,46). გიორგი გახარიას მეტყველებაში TTR-ის მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება წინა ორი პოლიტიკოსის მაჩვენებელს. შესაბამისად, ლექსიკური სიმჭიდროვეც იმავე ინდექსს გვიჩვენებს. წაკითხვის ინდექსი სამივე პოლიტიკოსს თითქმის თანაბარი აქვს: გ. ბოკერიას –18,24, გ. გახარიას – 19,22, მ. მდინარაძეს – 20,00. სამაგიეროდ, წინადადებაში სიტყვათა საშუალო რაოდენობის მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება მ. მდინარაძის მეტყველება დანარჩენი ორი პოლიტიკოსის მეტყველებისაგან: გ. ბოკერიასთან – 20,8 გ. გახარიასთან – 19,00 მ. მდინარაძესთან – 31,4, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გ. ბოკერიასა და გ. გახარიას მეტყველებისაგან განსხვავებით მ. მდინარაძის მეტყველება რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით ხასიათდება.

1.2. ლექსიკური სიხშირე

ლექსიკური სიხშირე წარმოდგენილია შემდეგი მეტყველების ნაწილების მიხედვით:

ა) არსებითი სახელები,
ბ) ზედსართავი სახელები და
გ) ზმნა.

ცხრილი 7ა გვიჩვენებს 5 ყველაზე ხშირად გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულს. აქვეა წარმოდგენილი *უნდა* ფორმის სიხშირეც.

	გ. ბოკერია	გ. გახარია	მ. მდინარაძე
არსებითი სახელი	პუტინი (8) უკრაინა (8) ბოროტება (4) საფრთხე (4) ხელისუფლება(4)	საქართველო (39) მთავრობა (33) ქვეყანა (18) უკრაინა (12) უსაფრთხოება (9)	საქართველო (15) ომი (14) ადამიანი (13) ქვეყანა (8) მშვიდობა (4)
ზედს. სახელი	თავისუფალი (9) სამხედრო (5) უკრაინელი (5) ნებისმიერი (4) გმირული (2)	საერთაშორისო (8) დემოკრატიული (7) ევროპული (7) ეროვნული (6) თანამედროვე (6)	სამხედრო (15) პოლიტიკური (6) გულწრფელი (3) კონკრეტული (3) მნიშვნელოვანი(3)
ზმნა	არის (15) იქნება (11) ვთვლი(3) ვშიშობ(3) იწვნია (3)	არის (42) ხდება (19) გვესმოდეს (14) იყო (14) იქნება (13)	არის (19) იყო (16) აღიზიანებს (5) უხსნის (4) აკეთებს (4)
უნდა	16	70	21

ცხრილი 7ა: ლექსიკურ ელემენტთა სიხშირე

ლექსიკურ ერთეულთა სიხშირეს ემყარება ტექსტის კონ-

ტენტანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ პოლიტიკოსთა გამოსვლის თემა, მაგრამ ასევე განვსაზღვროთ გამოსვლის **ვექტორი** და **ფოკუსი:**

	გ. ბოკერია	**გ. გახარია**	**მ. მდინარაძე**
ვექტორი	რუსეთ-უკრაინის ომი	საქართველო	საქართველო
ფოკუსი	საგარეო პოლიტიკა	შიდა პოლიტიკა	შიდა პოლიტიკა

ცხრილი 7ბ: ვექტორი და ფოკუსი პოლიტიკოსთა გამოსვლებში

როგორც ცხრილიდან ჩანს, გ. ბოკერიას გამოსვლის ვექტორი ძირითადად მიმართულია რუსეთ-უკრაინის ომსა და ამ ომით განპირობებულ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. მისგან განსხვავებით, გ. გახარია და მ. მდინარაძე უკრაინის თემას, რომელიც პოლიტიკოსთა გამოსვლების ძირითადი თემაა, საქართველოს პერსპექტივიდან და ქვეყნის შიდა პოლიტიკის პერსპექტივიდან განიხილავენ. ამ თვალსაზისით გ. გახარიასა და მ. მდინარაძის მეტყველებაში უფრო მეტად სახელმწიფოებრივი ინტერესები და შიდა პოლიტიკური ხედვა არის წინა პლანზე წამოწეული.

1.3. ფუნქციური ელემენტები

ტექსტის სტატისტიკური დამუშავების ერთ-ერთ საწყის ეტაპს წარმოადგენს ტექსტის გარდაქმნა ინდექსად და ინდექსის კლასტერიზაცია ლექსიკურ და ფუნქციურ ელემენტებად. მე-8 ცხრილში წარმოდგენილია ფუნქციური ელემენტების სიხშირე მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველებაში.

გ. ბოკერია	გ. გახარია	მ. მდინარაძე
და (55)	და (143)	და (127)
რო/რომ (31)	რო/რომ (126)	რომ (63)
ეს (31)	ეს (93)	ეს (40)
არ (23)	არ (81)	მაგრამ (24)
ხო (19)	ხო (18)	ხო (14)

ცხრილი 8: ფუნქციურ ელემენტთა სიხშირე

ფუნქციური ელემენტების სიხშირის მაღალი მაჩვენებელი პოლიტიკოსის მეტყველებაში მიუთითებს მწირ ლექსიკაზე ან/და ჭარბ ექსპრესიულობაზე. ვინაიდან შერჩეულ პოლიტიკოსთა გამოსვლები მოცულობით განსხვავდება, აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით შეფასება ვალიდურობას იქნება მოკლებული, ამიტომ ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ქვემოთ, შეფარდებითი პროცენტულობის განხილვისას.

1.4. ეგოცენტრულობა

პოლიტიკოსის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენების სიხშირე ეგოცენტრულობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს და გამოიყენება საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევის, პირადი პოზიციების დომინირებისა და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით. ეგოცენტრულობის პროცენტული მაჩვენებელი (ტექსტში I პირის ნაცვალსახელებისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების რაოდენობის შეფარდება ტოკენების საერთო რაოდენობასთან), როგორც მე-9 ცხრილში მოცემული სტატისტიკიდან ჩანს, თითქმის თანაბარია გ. ბოკერიასა და გ. გახარიასთან, რომელთაგანაც საგრძნობლად განსხვავდება მ. მდინარაძის მეტყველება, სა-

დაც ეგოცენტრულობის პროცენტულობის მაჩვენებელი 3-ჯერ ნაკლებია. შდრ.:

	გ. ბოკერია	**გ. გახარია**	**მ. მდინარაძე**
ეგოცენტრულობა	მე (14) ჩვენ (14) ჩემი (4) ჩვენი (7)	მე (50) ჩვენ (35) ჩემი (5) ჩვენი (36)	მე (14) ჩვენ (9) ჩემი (1) ჩვენი (2)
პროცენტულობა	3,18 %	3,43 %	1,09 %

ცხრილი 9: ეგოცენტრულობის პროცენტული შედარება

3.1.2. მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი (შედარებითი პროცენტულობა)

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო ტექსტების განსხვავებული მოცულობიდან გამომდინარე, აბსოლუტური სტატისტიკის ანალიზი მოკლებულია ვალიდურობას და მოითხოვს სტატისტიკას შედარებითი პროცენტულობის (ანუ, შეფარდებითი სტატისტიკის) გათვალისწინებით. ამ საკითხს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საგანგებოდ განიხილავს მარიამ ყამარაული ქართული ენის ეროვნულ კორპუსში სტატისტიკური მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით და მას **დაბალანსების ფენომენს** უწოდებს (Kamarauli, 2022: 51).

მე-10 ცხრილში მოცემულია ლექსიკური სიხშირის შედარებითი პროცენტულობა:

	გ. ბოკერია	**გ. გახარია**	**მ. მდინარაძე**
არს. სახელი	პუტინი 0,65 % უკრაინა 0,65 % ბოროტება 0,33 % საფრთხე 0,33% ხელისუფლება 0,33 %	საქართველო 1,06 % მთავრობა 0,90% ქვეყანა 0,49 % უკრაინა 0,33 % უსაფრთხოება 0,25 %	საქართველო 0,63 % ომი 0,59 % ადამიანი 0,55 % ქვეყანა 0,34 % მშვიდობა 0,17 %
ზედს. სახელი	თავისუფალი 0,73% სამხედრო 0,41% უკრაინელი 0,41% ნებისმიერი 0,33% გმირული 0,16 %	საერთაშორისო 0,22% დემოკრატიული 0,19% ევროპული 0,19 % ეროვნული 0,16 % თანამედროვე 0,16 %	სამხედრო 0,63 % პოლიტიკური 0,25 % გულწრფელი 0,13 % კონკრეტული 0,13 % მნიშვნელოვანი 0,13 %
ზმნა	არის 1,22 % იქნება 0,90 % ვთვლი 0,24 % ვშიშობ 0,24 % იწვნია 0,24 %	არის 1,14 % ხდება 0,52 % გვესმოდეს 0,38 % იყო 0,38 % იქნება 0,35 %	არის 0,80 % იყო 0,67 % აღიზიანებს 0,21% უხსნის 0,17 % აკეთებს 0,17 %
უნდა	1,30 %	1,91 %	0,88 %

ცხრილი 10: ლექსიკური სიხშირის შედარებითი პროცენტულობა

როგორც ცხრილიდან ჩანს, გ. გახარიასთან ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელის ***საქართველო*** პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე გ. ბოკერიას (რუსეთი) ან მ. მდინარაძის (საქართველო) ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელი. საგულისხმოა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ზმნებს შორის გ. ბოკერიასთან გვხვდება პიროვნული ინტენციის გამომხატველი ისეთი ზმნები, როგორებიცაა: ***ვთვლი*** და ***ვშიშობ.***

უნდა მოდალური ელემენტი თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება სამივე პოლიტიკოსთან.

ფუნქციური ელემენტების თვალსაზრისით სამივე პოლიტიკოსთან იდენტური ვითარება გვაქვს: ყველაზე ხშირად გამოყენებული ფუნქციური ელემენტები რანჟირების თვალსაზრისითაც ერთგვაროვნებას გვიჩვენებს. ისინი მხოლოდ შედარებითი პროცენტულობის მიხედვით განსხვავდებიან, როგორც ამას მე-11 ცხრილში წარმოდგენილი სტატისტიკა ცხადყოფს. შდრ.:

გ. ბოკერია	**გ. გახარია**	**მ. მდინარაძე**
და 4,49 %	და 3,90 %	და 5,34 %
რო/რომ 2,53 %	რო/რომ 3,43 %	რომ 2,65 %
ეს 2,53 %	ეს 2,53 %	ეს 1,68 %
არ 1,88 %	არ 2,21 %	მაგრამ 1,00 %
ხო 1,55 %	ხო 2,49 %	ხო 0,59 %

ცხრილი 11: ფუნქციურ ელემენტთა შედარებითი პროცენტულობა

ცხრილში მოცემული სტატისტიკა გრაფიკულად ასე გამოიყურება:



გრაფიკა 1: ფუნქციური ელემენტების ვიზუალიზაცია

მე-12 ცხრილში მოცემულია ეგოცენტრულობისა და არგუ-მენტაციის შედარებითი პროცენტულობა:

	გ. ბოკერია	**გ. გახარია**	**მ. მდინარაძე**
ეგოცენტრულობა	მე 1,14 % ჩვენ 1,14 % ჩემი 0,33 % ჩვენი 0,57%	მე 1,36 % ჩვენ 0,95 % ჩემი 0,14 % ჩვენი 0,98 %	მე 0,59 % ჩვენ 0,58 % ჩემი 0,04 % ჩვენი 0.08 %
ეგოცენტრულობის %	3,18 %	3,43 %	1,09 %
არგუმენტაცია	7	11	14
წინად. რაოდენობა	56	153	79
არგუმენტაციის %	12,5 %	7,19 %	17,72 %

ცხრილი 12: ეგოცენტრულობისა და არგუმენტაციის შედარებითი პრო-ცენტულობა

როგორც ვხედავთ, გიგა ბოკერიასა და გიორგი გახარიასთან ეგოცენტრულობის მაჩვენებელი გაცილებით მეტია, ვიდრე მამუკა მდინარაძესთან. სამაგიეროდ, მამუკა მდინარაძის გამოსვლის ტექ-სტში არგუმენტაციული სტრუქტურების გამოყენების სიხშირე აღე-მატება ორივე პოლიტიკოსის პროცენტულ მაჩვენებლებს. ეგოცენ-ტრულობის მაჩვენებელი გრაფიკულად ასე გამოიყურება:



3.2.1. ქალ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი

2.2. ძირითადი პარამეტრები

მე-13 ცხრილში მოცემულია ქართველ ქალ პოლიტიკოსთა გამოსვლების სტატისტიკური ანალიზის შედეგები ძირითადი პარამეტრების მიხედვით. ეს პარამეტრებია: ტოკენებისა და ტიპების რაოდენობა, TTR, ტექსტში წინადადებების რაოდენობა, ლექსიკური სიმჭიდროვე, წაკითხვის ინდექსი და სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში:

	ე.ხერხეულიძე	თ.ხიდაშელი	ს.სამადაშვილი
ტოკენების რაოდენობა	1153	1552	830
ტიპების რაოდენობა	566	809	448
TTR	0,49	0,52	0,54
წინადადებების რაოდენობა	47	60	53
ლექსიკური სიმჭიდროვე	0,49	0,52	0,54
წაკითხვის ინდექსი	18,88	20.73	18,7
სიტყვათა საშ. რაოდენობა წინად.	18,4	23.9	36,00

ცხრილი 13: ქალ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი – ძირითადი პარამეტრები

როგორც ცხრილიდან ჩანს, TTR-ის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს სალომე სამადაშვილს (0,54), შემდეგ კი – თინა ხიდაშელს (0,52). ეკა ხერხეულიძის მეტყველებაში TTR-ის

მაჩვენებელი საკმაოდ ჩამორჩება წინა ორი პოლიტიკოსის მონაცემს. შესაბამისად, ლექსიკური სიმჭიდროვეც იმავე ინდექსს გვიჩვენებს. როგორც ვხედავთ, არც წაკითხვის ინდექსი გვაძლევს დიდ სხვაობას: შედარებით მაღალი მაჩვენებელია თინა ხიდაშელთან – 20.73, ხოლო ეკა ხერხეულიძესა –18.88 და სალომე სამადაშვილთან – 18.7, ანუ თითქმის თანაბარი მაჩვენებელია. სამაგიეროდ, წინადადებაში სიტყვათა საშუალო რაოდენობის მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება სალომე სამადაშვილის მეტყველება დანარჩენი ორი პოლიტიკოსის მეტყველებისაგან: ეკა ხერხეულიძესთან – 18,4, თინა ხიდაშელთან – 23,9 და სალომე სამადაშვილთან – 36.00, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ე. ხერხეულიძისა და თ. ხიდაშელის მეტყველებისაგან განსხვავებით, ს. სამადაშვილის მეტყველება რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით ხასიათდება.

3.2. ლექსიკური სიხშირე

ლექსიკური სიხშირე წარმოდგენილია შემდეგი მეტყველების ნაწილების მიხედვით: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და ზმნა. ცხრილში 14ა მოცემულია 5 ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეული. აქვეა წარმოდგენილი *უნდა* ფორმის სიხშირეც.

	ე. ხერხეულიძე	თ. ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
არს. სახელი	პოზიცია (14)	ქვეყანა/საქართველო (7)	უკრაინა (12)
	საქართველო (13)	ამერიკა (6)	დასავლეთი (8)
	ხელისუფლება (10)	მინისტრი (5)	ომი (8)
	ქვეყანა (8)	უკრაინა (4)	რუსეთი (6)
	ხალხი (7)	ნატო (3)	ხელისუფლება(5)

ზედს. სახელი	დღევანდელი (6) ნებისმიერი (3) ბუნდოვანი (2) მნიშვნელოვანი (2) მოწინავე (2)	სამხედრო (9) მნიშვნელოვანი (8) დიდი (7) მთავარი (7) ამერიკული (3)	ეკონომიკური (2) მნიშვნელოვანი(2) პოლიტიკური (2) უპრეცედენტო (2) საომარი (2)
ზმნა	არის (20) იყო (7) გააჩნია (4) ვფიქრობ (4) მნიშვნელოვანია (4)	არის (17) შემიძლია (4) ითხოვს (3) მოიქცევა (3) უყურებს (3)	არის (17) გააკეთა (2) იბრძვიან (2) გაუუქმებს (1) ამუშავდა (1)
უნდა	-	-	9

ცხრილი 14ა: ლექსიკურ ელემენტთა სიხშირე

აღსანიშნავია, რომ **ნდომა** ზმნის აწმყოს მესამე პირის ფორმა პრედიკატის ფუნქციით ეკა ხერხეულიძისა და თინა ხიდაშელის კონტექსტებში არ დასტურდება, ორივე პოლიტიკოსთან ძირითადად ფუნქციურ კონსტრუქციაში გამოიყენება; **ნდომა** პრედიკატის ფუნქციით მხოლოდ სალომე სამადაშვილთან გვხვდება.

ლექსიკურ ერთეულთა სიხშირე ემყარება ტექსტის კონტენტანალიზს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ პოლიტიკოსთა გამოსვლის ძირითადი თემა და ასევე განვსაზღვროთ გამოსვლის ვექტორი და ფოკუსი:

	ე. ხერხეულიძე	თ. ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
ვექტორი	საქართველოს ხელისუფლება	უკრაინის კონფლიქტი საქართველოსა და ამერიკის პერსპექტივებიდან	რუსეთ-უკრაინის ომი დასავლეთის პერსპექტივიდან
ფოკუსი	შიდა პოლიტიკა	გლობალურ-საერთაშორისო კონტექსტი	დასავლეთის დამოკიდებულება ომისადმი

ცხრილი 14ბ: ვექტორი და ფოკუსი პოლიტიკოსთა გამოსვლებში

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ ეკა ხერხეულიძის გამოსვლის ვექტორი ძირითადად მიმართულია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაზე, ხოლო თინა ხიდაშელსა და სალომე სამადაშვილთან ძირითადი თემა და გამოსვლის ვექტორი განსხვავებულია. თინა ხიდაშელის გამოსვლის ვექტორი მიმართულია უკრაინის ომისკენ, განხილულია მის ირგვლივ არსებული კონფლიქტები საქართველოსა და ამერიკის პერსპექტივებიდან, სალომე სამადაშვილი კი აქცენტს აკეთებს რუსეთ-უკრაინის ომში დასავლეთის როლსა და მნიშვნელობაზე.

1.3. ფუნქციური ელემენტები

ტექსტის სტატისტიკური დამუშავების ერთ-ერთი წინაპირობაა ტექსტის გარდაქმნა ინდექსად და ინდექსის კლასტერიზაცია ლექსიკურ და ფუნქციურ ელემენტებად. მე-15-ე ცში წარმოდგენილია ქალ პოლიტიკოსთა მეტყველებაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ფუნქციური ელემენტები.

ფუნქციური ელემენტების სიხშირის მადალი მაჩვენებელი პოლიტიკოსის მეტყველებაში მიუთითებს მწირ ლექსიკაზე ან/და ჭარბ ექსპრესიულობაზე. ვინაიდან ჩვენ მიერ შერჩეულ პოლიტიკოსთა გამოსვლები მოცულობით განსხვავდება, აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით შეფასება ნაკლებ ვალიდური იქნება, ამიტომ ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ქვემოთ, შეფარდებითი პროცენტულობის განხილვისას.

ე. ხერხეულიძე	თ. ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
და (37)	და (55)	რო/რომ (44)
ეს (28)	რო/რომ (47)	და (32)
არ (28)	არ (37)	არ (13)
რო/რომ (51)	ამ (30)	ეს (12)
ამ (18)	ეს (25)	ხო (10)

ცხრილი 15: ფუნქციურ ელემენტთა სიხშირე

როგორც მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, სამივე პოლიტიკოსის მეტყველებაში ერთი და იგივე ფუნქციური ელემენტები გვხვდება. ფუნქციური ელემენტების შედარებით პროცენტულობას ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების მეტყველებაში.

1.4. ეგოცენტრულობა

პოლიტიკოსის მეტყველებაში პირველი პირის ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება ეგოცენტრულობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. მისი ხშირი გამოყენება საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევას, პირადი პოზიციების დომინირებასა ან/და მსმენელზე ზემოქმედების გაძლიერებას ემსახურება. ეგოცენტრულობის პროცენტული მაჩვენებელი (ტექსტში I პირის ნაცვალსახელებისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების რაოდენობის შეფარდება ტოკენების საერთო რაოდენობასთან), როგორც მე-16 ცხრილში მოცემული სტატისტიკიდან ჩანს, თითქმის თანაბარია ე. ხერხეულიძესა და ს. სამადაშვილთან, ხოლო თ. ხიდაშელის მეტყველების ეგოცენტრულობის ხარისხი ე. ხერხეულიძისა და ს. სამადაშვილის ეგოცენტრულობის პროცენტულობის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია. შდრ.:

	ე. ხერხეულიძე	თ. ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
ეგოცენტრულობა	მე (13) ჩვენ (14) ჩემი (4) ჩვენი (9)	მე (8) ჩვენ (6) ჩემი (2) ჩვენი(5)	მე (10) ჩვენ (17) ჩემი (2) ჩვენი (4)
პროცენტულობა %	3.47 %	1.35 %	3.97 %

ცხრილი 16: ეგოცენტრულობის ხარისხი

3.2.2. ქალ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი (შედარებითი პროცენტულობა)

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო ტექსტები მოცულობის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება, აქედან გამომდინარე, აბსოლუტური სტატისტიკის ანალიზი მოკლებულია ვალიდურობას და მოითხოვს სტატისტიკურ მონაცემებს შედარებითი პროცენტულობის გათვალისწინებით. მე-17 ცხრილში მოცემულია ლექსიკური სიხშირის შედარებითი პროცენტულობა:

	ე. ხერხეულიძე	თ. ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
არს. სახელი	პოზიცია 1,21 % საქართველო 1,12 % ხელისუფლება 0,87 % ქვეყანა 0,69 % ხალხი 0,60 %	საქართველო 0,45% ამერიკა 0,39 % მინისტრი 0,32 % უკრაინა 0,26 % ნატო 0,19 %	უკრაინა 1,45 % დასავლეთი 0,96 % ომი 0,96 % რუსეთი 0,72 % ხელისუფლება 0,60 %
ზედს. სახელი	დღევანდელი 0,52 % ნებისმიერი 0,26 % ბუნდოვანი 0,17 % მნიშვნელოვანი 0,17 % მოწინავე 0,17 %	სამხედრო 0,58% მნიშვნელოვანი0,52% დიდი 0,45 % მთავარი 0,45 % ამერიკული 0,19 %	ეკონომიკური 0,24 % მნიშვნელოვანი 0,24% პოლიტიკური 0,24 % უპრეცედენტო 0,24% საომარი 0,24 %
ზმნა	არის 1,73 % იყო 0,61 % გააჩნია 0,34 % ვფიქრობ 0,34 % მნიშვნელოვანია 0,34 %	არის 1,10 % შემიძლია 0,26 % ითხოვს 0,19 % მოიქცევა 0,19 % უყურებს 0,19 %	არის 2,05 % გააკეთა 0,24 % იბრძვიან 0,24 % გაუუქმებს 0,12% ამუშავდა 0,12%
უნდა	-	-	9

ცხრილი 17: ლექსიკური სიხშირის შედარებითი პროცენტულობა

როგორც ცხრილიდან ჩანს, ე. ხერხეულიძესთან ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელი ***პოზიცია*** და ***საქართვე-***

ლო უფრო მაღალ პროცენტულობას გვიჩვენებს, ვიდრე თ. ხიდაშელთან ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვა ***საქართველო,*** ხოლო სალომე სამადაშვილთან დომინირებს არსებითი სახელი ***უკრაინა.*** საინტერესოა ზედსართავი სახელების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელიც: ეკა ხერხეულიძესთან ყველაზე მეტჯერ გვხვდება ზედსართავი სახელი ***დღევანდელი,*** პოლიტიკოსი აქცენტს აკეთებს თანამედროვე ვითარების შეფასებაზე, ხოლო თინა ხიდაშელთან ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელი ***სამხედრო.*** რაც შეეხება სალომე სამადაშვილს, მასთან ხუთივე ზედსართავი სახელი: ***ეკონომიკური, მნიშვნელოვანი, უპრეცედენტო, პოლიტიკური, საომარი*** თანაბარ პროცენტულობას გვიჩვენებს.

საგულისხმოა, რომ სამივე პოლიტიკოსთან ყველაზე ხშირად გამოყენებულ ზმნებს შორის დომინირებს **ყოფნა** ზმნა.

უნდა მოდალური ელემენტი კი ეკა ხერხეულიძესა და თინა ხიდაშელთან ძირითადად ფუნქციურ კონსტრუქციაში გამოიყენება, ის პრედიკატის ფუნქციით მხოლოდ სალომე სამადაშვილთან გვხვდება.

სამივე პოლიტიკოსის გამოსვლაში ფუნქციური ელემენტების სიხშირე თითქმის იდენტურია. სალომე სამადაშვილსა და ეკა ხერხეულიძესთან *რო(მ)*-ის გამოყენების შედარებით მაღალი პროცენტულობა გვაქვს, ვიდრე თინა ხიდაშელთან.

ე. ხერხეულიძე	თ.ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
რო/რომ 4,42 %	და 3,54 %	რო/რომ 5,30 %
და 3,21 %	რო/რომ 3,02 %	და 3,86 %
ეს 2,43 %	არ 2,38 %	არ 1,57 %
არ 2,43 %	ამ 1,93 %	ეს 1,45 %
ამ 1,56 %	ეს 1,61 %	ხო 1,20 %

ცხრილი 18: ფუნქციურ ელემენტთა შედარებითი პროცენტულობა

როგორც მე-18-ე ცხრილში წარმოდგენილი სტატისტიკა ცხადყოფს, პოლიტიკოსთა გამოსვლებში ფუნქციური ელემენტების გამოყენების სიხშირე მხოლოდ შედარებითი პროცენტულობის თვალსაზრისით არის განსხვავებული.

ცხრილში მოცემული სტატისტიკა გრაფიკულად ასე გამოიყურება:



გრაფიკა 2: ფუნქციური ელემენტების ვიზუალიზაცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ეგოცენტრულობისა და არგუმენტაციის შედარებითი პროცენტულობა:

	ე. ხერხეულიძე	თ. ხიდაშელი	ს. სამადაშვილი
ეგოცენტრულობა	მე 1,13 % ჩვენ 1,21 % ჩემი 0,34 % ჩვენი 0,78 %	მე 0,52 % ჩვენ 0.38% ჩემი 0,13 % ჩვენი 0.32%	მე 1,20 % ჩვენ 2,05 % ჩემი 0,24 % ჩვენი 0,48 %
ეგოცენტრულობა %	3,47 %ე.	1.35 %	3.97%
არგუმენტაცია	9	7	13
წინად. რაოდენობა	47	60	53
არგუმენტაცია %	19,14 %	11,67 %	24,53 %

ცხრილი 19: ეგოცენტრულობისა და არგუმენტაციის შედარებითი პროცენტულობა

როგორც ცხრილში მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, ეგოცენტრულობის პროცენტულობის მაჩვენებელი თინა ხიდაშელთან ბევრად დაბალია, ვიდრე ეკა ხერხეულიძესა და სალომე სამადაშვილთან, ეს შესაძლებელია ნიშნავდეს იმას, რომ თინა ხიდაშელი თავის გამოსვლაში საგნობრივად მსჯელობს და მის მეტყველებაში ნაკლებად არის ხაზგასმული საკუთარი პოზიციები.

რაც შეეხება არგუმენტაციული სტრუქტურების სიხშირეს, თინა ხიდაშელი აქაც ნაკლებად იყენებს არგუმენტაციის ენობრივ საშუალებებს, რაზედაც ცხრილში მოცემული პროცენტული მაჩვენებელიც მიუთითებს. მისგან განსხვავებით, ე. ხერხეულიძისა და ს. სამადაშვილის მეტყველებაში არგუმენტაციის ენობრივი საშუალებები გაცილებით ხშირად არის გამოყენებული.

ცხრილში მოცემული სტატისტიკა გრაფიკულად ასე გამოიყურება:



გრაფიკა 3: ეგოცენტრულობის ვიზუალიზაცია

3.3 საერთო შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქართული პოლიტიკური მეტყველება გენდერულ ჭრილში, რომელიც განვახორციელეთ

ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური ანალიზის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ემპირიული მასალის შერჩევისას, გავითვალისწინეთ პოლიტიკური ორიენტაციისა და გენდერული ბალანსირების პრინციპი, საკვლევად ავიღეთ ექვსი ქართველი პოლიტიკოსის: სამი ქალი და სამი მამაკაცის პოლიტიკური გამოსვლების ტექსტები, სამწუხაროდ, საანალიზო ტექსტები მოცულობის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება, აქედან გამომდინარე, აბსოლუტური სტატისტიკის ანალიზიც მოკლებულია ვალიდურობას. სწორედ ამიტომ წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს შედარებითი პროცენტულობის გათვალისწინებით:

	1	2	3	4	5	6
ტოკენების რაოდ.	1153	1552	830	1226	3669	2377
ტიპების რაოდ.	566	809	448	652	1400	1117
TTR	0,49	0,52	0,54	0,53	0,38	0,46
წინად. რაოდ.	47	60	53	56	153	79
არგუმენტირ. წინად. რაოდ.	9	7	13	7	11	14
არგუმენტების %	19,14 %	11,67%	24,53 %	12,5%	7,19%	17,72%
ლექსიკ. სიმჭიდრ.	0,49	0,52	0,54	0,53	0.38	0.47
წაკითხვ. ინდექსი	18,88	20.73	18,7	18,24	19.22	20.0
სიტყ. საშ. რაოდ. წინად.	18,4	23.9	36,00	20,8	19.00	31.4
1 – ხერხეულიძე, 2 – ხიდაშელი, 3 – სამადაშვილი, 4 – ბოკერია, 5 – გახარია, 6 – მდინარაძე						

ცხრილი 20: სტატისტიკური ანალიზის შედარება-შეპირისპირების პროცენტულობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური ანალიზი მრავალფეროვან სურათს იძლევა. ტიპებისა და ტოკენების ურთიერმიმართება (Token-Type-

Ratio) განსხვავებულია რაოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ, ქალი პოლიტიკოსების, თინა ხიდაშელისა და სალომე სამადაშვილის, პროცენტული მაჩვენებელი აღემატება მამაკაცი პოლიტიკოსების TTR მაჩვენებელს. მამაკაცებთან მხოლოდ გიგა ბოკერიასთან გვაქვს მაღალი სტატისტიკა, გიორგი გახარიასა და მამუკა მდინარაძის შემთხვევაში TTR მაჩვენებელი თითქმის თანაბარია.

ასევე ძალიან საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ექვსი პოლიტიკოსიდან მხოლოდ სალომე სამადაშვილისა და მამუკა მდინარაძის გამოსვლის ტექსტებში გვხვდება არგუმენტაციის ენობრივი საშუალებების გამოყენების მაღალი კოეფიციენტი, დანარჩენ ოთხ პოლიტიკოსთან თითქმის იდენტური რაოდენობაა.

რაც შეეხება წაკითხვის ინდექსის მაჩვენებელს, თინა ხიდაშელისა და მამუკა მდინარაძის შემთხვევაში ფიქსირდება შედარებით მაღალი მაჩვენებელი, დანარჩენ ოთხ პოლიტიკოსთან კი პროცენტულობა თითქმის თანაბარია.

3.3.1 პრაგმატიკული ანალიზი

საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვთავაზობს წინადადებათა პრაგმატიკული ანალიზი. განვიხილოთ თითოეული პოლიტიკოსის ტექსტში წარმოდგენილი წინადადებების კონტენტანალიზი.

ეკა ხერხეულიძის შემთხვევაში წინადადების კონტენტთა სახეები საკმაოდ მწირია, 1156 ტოკენის მოცულობის ტექსტში მხოლოდ 5 სახის კონტენტი დასტურდება.

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1.	შეფასება	21
2.	ახსნა-განმარტება	14

3.	ფაქტი	6
4.	პროგნოზი	3
5.	თვითშეფასება	3
	სულ:	47 წინადადება (1156 სიტყვა)

ცხრილი 21: ეკა ხერხეულიძის წინადადებათა კონტენტანალიზი

ცხრილის მონაცემების მიხედვით, პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში, კონტენტანალიზის თვალსაზრისით, ყველაზე ხშირად შეფასებითი და ახსნა-განმარტებითი წინადადებები გვხვდება.

რაც შეეხება თინა ხიდაშელის წინადადებათა კონტენტანალიზს, 1552 ტოკენის მოცულობის ტექსტში, 60 წინადადება და 10 კონტენტის სახე გვაქვს, გამომსვლელთან დომინირებს შეფასებითი და ახსნა-განმარტებითი სახის წინადადებები:

წინადადების კონტენტის სახე		**წინადადებათა რაოდენობა**
1.	შეფასება	19
2.	ახსნა-განმარტება	10
3.	ფაქტი	6
4.	ვარაუდი	6
5.	მოწოდება	5
6.	თვითშეფასება	5
7.	რიტორიკული შეკითხვა	4
8.	მოლოდინი	4
9.	კრიტიკა	2
10.	მადლობა	2
	სულ:	60 წინადადება, 1552 სიტყვა

ცხრილი 22: თინა ხიდაშელის წინადადებათა კონტენტანალიზი

მოცემული ცხრილის მიხედვით, ასევე საკმაოდ ხშირია ფაქტი, ვარაუდი, მოწოდება და თვითშეფასება. ყველაზე ნაკლებად კი კრიტიკა გვხვდება.

სალომე სამადაშვილის ტექსტი, დანარჩენ პოლიტიკოსებთან შედარებით ყველაზე ნაკლები მოცულობისაა - პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტი 830 ტოკენისა და 53 წინადადებისგან შედგება. ძალზე საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვაძლევს შედარებით დაბალი მოცულობის ტექსტში კონტენტთა საკმაოდ მაღალი რაოდენობა.

წინადადების კონტენტის სახე		**წინადადებათა რაოდენობა**
1.	შეფასება	25
2.	თვითშეფასება	7
3.	ახსნა-განმარტება	5
4.	ფაქტი	6
5.	პროგნოზი	3
6.	რიტორიკული შეკითხვა	2
7.	გაფრთხილება	2
8.	ბრალდება	1
9.	სურვილი	1
10.	დაპირება	1
სულ:		53 წინადადება (830 სიტყვა)

ცხრილი 23: სალომე სამადაშვილის წინადადებათა კონტენტანალიზი

როგორც ვხედავთ, ცხრილი 23-ში წარმოდგენილი კონტენტის სახეებიდან სალომე სამადაშვილთან ყველაზე ხშირად გვხვდება შეფასებითი ხასიათის წინადადებები. ასევე საკმაოდ ხშირია: თვითშეფასება, ახსნა-განმარტება, ფაქტი და პროგნოზი. შედარებით ნაკლებად გვხვდება რიტორიკული ხასიათის შეკითხვები, გაფრთხილება, ბრალდება, დაპირება და სურვილი.

მამაკაც პოლიტიკოსებთან, კერძოდ, გიგა ბოკერიასთან 1226 ტოკენის მოცულობის ტექსტში წინადადებათა რაოდენობა არის 54,

ასევე საკმაოდ ბევრია კონტენტის სახეებიც. როგორც ქალ პოლიტიკოსებთან, გიგა ბოკერიასთანაც ყველაზე მეტჯერ გვხვდება შეფასებითი ხასიათის წინადადებები. პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტში ასევე ხშირია ახსნა-განმარტება, თვითშეფასება და ფაქტი.

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1.	შეფასება	13
2.	თვითშეფასება	8
3.	ახსნა-განმარტება	10
4.	ფაქტი	6
5.	მოწოდება	3
6.	ვარაუდი	3
7.	პროგნოზი	2
8.	რიტორიკული შეკითხვა	4
9.	მადლობა	2
10.	სურვილი	1
11.	მიმართვა	1
სულ:		54 წინადადება (1226 სიტყვა)

ცხრილი 24: გიგა ბოკერიას წინადადებათა კონტენტანალი

გიორგი გახარიასთან ყველაზე მეტი მოცულობის ტოკენი (სულ 3669) და წინადადებათა რაოდენობა (სულ 153) გვაქვს, თუმცა კონტენტების თვალსაზრისით სხვა პოლიტიკოსებისგან დიდად არ განსხვავდება, თითქმის იდენტური რაოდენობა გვაქვს.

წინადადების კონტენტის სახე		წინადადებათა რაოდენობა
1.	შეფასება	45
2.	შეკითხვა	21
3.	ფაქტი	20
4.	მოწოდება	18
5.	ახსნა-განმარტება	16

6.	პროგნოზი	14
7.	თვითშეფასება	12
8.	რიტორიკული შეკითხვა	9
9.	ვარაუდი	2
10.	მადლობა	1
სულ:		153 წინადადება (3669 სიტყვა)

ცხრილი 25: გიორგი გახარიას წინადადებათა კონტენტანალიზი

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, გიორგი გახარიასთან ყველაზე ხშირად შეფასება გვხვდება, შემდეგ შეკითხვა და ფაქტი, ასევე ხშირია ახსნა-განმარტება, მოწოდება და პროგნოზი. ყველაზე ნაკლებად კი ვარაუდი გვხვდება.

წინადადების კონტენტის სახე		**წინადადებათა რაოდენობა**
1.	შეფასება	26
2.	თვითშეფასება	9
3.	ახსნა-განმარტება	18
4.	ფაქტი	10
5.	მოწოდება	4
6.	ვარაუდი	6
7.	პროგნოზი	4
8.	რიტორიკული შეკითხვა	3
სულ:		79 წინადადება (2337 სიტყვა)

ცხრილი 26: მამუკა მდინარაძის წინადადებათა კონტენტანალიზი

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მამუკა მდინარაძესთან ყველაზე ხშირად შეფასება გვხვდება, შემდეგ, ახსნა-განმარტება და ფაქტი. პოლიტიკოსთან იშვიათია რიტორიკული ხასიათის შეკითხვები.

3.3.2. შედარებითი სტატისტიკა და პროცენტულობა

27-ე ცხრილში მოცემული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მამაკაც პოლიტიკოსებთან შეფასებითი ხასიათის წინადადებები უფრო მეტია, ვიდრე ქალ პოლიტიკოსებთან. აღსანიშნავია, რომ რაოდენობის თვალსაზრისით, გიორგი გახარიასთან ყველაზე მეტჯერ გვხვდება შეკითხვა, ფაქტი და მოწოდება.

	1	2	3	4	5	6
შეფასება	21	19	25	13	45	26
შეკითხვა	-	-	-	-	21	-
ფაქტი	6	6	6	6	20	10
მოწოდება	-	5	-	3	18	4
ვარაუდი	-	6	-	3	2	6
პროგნოზი	3	-	3	2	14	4
კრიტიკა	-	2	-	-	-	-
თვითშეფასება	3	5	7	8	12	9
ახსნა-განმარტება	14	10	5	10	16	18
რიტორ. შეკითხვა	-	4	2	4	9	3
გაფრთხილება	-	-	2	-	-	-
ვარაუდი	-	-	-	-	2	-
ბრალდება	-	-	1	-	-	-
სურვილი	-	-	1	1	-	-
მადლობა	-	2	-	2	1	-
მოლოდინი	-	4	-	-	-	-
დაპირება	-	-	1	-	-	-
მიმართვა	-	-	-	1	-	-
სულ წინად. რაოდ.	47	60	53	54	153	79

ცხრილი 27: შედარებითი სტატისტიკა და პროცენტულობა

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ცალკეულ პოლიტიკოსთა მეტყველების სტატისტიკური დამუშავების დროს სტატისტიკურ

მონაცემებს გადამწყვეტი როლი ენიჭება პოლიტიკოსთა მეტყველების სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით ანალიზის დროს. მაგრამ სხვადასხვა მოცულობის ტექსტების დამუშავებისა და შედარება-შეპირისპირების შემთხვევაში აუცილებელია ე. წ. დაბალანსების ფაქტორის გათვალისწინება ანუ შედარებითი პროცენტულობის გამოთვლა, რათა აბსოლუტურმა სიხშირემ არ შეგვიყვანოს შეცდომაში. მაგალითად, ზემოთ მოცემული სტატისტიკური შეფასების ცხრილში გ. გახარიას მეტყველებაში ყველაზე ხშირად გვხვდება **შეფასება**, რომელიც ორჯერ და ზოგ შემთხვევაში სამჯერ აღემატება ამ პარამეტრის სტატისტიკურ მაჩვენებელს სხვა პოლიტიკოსებთან შედარებით, თუმცა ეს აბსოლუტური მაჩვენებელი ვალიდურობას დაკარგავს შედარებითი პროცენტულობის სტატისტიკურ ცხრილში.

3.3.3 პროცენტული შედარება-შეპირისპირება

ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების მეტყველება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, ამ განსხვავებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგალითად: სქესი, თემატიკა, პოლიტიკური ორიენტაცია და სხვ. 28-ე ცხრილში მოცემული პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, ქალი პოლიტიკოსების გამოსვლებში შეფასებითი ხასიათის წინადადებები, უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაც პოლიტიკოსებთან. სამაგიეროდ, ფაქტი უფრო მეტჯერ გვხვდება მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველებაში, ვიდრე ქალ პოლიტიკოსებთან. მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ მოწოდება ყველაზე მეტჯერ გიორგი გახარიასთან დასტურდება, ხოლო ვარაუდი თინა ხიდაშელთან. რაც შეეხება თვითშეფასებას, ის დომინირებს სალომე სამადაშვილისა და გიგა ბოკერიას გამოსვლებში. ახსნა-განმარტე-

ბითი ხასიათის წინადადებები კი, ისევე როგორც არგუმენტაციული სტრუქტურების ენობრივი საშუალებები, ყველაზე ხშირად სალომე სამადაშვილისა და მამუკა მდინარაძის გამოსვლის ტექსტებში დასტურდება.

	1	2	3	4	5	6
შეფასება	44,68	31,66	47,16	24,07	29,41	32,91
შეკითხვა	-	-	-	-	13,73	-
ფაქტი	12,77	10,0	11,32	11,11	13,07	12,66
მოწოდება	-	8,33	-	5,55	11,76	5,06
ვარაუდი	-	10,0	-	5,55	1,31	7,59
პროგნოზი	6,38	-	5,66	3,70	9,15	5,06
კრიტიკა	-	3,33	-	-	-	-
თვითშეფასება	6,38	8,33	13,20	14,81	7,84	11,39
ახსნა-განმარტება	29,77	10,0	9,43	18,52	10,46	22,78
რიტორ. შეკითხვა	-	6,67	3,77	7,41	5,88	3,80
გაფრთხილება	-	-	3,77	-	-	-
ვარაუდი	-	-	-	-	1,31	-
ბრალდება	-	-	1,89	-	-	-
სურვილი	-	-	1,89	1,85	-	-
მადლობა	-	3,33	-	3,70	0,65	-
მოლოდინი	-	6,67	-	-	-	-
დაპირება	-	-	1,89	-	-	-
მიმართვა	-	-	-	1.85	-	-
სულ წინად. რაოდ.:	47	60	53	54	153	79

ცხრილი 28: ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა გამოსვლების ტექსტების ანალიზის პროცენტული შედარება-შეპირისპირება

28-ე ცხრილში მოცემული ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა გამოსვლების ტექსტების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის შედარება-შეპირისპირების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად ასე გამოიყურება:



გრაფიკა 4: შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის ვიზუალიზაცია გენდერულ ჭრილში

როგორც ვხედავთ, განსხვავებული სურათი მივიღეთ 27-ე და 28-ე ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა ცვლილებების გამოწვევა შეუძლია განსხვავებული მოცულობის ტექსტებს, სწორედ ამიტომ გამოვიყენეთ შედარებითი პროცენტულობის პრინციპი და თითოეული ტექსტი გაანალიზდა შერჩეული პარამეტრის მთლიან ტექსტთან პროცენტული შეფარდებით.

დასკვნა

მონოგრაფია „ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ანალიზი გენდერულ ჭრილში“ მიზნად ისახავდა ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების გენდერულ კვლევას ახალი მეთოდის, ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის, გამოყენებით. პოლიტიკურ ლინგვისტიკაში ახლად დანერგილი ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, ვიკვლიოთ პოლიტიკური გამოსვლების ენობრივი რეალიზაციის ფორმები და ხერხები, აღვწეროთ მანიპულაციის ენობრივი საშუალებები, არგუმენტაციული სტრუქტურები, სხვადასხვა პარამეტრებით კვლევისას სტატისტიკური მეთოდების გამოყენების შედეგად დავადგინოთ მეტაფორულობის ხარისხი, ეგოცენტრულობისა და არგუმენტირების პროცენტულობა, პოლიტიკოსთა გამოსვლის ვექტორი, ფოკუსი და ა.შ. კვლევის აღნიშნული მეთოდებით წარმართვა საშუალებას გვაძლევს, კომპლექსურად ვიკვლიოთ, ერთი მხრივ, ის ენობრივი საშუალებები, რომლებსაც პოლიტიკოსები თავიანთ პოლიტიკურ გამოსვლებში იყენებენ და, მეორე მხრივ, დავადგინოთ კანონზომიერი ურთიერთმიმართება პოლიტიკურ მეტყველებასა და პოლიტიკურ პროცესებს შორის. აღნიშნული მეთოდების გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, გლობალიზაციის პირობებში, ვინაიდან მედიამონიტორინგი, როგორც წესი, ფოკუსირებულია პოლიტიკური გამოსვლების შინაარსობრივ მხარეზე და არ ითვალისწინებს პოლიტიკოსთა გამოსვლების სტრატეგიულ ანალიზს.

ნაშრომში წარმოვადგინეთ ექვსი ქართველი პოლიტიკოსის: გიგა ბოკერიას, სალომე სამადაშვილის, გიორგი გახარიას, თინა ხიდაშელის, მამუკა მდინარაძისა და ეკა ხერხეულიძის გამოსვლების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი. ემპირიული მასალის შერჩევისას გავითვალისწინეთ პოლიტიკური ორიენტაციისა და გენდერული ბალანსირების პრინციპი, რაც გულისხმობს შემდეგს:

ა) ბალანსირების პრინციპიდან გამომდინარე, შევარჩიეთ როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების პოლიტიკური გამოსვლები, ბ) ასევე გავითვალისწინეთ გენდერული ბალანსის საკითხი და ექვსი პოლიტიკოსიდან საანალიზოდ ავიღეთ სამი ქალი და სამი მამაკაცი პოლიტიკოსის გამოსვლები, გ) გარდა ამისა, შინაარსობრივი დაბალანსების პრინციპის გათვალისწინებით, შევარჩიეთ თემატურად მსგავსი გამოსვლები, კერძოდ, ისინი, რომლებიც უკრაინის ომის თემას ეხებოდა.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ჩვენ შევძელით, სტატისტიკურად დაგვედგინა შერჩეულ პოლიტიკოსთა ენობრივი მახასიათებლები და გაგვეზომა ისინი აბსოლუტური შეფარდებითი პროცენტულობის თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ენობრივი თავისებურებების გამოვლენას ქალ და მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველებაში და მათ შედარებით-შეპირისპირებით ანალიზს. პოლიტიკოსთა მეტყველების გენდერულ ჭრილში ანალიზი მრავალფეროვან სურათს იძლევა. როგორც სტატისტიკური ანალიზიდან ჩანს, ტიპებისა და ტოკენების ურთიერმიმართება (Token-Type-Ratio) განსხვავებულია როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობის თვალსაზრისითაც, კერძოდ, TTR-ის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს გიგი ბოკერიას (0,53), შემდეგ მამუკა მდინარაძეს (0,46). გიორგი გახარიას მეტყველებაში TTR-ის მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება წინა ორი პოლიტიკოსის მაჩვენებელს. შესაბამისად, ლექსიკური სიმჭიდროვეც იმავე ინდექსს გვიჩვენებს. წაკითხვის ინდექსი სამივე პოლიტიკოსს თითქმის თანაბარი აქვს: გ. ბოკერიას –18,24, გ. გახარიას – 19,22, მ. მდინარაძეს – 20,00. სამაგიეროდ, წინადადებაში სიტყვათა საშუალო რაოდენობის მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება მ. მდინარაძის მეტყველება დანარჩენი ორი პოლიტიკოსის მეტყველებისა-

გან: გ. ბოკერიასთან – 20,8 გ. გახარიასთან – 19,00 მ. მდინარაძესთან – 31,4, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გ. ბოკერიასა და გ. გახარიას მეტყველებისაგან განსხვავებით მ. მდინარაძის მეტყველება რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით ხასიათდება.

ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში TTR-ის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს სალომე სამადაშვილს (0,54), შემდეგ კი – თინა ხიდაშელს (0,52). ეკა ხერხეულიძის მეტყველებაში TTR-ის მაჩვენებელი საკმაოდ ჩამორჩება წინა ორი პოლიტიკოსის მონაცემს. შესაბამისად, ლექსიკური სიმჭიდროვეც იმავე ინდექსს გვიჩვენებს. არც წაკითხვის ინდექსი გვაძლევს დიდ სხვაობას: შედარებით მაღალი მაჩვენებელია თინა ხიდაშელთან – 20.73, ხოლო ეკა ხერხეულიძესა –18.88 და სალომე სამადაშვილთან – 18.7, ანუ თითქმის თანაბარი მაჩვენებელია. სამაგიეროდ, წინადადებაში სიტყვათა საშუალო რაოდენობის მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება სალომე სამადაშვილის მეტყველება დანარჩენი ორი პოლიტიკოსის მეტყველებისაგან: ეკა ხერხეულიძესთან – 18,4, თინა ხიდაშელთან – 23,9 და სალომე სამადაშვილთან – 36.00, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ე. ხერხეულიძისა და თ. ხიდაშელის მეტყველებისაგან განსხვავებით, ს. სამადაშვილის მეტყველება რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით ხასიათდება.

რაც შეეხება ვექტორისა და ფოკუსის საკითხს პოლიტიკოსთა გამოსვლის ტექსტებში, გიგა ბოკერიას გამოსვლის ვექტორი ძირითადად მიმართულია რუსეთ-უკრაინის ომსა და ამ ომით განპირობებულ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. მისგან განსხვავებით, გიორგი გახარია და მამუკა მდინარაძე უკრაინის თემას საქართველოს პერსპექტივიდან და ქვეყნის შიდა პოლიტიკის პერსპექტივიდან განიხილავენ. ამ თვალსაზისით გ. გახარიასა და მ. მდინარაძის მეტყველებაში უფრო მეტად სახელმწიფოებრივი ინტერესები და შიდა პოლიტიკური ხედვა არის წინა პლანზე წამოწეული.

ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში, ეკა ხერხეულიძის გამოსვლის ვექტორი ძირითადად მიმართულია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაზე, ხოლო თინა ხიდაშელსა და სალომე სამადაშვილთან ძირითადი თემა და გამოსვლის ვექტორი განსხვავებულია. თინა ხიდაშელის გამოსვლის ვექტორი მიმართულია უკრაინის ომისკენ, მის ირგვლივ არსებული კონფლიქტები განხილულია საქართველოსა და ამერიკის პერსპექტივებიდან, სალომე სამადაშვილი კი აქცენტს აკეთებს რუსეთ-უკრაინის ომში დასავლეთის როლსა და მნიშვნელობაზე.

ემპირიული მასალის კვლევამ აჩვენა, რომ ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლებისათვის დამახასიათებელია პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენების სიხშირე, რაც ეგოცენტრულობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. როგორც შესწავლილი მასალა ცხადყოფს, პირველი პირის ნაცვალსახელი პოლიტიკოსთა გამოსვლებში საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევის, პირადი პოზიციების დომინირებისა და მსმენელზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენება. ამ მხრივ გამოირჩევა გიგა ბოკერიასა და გიორგი გახარიას გამოსვლები, რამდენადაც მათი ეგოცენტრულობის მაჩვენებელი გაცილებით მეტია, ვიდრე მამუკა მდინარაძის გამოსვლის ტექსტში. სამაგიეროდ, მამუკა მდინარაძესთან არგუმენტაციული სტრუქტურების გამოყენების სიხშირე აღემატება ორივე პოლიტიკოსის პროცენტულ მაჩვენებლებს.

ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში ეგოცენტრულობის პროცენტულობის მაჩვენებელი თინა ხიდაშელთან ბევრად დაბალია, ვიდრე ეკა ხერხეულიძესა და სალომე სამადაშვილთან, ეს შესაძლებელია ნიშნავდეს იმას, რომ თინა ხიდაშელი თავის გამოსვლაში საგნობრივად მსჯელობს და მასთან ექსპლიციტურად არის მარკირებული საკუთარი პოზიციები. თინა ხიდაშელი ასევე ნაკლებად იყენებს არგუმენტაციის ენობრივ საშუალებებს, რომლებიც ხშირად

გვხვდება ეკა ხერხეულიძისა და სალომე სამადაშვილის მეტყველებაში. საგულისხმოა, რომ სამივე ქალ პოლიტიკოსთან ყველაზე ხშირად გამოყენებულ ზმნებს შორის დომინირებს ყოფნა ზმნა. *უნდა* მოდალური ელემენტი კი ეკა ხერხეულიძესა და თინა ხიდაშელთან ძირითადად ფუნქციურ კონსტრუქციაში გამოიყენება, ის პრედიკატის ფუნქციით მხოლოდ სალომე სამადაშვილთან გვხვდება.

როგორც აღნიშნულმა ანალიზმა გვიჩვენა, ქალი პოლიტიკოსები მეტყველების დროს ენობრივი მანიპულაციის საშუალებებს ნაკლებად იყენებენ. მათ მეტყველებაში უფრო მეტად გვხვდება შეფასება, ვიდრე სხვა საშუალებები. გაანალიზებული მასალების მიხედვით, ქალებთან ვარაუდი უფრო ხშირადაა გამოყენებული, ვიდრე მამაკაც პოლიტიკოსებთან. თუმცა, გენდერული შედარების შემთხვევაში არ დასტურდება ზოგიერთი პარამეტრის სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით მანიპულაციის სხვა დომინანტური ხერხები, როგორებიცაა, მაგალითად, რიტორიკული შეკითხვა, ფაქტებით მანიპულირება. არგუმენტაციის ენობრივი საშუალებების მიხედვით მაღალი კოეფიციენტი დასტურდება ცალკეულ პოლიტიკოსთა მეტყველებაში, რომელიც არ მიუთითებს გენდერულ სხვაობაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მანიპულაციის ენობრივი საშუალებების კვლევას გენდერულ ჭრილში, მაგრამ გარდა დასახელებული საკითხისა და ნაშრომში წარმოდგენილი შედეგებისა, ასევე მიზნად ვისახავდით შერჩეულ ქართველ პოლიტიკოსთა ენობრივი პროფილის შექმნას. პოლიტიკური ტექსტების წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ პოლიტიკოსთა ენობრივი პროფილი მანიპულაციის რა ენობრივ ხერხებს მიმართავენ პოლიტიკოსები და რომელი ფუნქციურ-პრაგმატიკული სახის წინადადებები ჭარბობს მათ მეტყველებაში.

	1	2	3	4	5	6
შეფასება	44,68	31,66	47,16	24,07	29,41	32,91
შეკითხვა	-	-	-	-	13,73	-
ფაქტი	12,77	10,0	11,32	11,11	13,07	12,66
ვარაუდი	-	10,0	-	5,55	1,31	7,59
მოწოდება	-	8,33	-	5,55	11,76	5,06
პროგნოზი	6,38	-	5,66	3,70	9,15	5,06
კრიტიკა	-	3,33	-	-	-	-
თვითშეფასება	6,38	8,33	13,20	14,81	7,84	11,39
ახსნა-განმარტება	29,77	10,0	9,43	18,52	10,46	22,78
რიტორ. შეკითხვა	-	6,67	3,77	7,41	5,88	3,80
გაფრთხილება	-	-	3,77	-	-	-
ვარაუდი	-	-	-	-	1,31	-
ბრალდება	-	-	1,89	-	-	-
სურვილი	-	-	1,89	1,85	-	-
მადლობა	-	3,33	-	3,70	0,65	-
მოლოდინი	-	6,67	-	-	-	-
დაპირება	-	-	1,89	-	-	-
მიმართვა	-	-	-	1.85	-	-
სულ წინად. რაოდ.:	47	60	53	54	153	79

1 – ხერხეულიძე, 2 – ხიდაშელი, 3 – სამადაშვილი, 4 – ბოკერია, 5 – გახარია, 6 – მდინარაძე

ცხრილი 29: პოლიტიკოსთა ენობრივი პროფილი მანიპულაციის ხერხების პროცენტულობის შესაბამისად

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ეკა ხერხეულიძის მეტყველება შეფასებითი ხასიათისაა (წინადადებების 44,68%). პოლიტიკოსი ძირითადად ახსნა-განმარტების საშუალებით ცდილობს მანიპულაციის განხორციელებას (29,77 %), თუმცა მანიპულაციისათვის ასევე იყენებს ფაქტებს (12,77 %). ამასთან, ხერხეულიძის მეტყველება საგრძნობლად მწირია მანიპულაციის ხერხების

მრავალფეროვნების თვალსაზრისით (5 ერთეული).

თინა ხიდაშელის მეტყველება ნაკლებად შეიცავს შეფასებებს (წინადადებების 31,66 %). მანიპულაციის ხერხებიდან ძირითადად იყენებს ფაქტებს, ახსნა-განმარტებას და ვარაუდს (10,0 %). პოლიტიკოსის მეტყველება საგრძნობლად მრავალფეროვანია მანიპულაციის ხერხების გამოყენების თვალსაზრისით (10 ერთეული).

სალომე სამადაშვილის მეტყველებაში მანიპულაციის ხერხებიდან ყველაზე მეტად გამოიყენება შეფასება, რომელიც დანარჩენ 5 პოლიტიკოსთან შედარებით ყველაზე მაღალ პროცენტულობას გვიჩვენებს (წინადადებების 47,16 %). თუმცა, პოლიტიკოსი ასევე მოიხმობს ფაქტებს (11,32 %), იძლევა ახსნა-განმარტებებს (11,32 %), მაგრამ ასევე მაღალ პროცენტულობას გვიჩვენებს თვითშეფასების თვალსაზრისით (13,2 %). სალომე სამადაშვილის მეტყველება საგრძნობლად მრავალფეროვანია მანიპულაციის ხერხების გამოყენების თვალსაზრისით (10 ერთეული).

გიგა ბოკერიას მეტყველება შეფასების ყველაზე დაბალ პროცენტულობას გვიჩვენებს (წინადადებების 24,07 %), ძირითადად ახსნა-განმარტების მეშვეობით ახდენს მანიპულირებას (18,52 %), თუმცა ასევე ხშირად მიმართავს თვითშეფასებას (13,20 %) და მოიხმობს ფაქტებს (11,11 %). პოლიტიკოსის მეტყველება საგრძნობლად მრავალფეროვანია მანიპულაციის ხერხების გამოყენების თვალსაზრისით (11 ერთეული).

გიორგი გახარიას მეტყველებაც ნაკლებად შეფასებითია (წინადადებების 29,41 %), თუმცა მეტყველებაში ხშირად იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს (13,73 %) და ფაქტებს (13,07 %), როგორც მანიპულაციის ხერხს. აქვე საგანგებოდ უნდა ვახსენოთ ის ფაქტი, რომ გიორგი გახარიას მეტყველება ხასიათდება მანიპულაციის ხერხების გამოყენების მრავალფეროვნებით (11 ერთეული).

მამუკა მდინარაძის მეტყველებასაც ნაკლებად ახასიათებს შეფასების ხერხის გამოყენება, როგორც მანიპულაციის საშუალება, რაზედაც შეფასების დაბალი პროცენტულობა მიგვანიშნებს (წინადადებების 32,91 %). პოლიტიკოსი უმეტესად იყენებს ახსნა-განმარტების ხერხს (22,78 %) და მოიხმობს ფაქტებს (12,66). მამუკა მდინარაძის მეტყველება ხასიათდება მანიპულაციის ხერხების გამოყენების ზომიერებით (8 ერთეული).

ლექსიკური მრავალფეროვნებით (TTR-ის მიხედვით) გამოირჩევა თინა ხიდაშელის (0,52), სალომე სამადაშვილისა (0,54) და გიგა ბოკერიას (0,53) მეტყველება, ხოლო არგუმენტირების თვალსაზრისით ყველაზე მაღალ პროცენტულობას გვიჩვენებს სალომე სამადაშვილის მეტყველება (24,53 %). მიუხედავად იმისა, რომ ეკა ხერხეულიძის მეტყველება მანიპულაციის ხერხების გამოყენების ნაკლებობით ხასიათდება, არგუმენტაციული სტრუქტურების გამოყენების თვალსაზრისით შედარებით მაღალ პროცენტულობას გვიჩვენებს (19,14 %) და მხოლოდ სალომე სამადაშვილის მონაცემებს ჩამორჩება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასკვნები ემყარება მხოლოდ 6 ქართველი პოლიტიკოსის მეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიურ ანალიზს და წარმოადგენს საკითხის ეგზემპლარულ განხილვას. ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის შესაძლებლობები და პერსპექტივები კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ცხადია, ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ანალიზი გენდერულ ჭრილში გაცილებით მასშტაბურ კვლევას მოითხოვს ჩვენ მიერ გამოტანილი დასკვნების ვალიდურობის გადასამოწმებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე ზ., კორპუსლინგვისტური გლოსარიუმი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ფრანკფურტი. 2014;
2. კიკვიძე ზ., „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2010;
3. Adams N., "How to Map a Movement". The Commons Social Change Library, 2024 https://commonslibrary.org/how-to-map-a-movement/;
4. Civil Resistance and Power Politics: The Experience of Non-violent Action from Gandhi to the Present Archived 2014-11-15 at Archive-It, Roberts, -Adam and Timothy Garton Ash (eds.) Oxford: Oxford University Press, 2009. ISBN 978-0-19-955201-6,
5. Anderson D., Histories of the Hanged. Britain’s Dirty War in Kenya and the End of Empire, London. 2005;
6. Brooks A., Postfeminisms: Feminism, Cultural Theory and Cultural Forms (англ.), Routledge. 2002 (ISBN 978-1-134-82232-4);
7. Castells M., Networks of outrage and hope: social movements in the Internet age. Cambridge, MA: Polity Press. 2012; ISBN 978-0-7456-9575-4. OCLC 896126968
8. Elkins C., Britain’s Gulag. The Brutal End of Empire in Kenya. London. 2005;
9. Einarsson J., Männ, *kvinnor och språk.* Nordiska studier i filologi och lingvistik. Festskrit tillägnad Gösta Holm. Lund: Studentliteratur AB: 60-75. გვ. 61. წყარო: იხ. ზაალ კიკვიძე, კადმოსი, 3, 2011, გვ. 297.
10. Kamarauli M. The Nominal Domain in Georgian. A Diachronic Analysis. Wiesbaden: Reichert Verlag. 2022;
11. Kamarauli A., Tsetskhladze T., Contemporary Georgian Political Speech from Gender and Party Perspectives, Millennium, Vol.2, 2024, pp 160-193;DOI: https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8002

12. Lauretis T., Technologies of gender : essays on theory, film and fiction, Bloomington: Indiana University Press. 1987;
13. Lakoff R. T., Language and woman's place. New York: Harper & Row, 1975;
14. Lasswell G., The Structure and Function of Communication in Society, In L. Bryson (Ed.), The communication of ideas New York. 1948;
15. Lazarsfeld P. F., The People's Choice, New York : Duell, Sloan and Pearce, c 1944;
16. Lippmann W., Public Opinion, Zinc Read, 1922; ISBN-978-93-5858-875-0;
17. Money J., Hampson J. G., Hampson J., An Examination of Some Basic Sexual Concepts: The Evidence of Human Hermaphroditism. In: Bulletin of the Johns Hopkins Hospital. Band 97, Nr. 4, 1. Oktober 1955;
18. Paul J.; Seeters V., Globalization and Politics, Global Social Movements and Global Civil Society, London. Vol. 2, 2014;
19. Violent protest, contentious politics, and the neoliberal state. Seferiades, S., & Johnston, H. (Eds.). Ashgate Publishing, Ltd, 2012;
20. Shirky C., *Here Comes Everybody: The Power of Organizing Without Organizations*. Penguin Press HC, The, 2008;
21. Soule, Sarah A.; Kriesi, Hanspeter (2004-02-13). The Blackwell Companion to Social Movements. Wiley. ISBN 978-0-631-22669-7.
22. Tsetskhladze T., Linguopolitological Analysis of Thematical Speeches by Georgian Politicians (Ukraine Thema in Georgian Politician discourse), in: Multilingual Education, No. 25, pp.38-53;
23. Tilly Ch., Social Movements, Boulder, CO, Paradigm Publishers, 2004; ISBN 1-59451-042-3 (hardback) / ISBN 1-59451-043-1
24. Ярская-Смирнова Е., Гендер, власть и кинематограф: основные направления феминистской кинокритики // Журнал социологии и социальной антропологии, Т. 4, 2001.